სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

2017 წლის ანგარიში

დანართი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშების (დასრულებული და გარდამავალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების) ექსპერტიზას;

2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი;

იურიდიული ფაკულტეტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;

ასოცირებული პროფესორი თამარ ზარანდია (დეკანი)

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

პროფესორები:

- დავითაშვილი გიორგი
- სურგულაძე ნუგზარ
- კვერენჩხილაძე გიორგი
- ჭიღლაძე ნანა
- კობახიძე ირაკლი
- კოპალეიშვილი მაია
- ხარშილაძე ირმა
- ტურავა პაატა
- ალექსიძე ლევან
- კორკელია კონსტანტინე
- ქურდაძე ირინე
- ხუციშვილი ქეთევან
- ზოიძე ბესარიონ
- ნინიძე თევდორე
- ჭანტურია ლადო
- ბურდული ირაკლი
- ძლიერიშვილი ზურაბ
- ხუბუა გიორგი
- ივანიძე მაია
- ფაფიაშვილი ლალი
- ტურავა მერაბ
- თოდუა ნონა

ასოცირებული პროფესორები:

- ბოსტოღანაშვილი დავით
- გარიშვილი მარინა
- ფერაძე გოჩა
- კახიანი გიორგი
- თევდორაშვილი გიორგი
- გონაშვილი ვასილ
- ერემაძე ქეთევან
- ლორია ხათუნა
- ქარდავა ეკატერინე
- გვარამაძე თამარ
- ყალიჩავა კობა
- სირაძე ეკა
- პატარაია დავით
- ბითაძე მაია
- ზამბახიძე თამარ
- ჩაჩავა სოფიო
- ცისკაძე მარიამ
- ცერცვაძე გიორგი
- ზარანდია თამარ
- შენგელია ეკატერინე
- ჯანაშვილი ლელა
- აქუბარდია ირინა
- თუმანიშვილი გიორგი
- შალიკაშვილი მორის
- დვალიძე ირაკლი

ასისტენტ-პროფესორები:

- ონიანი სულხან
- ჩაჩანიძე ელზა
- ხოფერია მარიამ
- გოგიბერიძე გია
- კახიძე ირაკლი
- კევლიშვილი მარიამ
- რუხაძე ნინო
- ზოიძე თამარ
- მახარობლიშვილი გიორგი
- მოწონელიძე ნატალია
- რუსიაშვილი გიორგი
- სვანაძე გიორგი
- ქოჩაშვილი ქეთევან
- ჩიტაშვილი ნათია
- ნუცუბიძე მაკა
- გოგნიაშვილი ნინო
- გორაშვილი გიორგი

- მაღლაკელიძე ლავრენტი
- ცქიტიშვილი თემური
- ხარანაული ლევანი
- ხერხეულიძე ირინე
- მეურმიშვილი ბესიკ

ასისტენტები:

- წიგნაძე ანა
- მაჭარაძე ზურაბ
- ღვამიჩავა თამარ
- ფიფია საბა
- აღაპიშვილი ირინა
- ამირანაშვილი გიორგი
- ბერეკაშვილი დიანა
- გაწერელია აკაკი
- ეგნატაშვილი დემეტრე
- ლაფაჩი ეკატერინე
- საძაგლიშვილი დიმიტრი
- ჯორბენაძე სერგი
- გეგენავა დიმიტრი
- ბერიშვილი თამარ
- ოხანაშვილი ანრი
- დგებუაძე გიორგი
- ხოდელი მაკა
- ტატიშვილი მაგდა
- ჩაკვეტაძე გიორგი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

I.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მიმართულების მითითებით		
1	2	3	4
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	კათალიკოზთა სამართალი (შესავალი გამოკვლევა, ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი თარგმანი, შენიშვნები, გლოსარიუმი).	თსუ	ნ. სურგულაძე	ნ. სურგულაძე (პროფესორი) - კვლევის ტექსტუალური ნაწილის რედაქტირება/ ინგლისური ტექსტის თარგმნა; ნაშრომის საბოლოო

				რედაქტირება და გამოსაცემად მომზადება; გ. დავითაშვილი (პროფესორი) - რუსული თარგმანის რედაქტირება; მ. გარიშვილი (ასოც. პროფესორი) - ტექსტის რუსულ ენაზე თარგმნა; ანა წიგნაძე (ასისტ.) - ქართული, რუსული და ინგლისური ტექსტების რედაქტირება, ტერმინთა საძიებლებისა და გლოსარიუმის შედგენა; დემეტრე ეგნატაშვილი (ასისტ.) - ინგლისური ტექსტის საძიებლების შედგენა.
	ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაცია და სამართლებრივი აპროქსიმაციის მნიშვნელობა ევროინტეგრაციის პროცესების ფონზე (სანივთო და ვალდებულებითი სამართლის კვლევის მაგალითზე)	Max Plank Institute	თ. ზარანდია	თ. ზარანდია, ნ. ჩიტაშვილი
	ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ჯანაშვილი	ლ. ჯანაშვილი

	სამეცნიერო გრანტი (FR/355/2-181/14 დასრულდა 2017 წლის 1 თებერვალს)			
	ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სტაჟირება "სამართლებრივი კულტურა ფაქტობრივ და ნორმატიულ რეალობას შორის"	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ნუცუბიძე	მ. ნუცუბიძე
	სამოქალაქო სამართალი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)	გ. რუსიაშვილი	გ. რუსიაშვილი
	,,2008 წლის აგვისტოს ომი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება“	გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) / შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. დგებუაძე	გ. დგებუაძე
1	2	3	4	5

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია პროექტზე - ქართული კერძო სამართლის ევროპეიზაცია და სამართლებრივი აპროქსიმაციის მნიშვნელობა ევროინტეგრაციის პროცესების ფონზე (სანივთო და ვალდებულებითი სამართლის კვლევის მაგალითზე)

სახელშეკრულებო და სანივთო სამართლის ფუნდამენტური სამართლებრივი კატეგორიების ევროპეიზაციის კვლევა განხორციელდა უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტების - ,,რბილი სამართლის” არასაკანონმდებლო კოდიფიკაციების კონტექსტში. კერძოდ, ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი უნიფიცირებული სამართლის ინსტრუმენტების კვლევა, როგორიცაა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (PECL), საერთო ევროპული ნასყიდობის სამართალი (CESL), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“ (CISG), „უნიდრუას საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები“ (UNIDROIT), ევროპული კერძო სამართლის პრინციპები, განმარტებები და მოდელური წესები – Draft Common Frame

of Reference (DCFR). სანივთო და ვალდებულებითი სამართლის ევროპეიზაციის უმნიშვნელოვანესი ასპექტები შესწავლილ იქნა ევროკავშირის დირექტივების, როგორც უნიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტების, ანალოგი კონცეფციების მეცნიერული ანალიზის გზით.

ანოტაცია პროექტზე - ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სტაჟირება
"სამართლებრივი კულტურა ფაქტობრივ და ნორმატიულ რეალობას შორის"

კვლევა განხორციელდა საფრანგეთში, პარიზი VIII უნივერსიტეტში.

ანოტაცია პროექტზე - სამოქალაქო სამართალი,
უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი

პროექტის მიზანს წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლები) სარეფორმო წინადადების შექმნა.
ქართული სამართლის კონდიქციების სისტემა ყველაზე მეტად გერმანულ მოდელს ენათესავება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი წარმოადგენს თითქმის უცვლელ ასლს 1981 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის დეტლეფ *კონიგის* მიერ შემუშავებული პროექტისა, რომლის დანაწესებითაც უნდა ჩანაცვლებულიყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის არსებული ნორმები. ეს პროექტი *კონიგმა* შეიმუშავა გერმანიის ფედერალური იუსტიციის სამინისტროს დაკვეთით, თუმცა გერმანიაში ის ძალაში არ შესულა. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გამოხმაურება ჰპოვა თანამედროვე სამეცნიერო დისკუსიაში. ქართველმა კანონმდებელმა ეს პროექტი მცირედი მოდიფიცირებით გადმოიღო.
მიუხედავად კანონპროექტის მთელი რიგი ღირსებისა და მისი გადმოტანის გადაწყვეტილების ცალსახად დადებითად შეფასებისა, დღესდღეობით მომწიფდა ცვლილებების აუცილებლობა გერმანულ თარგზე გამოჭრილ ქართულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის რეგულატიურ კომპლექსში. პირველ რიგში ეს განპირობებულია იმით, რომ კონიგის კანონპროექტში მთელი რიგი ნორმები ჩამოყალიბებულია მოკლე, მაქსიმალურად კომპაქტური ფორმით, რის მიუხედავადაც ისინი გერმანელი იურისტისათვის სრულებით გასაგებია, გამომდინარე იქიდან, რომ ეს დანაწესები წარმოადგენენ გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული პრინციპების განსხეულებას კანონში. ამ წესების შინაარსი გერმანელი იურისტისათვის ან წინასწარვე ცნობილია, ან მათი განმარტება მარტივად ხელმისაწვდომია. ქართველი მკითხველისათვის კანონის ნორმის ფორმით მიწოდებული ეს პრინციპები დამატებით განვრცობასა და დაქუცმაცებას საჭიროებს. ის რაც ჩაითვლება ოქროს შუალედად გადამეტებულ რეგულაციასა და დერეგულაციას შორის გერმანულ ტრადიციაში, ნამდვილად ვერ ჩაითვლება ასეთად ქართულში, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ტრადიცია ჩამოყალიბების პროცესშია და მხოლოდ თავის პირველ კონტურებს იძენს.
კანონის მიღებიდან ოცი წლის გასვლის შემდეგ რეტროსპექტული ანალიზით ნათლად ჩანს, რომ კონიგის კანონპროექტიდან გადმოღებული მთელი რიგი საკვანძო ნორმები მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ მკვდარ დანაწესებად დარჩა, რომლებიც პრაქტიკამ ვერ გაითავისა. ზოგ შემთხვევაში აქ თავისი როლი ითამაშა არასწორმა თარგმანმა, არაზუსტმა ფორმულირებებმა, სტილისტურმა გაუმართაობამ (რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებს

ტექნიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას) და თვითნებურმა გადაწყვეტილებებმა, რა მიმართულებითაც ქართველმა კანონმდებელმა საკმაოდ უხვად შეცოდა და რაც გარდაუვალი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმ შემოკლებულ ვადებს, რა ვადებშიც იქმნებოდა სამოქალაქო კოდექსი. ამიტომაც რეტროსპექტულ პერსპექტივაში ნათლად ჩანს ცვლილებების აუცილებლობა, რათა გერმანელი პროფესორის ნააზრევი, რომლის უკანაც საუკუნოვანი გერმანული დოქტრინა დგას, მომავალშიც არ დარჩეს უცხო სხეულად ქართულ კანონმდებლობაში და იქცეს ქართული იურიდიული აზროვნების ორგანულ ნაწილად.

ანოტაცია პროექტზე - ,,2008 წლის აგვისტოს ომი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება“

საერთაშორისო სისხლის სამართლით დადგენილი დანაშაულები ხასიათდება ადამიანთა დიდი ჯგუფის თანამოქმედებით. ასეთი დანაშაულების კოლექტიური ბუნება არაა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება. კონკრეტული პირები, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში მოქმედებენ ერთად, განსაზღვრავენ დაზარალებულთა წრეს და გეგმავენ, ორგანიზებას უწევენ და იყენებენ ძალას დაზარალებულების წინააღმდეგ. კოლექტიურ ქმედებებზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრებისას, გასათვალისწინებელია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სიმძიმე არაა დამოკიდებული უშუალო ქმედებასთან ფიზიკურ დისტანციაზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, იურისტები დადგნენ ისეთი პასუხისმგებლობის თეორიის შექმნის გამოწვევის წინაზე, რომელიც აკურატულად აღწერდა ინდივიდის შესაბამის პასუხისმგებლობას და კავშირს მასშტაბურ სისხლისსამართლებრივ საქმიანობასთან.

დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. 2015 წლის 13 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ სასამართლოს მოსამართლეებს მიმართა იმ დანაშაულთა გამოძიების დაწყების თხოვნით, რომლებიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოში, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ფორმირებებსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის კონფლიქტის დროს იქნა ჩადენილი. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასასამართლო პალატამ, 2016 წლის 27 იანვარს, პროკურორ ფატუ ბენსუდას საქართველოს საქმესთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების ნება დართო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე 123 სახელმწიფოა, საქართველოს ჩათვლით. საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომის დანაშაულებსა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა.

პროექტის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღნიშნული გარემოებები, ,,საქართველოს სიტუაციასთან“ დაკავშირებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: მატერიალური და მენტალური ელემენტები; ომის დანაშაული: მატერიალური და მენტალური ელემენტები; განსაკუთრებით, ის სტანდარტები, რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ; კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი

მდგომარეობის საკითხი. განსაკუთრებით, გამოკვლეულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების ფარგლები, იურისდიქციის საკითხები და ინდივიდუალური შერაცხვის თანამედროვე სტანდარტები.

მასალების შესწავლის შედეგად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებმა დაასკვნეს, რომ არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომ 2008 წლის პირველი ივლისიდან 10 ოქტომბრამდე შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში ჩადენილი დანაშაული სასამართლოს იურისდიქციას ეკუთვნის. სავარაუდოდ ჩადენილია: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. კერძოდ, მკვლელობა, მოსახლეობის იძულებით გადაადგილება და დევნა; ომის დანაშაული. კერძოდ, სამოქალაქო პირებზე თავდასხმა, განზრახ მკვლელობა, მშვიდობისმყოფელებზე თავდასხმა, ქონების განადგურება, ძარცვა.

პროკურორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ცხადია, რომ გამოძიება სავარაუდოდ შეეხება დანაშაულებზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელს პირებს, ვინაიდან საერთაშორისო სისხლის სამართლის მთავარი ამოცანაა ფართომასშტაბიანი, სისტემატური და სისტემური საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული საიდუმლო ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა. სწორედ ამ ფუნქციას ემსახურება საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში საერთაშორისო სამართლის მიერ შექმნილი ,,მართლმსაჯულების ახალი არქიტექტურა" სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სახით, სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით. იგი ასევე ეხმარება ეროვნულ სისხლის სამართალს, უზრუნველყოს საერთაშორისო დანაშაულზე ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დაფუძნება. სისხლისსამართლებრივი უუნარობის გამოვლენისას იგი პირდაპირ ,,ინტერვენციას" ახორციელებს ეროვნულ სისხლის სამართალში, ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპის ამოქმედებით, რაც განხორციელდა კიდეც საქართველოს მაგალითზე.

სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი" საერთაშორისო სისხლის სამართლის, კერძოდ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის სახით, ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის ხარვეზიანი სამართლის პოლიტიკის პრევენციულ ,,მექანიზმს" წარმოადგენს. ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაფუძნება სისხლის სამართლის განსაკუთრებული მონაწილეობით ხდება, საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ,,კანონიერებაზე", უპირველეს ყოვლისა, სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია, ვინაინდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით" ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი de facto თუ de jure მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი" გამოყენებით.

საქართველოს სიტუაცია გამოსაყოფია სამი ნიშნით. ეს არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პირველი პრეცედენტი: (1) აფრიკის კონტინენტის გარეთ; (2) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში; (3) გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით''. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

I. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტის მე-2 ნაწილი)	ფოლკსვაგენის ფონდი	გ. თუმანიშვილი (ქართული მხრიდან) ე. შრამი, იენის უნივერსიტეტი (გერმანული მხრიდან) ბ. ჯიშკარიანი, საქართველოს უნივერსიტეტი (თანახელმძღვანელი)	პროფ. დოქ. მ. ტურავა (თბილისი, ბათუმი); პროფ. დოქ. ჰ. ალვარტი (იენა); პროფ. დოქ. მ. ჰეგერი (ბერლინი); პროფ. დოქ. ბ. ჰაინრიხი (ტუბინგენი);პროფ. დოქ. ე. შრამი (იენა); ასოც. პროფ. დოქ. გ. თუმანიშვილი (თბილისი); ასოც. პროფ. დოქ. ი. დვალიძე (თბილისი); ასოც. პროფ. დოქ. ბ. ჯიშკარიანი (თბილისი); ასისტ.-პროფ. ლ. ხარანაული (თბილისი); პროფ. დოქ. თ. ლალიაშვილი (თბილისი); ასისტ.-პროფ. ლ. მაღლაკელიძე (თბილისი); ასოც. პროფ. დოქ. მ. შალიკაშვილი

				(თბილისი); ასისტ. გ. დგებუძე და სხვ.
	ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია გარემოს დაცვის სამართლის მაგალითზე სოციალური მეცნიერებები (5.) სამართალი (5.5.) პოლიტიკური მეცნიერებანი (5.6.)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კ. ყალიჩავა	კ. ყალიჩავა
	ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი (FR1 7_85 მიმდინარე)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		ლ. ჯანაშვილი
	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები - საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა (პროექტის შიფრი - 217232)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ვ. გონაშვილი	ვ. გონაშვილი, ლ. დარბაიძე
	სახელმძღვანელო „აკადემიური წერა იურისტებისათვის“		მ. შალიკაშვილი	მ. შალიკაშვილი, გ. რუსიაშვილი
	სისხლის-სამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება, სამეცნიერო მიმართულება: სისხლის სამართალი	თსუ	ნ. თოდუა	ნ. თოდუა, თ. ცქიტიშვილი და სხვ.

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ანოტაცია პროექტზე - საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა სამწლიანი პროექტის მიზანი, რომელიც დაიწყო 2016 წელს და სავარაუდოდ გაგრძელდება 2019 წლამდე, არის საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართლის პროცესის სფეროში მოღვაწე ქართველი ახალგაზრდა სამართალმცოდნეების მხარდაჭერა. პროექტი ეხება საქართველოში სამართალმცოდნეობის სწავლების სამივე დონეს (სტუდენტები, დოქტორანტები და სამართლის დოქტორები) და მან ასევე უნდა შეიტანოს წვლილი სისხლის სამართლის დისკურსის გაფართოებასა და გაღრმავებაში. აღნიშნული კვლევითი პროექტის მრავლისმომცველი თემატიკა შემუშავებულ იქნა 2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა-სემინარის ფარგლებში, სადაც გერმანული მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი და პროფ. დოქ. ედვარდ შრამი. აღნიშნულ შეხვედრა-სემინარზე მეორე სისხლის სამართლის პროექტის კონცეფცია განვითარდა პროფ. დოქ. მერაბ ტურავასთან, ასოც. პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილთან, ასოც. პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანთან და სხვა ქართველ სამართალმცოდნეებთან, მოსამართლეებთან და პროკურორებთან ხანგრძლივ საუბრებსა და დისკუსიებში. ამის გარდა, პროექტი უზრუნველყოფს პირველი გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტით თბილისის უმაღლესი რანგის უნივერსიტეტებში, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლევის, სწავლებისა და გამოცდის სფეროში ჩამოყალიბებული სტრუქტურების მდგრადობას. ხსენებული პირველი პროექტის ფარგლებში, რომელიც ასევე ფოლკსვაგენის ფონდის მიერ იქნა მხარდაჭერილი, 2006-2013 წლებში ინტერ ალია შემუშავდა ქართული სისხლის სამართლის სახელმძღვანელო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სისხლის სამართლის სწავლების თანამედროვე კურიკულუმი. მეორე პროექტი თემატურად განისაზღვრება ახალი, ყველა მონაწილისათვის საერთო კვლევითი ჩარჩოებით: პირველ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტს, რომელიც მიმართული იყო მატერიალურ სისხლის სამართალში ,,სისხლის სამართლის თეორიაზე“, მეორე პროექტით მოყვება ამ ჯერად ლოგიკური გადასვლა ,,სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაზე“ ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით. ვინაიდან თემატურად საქმე ეხება ქართულ სისხლის სამართლის პროცესს, განხილული იქნება ის მრავალმხრივი და განსხვავებული გავლენები, რომლებიც მომდინარეობენ ანგლოამერიკული, კონტინენტურევროპული, ტრადიციული ქართული და საბჭოური სისხლის სამართლის პროცესის კულტურიდან. ამავდროულად ცენტრალურ ადგილს დაიკავებს ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და განსაკუთრებით ევროპეიზაცია აწმყოსა და მომავალში, ასევე საქართველოსთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შეფასება. პროგრამა შედგება სამ საფეხურად სტრუქტურირებული სტუდენტური და კურსდამთავრებულების პროგრამისაგან, რომელიც ეხება ახალგაზრდა სამართალმცოდნეების სამივე დონეს და მიმართულია როგორც სტუდენტებსა და დოქტორანტებზე, ასევე ასოცირებულ და ასისტენტ სამართლის დოქტორებზე. ა) სადოქტორო სწავლების დონეზე 2016 წელს გაიცა სამ წლიანი სადოქტორო სტიპენდია ოთხ საუკეთესო განმცხადებელზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და საქართველოში არსებული სხვა მაღალი კლასის

უნივერსიტეტებიდან. ასევე გაიცა ოთხი სტიპენდია ქართველი დოქტორანტების ნახევარი წლით გერმანულ უნივერსიტეტებში კვლევითი საქმიანობისთვის.
ბ) სტუდენტების დონეზე 2017 წლის ზაფხულში მოეწყო საზაფხულო სკოლა ბათუმში სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი სტუდენტები და დოქტორანტები.
გ) სისხლის სამართლის მიმართულებით დოქტორანტების დონეზე შემუშავდება ინტერნაციონალიზირებულ (ქართულ) სისხლის სამართლის პროცესში ფუნდამენტური კრებული მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის, პრაქტიკისა და სამართლებრივი პოლიტიკის განვითარების შესაბამისად, როგორც ქართველი სამართალმცოდნეების, სამართლის დოქტორების და დოქტორნტების და ასევე მონაწილე გერმანელი სისხლის სამარლის მეცნიერების ერთობლივი შრომის შედეგი. კრებულის შემუშავება დაგეგმილია 2019 წლის გაზაფხულ/ზაფხულში.
დოქტორანტებმა, სტიპენდიანტებმა, სამართლის დოქტორებმა, პროექტის ხელმძღვანელებმა და ასევე პროექტის პარტნიორებმა გამართეს სამუშაო შეხვედრები თბილისსა (2016 წლის სექტემბერი) და იენაში/ბერლინში (2017 წლის მარტი), ასევე საზაფხულო სკოლის ფორმატში (2017 წელს) და იმსჯელეს საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ევროპული სისხლის სამართლის პრობლემებზე. დაგეგმილია ტიუბინგენში იმავე დონის ვიზიტი (2018 წლის გაზაფხულს). აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობენ აგრეთვე სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები პროექტში მონაწილე გერმანული უნივერსიტეტებიდან. სამეცნიერო მოსაზრებათა ინტენსიური ურთიერთგაცვლა პროექტის ფარგლებში ხორციელდება შემდეგნაირად: დოქტორანტების საზაფხულო სკოლისა და კრებულის თემატიკა ყოველმხრივ შედარებითია და მუშავდება შედარებით-სამართლებრივად. როგორც პარტნიორები, პროექტში მონაწილეობენ პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი (ტიუბინგენის უნივერსიტეტი) და პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი (ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი). ამით პროექტი შეიტანს ამავდროულად წვლილს გერმანული და ქართული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციაში მონაწილე უნივერსიტეტების (თბილისი, იენა, ტიუბინგენი და ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტი) მჭიდრო ურთიერთკოოპერაციის სახით. ამასთან ერთად, პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი და პროფ. დოქ. მერაბ ტურავა მხარს დაუჭერენ პროექტს როგორც ექსპერტები და გამოცდილი მრჩევლები.
პროექტი ფოლკსვაგენის ფონდის (ჰანოვერი) მიერ ფინანსდება 250.000 ევროთი ,,ევროპა და ორიენტი – შუააზია/კავკასია მეცნიერების ფოკუსში“ საგრანტო ინიციატივის ფარგლებში. საგრანტო განაცხადი ერთობლივად წარადგინა პროფ. დოქ. ედვარდ შრამმა, რომელიც პროექტს უხელმძღვანელებს გერმანიაში და იენის უნივერსიტეტის მეშვეობით განკარგავს საგრანტო თანხას და ასოც. პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილმა, რომელიც უხელმძღვანელებს და ორგანიზირებას გაუწევს პროექტს საქართველოში.

2017 წლის შედეგები

დოქტორანტებმა, სტიპენდიანტებმა, სამართლის დოქტორებმა, პროექტის ხელმძღვანელებმა და ასევე პროექტის პარტნიორებმა გამართეს სამუშაო შეხვედრები თბილისსა და იენაში/ბერლინში, ასევე საზაფხულო სკოლის ფორმატში და იმსჯელეს საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ევროპული სისხლის სამართლის პრობლემებზე. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა და ახალგაზრდა მეცნიერებმა პროექტში მონაწილე გერმანული უნივერსიტეტებიდან.

ანოტაცია პროექტზე - ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია გარემოს დაცვის სამართლის მაგალითზე

პროექტის მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების იმ დანართების ანალიზი, რომლებიც ეხება გარემოს დაცვის სფეროს. კერძოდ, ანალიზი მოიცავს გარემოს გაცვის ჰორიზონტალური კანონმდებლობის (დირექტივებისა და რეგულაციების) გამოვლენას და მიმართების დადგენას ქართულ კანონმდებლობასთან, რომელთან დაკავშირებითაც მოხდა 2011/92/EU, 2011/92/EU, 2003/35/EC, 2004/35/EC დირექტივების ანალიზი. ამ ანალიზის პროცესში ჩამოყალიბდა ძირითადი პრინციპები და ინსტრუმენტები: წინდახედულობა, მდგრადი განვითარება, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და სხვა, რომელიც მოგვიანებით განხილული იქნება ქართული სამართლის ჭრილში.
ამ ამოცანის განხორციელებით მიღებული შედეგის (ანალიზის) საფუძველზე შესაძლებელი გახდა კონკრეტული პრობლემური საკითხების გამოვლენა/იდენტიფიცირება:

- ახალი ინსტიტუტების მიმართ ცოდნის დეფიციტის არსებობა
- ლოგიკური იმპლემენტაციის მეთოდის გამოყენებისას ევროპული სამართლებრივი ნორმების არსის დაკნინება
- სამართლებრივ კონსულტაციებში უცხოელი ექსპერტებისათვის უპირატესობის მინიჭება და ქართულისთვის არათავსებადი ნორმების შექმნა, რაც ხანგრძლივ დისკუსიებს იწვევს
- დინამიზირებული დაახლოების ვალდებულების ფარგლების გაფართოება, რომელიც ქართულ მხარეს ავალდებულებს მუდმივად ადევნოს თვალყური მიმდინარე ცვლილებებს. შესაბამისად, ის მხოლოდ DDCFT-ზე არ გავრცელდება.

პროექტის განხორციელების ფარგლებში მომზადდა 22 გვერდიანი სტატია თემაზე „ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციისა და შიდა კონსტიტუციური ვალდებულებების ჭრილში“, რაც გადაცემულია გამოსაქვეყნებლად და უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. პროექტის განხორციელების აქტუალურ ეტაპზე მომზადდა ასევე გერმანულენოვანი სტატია, რომელიც გამოსაქვეყნებლად მიღებულია გერმანული ჟურნალის „Die öffentliche Verwaltung. Zeitschrift für Öffentliches Recht und Verwaltungswissenschaften“ (DÖV) („საჯარო მმართველობა. საჯარო სამართლის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ჟურნალი“) რედაქციის მიერ.

ანოტაცია პროექტზე - ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები - საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანისა და მოქალაქის ყველა ძირითადი უფლებისა და თავისუფლების კვლევა. აღნიშნული კვლევა განხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ა) საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი; ბ) საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების შესწავლა; გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლა; დ) ტესტების მომზადება საქართველოს კანონმდებლობიდან.

ანოტაცია პროექტზე - სახელმძღვანელო „აკადემიური წერა იურისტებისათვის“

იურიდიულ ფაკულტეტის სავალდებულო, თუ არჩევითი სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტებს ძირითადად მხოლოდ სამართლის შინაარსობრივ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ცოდნა მიეწოდებათ. ყოველი იურისტისათვის აუცილებელი მუშაობის ტექნიკა და უნარები, როგორიც არის იურიდიული ბიბლიოთეკისა და ონლაინ-ბაზების გამოყენება, სწორი ციტირება, გამართული ქართულით წერა, ზუსტი ტექნიკური ტერმინოლოგიით ოპერირება, კაზუსის ამოხსნის ფორმატისაგან დამოუკიდებლად, პრობლემების გამართულად სტრუქტურირება, სამეცნიერო ნაშრომისათვის აუცილებელი სიღრმე და ა. შ., ისწავლება მხოლოდ მაგისტრატურის მე-2 კურსზე შემოთავაზებული „აკადემიური წერის“ ფარგლებში. საკმაოდ გვიან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნული უნარები იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს პირველივე სემესტრიდან სჭირდება და ის წარმატებული სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. ამის გარეშე კი უკვე ნორმად იქცა ის ფაქტი, რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამწყების კურსის სტუდენტების ნაშრომები გაჯერებულია შეცდომებით, რომლებიც სამეცნიერო იურიდიული მუშაობის ელემენტარული ტექნიკის არცოდნაზე მეტყველებს. ლექტორი ამ შემთხვევაში იძულებულია უბრალოდ ყურადღების მიღმა დატოვოს ამ ტიპის ტექნიკური შეცდომები, რომლებიც ხშირად სრულებით უკარგავს ფასს ნაშრომის შინაარსობრივ მხარეს. არ აქვს რა ლექტორს ლექციაზე ნაშრომის ფორმალური მხარის ფართოდ მიმოხილვის საშუალება, მოკლებულია შესაძლებლობას მოსთხოვოს სტუდენტს გამოცდაზე მისი მკაცრი დაცვა, იმის გათვალისწინებით, რომ მას ეს ცოდნა არც სხვა დისციპლინის ფარგლებში მიუღია და არც დამოუკიდებლად შეეძლო აეთვისებინა, სახელმძღვანელოს არარსებობის გამო. აქ მივდივართ იმ პრობლემასთან, რომელიც საბოლოო ჯამში ეჭვქვეშ აყენებს მაგისტრატურის სავალდებულო კურსის ფარგლებშიც კი სტუდენტისათვის აკადემიური უნარ-ჩვევებისა და ყოველი იურისტისათვის აუცილებელი მუშაობის ტექნიკის განვითარების შესაძლებლობას. იურისტებისათვის (და არა მხოლოდ) არ არსებობს არც ერთი სპეციალური სახელმძღვანელო აკადემიურ წერაში. მხოლოდ ლექციის შეზღუდული ფორმატი კი არ იძლევა სტუდენტისათვის ვრცელი ცოდნის გადაცემის, სამეცნიერო ნაშრომისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკის, სტილისტიკის, შინაარსობრივი, თუ სხვა ფორმალური კრიტერიუმების ვრცლად დემონსტრირების საშუალებას, რის გარეშეც შეუძლებელია მათთვის დამოუკიდებლად დასამუშავებელი დავალებების მიცემა და სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული საბოლოო მიზნის მიღწევა, სტუდენტისათვის მეცნიერული მუშაობის უნარ-ჩვევის გამომუშავება. მაშინ როდესაც ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტებში იურიდიულ ფაკულტეტებზე აკადემიური (მეცნიერული) მუშაობის სტილი ცალკე მიმართულებად არის ჩამოყალიბებული (Legal Research, Legal Writing etc.), რომელიც, ჩვეულებრივ რამდენიმე პროფესორს აქვს ჩაბარებული და თავის გამორჩეულ ნიშას იმკვიდრებს გერმანულ უნივერსიტეტში იურიდიული დიდაქტიკის, როგორც მეთოდოლოგიის მომიჯნავე დარგის, სახით, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ეს საგანი სრულებით უგულვებელყოფილია.

იურიდიული განათლების ეს ნაკლი, რომელიც ისევე როგორც ყველა სხვა უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც აქტუალურია, საჭიროებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრას. სტუდენტისაგან, რომელმაც ვერ ფლობს სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის უნარ-ჩვევებს, ვიღებთ პრაქტიკოს იურისტს, რომელსაც არ შესწევს უნარი მეცნიერულად დაამუშაოს პრაქტიკაში წარმოშობილი აქტუალური პრობლემები, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სასამართლო და საადვოკატო

პრაქტიკის საუნივერსიტეტო სწავლებაში ინტეგრირებას და ქმნის მანკიერ წრეს, რომლის გარღვევაც მხოლოდ მის პირველ (საუნივერსიტეტო) ეტაპზეა შესაძლებელი.
პროექტის მიზანს წარმოადგენს შეიქმნას სახელმძღვანელო – „აკადემიური წერა იურისტებისათვის“, მოცემული მომენტისათვის ერთდერთი სახელმძღვანელო ამ სფეროში, რომელიც იქნება არა მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურა მაგისტრანტთათვის შეთავაზებული სავალდებულო კურსისათვის, არამედ დამატებითი ლიტერატურა და გზამკვლევი მეცნიერული მუშაობის ტექნიკისათვის საუნივერსიტეტო სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტისათვის. ამ მომენტისათვის დასრულებულია სახელმძღვანელოს ცხრა თავიდან ოთხი თავი.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	გ. დავითაშვილი	დანაშაულთა სახეები ქართულ ჩვეულებით სამართალში	თბილისი, 2017, გამომცემლობა "იურისტების სამყარო"	
	კ. კორკელია, ბ. ბოხაშვილი	პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები	თსუ, 2017 წ.	309 გვ.
	ი. ბურდული (რედ.) გ. მახარობლიშვილი დ. ეგნატაშვილი თ. ებანოიძე	კაპიტალის ბაზრის ფუნქციაუნარიანობა არსებული რეალობა და რეფორმის აუცილებლობა	თბილისი, 2017, გამომცემლობა "იურისტების სამყარო"	
	მ. ივანიძე, ნ. თოდუა, ი. ვარძელაშვილი, თ. მახარობლიძე	არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა	„მერიდიანი“, თბ., 2017	205 გვ.
	ი. ხერხეულიძე, მ. ივანიძე, ნ. თოდუა,	სანქციები სისხლის სამართალში	შესრულებული 2017 წლის	

	თ. ცქიტიშვილი		განმავლობაში, გამოიცემა 2018 წელს	
	გ. ფერაძე	„ბრალდების მხარდაჭერის ისტორია საქართველოში“, ნარკვევი I	თბილისი, გამომც. „მერიდიანი“	175 გვ.
	დ. ცარციძე, გ. ბესელია, ნ. ცუხიშვილი, კ. ყალიჩავა	საჯარო მმართველობის კულტურა საქართველოში. სოციოლოგიური კვლევა	თბილისი 2017	83 გვ.
	ლ. ჯანაშვილი, გ. გოგიაშვილი	„საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრობლემათა გადაწყვეტის გზები ბელგიისა და ესპაენთის ტერიტორიული მოწყობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფონზე“	2017	
	გ. რუსიაშვილი	უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია	თბილისი, 2017, გამომცემლობა "იურისტების სამყარო"	
	გ. დგებუაძე	,,დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული	თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	287 გვ.

		სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით“		

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ვ.გონაშვილი, ქ.ერამაძე, გ.თევდორაშვილი, გ.კახიანი, გ.კვერენჩხილაძე, ნ.ჭიღლაძე	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	თბილისი, 2017. „მერიდიანი“	505 გვ.
	ი. ხარშილაძე, ხ. ლორია, მ. კოპალეიშვილი, პ. ტურავა, თ. გვარამაძე, თ. ღვამიჩავა	ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო	გადაცემულია დასაბეჭდად	
	ლ. ფაფიაშვილი, მ. ივანიძე, ი. აქუბარდია, გ. თუმანიშვილი, ბ. მეურმიშვილი, ნ. გოგნიაშვილი	სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელო	„მერიდიანი“, თბ., 2017	898 გვ.
	ნ. თოდუა	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი II, დანაშაულის სხვა სახეები. (მეხუთე გამოცემა)	გამომცემლობა „მერიდიანი“	
	გ. ხუბუა, ი. დეპე, კ. ყალიჩავა, ე. ბონე, ე. ქარდავა, ს. სვანიშვილი, პ. ტურავა, გ. ხიშტოვანი, თ. ბერიშვილი, მ. ლაბაძე, თ. ზოდელავა	ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო	პუბლიკაცია მომზადების ფაზაშია	305 გვ.

	გ. თუმანიშვილი	სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-2 გადამუშავებული გამოცემა	სახელმძღვანელო გადამუშავდა და გადაცემულია გამოსაქვეყნებლად	
	ლ. ჭანტურია (რედ., თანაავტ.), ი. ბურდული, ა. გაწერელია, დ. ეგნატაშვილი, ბ. ზოიძე, გ. მახარობლიშვილი, გ. რუსიაშვილი, გ. სვანაძე, ს. ჩაჩავა, ს. ჯორბენაძე	სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები	თბილისი, 2017	
	გ. რუსიაშვილი	233-301-ე, 304-ე მუხლების კომენტარი	სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, GIZ, http://www.gccc.ge/ (გადაცემულია დასაბეჭდად)	350 გვ.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	კ. კორკელია (რედ.)	ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში	გამოცემის ეტაპზე	
	გ. ფერაძე (რედ.)	„სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“, წიგნი IV	მზადდება გამოსაცემად	510 გვ.
	ა. გეგენავა, დ. გიორგაძე, კ.	ადმინისტრაციულ მენციერებათა	თბილისი 2017, შპს “ფაუნტეინ	168 გვ.

	ყალიჩავა, უ. შტელკენსი, ი. წიწილაშვილი, ნ. მგელაძე, რ. მიშაკ, ვ. ასანიძე, მ. ხოსიტაშვილი, გ. ფუკნერ, გ. ხუბუა, გ. ბესელია, ჰ.-ი. რიგერ, თ. ვურმ, ჰ.-მ. არნდტ	პერსპექტივები #3, 2016 წლის ფორუმების მასალები	ჯორჯია”	
	ი. დვალიძე	ინსაიდერული ვაჭრობა და საბაზრო მანიპულაციები ქართულ სისხლის სამართალში, კონფერენციის მასალები: ქართული ეკონომიკური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია	თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“	17 გვ.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	მ. ივანიძე (თანაავტორი)	„სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“	N1	„მერიდიანი“, თბ., 2017	152 გვ.
	კ. ყალიჩავა	ქართული ადმინისტრაციული	სამართლის ჟურნალი	თბილისი	22 გვ.

		სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციის ჭრილში - წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები			
	გ. თუმანიშვილი, ლ. მაღლაკელიძე	არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების მნიშვნელობა ქართული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი	N1	თბილისი	13 გვ.
	ი. დვალიძე	შედეგის ობიექტური შერაცხვა და იარაღის დაუდევრად შენახვის დასჯადობა ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ჟურნალი „სამართლის ჟურნალი“	2017, #1	თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა	14 გვ.
	ი. დვალიძე	ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით	2017, #1	გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, ელ. მისამართი: http://www.dgstz.de/publication/10	7 გვ.
	ნ. რუხაძე	ადამიანის	№1, 2017	თბილისი, თსუ-ის	20 გვ.

		უფლებების დარღვევები და საზოგადოებრივი მორალი GATT-ის XX(ა) მუხლისა და GATS -ის XIV(ა) მუხლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი		გამომცემლობა	
	ნ. გოგნიაშვილი	არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“	#1 , 2017	გამომცემლობა ,,მერიდიანი''	
	თ. ცქიტიშვილი	რეცენზია, ბაჩანა ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2016, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი, www.dgstz.de	1/2017	ელექტრონული ჟურნალი	9 გვ.
	თ. ცქიტიშვილი	ანგარიში კონფერენციაზე: სისხლის-სამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება, გერმანულ-ქართული სისხლის	3/2017	ელექტრონული ჟურნალი	

		სამართლის ელექტრონული ჟურნალი, www.dgstz.de			
	ი. ხერხეულიძე	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“	#1	გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017 წელი	20 გვ.
	ი. ხერხეულიძე	სექსუალური შევიწროვების სამართლებრივი ხედვის პრობლემები საქართველოში, ჟურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“	#3	შესრულებული 2017 წლის განმავლობაში გამოიცემა 2018 წელს, (სამომავლო) გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი	20 გვ.
	გ. ამირანაშვილი	კომისიის სახელმძღვანელო პრინციპების, როგორც ევროკავშირის სამართლის მეორეული წყაროს პოტენციური მნიშვნელობა კონკურენციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებისთვის საქართველოში, „თანამედროვე სამართლის ჟურნალი“ (შზსუ)	გადაცემულია დასაბეჭდად		

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3				

კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ი. ხერხეულიძე (სამეცნიერო - კვლევითი პროექტის ხელმძღვანელი, სტატიათა კრებულ-ის თანაავტორი და თანარედაქტორი)	RECONSIDERING GENDER BASED-VIOLENCE AND OTHER FORMS OF VIOLENCE AGAINST WOMEN" COMPARATIVE RESEARCH/ANALYSIS IN THE LIGHT OF THE ISTANBUL CONVENTION	©Libellula Edizioni 2017, იტალია	369 გვ.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	მ. გარიშვილი	«Реформы государственного устройства и судебной системы в Восточно-	#1, 2017	ISSN 2451-0211 (Faculty of Law and Administation	14 გვ. ჩაშვებულია გამოსაცემად

		Грузинском (Картли-Кахетинском) царстве накануне русской агрессии, оккупации и ликвидации государственности в конце XVIII-начале XIX века». Polish-Georgian Law Review, Olsztyn		University of Warmia and Mazury in Olsztyn, Faculty of Law Ivane Javakhishvili Tbilisi State University).	
	ე. ქარდავა	“Administrative Contract in Civil Service Law” /Central and Eastern European Legal Studies	1		18 გვ.
	კ. ყალიჩავა	თანამედროვე ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობის ტრანსფორმაცია ევროპეიზაციის გზით	DöV	ბერლინი	16 გვ.

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	გ.კვერენჩხილაძე	„2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის გამოწვევები“.	აკადემიური კონფერენცია “საქართველოს 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა“; 2017, 3/XI. თბილისი, საქართველო.
	გ.კვერენჩხილაძე	მონაწილე.	ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების მე-17 კონგრესი: „საკონსტიტუციო სასამართლოების როლი კონსტიტუციური პრინციპების დაცვისა და

			სარგებლობის პროცესში“; 2017, 28/VI–1/VII. ბათუმი, საქართველო.
	ი. ხარშილაძე	„დისკრეციული უფლებამოსილება - ქართული სამართლისა და პრაქტიკის მიმოხილვა“	რიგით მე-11 ფორუმი - ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი - "დისკრეციული უფლებამოსილება ქართული საჯარო მმართველობის კულტურის ჭრილში, 10 თებერვალი, 2017 წ.
	ი. ხარშილაძე	სამართლის სექციის ხელმძღვანელი	სტუდენტთა რეგიონთაშორისი კონფერენცია, 2017 წ. 9 ივნისი
	ი. ხარშილაძე	ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები	საერთაშორისო კონფერენცია - დანაშაულის კონტროლი და სასჯელი, ქართულ-ნორვეგიული პესპექტივა, 16 ივნისი, 2017 წ.
	მ. ივანიძე	მოდერატორი, ორგანიზატორი	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 19 ოქტომბერი, 2017
	მ. ივანიძე	ორგანიზატორი, „სტუდენტები მოსწავლეებისთვის“	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 18 მაისი, 2017
	მ. ივანიძე	სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები ქართული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მიხედვით	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 12-13 მაისი, 2017
	მ. ტურავა	,,სასჯელის	2017 წლის 13 მაისი,

		პროპორციულობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში“	თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“)
	მ. ტურავა	,,საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის“	2017 წლის 15 სექტემბერი, ბათუმი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (საზაფხულო სკოლა თემაზე: ,,საერთაშორისო და ევროპული სისხლის სამართალი“)
	მ. ტურავა	,,ქართულ-გერმანული ურთიერთობები და ქართული სამართლის სისტემის ევროპეიზაცია“	2017 წლის 20 სექტემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ალექსანდრე ჰუმბოლდტის ფონდის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,ჰუმბოლდტ-კოლეგ“)
	მ. ტურავა	,,ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით“	2017 წლის 15 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "ნარკოტიკული დანაშაულის აქტუალური საკითხები")

	მ. გარიშვილი	О значимости и результатах переводов древнегрузинских памятников права	2017 წლის 25-26 ოქტომბერი, ქ. თბილისი, თბილისის ღია უნივერსიტეტი
	კ. ყალიჩავა	ქართული ადმინისტრა-ციული სამართლის ევროპეიზაცია ასოცირების შეთანხმების ჭრილში	ფორუმი 12 04.05.2017, თსუ, პირველი კორპუსი, აუდ. 006 ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესი საქართველოში
	ნ. თოდუა ი. აქუბარდია თ. სადრაძე	არასრულწლოვნის დაკითხვის საპროცესო სტანდარტები	23 მაისი,2017 თბილისი,თსუ,107–ე აუდიტორია, პირველი კორპუსი
	ი. დვალიძე	1) წამების, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან; 2) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია („ფულის გათეთრება“); 3) ტერორიზმი.	2017, 11-17 სექტემბერი, ბათუმი, საქართველო. ქართული სისხლის სამართლის ინტერნაციონალიზაცია და ევრეოპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის პროექტი. მე-2 ნაწილი). ბათუმის საზაფხულო სკოლა.
	ი. დვალიძე	„უფრო მსუბუქი შემთხვევები ქართული სისხლის სამართლის მიხედვით.“	2017, 12-13 მაისი, თბილისი, საქართველო. საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება.“
	თ. ცქიტიშვილი	განსაკუთრებული შემამსუბუქებელი გარემოებები ქართული	12-13 მაისი, 2017, თბილისი, თსუ, პირველი კორპუსი, 115-ე აუდიტორია. გერმანულ-

		სისხლის სამართლის მიხედვით	ქართული კონფერენცია თემაზე: სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება
	თ. ცქიტიშვილი	ქმედების დანაშაულად ცნობა სასჯელის დაუნიშნავად	4 მაისი, 2017, თბილისი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, ქიქოძის #3, ნიბლია უგრეხელიძის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია
	ი. ხერხეულიძე	სისხლის-სამართლებრივი სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით ჩატარებული ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“. 12.05.2017
	ი. ხერხეულიძე	Re-conceptualizing Sexual Harassment - Premises and Challenges	ქართულ-იტალიური აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის ფორმატში იტალიელ კოლეგებთან ერთად შექმნილი წიგნის პრეზენტაციის გარშემო გამართული საერთაშორისო კონფერენცია. მონაწილე

			უნივერსიტეტები: იტალიის ლუიჯი ვანვიტელის სახელობის კამპანიის უნივერსიტეტი, „ჟან მონეს“ სახელობის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, კონფერენცია ჩატარდა ინგლისურ ენაზე, 18.12.2017
	გ. ამირანაშვილი	ფორმალურ მოთხოვნებთან დაკავშირებული ზოგადი და სპეციალური დებულებების ურთიერთმიმართება შრომითი ხელშეკრულების ფონზე	საერთაშორისო კონფერენცია - ქართული შრომის სამართლის საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები, 4-5 მარტი, 2017, გუდაური, საქართველო
	გ. დგებუაძე	,,2008 წლის აგვისტოს ომი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება“	2017 წლის 12 დეკემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა (DAAD) და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი შემაჯამებელი კონფერენცია)

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1 2 3	გ. კვერენჩხილაძე	მონაწილე	საერთაშორისო კონფერენცია: “The Role of the Constitutional Courts in Overcoming Constitutional Conflicts“; 2017, 19-21/X. ერევანი, სომხეთი.
	გ. კვერენჩხილაძე	მონაწილე	საერთაშორისო კონფერენცია: “საკონსტიტუციო კონტროლის ევოლუცია ევროპაში: გამოცდილება და ახალი გამოწვევები“; 2017, 2–3/III. კიშინიოვი, მოლდოვა.
	მ. ტურავა	,,საერთაშორისო სისხლის სამართალი და საქართველოს კანონმდებლობა“	2017 წლის 18 მარტი, ბერლინი, ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“)
	ლ. ჯანაშვილი	კონგრესის სამეცნიერო საბჭოს წევრი	ანტონიო ნებრიხას უნივერსიტეტი (მადრიდი ესპანეთი), უსაფრთხოების მესამე საერთაშორისო კონგრესი, 2017 წლის 17-19 მაისი
	ლ. ჯანაშვილი		ევროპის საბჭო/ პოლიტიკურ საკითხთა დეპარტამენტი – პირველი საერთაშორისო - სასწავლო შეხვედრა პროფესიონალებისათვის ბილინგვური განათლების შესახებ (ვიტორია-გასტეიზი, ბასკეთი, ესპანეთი), 2017 წლის 31 მაისი-2 ივნისი

	ირაკლი ბურდული, ლ. ჯანაშვილი		სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი (ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი) სამუშაო შეხვედრა, 2017 წლის 22-25 ნოემბერი
	გ. თუმანიშვილი	დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის განვითარება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით	16.03.2017, იენა, ბერლინი (გერმანია)
	გ. თუმანიშვილი	ქართული სისხლის სამართლის პროცესის ტრანსფორმაცია და ამერიკული სამართლის გავლენა	14.08.2017, ფრაიბურგი (გერმანია)
	გ. რუსიაშვილი	გირავნობის სამართლის რეფორმა, როგორც განხეთქილების ვაშლი ქართულ და გერმანულ კრედიტის უზრუნველყოფის სამართალს შორის	ზაარლანდის უნივერსიტეტი, ზაარბრუკენი, გერმანია 17-19.07.2017
	ი. ხერხეულიძე	1. Academic Writing აკადემიური წერა; 2. Plagiarism რა არის პლაგიატი; 3. The Benefits of Scientific Networking for Promoting Higher Education სამეცნიერო კავშირების სარგებლიანობა უმაღლესი განათლების ხელშეწყობისათვის	Volkswagen-ის ფონდის (გერმანია) დაფინანსებით და გერმანიის თუბინგენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებული პროექტი „გაერთიანებული სამუშაო სემინარი (workshop) გერმანიის, საქართველოს და სომხეთის დოქტორანტურის სწავლების საფეხურის სტუდენტებისათვის“,

			აკადემიური წერის შესასწავლად. პროექტის აკადემური პარტნიორი გერმანიის თუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის პროცესის, ასევე საავტორო სამართლის მიმართულებით, სამართლის დოქტორი ბ. ჰაინრიხი. პროექტის პირველი ნაწილი განხორციელდა გაზაფხულზე გერმანიაში, თუბინგენის უნივერსიტეტში, 27.03.2017-10.04.2017. პროექტის მეორე ნაწილი განხორციელდა შემოდგომაზე საქართველოში, თსუ-ში, 14.11.2017-21.11.2017. პროექტი განხორციელდა ინგლისურ ენაზე
	ი. ხერხეულიძე	სალექციო კურსი: „Human Trafficking & Sex Slavery", ინგლისურ ენაზე	ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი(გერმანია), აკადემიური მობილობა „ერასმუს+" ფარგლებში, 29.05.2017-30.06.2017.
	გ. დგებუაძე	,,საქართველოს სიტუაცია: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენცია და 2008 წლის აგვისტოს ომი"	2017 წლის 18 მარტი, ბერლინი, ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტი (საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და

			ევროპეიზაცია როგორც გამოწვევა და ამოცანა“)

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტით ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

კ კორკელიამ წლის განმავლობაში ჩააატარა რამდენიმე ტრენინგი-სემინარი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, მათ შორის, ადვოკატებისათვის (3 სემინარი), მოსამართლეებისათვის (1 სემინარი), სამთავრობო სტრუქტურებისათვის (1 სემინარი), საუნივერსიტეტო კონკურსის გამარჯვებული სტუდენტებისათვის (1 სემინარი). სემინარები ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა (IRZ, გაერო) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეგიდით.

კ კორკელიამ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ეგიდით და საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით ჩატარებულ კონფერენციაში და გააკეთა მოხსენება თემაზე „პარლამენტის როლი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის იმპლემენტაციაში“, ბორჯომი, 2017 წლის მარტი.

ი. ბურდულს მოპოვებული აქვს საერთაშორისო გრანტი - 2017-2018 სასწავლო წელს ერაზმუს+ ფარგლებში ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა ლა კორუნას უნივერსიტეტში (ესპანეთი) (მიმდინარე).

ლ. ჯანაშვილს მოპოვებული აქვს საერთაშორისო გრანტი - 2017-2018 სასწავლო წელს ერაზმუს+ ფარგლებში პედაგოგთა მობილობა ლა კორუნას უნივერსიტეტში (ესპანეთი) (მიმდინარე).

2017 წლის გაზაფხულის სემესტრში, ი. აქუბარდია (ნ. თოდუასთან ერთად) იყო სტუდენტური სამეცნიერო სემინარის ორგანიზატორი და 8 სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ი. აქუბარდია იყო 4 სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომლებმაც გუნდურად პირველი-მეორე ადგილი დაიკავეს 2017 წლის 26 ივნისს გამართულ საფაკულტეტო კონფერენციაზე.

ი. აქუბარდია (ნ. თოდუასთან ერთად) იყო 2017 წლის 12 დეკემბერს გამართული სტუდენტური სამეცნიერო სემინარის ორგანიზატორი და 6 სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

თ. ცქიტიშვილმა მოიპოვა იენის ფრიდრიხ-შილერისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) ერთთვიანი სტიპენდია. კვლევის თემა: სასჯელის პროპორციულობა. სამეცნიერო ხელმძღვანელი: იენის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ედვარდ შრამი. კვლევის დრო: 2017 წლის დეკემბერი.

თ. ცქიტიშვილმა მოამზადა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე საქართველოს პარლამეტში წარდგენილი კანონპროექტის შეფასება. შეფასების შედეგები წარედგინა პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს. გამოთქმული შენიშვნები იქნა გათვალისწინებული და კანონპროექტში ასახული. აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა უკვე განიცადა ცვლილებები.

თ. ცქიტიშვილი მიმდინარე წლის 1-ლი აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე ერთი თვით სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის პროფესორის მარტინ ჰეგერის მიწვევით. მივლინების პერიოდში იმუშავა

თემებზე: „სასჯელის შეფარდება“ და „იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“.

დ. ეგნატაშვილს მოპოვებული აქვს საერთაშორისო გრანტი - 2017-2018 სასწავლო წელს ერაზმუს+ ფარგლებში დოქტორანტთა მობილობა ლა კორუნას უნივერსიტეტში (ესპანეთი) (დასრულებული).

ე. ლაფაჩმა მიიღო DAAD (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური)-ის სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია პოსტდოქტორანტებისათვის.

2	V. Weinzettl, J.Adamek, M. Berta, P. Bilkova, O. Bogar, ... **S.Nanobashvili**	"Progress in diagnostics of the COMPASS tokamak"	ECPD 2017: 2nd Europwan Conferen-ce on Plasma Diagnostics (ECPD), Bordeaux ,(France), 18-21 April 2017

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	Plasma Turbulence, its External Control, Plasma-Wave Interaction, Microwave Plasma Diagnostics on the COMPASS Tokamak (IPP Prague) and Open Magnetic Trap OMT-2 (AIP Tbilisi) and Shock Wave Dynamics in Neutral Media and Plasma (AIP Tbilisi).	სულხან ნანობაშვილი	ს.ნანობაშვილი, ი.ნაობაშვილი, გ.გელაშვილი, გ.როსტომაშვილი, გ.თავხელიძე, ო.ბერაია	Framework Agreement on Scientific Collaboration betveen Andronikashvili Institute of Physics (Tbilisi, Georgia) and Institute of Plasma Physics Czech AS (Prague, Czech Rep.) in

	(20014 - 2018) **ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, მართვადი თერმობირთვული სინთეზი**			the feeld of Tokamak Plasma Physics. (from 1985. Renewed every 5 year)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

ეს თანამშრომლობა ინსტიტუტებს შორის დაიწყო 1982 წლიდან. ექსპერიმენტული კვლევები მართვადი თერმობირთვული სინთეზის მიმართულებით მიმდინარეობდა ტოკამაკებზე TM-1-MH (1982-1983), CASTOR-GOLEM (1985-დღემდე) და COMPASS (2008-დღემდე), რომლებიც პლაზმის ფიზიკის ინსტიტუტში (პრაღა) და ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში გაეწყო და გაეშვა ექსპლუატაციაში უშუალოდ ჩვენი მომაწილეობით. გარდა ამისა, ე.ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ზოგადად ტოკამაკის პლაზმის თვისებების შესწავლაში და კერძოდ, ტოკამაკში ტალღებისა და პლაზმის ურთიერთქმედების, პლაზმის ტურბულენტური თვისებების შესწავლაში და მისი გარედან მართვის მეთოდების დამუშავებაში. აგრეთვე, პლაზმის ზმს მეთოდების (ინტერფერომეტრია, რეფლექტომეტრია და რადიომეტრია) დამუშავებაში და მათი საშუალებით ტოკამაკის პლაზმის თვისებების შესწავლაში.

ამ თანამშრომლობის ფარგლებში გამოქვეყნებული გვაქვს 70-მდე საერთო სამეცნიერო შრომა. კერძოდ, 2017 წელს გამოქვეყნდა 2 საერთო შრომა საერთაშორისო ჟურნალებში და მოხსენებულ იქნა ევროპის მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე პლაზმის დიაგნოსტიკაში ბორდოში, საფრანგეთი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
III-2-4.	გასწვრივ მაგნიტურ ველში მოთავსებული ფერომაგნიტური სპირალის თვისებები შესწავლა **ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა**	ვლადიმერ კორთხონჯია	ვლადიმერ კორთხონჯია

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა, რომელიც დაკავშირებულია გასწვრივ მანიტურ ველში მოთავსებული ფერომაგნიტური სპირალის თვისებების შესასწავლასთან. ექსპეიმენტების შედეგად დადგენილია:
1) გამოსხივდება მძლავრი ზემაღალი სიხშირის ტალღები
2) მიიღება მძლავრი ელექტრონების კონა (35 კა)
3) სპირალის მეორე მხარეს ადგილი აქვს იონების კონის ნაკადს (17 კა)
4) მიღებულია მძლავრი რენტგენული გამოსხივება, რომელმაც შეიძლება ჰპოვოს სხვადასხვა გამოყურნრბა როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ასევე ტექნიკაში.

ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილება

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი;

თსუ-ს ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილება

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;

ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტორი ჯამლეტ მონასელიძე

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

ჯ.მონასელიძე - მთავარი მეცნ. თანამშრომელი, **მ. გორგოშიძე** - უფრ.მეც.თან., **დ.ხაჩიძე** – უფრ. მეც.თან. **მ. კილაძე** – უფრ. მეც.თან., **ე. ლომიძე** - მეც.თან. **შ.ბარბაქაძე** - უფრ. მეც.თან., **ტ. სიმონიშვილი** – ინჟინერი, **მ. აბულაძე**- უფ. მეც. თან., **ე.კიზირია** - უფ. მეც. თან., **ვ.სოხაძე** - უფ. მეც. თან., **ე. ნამჩევაძე** - მეც. თან., **შ.გოგიჩაიშვილი** - მეც. თან., **გ. თვაური** - ინჟინერი, **ლ. ტაბატაძე** - უფ. ინჟინერი, **ლ. ლეჟავა** - ინჟინერი. **ნ.საპოჟნიკოვა -** მთავარი მეც. თან., **ნ. ასათიანი -** უფრ. მეც. თან., **თ.ქართველიშვილი -** უფრ. მეც. თან., **ლ. ასანიშვილი -** მეც. თან. **ა. რჩეულიშვილი –** უფ. მეც. თან., **ე.ღელაღუტაშვილი** – უფ. მეც. თან., **ე. გინტური** – მეც. თან., **ნ. ბაღდავაძე** –მეც. თან., **ნ.კუჭავა** – მეც. თან., **ო. რჩეულიშვილი** – მეც. თან., **ლ. ტულუში** – ინჟინერი.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
	მცირე მოლეკულების გავლენა ბიომაკრომოლეკულების სტრუქტურასა და სტაბილურობაზე, ხსნარებსა და უჯრედში *ბიოფიზიკა* *მოლეკულური ბიოლოგია*	**ჯ.მონასელიძე**	**მ. გორგოშიძე, დ. ხაჩიძე, მ. კილაძე, ე. ლომიძე, შ. ბარბაქაძე,ზ. კუჭაძე, ტ. სიმონიშვილი ე. კიზირია , ვ.სოხაძე , შ. გოგიჩაიშვილი , გ. თვაური**
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

შესწავლილია კალიუმის იონის გავლენა დნმ-ის მეორად სტრუქტურაზე - დნმ-ის G-კვადრუპლექსზე, კერძოდ, 15-წევრიან GGG(TGGG)3 ოპტამერზე (G3T), ოპტიკური მეთოდების გამოყენებით - წრიული დიქროიზმი, სპექტროპოლარიმეტრი. განსაზღვრულია G3T-ის თერმოდინამიკური მახასიათებლები. ΔHვჰ, ღღობის ტემპერატურა Tღღ და ღღობის ინტერვალი ΔTღღ. აგებულია ΔHვჰ-ის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკი. გამოთვლილია სითბოტევადობის ნაზრდი ΔC = 1.56 ± 0.17 kcal/K.M, რაც პირდაპირ მიუთითებს მასზე, რომ G-კვადრუპლექსს გააჩნია ექსტრმალურად მაღალი ელასტიურობა. პირველად დადგენილია, რომ G3T კვადრუპლექსი შეიძლება წეარმოიქმნას ბიდისტილირებულ წყალში, კალიუმის იონის გარეშე, ანუ კალიუმის ატმოსფერული კონცენტრაციის დროს.

დადასტურებულია, რომ დაბერების დროს ადგილი აქვს აქტიური ქრომატინის ზოგიერთი უბნის ჩაკეტვას და არააქტიური ქრომატინის დამატებით კონდენსაციას - ჰეტეროქრომატინიზაციას. დსკ მეთოდით ნაჩვენებია ჰეტეროქრომატინის დეკონდენსაცია ბიორეგულატორების - ეპიტალონისა და ლივაგენის - ზემოქმედებით, კობალტის იონის თანაობისას.

ქრონიკულ ჭრილობებში ბაქტერიები არსებობენ ბიოაფკურ გაერთიენებებში და ბიოაფკების დათრგუნვის ერთ-ერთი წარმატებული მიდგომა არის ნანოტექნოლოგიის გამოყენება. სუპერპარამაგნიტური რკინის ოქსიდის ნანონაწილაკები (SPION) გახდა წამყვანი კანდიდატები ბიოაფკების პროფილაქტიკასთვის. მაგრამ დღეისათვის ნანოტოქსიურობის მექანიზმები ჯერ კიდევ არა კარგად შესწავლილი და ბუნდოვანია. აგრეთვე გარკვეული პრობლემა არსებობს განსაზღვრული მახასიათებლების მქონე ნანონაწილაკების სინთეზის. სამეცნიერო პროექტში მოყვანილია მნნწ-ების (10-20 ნნმ) სინთეზის მეთოდი, როდესაც თანადალექვის მეთოდში ჩართულია ელექტროჰიდრავლიკური დამუშავება(იუტკინის ეფექტი) და მნნწ-ები სტაბილიზირებულია ბუნებრივი პოლიმერებით (PEG, PVA, Dextran, ასკორბინის მჟავა), რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ხსნარების დისპერსიულობას. გაზომილია ოთახის ტემპერატურაზე შიშველი მაგნიტური ნანონაწილაკების შემცველი მაგნიტური ნანოსითხის მაგნიტური მომენტების დამოკიდებულება მოდებული გარე მაგნიტური ველისაგან (VSM გაზომვები). მაგნიტური ამთვისებლობა იზრდება ელექტროჰიდრავლიკური ეფექტის გამოყენებით.
ნანონაწილაკების ტოქსიურობა ბაქტერიული და ადამიანის უჯრედების მიმართ შეფასდა კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდების, დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრიის (დსკ) გამოყენებით და შიდაუჯრედული პროცესების ანალიზით (DCFD-A, BudR). ნანნონაწილაკების ტოქსიკური ზემოქმედება ბაქტერიულ უჯრედების მიმართ დამოკიდებული იქნა შემოგარსული პრეპარატების ბუნებაზე, ბაქტერიების ზრდის ფაზაზე პრეპარატის შეყვანისას და მოქმედების დროზე. ტოქსიკურიბა საკმაოდ მჟღავნდება SPION/ PEG-ის შემთხვევაში (60% კონტრ. მიმართ). SPION/PEG–ის ზემოქმედება იწვევდა მუკოიდის გამოყოფის მკვეთრ შემცირებას, რაც ნაჩვენებია უჯრედების ზრდით აგარზე, შეფერილი „კონგო წითელით“. ანალოგიური გავლენა ბიოაფკების განვითარებაზე დაიმზირებოდა SPION-dex შემთხვევაში.

ნანომასალებთან მიმართებაში კრიტიკულ პრობლემას წარმოადგენს მათი პოტენციური ტოქსიკურობის და შესაძლო სტიმულირებადი ეფექტის დადგენა ეუკარიოტული უჯრედებისათვის. ნაჩვენებია ,რომ დექსტრანით შემოგარსული SPION-ის შემთხვევაში კონცენტრაციის Fe 20 მკგ/მლ 24 ს-ანი ზემოქმედება ფილტვის

ალვეოლარული უჯრედებზე კულტურაში იწვევდა დაბალი დონის ტოქსიკურ ეფექტს კონტროლთან შედარებით (5-7 %, MTT მეთოდი). ნანონაწილაკების ბაქტერიციდული ეფექტის არასაკმარისი გამოვლენა შესაძლოა იყო მიღებული ნანონაწილაკების ნიმუშების მრავალდისპერსიულობის გამო, რაც ნაწილობრივ ზღუდავს უჯრედებში მათ შეღწევადობას.

გრანტში გაწეული სამუშაობები მიმართული იყო იმ პლატფორმის შესაქმნელად, რომელიც ახლო მომავალში განახორციელებს ნანოტექნოლოგიის გამოყენებას ადამიანის ქრონიკულ ჭრილობების სამკურნალოდ

	Spirulina platensis და მეტალთა ბინარული სისტემა	ჯამლეტ მონასელიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	ეთერ ღლაღუტაშვილი, ალექსანდრე რჩეულიშვილი, ნანა კუჭავა, ნანული ბაღდავაძე ეთერ გინტური ოლია რჩეულიშვილი ელენე კირკესალი ლელა ტუღუში

შესწავლილი იქნა *Spirulina platensis* ძირითად ცილა ფიკოციანთან თუთიის იონების ურთიერთქმედების ენერგეტიკა და ურთიერთქმედების ბუნება სხვადასხვა იონური ძალისათვის წონასწორული დიალიზის გამოყენებით. განსაზღვრული იქნა წონასწორობის კონსტანტები ფიკოციანინ-თუთიის კომპლექსებისათვის. ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნული კომპლექსებისათვის ურთიერთქმედება ატარებს კოოპერატიულ ხასიათს.

აბსორბციის მახასიათებლები Cr(III), Cr(VI), Cu(II)-ის იონების სპირულინა პლატენსის ინტაქტურ უჯრედებთან შესწავლილი იქნა უი-ხილული სპექტროსკოპიის საშუალებით. აგრეთვე იგივე იონების ბიოსორბია განსაღვრული იქნა წონასწორული დიალიზისა და ატომურ-აბსორბიული ანალიზის გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული იონებისათვის აბსორბციის ინტენსივობებს შორის განსხვავება დაიკვირვება. რაც შეეხება ბიოსორბიის კონსტანტებს Cu(II) *Spirulina platensis*-სათვის 2.69-ჯერ მეტია ვიდრე Cr(VI)-*Spirulina platensis*-სათვის და 10.15-ჯერ მეტი ვიდრე Cr(III) *Spirulina platensis*.

სამუშაოში შესწავლილ იქნა ციანობაქტერია Spirulina platensis (S. platensis) უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში Cr(111) და Cr(V1) ქცევის თავისებურებანი, როცა აღნიშნულ გარემოში ჩატვირთულია მათი განსაზღვრული რაოდენობა.

გამოყენებულ იყო ატომურ - აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდი.

სამუშაოში შესწავლილ იქნა წყალმცენარის Spirulina platensis (S. platensis) უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში ქიმიური ელემენტის სელენის (Se) ქცევის თავისებურებანი, როცა აღნიშნულ გარემოში ჩატვირთულია მისი ცნობილი რაოდენობა.

გამოყენებულ იყო ატომურ - აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდი.

სამუშაოში შესწავლილ იქნა ციანობაქტერია Spirulina platensis (S. platensis) უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში Cr(111) და Cr(V1) ქცევის თავისებურებანი, როცა აღნიშნულ გარემოში ჩატვირთულია მათი განსაზღვრული რაოდენობა.

გამოყენებულ იყო ატომურ - აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდი.

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ბუნებრივ და ლაბორატორიულ პირობებში საქართველოს ენდემური ჯიშის მარცვლეულებში - ხორბალსა [დოლი (Triticum georgicum)] და ქერში [Hordeum sativum Lessen (Hordeum L.)] ასევე ნიორში ნიადაგიდან Cs-ის შეთვისების უნარი. მცენარეთა ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდში ელემენტების შემცველობის შესწავლა ხდებოდა მცენარეების ცალკეულ ორგანოებში - ფესვებში, ღეროებში და ფოთლებში. ელემენტთა კონცენტრაციები განისაზღვრა ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის საშუალებით. ხორბალში და ქერში, ასევე ნიორში Cs-ის დაგროვება საგრძნობლად მეტია ფოთლებში, ვიდრე ფესვებსა და ღეროებში, ხოლო ფესვებში მეტია ვიდრე ღეროებში.
მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ლაბორატორიულ პირობებში საქართველოს ენდემური ჯიშის მარცვლეულებში - ხორბალში [დოლი (Triticum georgicum)] და ქერში [Hordeum sativum Lessen (Hordeum L.)] Cu, Mn, Cd, Zn-ის ნიადაგიდან შეთვისების უნარი. მცენარეთა ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდში ელემენტების შემცველობის შესწავლა ხდებოდა მცენარეების ცალკეულ ორგანოებში - ფესვებში, ღეროებში და ფოთლებში. ელემენტთა კონცენტრაციები განისაზღვრა ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის საშუალებით. ხორბალში და ქერში ყველა ელემენტის დაგროვება საგრძნობლად მეტია ფესვებში, ვიდრე ღეროებსა და ფოთლებში. ღეროებში კი უმეტეს შემთხვევებში დაგროვება უფრო მეტია, ვიდრე ფოთლებში. ელემენტების კონცენტრაციების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ შესწავლილ კულტურებში მათი ათვისების უნარი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი თანმიმდევრობით Cd > Zn > Mn > Cu.
რადიოაქტიური გამოსხივების შმთანთქმელი მასალა, რომელიც შეიცავს კადმიუმის ჟანგს, ბორის კარბიდს,რკინის ჟანგს და ტყვიის სულფიდს დამატებით შეიცავსბაზალტის ბოჭკოს, რის გამოც კადმიუმის ჟანგს, ბორის კარბიდს,რკინის ჟანგის , ტყვიის სულფიდის და ბაზალტის ბოჭკოს მასური შეფარდებაა 1:1:1:10:1

შესწავლილია სპირულინა პლატენსის უჯრედების მიერ მეტალების თუთიის და კადმიუმის აკუმულირების პროცესი მკვებავ გარემოში კულტივირების პირობებში, როდესა მეტალების კონცენტრაცია შეადგენდა თითოეულის 20,30,40მგ/ლ.წყალმცენარის 48 საათის კულტივირების შემდეგ მის მიმარ გამოვლინდა მეტალთა ტოქსიკურობა, რომელიც 72 საათისთვის დასრულდა ავტოლიზით.

შესწავლილია ქიმიური ელემენტების: Cu, Cd, Mg, K, Na, Ca და Mn კონცენტრაცია ატმოსფერულ ნალექებში ხავსების ბიომონიტორინგისა და ატომური აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდის გამოყენებით. ბიომონიტორებად გამოყენებული იქნა ხავსის სამი სახეობა: *Hylocomium splendens, Pleurozium schreberi, Hypnum cupressiforme*. 2015-2016 წლებში ხავსების ნიმუშები შეგროვებული იქნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.კვლევების შედეგად დადგენილი იქნა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით საერთაშორისოდ აპრობირებული ხავსების ბიომონიტორინგის გამოყენება სავსებით ვარგისია ატმოსფერულ ნალექებში ქიმიური ელემენტებისკონცენტრაციის განსაზღვრისათვის.

შესწავლილი იქნა ციანობაქტერია (წყალმცენარე) სპირულინა პლატენსის ინტაქტურ უჯრედებზე მეტალთა იონების Pb(II),Cu(II)-ის გავლენა in vitro და Pb(II) იონების აკუმულაციის უნარი სპილენძის იონების თანაობისას და მის გარეშე, როდესაც საკვები გარემო დატვირთულია აღნიშნული იონებით in vivo.
ნაჩვენებია, რომ მეტალთა ბინარული სისტემის (ტყვია,სპილენძი) მოქმედება თავისი ეფექტურობით განსხვავდება მხოლოდ ტყვიის გავლენისაგან სპირულინა პლატენსზე. რაც მჟღავნდება, როგორც მშრალი წონის , ასევე pH-ის ცვლილებით. ამასთან სპილენძის იონები ხელს უწყობს ტყვიის იონების შეთვისებას სპირულინა პლატენსის

მიერ.
შესწავლილი იქნა *in vivo* და *in vitro* პირობებში Na(I),Ca(II), Mg(II),Rb(I),Cs(I)-ის იონების გავლენა Cr(VI)+*Arthrobacter sp.* 61B და Cr(VI)+*Arthrobacter globiformis* 151B ბაქტერიებზე. ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნული იონების გავლენის ეფექტურობის რიგი ემორჩილება შემდეგ თანმიმდევრობას: Ca(II)<Mg(II)<Rb(I)<Cs(I).
შესწავლილია ციანობაქტერიის Spirulina platensis (S. platensis) მკვებავ Zarrouk გარემოში ჩატვირთული ქიმიური ელემენტის ქრომის (Cr) ზეგავლენა აღნიშნული წყალმცენარის მშრალ ბიომასაში არსებული თუთიის (Zn), სპილენძის (Cu) და მაგნიუმის (Mg) შემცველობაზე. გაკეთებულია დასკვნა: S. platensis მკვებავ გარემოში Cr (V1) ჩატვირთვისას აღნიშნული ქიმიური ელემენტების კონცენტრაცია შემცირებულია მათ მნიშვნელობასთან შედარებით, როცა იგივე მკვებავ გარემოში ჩატვირთულია Cr (111).

	სასიცოცხლო გარემოზე მძიმე მეტალების ზემოქმედების შედეგი და მათი ტოქსიკური ეფექტი	ჯამლეტ მონასელიძე, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	**ნ. საპოჟნიკოვა** – მთავ.მეც.თან., **ნ. ასათიანი** - უფრ.მეც.თან., **თ.ქართველიშვილი** - უფ.მეც. თან. **ლ. ასანიშვილი** - მეც. თან.

ჩვენი კვლევები გრძელდება მანგანუმისა და ქრომის ერთდროული ხანგრძლივი ტოქსიკური მოქმედებით გამოწვეული შიდაუჯრედული ცვლილებების შესწავლის კუთხით. ***კვლევის ობიექტად*** გამოყენებულია ორი ენდოლითური ბაქტერია, გამოყოფილი საქართველოს ეკოლოგიურად ყველაზე დაბინძურებული რეგიონების ბაზალტების ნიმუშებიდან. წინასწარი მონაცემების მიხედვით ისინი მიეკუთვნებიან ართრობაქტერთა ტიპს. იდენტიფიცირებული შტამები *Arthrobacter oxydans* და *Arthrobacter globiformis* გამოყენებული იქნა მათი მეტალთა მიმართ რეზისტენტულობის მოლეკულური მექანიზმების შესასწავლად. შერჩეული იყო ქრომისათვის სუბტოქსიკური (Cr(VI)-100 ppm), ხოლო მანგანუმისათვის კი არატოქსიკური (50 ppm). კონცენტრაციები. ბაქტერიალურ ლიზატში ცილების კომპოზიციის შესაფასებლად გამოიყენებოდა 10% პოლიაკრილამიდის გელი. ნატრიუმის დოდეცილსულფატის (SDS-PAGE) თანაობისას (Laemmli-ის მეთოდი). ცილების ფრაქციების მოლეკულური მასების განსაზღვრისათვის გამოიყენებოდა შემდეგი მარკერები: ხარის შრატის ალბუმინი (66 კდა), გლუტამატდეჰიდროგენაზა (52 კდა) და ოვალბუმინი (48 კდა) კარბონიკ ანჰიდრაზა (36კდა). ***ცილოვანი კომპოზიციის შედარებისას*** გაირკვა, რომ Mn(VII)-ის მოქმედებისას ორივე იზოლატისათვის არ შეინიშნებოდა ცილების შედგენილობის ცვლილება საკონტროლო ნიმუშებთან შედარებით, ხოლო Cr(VI)-ის მოქმედება მნიშვნელოვნად ცვლის ცილის კომპოზიციას ორივე იზოლატის შემთხვევაში, რაც განსაკუთრებით მჟღავნდება 37 კილოდალტონის მოლ. მასის მქონე ცილის მკვეთრ ზრდაში.(იხ. ნახ.) რაც შეეხება ქრომისა და მანგანუმის ერთდროულ მოქმედებას მოცემულ ექსპერიმენში, ამ შემთხვევაში სურათი თითქმის არ იცვლება, ზოგადი ცილოვანი ფრაქციების გაღარიბების ფონზე. კერძოდ *Arthrobacter oxidans* და *Arthrobacter globiformis*-თვის დამახასიათებელია კომპოზიციური ცვლილება, რომელიც შეესაბამება ქრომის დამოუკიდებელ მოქმედებას, ანუ მანგანუმის მოქმედების შედეგად შიდაუჯრედული პროცესები ისევ ქრომის სუბტოქსიკური დოზის გავლენის ქვეშ იმყოფება.



როგორც ნახაზიდან ჩანს ცილების საერთო კომპოზიციური გაღარიბების ფონზე შეიმჩნევა 37 კდტ. ცილის პრივილეგია და რაოდენობრივი ზრდა.

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მათთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	მეტალის იონების გადანაწილების შესწავლა ბაქტერიის ფრაქციებს შორის მისი ზრდა განვითარებისას *ბიოფიზიკა*	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი/მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში (მტცუ), №STCU-2016-09/6316	ალექსანდრე რჩეულიშვილი	ეთერ გინტური ლელა ტუღუში
2	მეტალური იონების გავლენა Arthrobacter-	რუსთაველის ეროვნული	ოლია რჩეულიშვილი	ეთერ ღლაღუტაშვილი

	ის ტიპის ბაქტერიების მიერ Cr(VI)-ის აღდგენის პროცესზე“ (FR / 218 018 /16)გამოყენებით ბიოფიზიკა	სამეცნიერო ფონდი		
3	ბიორეგულატორებისა და მძიმე მეტალთა გა მოყენების პერსპექტიუ ლობა ძუძუს სადინრის კიბოს განვითარების შესაჩერებლად *ბიოფიზიკა, მოლეკულური ბიოლოგია*	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდი, FR/337/7-140/13; 2014-2017	თ. ლეჟავა	ჯ. მონასელიძე თ. ჯოხაძე თ. ბუაძე მ. გაიოზიშვილი
4	სუპერპარამაგნიტური რკინის ოქსიდის ნანონაწილაკების (SPIONs) გამოყენების პერსპექტივები ჭრილობების შეხორცებაში.	2014-2017 წწ. #5 FR/451/7-230/13	მ. აბულაძე	ვ. სოხაძე ე. კიზირია ე. ნამჩევაძე

1. შესწავლილია სუპერპარამაგნიტის რკინის ოქსიდის ნანონაწილაკები (superparamagnetic iron oxide nanoparticles, SPION) SPION-ის ბაქტერიციდული ეფექტი *Staphylococcus epidermidis* - ბიოაფკების წარმომქნელ ბაქტერიებზე.

2. განხორციელდა *Staphylococcus epidermidis* ორი ექპერიმენტალური სისტემა: 1) უჯრედების გამრავლება თხევად გარემოში, როგორც პლაკტონური კულტურა, 2) უჯრედების ზრდა ბიოაფკების სახით. შემუშავებულია ბაქტერიული უჯრედების ბიოაფკების მოდელი და განხორციელდა მათი შესწავლა.

3 ძუძუს კობოთი დაავადებული პაციენტების სისხლის ლიმფოციტების კულტურაში შეისწავლება აქტიური და კონდენსირებული ქრომატინის ცვლილებები, ნორმასთან შედარებით. ნაჩვენებია, რომ მცირე მოლეკულებისა (დიპეპტიდების, ტრიპეპტიდებისა და კვადროპეპტიდების) და კობალტის იონის განსაზღვრული კონცენტრაციების თანაობისას დაიმზირება ჰეტეროქრომატინის გახსნა და მისი გადასვლა აქტიურ ქრომატინში და აქტიური და ჰეტეროქრომატინის სტაბილურობის მიახლოება ნორმასთან, რასაც აქვს პირდაპირი თერაპეტიული მნიშვნელობა.

4 შესწავლილ იქნა სუპერპარამაგნიტური რკინის ოქსიდის ნანონაწილაკების (SPIONs) მოქმედება ჭრილობების შეხორცებაში. ამ ნაწილაკების ზემოქმედების

შესწავლა ბაქტერიულ უჯრედებზე, მოქმედების დროის და კონცენტრაციის განსაზღვრა.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Eugenie Kiziria, Maya Gorgoshidze, Shota Gogichaishvili, Victor Sokhadze, David Khachidze, Maya Kiladze, Eter Lomidze, Shota Barbakadze, Gennady Tvauri, Jamlet Monaselidze	Influence of K+ Ions on Thermodynamic Stability of DNA G-Quadruplex	(2017), V.11, No.2, pp. 42-46	Bulletin of the Georgian Academy of Sciences	5
2	Джохадзе Т.А., Монаселидзе ДЖ.Р., Буадзе Т.Ж., Гаиозишвили М.Н., Лежава Т.А.	Изучение геномной изменчивости у больных дуктальной формой рака молочной железы и возможности ее коррекции пептидным биорегулятором и ионами металла	(2017), V.11, No.1(262), pp. 88-92	Bulletin of the Georgian Academy of Sciences	5
3	ნანა კუჭავა.	წყალმცენარესთან Spirulina platensis ქიმიური ელემენტის სელენის (Se) ურთიერთქმედება.	2017,43(2).232-235	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ქიმიის სერია - ეკოლოგია)	3
4	ნანა კუჭავა.	ქიმიური ელემენტის ქრომის	2017, 43(1), 84 – 87	საქართველოს მეცნიერებათა	3

		(Cr) წყალმცენარესთან Spirulina platensis ურთიერთქმედების შესახებ.		ეროვნული აკადემიის მაცნე (ქიმიის სერია - გარემოს ქიმია)	
5	Olia Rcheulishvili, Lela Tugushi, Ether Ginturi, Elene Kirkesali, Alexandre Rcheulishvili and Timo Korpela.	Studies of TheUptake and Distribution of Cs From Soil in Food Crops Grown in Field and Laboratory Conditions	2017, 43(2), 236-239	Proceedings of the Georgian National Academy of Sciences,Chemical Series,	3
6	ოლია რჩეულიშვილი, ლელა ტუღუში, ეთერ გინტური, ელენე კირკესალი, ალექსანდრე რჩეულიშვილი.	„ნიადაგიდან Cu, Mn, Cd, Zn-ის შეთვისებისა და განაწილების შესწავლა ხორბალსა და ქერში“.	2017, 43(1), 88-92.	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია	3
7	Nino Asatiani, Nelly Sapojnikova, Tamar Kartvelisvili, Marina Abuladze, Lali Asanishvili	“Specificity of intracellular defense system of *Arthrobacter oxydans* at Chromium(VI) action”, Proceedings of the Georgian National Academy of Sciences (Chemical Serie	**43 (2)**, (2017	თბილისი, მაცნე	5 (222-226)
8	Victor M. Sokhadze, Emma N. Namchevadze, Eugene L. Kiziria, Leila V. Tabatadze, Lia V. Lejava, Shota M. Gogichaishvili, Genady A.Tvauri, Marina K. Abuladze	STUDY OF TIME-COURSE TOXIC IMPACT OF Ni ON THE THERMOSTABILITY OF THE SOIL *ARTHROBACTER OXYDANS* BACTERIAL CELL CULTURE”,	(Vol. 15, # 2, 2017). doi.org/10.1016/j.aasci.2017.05.019	აგრარული მეცნიერების ანალები თბილისი	169-176
9	შ. კეკუტია, ლ. სანებლიძე, ვ. სოხაძე, მ.	„პოლიეთილენგლიკოლით მოდიფიცირებული	ტ. 43, #2, 2017	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული	247-254

	აბულაძე, ე. ნამჩევაძე, ლ. ტაბატაძე, გ. თვაური, ვ. მიქელაშვილი, ჯ. მარხულია,	რკინის ოქსიდის მაგნიტური ნანონაწილაკების სინთეზი და *Staphylococcus epidermidis*-ის უჯრედულ კულტურებზე ბაქტერიციდული ზემოქმედების შესწავლა“.		აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია,	
10	Akhvlediani Z., Gelashvili G., Gongadze A., Kiladze A., Rekhviashvili A. and Sokhadze V	“ DEVELOPMENT OF A METHOD AND A DEVICE FOR IMPROVEMENT OF ECOLOGICAL PROPERTIES OF LIQUID HYDROCARBON FUEL”	№1, 2017, 7.	საქართველოს საინჟინრო სიახლენი	7-10

1. ითვლება, რომ ერთვალენტიანი კატიონები საჭიროა G-კვადრუპლექსების ინ ვიტრო ფორმირებისთვის, ხოლო ამ მხრივ ყველაზე ეფექტურია K+ იონი. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ისეთ 15- წევრიან მიმდევრობას, როგორიცაა GGG(TGGG)3 (შემოკლებით - G3T) შეუძლია ბიდისტილირებულ წყალშიც კი წარმოქმნას სტაბილური კვადრუპლექსები ჩვენ გამოვთვალეთ ΔHVH; ავაგეთ ΔHVH=f(Tm) დამოკიდებულების მრუდი და განვსაზღვრეთ დნობით გამოწვეული სითბოტევადობის ნახტომი ΔCm = (1,56 ± 0,17) კკალ/გრად*მოლი. უკიდურესად მაღალი სითბოტევადობის ნახტომი კარგად თანხვდება თეორიულ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც დნმ-ის G-კვადრუპლექსები ხასიათდება მაღალი მოქნილობით.

2. დიფერენციალური სკანირებადი კალორიმეტრით შესწავლილია ნიკელის მოქმედება *Arthrobacter oxydans* ბაქტერიის უჯრედულ კულტურაზე. ნაჩვენებია, რომ უჯრედების ზრდის პროცესში 4 საიდან 48 საათამდე პერიოდში დსკ მრუდების პროფილი ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება დაიმზირება მხოლოდ ინტენსიობაში. ნიკელის დამატების შემთხვევაში, 2 საათის განმავლობაში დაიმზირება უჯრედში შემავალი ცილებისა და გენეტიკური აპარატის გადანაწილება. კერძოდ, დნპ-ს ძლიერი დესტრუქცია, რომელიც გამოიხატება მის მრავალ სტადიურობაში, 90-105°C ინტერვალში.

3. სამუშაოში შესწავლილ იქნა წყალმცენარის Spirulina platensis (S. platensis) უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში ქიმიური ელემენტის სელენის (Se) ქცევის თავისებურებანი, როცა აღნიშნულ გარემოში ჩატვირთულია მისი ცნობილი რაოდენობა. გამოყენებულ იყო ატომურ - აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდი.

4. სამუშაოში შესწავლილ იქნა ციანობაქტერია Spirulina platensis (S. platensis) უჯრედული ზრდის დინამიკაში მკვებავ Zarrouk გარემოში Cr(111) და Cr(V1) ქცევის თავისებურებანი, როცა აღნიშნულ გარემოში ჩატვირთულია მათი განსაზღვრული რაოდენობა. გამოყენებულ იყო ატომურ - აბსორბციული სპექტრომეტრიის (აას) მეთოდი.

5. მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ბუნებრივ და ლაბორატორიულ პირობებში საქართველოს ენდემური ჯიშის მარცვლეულებში - ხორბალსა [დოლი (Triticum georgicum)] და ქერში [Hordeum sativum Lessen (Hordeum L.)] ასევე ნიორში ნიადაგიდან Cs-ის შეთვისების უნარი. მცენარეთა ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდში ელემენტების შემცველობის შესწავლა ხდებოდა მცენარეების ცალკეულ ორგანოებში - ფესვებში, ღეროებში და ფოთლებში. ელემენტთა კონცენტრაციები განისაზღვრა ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის საშუალებით.

6. მოცემულ ნაშრომში შესწავლილია ლაბორატორიულ პირობებში საქართველოს ენდემური ჯიშის მარცვლეულებში - ხორბალში [დოლი (Triticum georgicum)] და ქერში [Hordeum sativum Lessen (Hordeum L.)] Cu, Mn, Cd, Zn-ის ნიადაგიდან შეთვისების უნარი. მცენარეთა ზრდა-განვითარების სხვადასხვა პერიოდში ელემენტების შემცველობის შესწავლა ხდებოდა მცენარეების ცალკეულ ორგანოებში - ფესვებში, ღეროებში და ფოთლებში. ელემენტთა კონცენტრაციები განისაზღვრა ატომურ აბსორბციული სპექტრომეტრის საშუალებით. ხორბალში და ქერში ყველა ელემენტის დაგროვება საგრძნობლად მეტია ფესვებში, ვიდრე ღეროებსა და ფოთლებში. ღეროებში კი უმეტეს შემთხვევებში დაგროვება უფრო მეტია, ვიდრე ფოთლებში. ელემენტების კონცენტრაციების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ შესწავლილ კულტურებში მათი ათვისების უნარი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი თანმიმდევრობით Cd > Zn > Mn > Cu.

7. ხანგრძლივი დროით ექვსვალენტიანი ქრომის სუბტოქსიკური დოზის მოქმედების პასუხად ბაქტერია ააქტიურებს ქრომის ცილოვან აღმდგენელ სისტემას, რაც თავის მხრივ სამვალენტიანი ქრომის კოლოიდური ხსნარის ფორმირებას განაპირობებს. შედეგად ადგილი აქვს აღდგენილი ქრომის ეფლუქსს ბაქტერიის უჯრედის კედლის ზედაპირზე.

8. ნიკელის არატოქსიკური კონცენტრაციები (0.1-0.8 mM) არ ახდენს გავლენას უჯრედების დნობაზე. ნიკელის ტოქსიკური კონცენტრაცია (10 mM) იწვევს დარღვევებს თერმულ სპექტრში მთელ ტემპერატურის დიაპაზონი 25-110 ° C და ძირითადად იწვევს პიკების თერმოსტაბილიზაციის შეიცვლას 90-105 ° C არეში, რომელიც უკავშირდება დნმ -პროტეინის კომპლექსის დნობას.

9. მარილხსნარით, მჟანგავი კალიუმის პერმანგანანტით და ნიკელის მარიხსნარებით. აგრეთვე გამოყენებულ იქნა SPION-ის (პარამაგნიტური ნანონაწილაკები) შემოგარსული ბუნებრივი პოლიმერებით (PEG, PVA, Dextran). შესწავლილ იქნა ტოქსიკურობის საზღვრები ზრდის სხვადასხვა პირობებში (პლანქტონური კულტურა და ბიოფირები); მათი არატოქსიკური დოზების გავლენა ბაქტერიული უჯრედების სითბურ სპექტრებზე.

10. შესწავლილ იქნა ჩვენ მიერ შქმნილ ხელსაწყოში გასუფთავებული ბენზინის თვისებები, კერძოდ მისი მოქმედება ძრავის მუშაობაზე და გამონაბოლქვში მავნე აირების რაოდენობის განსაზღვრა. აღმოჩნდა, რომ გამონაბოლქვი აირები შეიცავს გაცილებით ნაკლებ მავნე ნივთიერებებს.

II.2. პუბლიკაციები

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	E.Gelagutashvili	Cyanobacteria *Spirulina platensis* basic protein C-Phycocyanin and Zn(II) ions	2017; 5(3-1): 5-8	American Journal of Nano Research and Applications	3
2	E. Gelagutashvili, N.Bagdavadze, A.Rcheulishvili	Biosorption of Cr(III), Cr(VI), Cu(II) ions by intact cells of *Spirulina platensis*	-printarXiv: 1922850Physics	Biological Physics. (2017) Cornell University	4
3	Sapojnikova, N. Asatiani, T. Kartvelishvili, L. Asanishvili, V. Zinkevich, I. Bogdarina, J.Mitchell, A.Al-Humam	A comparison of DNA fragmentation methods – applications for the biochip technology,	J. Biotechnology V. 256 (2017)	Elsevier	5 (1-5) p.114-118
4	M,Nadareishvili, E.Kiziria, V.So-khadze, G.Tvau-ri, S.Tsakadze,	“Differential caliorimeter of a new type „	1-2, 2017 ISSN 2310-5607, https://yadi.sk/d/zOp-AbBp3DwVgg	Austrian journal of technical and natural sciences.	
5	M,Nadareishvili, E.Kiziria, V.So-khadze, G.Tvau-ri, S.Tsakadze,	“New method of differential calorimetry”.	European Science Rewiew, # 1-2,		253-255 2017. (IF 0.296)

1. შესწავლილი იქნა *Spirulina platensis* ძირითად ცილა ფიკოციანთან თუთიის იონების ურთიერთქმედების ენერგეტიკა და ურთიერთქმედების ბუნება სხვადასხვა იონური ძალისათვის წონასწორული დიალიზის გამოყენებით. განსაზღვრული იქნა წონასწორობის კონსტანტები ფიკოციანინ-თუთიის კომპლექსებისათვის. ნაჩვენები იქნა, რომ აღნიშნული კომპლექსებისათვის ურთიერთქმედება ატარებს კოოპერატიულ ხასიათს.

2. აბსორბციის მახასიათებლები Cr(III), Cr(VI), Cu(II)-ის იონების სპირულინა პლატენსის ინტაქტურ უჯრედებთან შესწავლილი იქნა უი-ხილული სპექტროსკოპიის საშუალებით. აგრეთვე იგივე იონების ბიოსორბია განსაღვრული იქნა წონასწორული დიალიზისა და ატომურ-აბსორბიული ანალიზის გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ აღნიშნული იონებისათვის

აბსორბციის ინტენსივობებს შორის განსხვავება დაიკვირვება. რაც შეეხება ბიოსორბიის კონსტანტებს Cu(II) *Spirulina platensis*-სათვის 2.69-ჯერ მეტია ვიდრე Cr(VI)-*Spirulina platensis*-სათვის და 10.15-ჯერ მეტი ვიდრე Cr(III) *Spirulina platensis*

3. ჰიბრიდიზაციის სიგნალის აღმოჩენისათვის ბიოჩიპ-მეთოდის გამოყენებისას ადგილი აქვს დნმ მომზადების რამოდენიმე საფეხურს ესენია, ფრაგმენტაცია, ამპლიფიკაცია და მარკირება. დნმ-ის ფრაგმენტაციისათვის არსებობს რამოდენიმე გავრცელებული მეთოდი და უნდა აღინიშნოს, რომ ეს საფეხური აღიარებულია, როგორც კრიტიკული ნაბიჯი ბიოჩიპის ანალიზისას. ჩვენს მიერ ჩატარებული დნმ ფრაგმენტაცია არ ეფუძვნება სონიკაციას რამედ ხდება ფერმენტული გახლეჩა. ამ კვლევაში, ჩვენ შევადარეთ დნმ-ის გახლეჩის მეთოდების ეფექტი სხვადასხვა ფერმენტების გამოყენებით დნმ ფრაგმენტაცია სხვადასხვანაირად მიმდინარეობს DNaseI გამოყენებისას წარმოქმნება ssDNA წყვეტები, NEBNext dsDNA fragmentase სათვის კი ორმაგსპირალური წყვეტაა დამახასიათებელი ისევე როგორც SaqAI რესტრიქტაზისათვის. მოცემულ ექსპერიმენტებში Desulfovibrio გამოიყენებოდა ყველა შემთხვევაში როგორც სუბსტრატი დადგენდა, რომ დნმ-ის ფრაგმენტირებსას ყველაზე ეფექტურად NEBNext dsDNA fragmentase ფერმენტი მუშაობს შესაბამისად ამ ფერმენტის გამოყენება მიზნობრივი დნმ-ის ფრაგმენტაციისათვის ყველაზე მგრძნობიარე აღმოჩნდა.

4. შექმნილია ახალი ტიპის დაბალტემპერატურული კალორიმეტრი (მომუშავე ფართო ტემპერატურულ დიაპაზონში). უზრუნველყოფილია სრული ავტომატიზაციით და მონაცემების ავტომატურ რეჟიმში მიღება.

5. შექმნილია ახალი კალორიმეტრი, რომელის შექმნილი ელექტრონიკა იმართება Labvew პროგრამის მეშვეობით.

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)
ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	T.Varazi, G. Adamia, M. Chogovadze, N. Asatiani, T. Kartvelishvili, N. Sapojnikova	"About strategies against chemical pollution of environment"	Prague, Czech Republic Book of Abstracts BioBio 2017 2 (38-39)
2			

1. მძიმე მეტალებით ეკოლოგიურად გაბინძურებული არეალების მონიტორინგისათვის შექმნილი იყო დაბალი სიმკვრივის ბიოჩიპი, რათა წინასწარ მოხდეს იმ ბაქტერიების იდენტიფიკაცია, რომელთაც პოტენციალურად შესწევთ ბიორემედიაციის უნარი.

- სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება, სადაც შესრულდა პროექტი;
  ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემების ფიზიკის განყოფილება, ბიონანოფიზიკური მიმართულება.

- სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;
  ფიზ. მათ. მეცნიერებათა დოქტ. ვასილ ბრეგაძე
- სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.
  ვ.ბრეგაძე – მთავარი მეცნ. თანამშრომელი, ი.ხუციშვილი – უფროსი მეცნ. თანამშრომელი, თ.გიორგაძე - მეცნ. თანამშრომელი, თ.ხუსკივაძე – ინჟინერ მკვლევარი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება უნივერსიტეტებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გამოკვლეულია შთანთქმის სპექტროსკოპიის გამოყენებით ვერცხლის ატომების აღდგენის შესწავლა სხვადასხვა მდგომარეობაში: ა) დნმ-ვერცხლის ნანონაწილაკთან წარმოქმნილ კომპლექსებში (სურ.1); ბ) ოლიგონუკლეოტიდებთან წარმოქმნილ კომპლექსებში (სურ.2); გ) თმის ღერში, დ) ცელოფნის მემბრანაში და ე) ბამბის ბოჭკოებში (სურ. 3).

შესწავლილია სპექტროფოტომეტრიის გამოყენებით Ag^+ იონების აღდგენის პროცესი დნმ-Agნნ კომპლექსებში რედუქტანტ ასკორბინის მჟავას (AA) გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ Agნნ-ბი ოთხმაგ კომპლექსში (დნმ–Ag^+–Agნნ–AA) რედუქტანტ AA-ს თანაობისას ააქტივებენ Ag^+ იონების აღდგენის პროცესს Ag^0-მდე. Agნნ-ის შთანთქმის სპექტრის ინფრაწითელი უბნისკენ წანაცვლება (6-7 ნმ) და შთანთქმის ზოლის მნიშვნელოვანი ზრდა (~62%) ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს Agნნ ზომის ზრდას დნმ-თან კომპლექსში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დნმ-ის გარეშე აღნიშნული პროცესი არ დაიკვირვება, რაც ადასტურებს, რომ დნმ-ი არის ორმაგი კატალიზატორი, ის ხელს უწყობს ვერცხლის იონის აღდგენას ატომამდე და შემდეგ ამ ატომის შეკავშირებას ნანონაწილაკთან.



სურ.1 Agნნ-ის შთანთქმის სპექტრები სამმაგ დნმ–Ag^+–Agნნ და ოთხმაგ დნმ–Ag^+–Agნნ–AA კომპლექსებში. [Agნნ]-0.7×10^{-4} მოლი/ლ (Ag^0), [დნმ]-1.8×10^{-4} მოლ/ლ (P), [Ag^+]-0.7×10^{-4} მოლ/ლ, [AA]-1.4×10^{-4} მოლ/ლ, [$NaNO_3$]-10^{-2} მოლ/ლ.

Ag^+ იონების აღდგენის პროცესი შესწავლილია დიკერსონის დოდეკამერის მაგალითზე (3'CGCGAATTCGCG 5'). ვერცხლის იონების აღდგენა ხბოს თიმუსის დნმ-სგან განსხვავებით დროში გახანგრძლივებული პროცესია და Ag^+ იონების აღდგენა ოლიგოდეზოქსინუკლეოტიდებში დაიკვირვება 29 დღის შემდეგ (λ=458ნმ).



სურ.2 რედუქტანტ ასკორბინის მჟავით (AA) ინდუცირებული ოდნ-თან კომპლექსში მყოფი ვერცხლის იონების აღდგენის შთანთქმის სპექტრი. [ოდნ] - 5.6×10^{-4} მოლ/ლ (P); [Ag^+] - 3.4×10^{-4} მოლ/ლ; [AA] - 6.8×10^{-4} მოლ/ლ, [$NaNO_3$] - 10^{-2} მოლ/ლ.

Ag^+ იონების აღდგენის პროცესს ასკორბინის მჟავას გამოყენებით ჩვენ ასევე ვაკვირდებოდით თმის ღერში (მამაკაცის), ცელოფნის მემბრანაში და ბამბის ბოჭკოებში. Ag^+ იონების აღდგენა რედუქტანტ ასკორბინის მჟავას გამოყენებით დაიკვირვება: თმის ღერში 3-10 დღის ინტერვალით, ცელოფნის მემბრანაში 2-10 დღის ინტერვალით და ბამბის ბოჭკოში 2-10 დღის ინტერვალით.

ა) ბ) გ)



სურ.3 ვერცხლის იონების აღდგენა ვიტამინ C-ს გამოყენებით **(ა)** თმის ღერში, **(ბ)** ცელოფნის მემბრანაში და **(გ)** ბამბის ბოჭკოებში. [Ag^+] - 3.4×10^{-4} მოლ/ლ; [AA] - 6.8×10^{-4} მოლ/ლ, [$NaNO_3$] - 10^{-2} მოლ/ლ.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

II.2. პუბლიკაციები
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Giorgadze TG, Khutsishvili IG, Khuskivadze TB, Melikishvili ZG, Bregadze VG.	The Phenomena of Light Re-radiation and Electron Excitation Energy Transfer in Hydrolysis Reactions and for Analysis of the Quality of DNA Double Helix. *Advanced Techniques in Biology & Medicine*.	Volume 5, Issue 2, 2017		7 10
2	Lee HT, Carr CE, Khutsishvili I, Marky LA. ,	Effect of Loop Length and Sequence on the Stability of DNA Pyrimidine Triplexes with TAT Base Triplets. *J Phys Chem B. J. Phys. Chem. B*,	Volume *121* Issue 39, pp 9175–9184, 2017.		

III.1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)
ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Tamar G. Giorgadze, Irine G. Khutsishvili, Temur B. Khuskivadze, Vasil G. Bregadze	DNA as a Catalyst in: Photoinduced Processes and Nanoscale Resonance Nonradiative Electron Excitation Energy Transfer	8th International Conference and Exhibition on Lasers, Optics & Photonics", November 15 -17, 2017 Las Vegas, Nevada, USA.

ბირთვული კვლევების ცენტრი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;

თსუს ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის გამოყენებითი კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი -

ალექსანდრე ღონღაძე, ფიზ.მათ.მეც.დოქ., მთ.მეც.თანამშრომელი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

მიხეილ გოგებაშვილი (უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ნახევარ განაკ.), **ნაზი ივანიშვილი** (უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ნახევარ განაკ.), **გრიგოლ კიკნაძე** (უფროსი მეცნიერ თანამშრომელი), **პლატონ იმნაძე** (უფროსი მეცნიერ თანამშრომელი), **იოსებ ოსიძე** (მეცნიერ თანამშრომელი), **გურანდა ავქოფაშვილი** (მეცნიერ თანამშრომელი),

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რადიოაქტიურად დაბინძურებული მანქანის ზეთების გამყარება რადიაციული ეკოლოგია	მალხაზ რაზმაძე	მ.რაზმაძე, გრ.კიკნაძე, პ.იმნაძე, თ.გეწაძე, ც.კვირიკაშვილი, ზ.როსტომაშვილი, ო.ამბარდანიშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) ბირთვული რეაქტორების სამუშაო კამპანიების პერიოდებში დიდი რაოდენობით გროვდება რადიაციულად დაბინძურებული პირველ კონტურში ნახმარი წყალი, რომელიც შენახვას ექვემდებარება. ამიტომ მისი ისე შენახვა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს რადიაციულად დაბინძურებული წყლის გარემოში გაჟონვასა და მიწის სიღრმული პლასტების დაბინძურებას ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია. აღნიშნული სტატიის ძირითადი მიზანი სწორედ ისაა, რომ შემუშავდეს მარტივი, იაფფასიანი და ამავდროულად მაღალეფექტური შენახვის ტექნოლოგია რომელიც ეფიძნება დაბინძურებული წყლის სტრუქტურული შეკვრის მეთოდს.			

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მიმართულების მითითებით		
1	წყლის ნავთობით დაბინძურებული ზედაპირის გასუთავება ეკოლოგია	მალხაზ რაზმაძე	მ.რაზმაძე, გრ.კიკნაძე, პ.იმნაძე, თ.გეწაძე, ც.კვირიკაშვილი, ზ.როსტომაშვილი, ო.ამბარდანიშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიულიდა პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მე -20 საუკუნეშიძალიან გაიზარდა ნავთობის მოპოვება და მოხმარება. კონტინენტებსშორისნავთობისტრანსპორტირებაკი მხოლოდ საზღვაოტრანსპორტითხდება. სტატისტიკურიმონაცემებით, ოკეანეებიდაზღვებიბინძურდებაწელიწადში3 მილიონიტონა ნავთობის ჩაღვრით, რაცერთ-ერთი ყველაზეფართო მასშტაბიანი ეკოლოგიურიკატასტროფაა. აღნიშნული სტატიის ძირითადი მიზანია ამგვარიკატასტროფებისსწრაფილოკალიზაციისმეთოდებისადატექნოლოგიებისშემუშავება, წარმოქმნილი ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგია დამათიხელახალი გამოყენებაყოველდღიურცხოვრებაში.			

პუბლიკაციები

1	მ.რაზმაძე,გრ. კიკნაძე, პ.იმ-ნაძე,თ.გეწაძე, ც.კვირიკაშვი ლი, ზ.როს-ტომაშვილი, ო.ამბარდანი-შვილი	ნავთობისაგან დაბინძურებული წყლის ზედაოირის გასუფთავების მეთოდი და ტექნოლოგია Georgian Engineering News	2017, #4	თბილისი, International Engineering Academy, Georgian Engineering Academy	7
2	მ.რაზმაძე,გრ. კიკნაძე, პ.იმ-ნაძე,თ.გეწაძე, ც.კვირიკაშვი ლი, ზ.როს-ტომაშვილი, ო.ამბარდანი-შვილი	რადიაქტიაქტიულადდაბინძურებულიზეთ ებისგამყარებახისნახერხისგამოყენებით Georgian Engineering News	2017, #4	თბილისი, International Engineering Academy, Georgian Engineering Academy	3

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რადიონუკლიდების მიგრა-	ალექსანდრე ღონღაძე,	ალექსანდრე ღონღაძე,

	ციის კვლევა სხადასხვა დონის რადიაციული ზემოქმედების დროს ნიადაგში. **რადიაციული ფიზიკა, რადიობიოლოგია, რადიოეკოლოგია**		პაატა იმნაძე, სოსო ოსიძე, მიხეილ გოგებაშვილი, ნაზი ივანიშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა დაბა ანასეულის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც გამოირჩევა რადიონუკლიდების ლოკალიზაციის ლაქობრივი ხასიათით. ამასთანავე, აღნიშნულ ზონაში არსებობს ამჟამად გაუქმებული რადიოლოგიის ლაბორატორიის კომპლექსის რადიაციული მასალების სამარხი, რომელშიც მოთავსებულია სხვადასხვა სახის იზოტოპების ნარჩენები. ამჟამად აღნიშნულ ტერიტორიაზე შეინიშნება რადიოიზოტოპებით დაბინძურების მრავალფეროვანი ხასიათი. აქედან გამომდინარე, კვლევის პირველ სტადიაზე განხორციელდა საკვლევი ზონის ზედაპირული რადიაციული დაბინძურების სკანირება მობილური გამა–სპექტრომეტრით InSpector-1000, modelIPRON-N (Canberra) და დაფიქსირდა, რადიაციული თვალსაზრისით, ტერიტორიის განსაკუთრებულად დაბინძურებული მონაკვეთები. საკვლევი ზონის ნიადაგსა და მცენარეებში რადიონუკლიდების შემცველობის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა გამა-სპექტრომეტრული ანალიზის მეთოდი. გაზომვები ჩატარდა მაღალი სისუფთავის გერმანიუმის ნახევარგამტარული (HpGe) დეტექტორისა და მრავალარხიანი ანალიზატორის InSpector-2000-ის გამოყენებით. ჩატარებული გაზომვების დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა სპექტრომეტრული გაზომვების პროგრამული უზრუნველყოფა Genie-2000 და გაზომვების შედეგების რაოდენობრივი დამუშავების პროგრამული უზრუნველყოფა ISOCS/LabSOCS. ნიადაგის ნიმუშების აღება განხორციელდა როგორც ზედაპირული ფენებიდან, ისე სიღრმისეული ჭრილებიდან. საკვლევი ზონის დაბინძურების დონის დადგენისთვის მიგრაციის მარკერს წარმოადგენდა ^{137}Cs.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	რადიონუკლიდების მიგრაციის კვლევა სხადასხვა დონის რადიაციული ზემოქმედების დროს სისტემაში ნიადაგი–მცენარე. **რადიაციული ფიზიკა, რადიობიოლოგია, რადიოეკოლოგია**	ალექსანდრე ღონღაძე	ალექსანდრე ღონღაძე, პაატა იმნაძე, სოსო ოსიძე, მიხეილ გოგებაშვილი, ნაზი ივანიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა სახის რადიოაქტიური წყაროების აღმოჩენისა და მათი უტილიზაციის საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ყოფილი სამხედრო ბაზების, სამრეწველო და სამედიცინო დაწესებულებების მიერ

მიტოვებულ ტერიტორიებს. აღნიშნულთან მიმართებაში ნაკლებად არის შესწავლილი იმ სამეცნიერო ცენტრების რადიოეკოლოგიური მდგომარეობა, რომელთა საქმიანობა რადიოიზოტოპური მეთოდოლოგიის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამარხები, სადაც თავსდებოდა რადიოიზოტოპური ნარჩენები და რადიაციით დაბინძურებული ობიექტები. ანასეულის ერთ–ერთი ასეთი სამარხის შემოსაზღვრული ტერიტორიის რადიოეკოლოგიური კვლევისას ჩვენ მიერ აღმოჩენილი იქნა რადიონუკლიდების არა მარტო ზედაპირული, არამედ სიღრმისეული ლოკალიზაციის კერებიც.

რადიოაქტიურობის მაქსიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 10–30სმ სიღრმიდან აღებულ ნიადაგის ნიმუშებში, სიღრმის მატებასთან ერთად შეინიშნება რადიოაქტიურობის ინტენსივობის შემცირება. საყურადღებოა საკვლევი ზონის ზედაპირიდან (0–10სმ) აღებული ნიადაგის ნიმუშის შედარებით მაღალი რადიოაქტიურობა (30,5 კილობეკერელი/კგ). თუ გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ სამარხის დახურვის შემდეგ მის ზედაპირზე დაყრილი იქნა რადიოაქტიურად სუფთა ნიადაგის ფენა, სამარხის ზედაპირიდან აღებულ ნიადაგის ნიმუშებში ჩვენ მიერ მიღებული რადიოაქტიურობის მახასიათებელი მიგვითითებს დაბინძურებული ზონების ქვედა ფენებიდან ზედაპირისკენ გადაადგილებაზე.

რადიონუკლიდების ნიადაგის სიღრმეში მიგრაციის დროს მნიშვნელოვნად შესუსტებულია სორბციის პროცესები და უფრო აქტიურად მიმდინარეობს მათი გავრცელება. სიღრმისეული დიაგნოსტიკა მიგრაციის ინტენსივობისა და სამარხის მიმდებარე ვერტიკალურ ზონაში რადიონუკლიდებით დაბინძურების გავრცელების დინამიკის კვლევის შესაძლებლობას ქმნის.

1	ა. ღონღაძე პ.იმნაძე, ვ. ცანავა მ.გოგებაშვილინ.ივანი-შვილი ი. ოსიძე	რადიონუკლიდების მიგრაცია მრავალწლიან მცენარეში ნიადაგში მათი წერტილოვანი განაწილების დროს	#2 (38), 2017, გვ. 95-99	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადმიის მოამბე	5

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ბოლნისისა და დმანისის რაიონების ნიადაგების ეკოლოგიური მონიტორინგი	ალექსანდრე ღონღაძე	გ. ავქოფაშვილი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესრულებულია ბოლნისისა და დმანისის რაიონების ნიადაგებისა და წყლის ეკოლოგიური მონიტორინგი 2010-2014 წლებში. ნაჩვენებია, რომ 2010 წელს მაშავერას წყლით მორწყული სავარგულების დაბინძურება იყო მაქსიმალური. აგრეთვე დაბინძურებული იყო ბალიჭი, რომელიც ახლოსაა კაზრეთის საბადოსაგან. დაბინძურება 100 ჯერ აღემატებოდა დასაშვებ ნორმას. 2014 წელს დაბინძურება იყო მინიმალური. შესწავლილია ამ პირობებში მძიმე მეტალების განაწილება ნიადაგის ზედაპირიდან სიღრმის მიხედვით. ნაჩვენებია რომ ამ განაწილების თავისებურება დამოკიდებულია ნიადაგის დაბინძურების ხერხზე. შესწავლილია აგრეთვე

მცენარეების მიერ მძიმე მეტალების შეთვისება ნიადაგის განსხვავებული დაბინძურების პირობებში.

№	ქვემო ქართლის სამთო მოპოვებითი სამრეწ-ველო დაბინძურების ანალიზი მწვანე პოლი-ტიკური პერსპეტივი-დან	ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი	პროექტის ხელმძღვანელ ი ა. ღონღაძე	პროექტის შემსრულებლები გ. ავქოფაშვილი
1	2	3	4	5

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შევისწავლეთ ბოლნისისა და დმანისის რაიონების ნიადაგების დაბინძურება საყდრისის საბადოს ამოქმედების შემდეგ. ნიადაგის სინჯები ავიღეთ 21 სოფლის სავარგულებიდან. აღმოჩნდა, რომ ამ საბადოს ამოქმედებამ კარდინალურად შეცვალა მძიმე ელემენტებით ნიადაგების დაბინძურების რუქა: თუ 2010 და 2014 წლებში ძირითადად ბინძურდებოდა მდინარე მაშავერას წყლით მორწყული სავარგულები, 2017 წლის მონაცემებით პრაქტიკულად მთელი ბოლნისის რაიონია დაბინძურებული. წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჯერად ძირითადია ჰაერით დაბინძურება. აღსანიშნავია, რომ გარდა კადმიუმით ნიადაგების დაბინძურებისა, რაც 2010 და 2014 წელს ფიქსირდებოდა, 2017 წელს ასევე მნიშვნელოვანია ტყვიით დაბინძურება, რითაც სავარგულების 20%-ია დაბინძურებული, ასეთი განსხვავება ტყვიისა და კადმიუმის სიმკვრივეებს შორის განსხვავებით შეიძლება აიხსნას. რაც შეეხება წყლის დაბინძურებას, 2017 წლის მონაცემებით მდინარე ფოლადაურია დაბინძურებული, ხოლო მდინარე მაშავერა აღარ წარმოადგენს ძირითად დამაბინძურებელს. ეს არ ცვლის დიდად სიტუაციას, ვინაიდან მდინარე ფოლადაურიც მაშავერას უერთდება ოღონდ ბოლნისის რაიონის გარეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ნიადაგების დაბინძურება გადავიდა დმანისის რაიონზეც. დაბინძურებულია სოფლების: პატარა დმანისის, ვარდისუბანის და მამიშლოს სავარგულები.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G.Avkopashvili, M.Avkopashvili, R.Gakhokidze, A D Gongadze	Eco-monitoring of Georgia's contaminated soil and water with heavy metals, ***Carpathian Journal of Earth and Environm-ental Sciences,***	JuLy 2017 v.12, No.2 p. 595-604		5
2	G.Avkopashvili,	Determination of Cu, Zn and Cd in	15 (2017)	თბილისი, აგრარული	5

	M.Avkopashvili, A D Gongadze, M. Tsulukidze	Soil, Water and Food Products in the Vicinity of RMG Gold and Copper Mine, Kazreti, Georgia, Annals of Agrarian Science	269e272	უნივერსიტეტი	

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე

პირველ შრომაში შედარებულია ნიადაგების დაბინძურება 2010 და 2014 წლებში ბოლნისის რაიონში. ნაჩვენებია, რომ 2014 წელს იყო სავარგულების მინიმალური დაბინძურება. შესწავლილია ასევე ჭიათურისა და ზესტაფონის რაიონებში მეტალების კონცენტრაცია ნიადაგში. მანგანუმის მოპოვების შედეგად ჭიათურის რაიონში ადგილი აქვს მეტალების კონცენტრაციის მნიშვნელოვან კლებას, ხოლო ზესტაფონის რაიონში მეტალების კონცენტრაცია მნიშვნელოვნადაა მომატებული. აღსანიშნავია, რომ მანგანუმი ბევრად მეტია ზესტაფონის რაიონის ნიადაგებში, სადაც ფერად მეტალებს აწარმოებენ, ვიდრე იქ სადაც მოიპოვებენ.

მეორე შრომაში განხილულია საკვები პროდუქტების მიერ კადმიუმის, თუთიისა და სპილენძის შეთვისება. ნაჩვენებია რომელი მცენარე ითვისებს მძიმე ელემენტებს და რომელი არა. ამ მხრივ გამორჩეულია კამა, რომელიც არ ითვისებს მძიმე ელემენტებს, თუმცა არ ვიცით მისი რა თავისებურებით არის ეს განპირობებული.

მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეწყობის ცენტრი

ცენტრის ხელმძღვანელი – ***როსტომაშვილი ზაზა***, უფრ.მეც.თანამშრომელი

ცენტრის თანამშრომლები: **ჭაბაშვილი მარიამ**, **ყაზახაშვილი ლია**

2017 წელს ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობდნენ შემდეგ ღონისძიებებში:

- ✓ აშშ-ს წყნარი ოკეანის ჩრდილო დასავლეთის ნაციონალური ლაბორატორიასთან ერთად (PNNL) ყოველწლიური ერთკვირიანი ტრენინგები, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებისათვის „ცხელ კამერებში არადეკლარირებული საქმიანობის გამოსავლენად“ (მათ შორის ინსტიტუტში შექმნილი მნელად მისაგომი ადგილებიდან ნიმუშების ასაღები სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით). გამოყენებითი კვლევების ცენტრი, მაისი და ოქტომბერი.
- ✓ ქიმიური ბიოლოგიური რაიაციული და ბირთვული უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, თბილისი, ივნისი (გაკეთდა მოხსენება).
- ✓ საკონულტაციო შეხვედრები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო. ვენა, ივნისი და ოქტომბერი.
- ✓ მაღალგამდიდრებული საწვავის წარმოების ქვეყანაში რეპატრიაციის პროგრამის ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, 19 - 23 ივნისი (გაკეთდა მოხსენება)
- ✓ „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის რეჟიმი საქართველოში: საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკა. დისკუსია საქართველოს პარლამენტში, მაისი
- ✓ მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ბირთვული ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის აღჭურვილობის შესაძენად. ამ დროისათვის უკვე ნაყიდია და ინსტიტუტში ჩამოტანილია ელექტრონული მიკროსკოპი („TESCAN VEGA3 XMU“). მზადდება ოთახები მის და შემდეგი ორი ხელსაწყოს დასამონტაჟებლად. ოპტიკურ-ემისიური სპექტრომეტრის ტენდერი დასრულების პროცესშია და სავარაუდოდ მას გაზაფხულზე მივიღებთ. რენტგენულ-დიფრაქციური სპექტრომეტრის ტენდერს აესს გამოაცხადებს უახლოეს ხანში

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	***გრიგოლ კიკნაძე***		„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის რეჟიმი საქართველოში: საკანონმდებლო რეგულაციები და პრაქტიკა.

			დისკუსია საქართველოს პარლამენტში, მაისი
	ნიტური ველების გენერაცია. წრფივი ადვექციისათვის ოთხკუთხა ბადეზე მულტისქემის გამოსათვლელად გამოყენებული იქნა სასრულ მოცულობათა სქემები slope ლიმიტერებით. ამ სქემებს დაემატა ახალი სქემები, სადაც გამოთვლები ხდება flux ლიმიტერებით. გამოყენებულია ლიმიტერები: minmod და superbee. დროში ინტეგრებისათვის გამოყენებული იყო ეილერის სქემა. აგებულია SSP მეთოდის შემდეგი შემთხვევები: (2;2) (3;3) და (4;3).

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7.	არასტაციონარული ოპერატორული დიფერენციალური განტოლებების მიახლოებითი ამოხსნის საკითხები (მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	ჯ. როგავა	ჯ. როგავა, ა. პაპუკაშვილი, ზ. ვაშაკიძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
	ჰილბერტის სივრცეში განხილულია კოშის ამოცანა აბსტრაქტული ჰიპერბოლური განტოლებისთვის ლიფშიც-უწყვეტი ოპერატორით. განტოლების ელიფსური ნაწილის შესაბამისი ოპერატორი წარმოადგენს თვითშეუღლებული და დადებითად განსაზღვრული ოპერატორების ჯამს. აგებულია დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნის პარალელური ტიპის დეკომპოზიციის სქემა. ამ სქემის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველ ლოკალურ შუალედში პარალელურად იხსნება (ერთმანეთისგან დამოუკიდებლად) შესაკრები ოპერატორების შესაბამისი კლასიკური სხვაობიანი ამოცანები. მიღებული ამონახსნებისგან შედგენილი აწონილი საშუალო ცხადდება მიახლოებით ამონახსნად ლოკალური შუალედის მარჯვენა ბოლოში. დამტკიცებულია შემოთავაზებული სქემის კრებადობა და შეფასებულია როგორც მიახლოებითი ამონახსნის ცდომილება, ასევე პირველი რიგის წარმოებულის შესაბამისი სხვაობიანი ანალოგის ცდომილება იმ შემთხვევისთვის, როცა საწყისი ამოცანის მონაცემები აკმაყოფილებს ბუნებრივ საკმარის პირობებს ამონახსნის არსებობისთვის. დამუშავებულია რიცხვითი ამოხსნის ალგორითმები გ.კირხოფის ტიპის სტატიკური ძელისა და ვ. ბოლის დინამიური ძელის არაწრფივი ამოცანებისთვის. გ. კირხოფის ორგანზომილებიანი არაწრფივი დინამიური განტოლებისთვის აგებულია ვარიაციულ-სხვაობიანი სქემა და ჩატარებულია რიცხვითი გათვლები მოდელური ამოცანებისთვის. შესწავლილია სქემის კრებადობასთან დაკავშირებული საკითხები.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8.	დეკლარაციული პროგრამირების და ავტომატური დედუქციის ზოგიერთი საკითხის გამოკვლევა	თ. კუცია	თ. კუცია, ბ. დუნდუა, მ. რუხაია, ჯ. ანთიძე

	(მათემატიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)		
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
	გამოკვლეულია საკმარისი პირობები, რაც უზრუნველყოფს სასრული შეთანადების მქონე თარგების აღრიცხვაში დაყვანის კონფლუენტურობას. თარგების აღრიცხვა ლამბდა აღრიცხვის განზოგადებაა, რომელიც მიიღება აბსტრაქციაში ცვლადის ნაცვლად ნებისმიერი ტერმის დაშვებით. დაყვანის დროს ასეთი ტერმი სხვა ტერმს უნდა შეუთანადდეს. სასრული შეთანადების თეორიებში ორი ტერმის შეთანადების მცდელობას შეიძლება სასრული რაოდენობის სხვადასხვა ამონახსნი ჰქონდეს. ეს დამატებით სირთულეს წარმოქმნის კონფლუენტურობის შესწავლის დროს, რადგან დაყვანის ალტერნატივათა რიცხვი იზრდება იმ შემთხვევასთან შედარებით, როცა წარმატებულ შეთანადებას ერთი ამონახსნი აქვს (ანუ როცა შესაბამისი თეორია უნიტარულია). მიღებული შედეგები განაზოგადებენ თარგების აღრიცხვის კონფლუენტურობის საკმარის პირობებს უნიტარული შეთანადების თეორიებიდან სასრული შეთანადების თეორიებზე და მნიშვნელოვანია თარგების აღრიცხვაზე დაყრდნობილი ფუნქციონალური პროგრამირების ფორმალიზმის შესასასწავლად.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9.	დედამიწის ატმოსფერულ და იონოსფერულ შრეებში სტრუქტურული ტალღური ტურბულენტობის ფიზიკური და მათემატიკური მოდელირება (ფიზიკა; მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა)	თ. კალაძე	თ. კალაძე, ლ. წამალაშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
	გამოკვლეულია სხვადასხვა რეალური მექანიზმებით განმხოლოებული არაწრფივი სტრუქტურების გენერაციის შესაძლებლობა დედამიწის ატმოსფეროსა და იონოსფეროში. შესწავლილია ასეთი სტრუქტურების გენერაცია სივრცობრივად არაერთგვაროვანი ნეიტრალური ზონალური ქარის გავლენით. ჩატარებული თეორიული გამოკვლევის აქტუალობა დადასტურებულია ექსპერიმენტული დაკვირვებებით.		

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10.	დისკრეტული სტრუქტურების ზოგიერთი კომბინატორული მახასიათებელის შესახებ (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია)	ა. ხარაზიშვილი	ა. ხარაზიშვილი, თ. ტეტუნაშვილი, მ. ბერიაშვილი, თ. ქასრაშვილი, ი. ჩიტაია

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
განხილული იყო კომბინატორული გეომეტრიის სილვესტრის ცნობილი ორგანზომილებიანი ამოცანის მრავალგანზომილებიანი ვერსია. აგებული იყო მაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ამოცანის მრავალგანზომილებიანი ვერსიის განხილვის დროს ამოსავალ წერტილოვან სიმრავლეს აუცილებლად გარკვეული შეზღუდვები უნდა დაედოს. ასეთი მინიმალური შეზღუდვების შემოღებით დადგინდა ერდოშ–გალაის თეორემის მრავალგანზომილებიანი ანალოგის მართებულობა. ასევე გამოკვლეული იყო სილვესტრის ამოცანის ალგორითმული ასპექტიც. სახელდობრ, დამტკიცდა, რომ სილვესტრის m-განზომილებიანი ამოცანის შემთხვევაში შეიძლება აიგოს ზუსტად m წერტილის შემცველი ჰიპერსიბრტყის პოვნის ალგორითმი, რომლის სირთულე არის O(nlog(n)), სადაც n ამოსავალი წერტილოვანი სიმრავლის სიმძლავრეს აღნიშნავს. გამოკვლეული იყო ეილერ–ვენის განზოგადებული დიაგრამების გეომეტრიული რეალიზაციები ევკლიდურ სიბრტყეში და სამგანზომილებიან ევკლიდურ სივრცეში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეილერ–ვენის დიაგრამების ისეთ სასრულ რეალიზაციებს, რომელთა ელემენტები სხვადასხვა ტიპის ამოზნექილ სიმრავლეებს წარმოადგენენ (წრეები, სამკუთხედები, ამოზნექილი მრავალკუთხედები, ამოზნექილი მრავალწახნაგები და უფრო ზოგადი ამოზნექილი ფიგურები). შეფასდა ასეთი რეალიზაციების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრეები იმ შემთხვევებში, როცა ეილერ–ვენის დიაგრამაში გვაქვს სიმრავლურ–თეორიული აზრით დამოუკიდებელი ოჯახი. ასეთი შეფასების მიღებისათვის დადგინდა არაცარიელი კონსტიტუანტების სტრუქტურა და მთელი რიგი მათი გეომეტრიული თვისებები. გამოკვლეული იყო ზოგიერთი კლასიკური პარადოქსალური წერტილოვანი სიმრავლის არსებობის საკითხი სიმრავლეთა თეორიის სხვადასხვა მოდელში, განსაკუთრებით კი ე.წ. შიდა მოდელებში და მათ შესაბამის გაფართოებებში (generic extensions). ყურადღება გამახვილებული იყო ჰამელის ბაზისებისა და ბერნშტეინის ტიპის სიმრავლეების არსებობაზე ისეთ მოდელებში, სადაც ამორჩევის აქსიომა არ სრულდება. ასევე განხილული იყო საკითხი საკმარისად კარგი დესკრიფციული სტრუქტურის მქონე აბსოლუტურად არაზომადი ფუნქციების არსებობის შესახებ. დამტკიცდა, რომ სიმრავლეთა თეორიის ბევრ მოდელში ასეთი ფუნქციები არსებობენ და მათი გრაფიკები ლუზინის პროექციულ იერარქიას განეკუთვნება. კერძოდ, ამ ფუნქციების არსებობა მტკიცდება გიოდელის კონსტრუქციული უნივერსუმის ფარგლებში. მრავალწახნაგებისა და უფრო ზოგადი გეომეტრიული ფიგურების ტოლშედგენილობის ამოცანებთან დაკავშირებით შესწავლილი იყო მოცულობისა და ინვარიანტული ზომის კონცეფციები ფიგურათა კლასზე მოცემული ადიტიური და ინვარიანტული ფუნქციონალების თვისებების კუთხით. დადგინდა ამ ტიპის ფუნქციონალების მჭიდრო კავშირები კოშის კლასიკური ფუნქციონალური განტოლების არატრივიალურ ამონახსნებთან. აგრეთვე გამოკვლეული იყო მოცულობისა და ინვარიანტული ზომის ერთადერთობის

	საკითხები. მიღებული იქნა მოცულობის ერთადერთობისათვის ზოგიერთი საკმარისი პირობა და განხილული იყო ისეთი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც წრის ჰომეომორფული არიან და რომლებიც არ ფლობენ ერთადერთობის თვისებას ლებეგის ორგანზომილებიანი ზომის ინვარიანტულ გაგრძელებათა კლასის მიმართ.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
11.	დაკვირვებათა განაწილების კანონის ფუნქციონალური მახასიათებლების არაპარამეტრულ შეფასებათა თეორიისა და პარამეტრულ ჰიპოთეზათა შემოწმების საკითხების გამოკვლევა (მათემატიკა; ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა)	ე. ნადარაია	ე. ნადარაია, ქ. ყაჭიაშვილი, ა. ტყეშელაშვილი, თ. მგელაძე
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			
	განხილული იქნა დამოუკიდებელ დაკვირვებათა $p \geq 2$ სერიისათვის განაწილების სახის შესახებ ჰიპოთეზის შემოწმების ამოცანა. ჰიპოთეზის შემოწმების თანხმობის კრიტერიუმის სტატისტიკად შემოთავაზებული იქნა განაწილების სიმკვრივის როზენბლატ-პარზენის გულოვანი შეფასებათა ინტეგრალური კვადრატული გადახრა. მიღებული იქნა ხსენებული სტატისტიკის ზღვარითი განაწილების კანონი. მოძებნილი იქნა პიტმენის აზრით დაახლოებადი ალტერნატივებისათვის კრიტერიუმის ასიმპტოტური სიმძლავრე, ასევე ნაჩვენებია კრიტერიუმის მკაცრად ასიმპტოტური გადაუადგილებადობა. რეგრესიის ფუნქციის არაპარამეტრული გულოვანი შეფასების (Nadaraya-Watson) საშუალებით აგებული იქნა პრაქტიკაში მეტად მნიშვნელოვანი, ე.წ. odds-ratio სახელით ცნობილი უცნობი ფუნქციის შეფასება. დამტკიცებულია აგებული შეფასების ძალდებულობა, ასიმპტოტურად გადაუადგილებადობა და მისი სასრულგანზომილებიანი განაწილების კრებადობა ნორმალური განაწილებისაკენ. გარდა ამისა, გამოკვლეულია ერთის ტოლი ალბათობით თანაბარი კრებადობის საკითხი. განზოგადოებული იქნა პირობითი ბაიესის მეთოდი ზოგადი დანაკარგების ფუნქციისათვის და ის გამოყენებული იქნა არასიმეტრიული ჰიპოთეზების შემოწმებისათვის. პრობლემა დასმული იქნა არაჭეშმარიტი და ჭეშმარიტი აღმოჩენების რანგების ტერმინებში. არასიმეტრიული ჰიპოთეზების შემოწმების მეთოდის ხარისხის კიდევ ერთი კრიტერიუმი, კერძოდ, მე-3 ტიპის შეცდომის დონე, იქნა განხილული. განხილული იქნა ურთიერთმიმართება აღმოჩენის რანგებსა და მე-3 ტიპის შეცდომის დონეს შორის პირობითი ბაიესის მეთოდში. პირობითი ბაიესის მეთოდის უპირატესობა ბაიესის და სიხშირულ მეთოდებთან შედარებით იქნა თეორიულად დამტკიცებული და ნათლად ნაჩვენები კონ-	

	კრეტული მაგალითების გამოთვლის შედეგებით. ნაჩვენები იქნა, რომ პირობითი ბაიესის მეთოდი აღემატება ბაიესისა და სიხშირულ მეთოდებს მიღებული გადაწყვეტილების გარანტირებული საიმედობით. მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით გამოკვლეული იქნა და გარემოს მონიტორინგის პრობლემები. შესწავლილია ჰილბერტის სივრცეში ნიშანცვლადი ზომების თვისებები. ასეთი ზომების მიმართ აგებულია ინტეგრალი და დადგენილია ფუნქციათა კლასი, რომლებიც ინტეგრებადია აღნიშნული ზომების მიმართ.

I.2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

დასრულებული პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	თეორემათა ავტომატური და ინტერაქციული მტკიცება სქემებსა და ურანგო ლოგიკაში (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2014 – 2017)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	მ. რუხაია	მ. რუხაია, გ. ჭანკვეტაძე დამხმარე პერსონალი: ლ. კურტანიძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ავტომატური მსჯელობა ლოგიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ის ასევე განიხილება როგორც ხელოვნური ინტელექტის ქვედარგი. ეს მიმართულება სწავლობს მსჯელობის სხვადასხვა ასპექტებს. ავტომატური მსჯელობის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტებია კლასიკური პრედიკატთა აღრიცხვა და ლოგიკის სხვადასხვა კალკულუსები.

ავტომატური მსჯელობის ორი ძირითადი ქვედარგია თეორემათა ავტომატური და ინტერაქციული მტკიცებები. აღნიშნული პროექტის კვლევის ობიექტიც სწორედ ეს მიმართულებებია. სახელდობრ, შესწავლილ იქნა სქემებისა და ურანგო ლოგიკისათვის ავტომატური მსჯელობის მეთოდები.

პროექტში დასახული და გადაჭრილი იყო შემდეგი ამოცანები:

1) ურანგო ლოგიკისათვის კალკულუსის ჩამოყალიბება და სქემებთან შესაბამისობის გამოკვლევა.
2) სქემებისათვის მტკიცებათა ავტომატური ძებნის ალგორითმების ჩამოყალიბება.
3) ურანგო ლოგიკისათვის მტკიცებათა ავტომატური ძებნის ალგორითმების ჩამოყალიბება.
4) წინა პუნქტებში განსაზღვრული პროცედურებისათვის გაჩერების, სისწორის და სისრულის თეორემების დამტკიცება.
5) SQL შეკითხვების გამარტივების ალგორითმის ჩამოყალიბება და მასთან დაკავშირებული თეორემების დამტკიცება.
6) სისტემის რეალიზაცია და ტესტირება
7) ექსპერიმენტები სისტემაზე. რიგი მათემატიკური ამოცანების ამოხსნა /თეორემების

	დამტკიცება. მიღებული შედეგები როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათისაა. აგებულ იქნა ამოხსნის ახალი პროცედურები სქემებისა და ურანგო ლოგიკისათვის და გაუმჯობესდა მათი დამტკიცებათა წარმოდგენის ფორმატები. პროექტის მიმდინარეობისას შექმნილი ყველა ალგორითმი და პროცედურა იქნა რეალიზებული და შესაძლებელია მათი პრაქტიკაში გამოყენება. მიღებული შედეგების თეორიული მნიშვნელობა მეცნიერული დარგების მიმართ შესაძლებელია განხილულ იქნეს ორ ასპექტში. პირველი ასპექტი გულისხმობს სქემებისა და ურანგო ლოგიკის მიმართულებების განვითარებასა და გაფართოებას ახალი კალკულუსებისა და მათზე მსჯელობის ალგორითმების შემოღებით. მეორე ასპექტი მიღებული შედეგების სხვა სფეროებში გამოყენებას უკავშირდება. ამ მხრივ, პროექტის შედეგები განავრცობენ არსებულს და ქმნიან ახალ ტექნოლოგიებს თეორემათა ავტომატურ და ინტერაქციულ მტკიცებაში. მომხმარებელზე ორიენტირებული გრაფიკული ინტერფეისი, ახალი ტიპის ლოგიკებისათვის თეორემათა დამამტკიცებლებთან ერთად, პოტენციურად აფართოებს ამ ტიპის პროგრამების მომხმარებელთა არეს და ზრდის მათ რიცხვს. მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთ დარგებში, როგორიცაა სემანტიკური ქსელი და ცოდნის წარმოდგენა.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	CLP(HC): საფუძვლები, იმპლანტაცია და გამოყენებები (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2015 – 2017)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი განხორციელდა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	ჯ. ანთიძე	ჯ. ანთიძე ბ. დუნდუა ი. ქარდავა
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
	პროექტის მიზანი იყო შემდეგი საკითხების გადაწყვეტა: სასრული მიმდევრობებისთვის, კონტექსტებისთვის და მათი შემზღუდველებისთვის ამოხსნის ალგორითმის შექმნა; მიღებული ალგორითმისთვის კორექტულობის, სისრულის და გაჩერებადობის თეორემების დამტკიცება; ალგორითმის ინტეგრაცია CLP-ში; ოპერაციული, დეკლარაციული და ფიქსირებული სემანტიკების შესწავლა გაფართოებული CLP-სთვის; შეკუმშულ თერმებზე ამოხსნის ტექნიკის ინტეგრაცია CLP(HC)-ში; CLP(HC)-ის იმპლემენტაცია.			

	მთავარი შედეგი, რომელიც მიღებულია პროექტის შესრულების პროცესში არის მიმდევრობებისთვის, კონტექსტებისთვის და მათი შემზღუდველებისთვის ამოხსნის ალგორითმის შექმნა, მისი კორექტულობის, სისრულისა და გაჩერებადობის თეორემების დამტკიცება. ჩატარებულია ამოხსნის ალგორითმის სისწორის პროგრამული შემოწმება. ასევე, მნიშვნელოვან შედეგებს მიეკუთვნება: მიღებული ალგორითმის ინტეგრაცია CPL-ში; შეკუმშულ ტერმებისათვის ამოხსნის ალგორითმის გაჩერებადობის დამტკიცება და ამ ალგორითმის ინტეგრაცია CLP(HC)-ში. მნიშვნელოვან პრაქტიკულ შედეგს კი მიეკუთვნება ის, რომ უკვე შესაძლებელია ისეთი დიდი გამოყენების მქონე დაპროგრამების ენისათვის, როგორიცაა Haskell, გაფართოვდეს მისი გამოსახულებები ტერმების სასრული მიმდევრობებით, რაც კიდევ უფრო გააფართოებს ამ ენის გამოყენებას.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	განტოლებების ამოხსნა რეგულარულ ხეებზე (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (15.06.2017 – 30.11.2017)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამა „Rustaveli - DAAD“. პროექტი განხორციელდა შტუტგარტის უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებებში ფორმალური მეთოდების ინსტიტუტში (გერმანია)	ბ. დუნდუა	ბ. დუნდუა

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

	რეგულარული ხეების მიმდევრობებისათვის და კონტექსტებისათვის შესწავლილ იქნა: - ავტომატური თვისებები; - მათი ალგებრული დახასიათების საკითხები; - მათი ენების ფაქტორიზაცია დაფუძნებული მონოიდის ასახვაზე.

I.3. გარდამავალი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1.	დამრეცი და არადამრეცი გარსების წრფივი და არაწრფივი თეორიის ზოგიერთი ამოცანა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები) (2015 – 2018)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	თ. მეუნარგია	თ. მეუნარგია, ი. თავხელიძე გ. ახალაია, გ. კაპანაძე, ზ. გულუა, მ. ნარმანია, რ. ჯანჯღავა დამხმარე პერსონალი: მ. თევდორაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მცირე პარამეტრის მეთოდი იძლევა საშუალებას იმისა, რომ წონასწორობის განტოლებათა სისტემა წარმოდგენილი იქნას მწკრივის სახით ამ პარამეტრის მიმართ. ცხადია, თითოეული სასრული მიახლოება ამა თუ იმ სიზუსტით აღწერს დრეკად გარსებში მიმდინარე პროცესებს. ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას – ა. ბიწაძის მეთოდების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა გარსული ტიპის დრეკადი სხეულებისათვის ნებისმიერი სასრული რიგის მიახლოების შემთხვევაში ზოგადი ამონახსნები წარმოდგენილი იქნას კომპლექსური ცვლადის ანალიზური ფუნქციების და ჰელმჰოლცის ფუნქციების საშუალებით.

განხილულ იქნა ი. ვეკუას მეთოდით მიღებული განტოლებათა სისტემა გეომეტრიულად არაწრფივი დამრეცი და არადამრეცი სფერული გარსებისათვის. ამოხსნილ იქნა ამოცანები $N = 3$ მიახლოებაში.

წრიული რადიალური კვეთისა და ი. ჯეილისის წარმოდგენით (ე.წ. „სუპერფორმულა“) აღწერილი საბაზისო წირის მქონე გარსული სხეულის შუა ზედაპირისათვის გამოთვლილია I და II კვადრატული ფორმები, მთავარი (გაუსის) და ნორმალური სიმრუდეები.

განხილული იქნა თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა დრეკადი იზოტროპული მრავალკუთხა ფირფიტისათვის, რომელიც შესუსტებულია წვეროებში სწორხაზოვანი ჭრილით. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებული იქნა კომპლექსური ანალიზის მეთოდები და ნ. მუსხელიშვილის კომპლექსური პოტენციალები და საძიებელი კონტურის განტოლება აიგო ეფექტურად.

ი. ვეკუას მეთოდის $N = 0$ და $N = 1$ მიახლოებების შემთხვევაში ანალიზურად იქნა ამოხსნილი ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანა ბინარული ნარევისაგან შედგენილი ფირფიტებისათვის.

	ი. ვეკუას შედეგებზე დაყრდნობით, დადგენილ იქნა ნეიტრალური ზედაპირის არსებობის პირობა ორი იზოტროპული დრეკადი მასალის ნარევისაგან შედგენილ გარსებში. ასეთ გარსებში ნეიტრალურ ზედაპირზე გარდა ნარევის ორი მდგენელის შესაბამისი დეფორმაციის კერძო ტენზორების ტანგენციალური კომპონენტებისა, ნულის ტოლია ასევე მობრუნების ტენზორის ტანგენციალური კომპონენტები. მიღებულია განტოლებათა სისტემა გარსის პირეულებზე მოდებული ისეთი ძაბვებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ბინარული ნარევისაგან შედგენილი თხელი გარსის შუა ზედაპირის ნეიტრალურობას. ჩაკეტილი ამოზნექილი გარსების შემთხვევაში დამტკიცებულია აღნიშნული განტოლებათა სისტემის ამონახსნის ერთადერთობის თეორემა. დაწვრილებითაა გამოკვლეული შესაბამისი კონკრეტული ამოცანები ბინარული ნარევისგან შედგენილი სფერული გარსებისთვის.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2.	გადაწერაზე დაფუძნებული გამოყენების კონტროლი (მათემატიკა; დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია) (2015 – 2018)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში	თ. კუცია	თ. კუცია, ხ. რუხაია, ლ. ტიბუა, ს. ფხაკაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				
	საანგარიშო პერიოდში ჯგუფის წევრები მუშაობდნენ გამოყენების კონტროლის სამუშაო მაგალითის შესაფერისი ფორმალიზმის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც ამ საქმისთვის შერჩეული იყო PpLog, რომელიც აფართოებს ლოგიკური პროგრამირების ენას, Prolog-ს, მასში ურანგო მიმდევრობების გარდაქმნის მექანიზმის ინტეგრირებით. PpLog-ის პროგრამები არსებითად პირობებიანი გადაწერის წესებია, რაც საკმაოდ მოსახერხებელია გამოყენების კონტროლის ბრძანებების საიმპლემენტაციოდ. ასე, მაგალითად, გამოყენების კონტროლის წინასწარი ავტორიზაციის სქემაში სამი კომპონენტია: (1) ობიექტთა სქემა, რომელიც საზღვრავს ობიექტების ატრიბუტებს და მათ დასაშვებ მნიშვნელობებს (სუბიექტები განხილულია, როგორც ობიექტთა ქვესიმრავლე), (2) გამოყენების უფლებათა სიმრავლე და (3) გამოყენების კონტროლის ბრძანებათა სიმრავლე. თითოეული ასეთი ბრძანება იმპლემენტირდება როგორც გარდაქმნის წესი, რომელიც იღებს ობიექტთა მოცემულ სქემას და კითხვას, უნდა მიეცეს თუ არა მოცემულ სუბიექტს მოცემულ ობიექტის განსაზღვრული გამოყენების უფლება ამ სქემის მიხედვით. შემდეგ წესი ამოწმებს, ეს სქემა, სუბიექტი და ობიექტი აკმაყოფილებენ თუ არა დადგენილ პირობებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში ხდება ორი			

	რამ: ერთი, სუბიექტს ეძლევა ობიექტის გამოყენების მოთხოვნილი უფლება და მეორე, ხდება სქემის განახლება ამ გამოყენების გამო გამოწვეული ცვლილებების გათვალისწინებით. ანუ, აბსტრაქტულად, ამ წესს შეიძლება შევხედოთ, როგორც ობიექტთა სქემის ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გარდაქმნის წესს. PρLog ასეთი წესების სარეალიზაციოდ მოხერხებული პლატფორმაა. გამოკვლეული იქნა გადაწერის ლოგიკას და ρLog-ის აღრიცხვას შორის არსებული მიმართებები. გადაწერის ლოგიკა კარგად ცნობილი ლოგიკური და გამოთვლითი ჩარჩო სტრუქტურაა, რომელზეც დაფუძნებულია პროგრამირების ენა Maude. ρLog-ის აღრიცხვა წესებზე დაფუძნებული სტრუქტურაა, რომელსაც ეფუძნება PρLog. ამ ორ აღრიცხვას შორის მიმართების შესწავლა ერთი მხრივ, აღწერს სრულ სურათს მათი გამომსახველობითი ძალის შესახებ, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა ერთ მათგანში ჩატარებული ფორმალიზება გადათარგმნილი იქნას მეორეში. ეს უკანასკნელი მეთოდი ძალიან ხელსაყრელია, მაგალითად, მაშინ, როცა ფორმალიზაციის სხვადასხვა სახის ანალიზისთვის სხვადასხვა მეთოდი ან ინსტრუმენტია საჭირო. აღნიშნული მიმართების შესწავლისთვის განისაზღვრა სპეციალური სახის ასახვა გადაწერის ლოგიკიდან ρLog-ის აღრიცხვაში, რომლის მიზანი იყო გადაწერის ლოგიკის ტერმების, სორტების, განტოლებების და გამოყვანის წესების კოდირება ρLog-ის ენაში. ლოგიკური ჩარჩო-სტრუქტურების თეორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ კონკრეტული ფორმალიზმებისთვის ასეთი სახის ასახვების განსაზღვრა საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ჩატარებულმა სამუშაომ ცხადჰყო, რომ განხილულ შემთხვევაში სირთულე უკავშირდებოდა ერთი მხრივ, გადაწერის ლოგიკის ჩანაცვლების გამოყვანის წესის ადეკვატურ გადასახვას ρLog-ის კლაუზაში და, მეორე მხრივ, ცვლადების გადასახელების მექანიზმის ადეკვატურ კოდირებას. ეს სირთულეები დაძლეული იქნა და საბოლოოდ, მიღებულია ასახვა, რომელსაც გადაწერის ლოგიკის დასაშვები თეორიები გადაჰყავს ρLog-ის თეორიაში (პროგრამაში) ისე, რომ დამტკიცებადობა ორმხრივ შენარჩუნებულია. ეს უკანასკნელი შედეგი, რომელიც თეორემის სახით დამტკიცდა, აჩვენებს, რომ ρLog-ის გამომსახველობითი ძალა ისეთივე მძლავრია, როგორც გადაწერის ლოგიკის ცნობილი ფორმალიზმი. ამასთან, ρLog-ში კონტროლის პრობლემების კოდირება გაცილებით კომპაქტურად და ელეგანტურადაა შესაძლებელი, ვიდრე გადაწერის ლოგიკაში.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3.	თერმოდრეკადი პიეზოელექტრული სტრუქტურების იერარქიული მოდელების აგება და გამოკვლევა (მათემატიკა; უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. პროექტი ხორციელდება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი	გ. ჯაიანი	გ. ჯაიანი, გ. ავალიშვილი, მ.ავალიშვილი, ნ. ჩინჩალაძე, მ. გაბელაია

	(2017 – 2019)	მათემატიკის ინსტიტუტში		

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში პირველი წლის (ორი საანგარიშო პერიოდი) განმავლობაში მიღებული შედეგები შეეხება სტატიკური და დინამიკური სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელების გამოკვლევას არაერთგვაროვანი უწყვეტად ცვალებადი მახასიათებლების მქონე ან უბან-უბან უწყვეტად ცვალებადი მახასიათებლების მქონე ფენოვანი ან იზოტროპული თერმოდრეკადი პიეზოელექტრული მასალისაგან შემდგარი სხეულებისათვის მაგნიტური ველის გათვალისწინებით. თერმოდრეკადი პიეზოელექტრული დრეკადი სხეულისათვის განხილულია სამ განზომილებიან ლიპშიცის არეზე განსაზღვრული წრფივი დინამიკური მოდელის დიფერენციალური ფორმულირება, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს შვიდი განტოლებისაგან შემდგარი კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა. აღნიშნულ განტოლებათა სისტემის სამი დინამიკური განტოლება აღწერს სხეულის სტატიკურ წონასწორობას ან რხევას, რომელიც აკავშირებს გადაადგილების ვექტორ-ფუნქციას, ელექტროსტატიკური და მაგნიტური ველების პოტენციალებს, და ტემპერატურას; ორი კვაზი სტატიკური განტოლება ახასიათებს ელექტროსტატიკურ და მაგნიტურ ველებს, რომლებიც ასახავენ კავშირს სხეულის ელექტრომაგნიტურ და თერმომექანიკურ თვისებებს შორის; ბოლო სტატიკური ან ევოლუციური განტოლება კი ახასიათებს ტემპერატურის სტატიკურ განაწილებას ან მის ცვლილებას დროში. იმ შემთხვევაში, როცა სხეული შედგება არაერთგვაროვანი უწყვეტად ცვალებადი მახასიათებლების მქონე მასალისაგან, მაშინ სისტემა განსაზღვრულია ერთ ლიპშიცის არეზე, ხოლო როცა სხეული შედგება ფენოვანი უბან-უბან უწყვეტად ცვალებადი მახასიათებლების მქონე მასალისაგან, მაშინ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა მოცემულია ფენების შესაბამის ქვეარეებზე, ხოლო ფენების საერთო ზედაპირებზე სრულდება ხისტი ტრანსმიის პირობები, ე.ი. გადაადგილების, ელექტროსტატიკური და მაგნიტური ველების პოტენციალების და ტემპერატურის, და ნორმალის გასწვრივ ძაბვის ვექტორის მდგენელის, ელექტრული გადაადგილების და მაგნიტური ინდუქციის ვექტორების მდგენელების და სითბოს ნაკადის მდგენელის უწყვეტად გადაბმის პირობები. თერმოდრეკადი პიეზოელექტრული სხეულის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის აღმწერი სტატიკური და დინამიკური მოდელი კერძოწარმოებულიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას თან ერთად მოიცავს სასაზღვრო პირობებს არის საზღვარზე და დინამიკურ შემთხვევაში საწყის პირობებს დროის საწყის მომენტში. შესწავლილია ზოგადი შერეული სამგანზომილებიანი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანები, როცა საზღვრის საზოგადოდ განსხვავებულ ნაწილებზე გადაადგილების, ელექტროსტატიკური და მაგნიტური პოტენციალები და ტემპერატურა ნულის ტოლია, ხოლო საზღვრის დარჩენილ ნაწილებზე მოცემულია საზღვრის გარე ნორმალის გასწვრივ ძაბვის ვექტორის მდგენელის, ელექტრული გადაადგილების და მაგნიტური ინდუქციის ვექტორების მდგენელების და სითბოს ნაკადის მდგენელის მნიშვნელობები. დიფერენციალური ფორმულირებით მოცემული სამგანზომილებიანი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვროამოცანებისათვის მიღებულია ინტეგრალური განტოლებები, რომლებიც საკმარისად გლუვ ფუნქციათა სივრცეებში საწყისად მოცემული ამოცანების ტოლფასია. მიღებულ ინტეგრალურ განტოლებებზე დაყრდნობით მოყვანილია თერმოდრეკადი პიეზოელექტრული სხეულის მაგნიტური ველის გათვალისწინებით დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის აღმწერი დინამიკური მათემატიკური მოდელის შესაბამისი სასაზღვრო და საწყის-სასაზღვრო ამოცანების ვარიაციული ფორმულირება შესაბამის ვექტორული განაწილებების სივრცეებში მნიშვნელობებით სათანადო სობოლევის სივრცეებში.

	დადგენილია სტატიკური ერთგვაროვანი ამოცანის ამონახსნთა სტრუქტურა და დინამიკურ შემთხვევაშ იელექტროსტატიკური და მაგნიტური ველების აღმწერი განტოლებებისათვის ერთგვაროვანი განტოლებების ამონახსთა სიმრავლის სტრუქტურა, როდესაც ელექტრული მუხტების სიმკვრივე, საზღვრის ნორმალის გასწვრივ ელექტრული გადაადგილების და მაგნიტური ინდუქციის ვექტორების მდგენელები, სხეულის გადაადგილების ვექტორ-ფუნქცია და ტემპერატურა ნულის ტოლია. ამის საშუალებით განსაზღვრულია სტატიკურ შემთხვევაში ძირითადი სივრცეების ფაქტორ-სივრცეები და დინამიკურ შემთხვევაში ელექტროსტატიკური და მაგნიტური ველების პოტენციალების შესაბამისი სობოლევის სივრცეების ფაქტორ-სივრცეები. ვარიაციულ ფორმულირებაზე დაყრდნობით თერმოდრეკადი პიეზოელექტრული მასალის მახასიათებელი პარამეტრებისათვის სათანადო სივრცეებიდან, დადებითად განსაზღვრულობის და სიმეტრიულობის პირობებში დამტკიცებულია სამგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა სტატიკურ შემთხვევაში შესაბამისი სობოლევის სივრცეების ფაქტორ-სივრცეებში, ხოლო დინამიკურ შემთხვევაში შესაბამისი ვექტორული განაწილებების სივრცეებში მნიშვნელობებით სათანადო სობოლევის სივრცეების ფაქტორ-სივრცეებში და ამონახსნის უწყვეტად დამოკიდებულება მოცემულ ფუნქციებზე. სტატიკური ამოცანის შემთხვევაში, როცა გადაადგილების, ელექტროსტატიკური და მაგნიტური პოტენციალები და ტემპერატურა ნულის ტოლია და დებითი ზომის მქონე ზედაპირებზე, ნაჩვენებია სამგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის არსებობა, ერთადერთობა და უწყვეტად დამოკიდებულება მოცემულ ფუნქციებზე შესაბამის სობოლევის სივრცეებში. დინამიკური ამოცანის შემთხვევაში, როცა ელექტროსტატიკური დ ამაგნიტური პოტენციალები ნულის ტოლია და დებითი ზომის მქონე ზედაპირებზე, ნაჩვენებია სამგანზომილებიანი საწყის-სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის არსებობა, ერთადერთობა და უწყვეტად დამოკიდებულება მოცემულ ფუნქციებზე შესაბამისი ვექტორული განაწილებების სივრცეებში მნიშვნელობებით სათანადო სობოლევის სივრცეებში.

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	T. Tadumadze	Variation formulas of solutions for functional differential equations with several constant delays and their applications in optimal control problems. *Mem. Differential Equations Math. Phys.* **70** (2017)	თსუ გამომცემლობა	91

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	ე. ნადარაია	ალბათობის თეორია (მე-3 გამოცემა)	თსუ გამომცემლობა, 2017	305
2.	გ. ლობჟანიძე, ნ. მჭედლიშვილი, ნ. სხირტლაძე, თ. ჯანგველაძე	სამეცნიერო გამოთვლები	თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტი, 2017	167

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	G. Jaiani	Hierarchical models for viscoelastic Kelvin-Voigt prismatic shells with voids. *Bulletinof TICMI*	Vol. 21(1), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	12
2.	T. Meunargia	Closed Convex Shells. *Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, REPORTS*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
3.	G. Kapanadze	About One Problem of the Plane Theory of Elasticity with a Partially Unknown Boundary. *Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics, REPORTS*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	7
4.	T. Meunargia	About Immersion of the Surface in the 3–D Riemann's Diversity. *Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
5.	G. Jaiani	Life, Activities, and Scientific Heritage of Ilia Vekua. *Book of Abstracts of the VIII Annual Meeting of the Georgian Mechanical Union*	ISSN 2233-355X, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	26
6.	G. Jaiani, T. Jangveladze	Life and Activities of David Gordeziani. *Book of Abstracts of the 3rd International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering*	ISBN 978-9941-26-149-7, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	30

7.	G. Kapanadze	On One Problem of the Plane Theory of Elasticity for a Rectangular Domain with a Partially Unknown Boundary. *Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
8.	L. Bitsadze	On Some Solutions in the Plane Equilibrium Theory for Solids with Triple-Porosity. *Bulletin of TICMI*	Vol. 21 (1), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11
9.	L. Bitsadze	On Some Solutions in the Theory of Thermoelasticity for Solids with Double Porosity. *Proceedings of I. Vekua Institute of Applied Mathematics*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	12
10.	L. Bitsadze	Effective Solution of Some BVP of the Linear Theory of Thermoelasticity with Microtemperatures. *Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics REPORTS*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	15
11.	N. Zirakashvili	Boundary Value Problems of Elasticity for Semi-ellipse with Non-homogeneous Boundary Conditions at the Segment Between Focuses. *Bulletin of TICMI*	Vol. 21 (2), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	22
12.	I. Tsagareli	Solution of the Boundary Problems of Thermoforoelastostatics. *Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics REPORTS*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	11
13.	R. Janjgava, B. Gulua	Boundary Value Problems of the Theory of Elasticity of Porous Cosserat Media for Solids with Triple-Porosity. *Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics*	Vol. 31, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

14.	T. Tadumadzee	On the well-posedness of the Cauchy problem for a neutral differential equation with distributed prehistory. *Bulletin of TICMI*	Vol. 21 (1), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
15.	T. Tadumadze	Revaz Gamkrelidze- 90. *Mem. Differential Equations Math. Phys.*	2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
16.	T. Tadumadze	On a Delay Parameter Optimization Problem: Existence, Sensitivity of a Functional Minimum, Necessary Optimality Conditions. *Abstracts of the International Workshop on the Qualitative theory of Differential Equations*, December 24-26, 2017, Tbilisi, Georgia	www. rmi. ge/eng/QUALITDE -2017/workshop_ 2017.htm	ელექტრონუ- ლი ვერსია	4
17.	T. Shavadze	Variation Formulas of Solutions for Nonlinear Controlled Functional Differential Equations with Constant Delay and the Discontinuous Initial Condition. *Abstracts of the International Workshop on the Qualitative theory of Differential Equations*, December 24-26, 2017, Tbilisi, Georgia	www. rmi. ge/eng/QUALITDE -2017/workshop_ 2017.htm	ელექტრონუ- ლი ვერსია	4
18.	R. Koplatadze, N. Khachidze	Oscillation of solutions of second order almost linear difference equations. *Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics, Reports*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	8
19.	N. Khachidze	On asymptotic behaviour of solutions of higher order difference equation. *Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics, Reports*	Vol. 43, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4

20.	R. Koplatadze	On asymptotic behavior of solution of first order difference equation with several delays. *Bulletin of TICMI*	Vol. 21 (2), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
21.	T. Jangveladze	Well-Posedness and Approximate Solution of the Initial-Boundary Value Problem for Nonlinear Integro-Differential Equation Obtained by the Reduction of Maxwell System. *Reports of Enlarged Sessions of theSeminar of I. Vekua Instituteof Applied Mathematics*	Vol. 31, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
22.	Z. Kiguradze, M. Kratsashvili	Finite Difference Scheme for One System of Nonlinear PartialIntegro-Differential Equations with Source Terms. *Reports of Enlarged Sessions of theSeminar of I. Vekua Instituteof Applied Mathematics*	Vol. 31, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
23.	G. Giorgadze, G. Khimshia-shvili	Concyclic and aligned equilibrium configurations of point charges. *Proc. I. Vekua Inst. of Applied Math.*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	14
24.	V. Jikia	Linear conjugated problem for special classes of Carleman-Vekua equations. *Proc. I. Vekua Inst. of Applied Math.*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
25.	T. Vashakmadze	On the Origin of the Theory of Distributions or the Heritage of Andrea Razmadze. *Bulletin Georgian NAS*	Vol.11 (2), 2017	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	3

26.	A. Papukashvili, Z. Vashakidze, M. Sharikadze	On one method of approximate solution of Kirchhoff type static beam nonlinear integro-differential equation. *Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics.*	Volume 31, 2017.	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	4
27.	N. Khatiashvili	On the Cauchy integrals with the Weierstrass kernel. *Proc. of I.Vekua Inst. Of Appl. Math.*	Vol. 67, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	5
28.	ხ. ჩარგაზია, ო. ხარშილაძე, ნ. ვარამაშვილი, დ. ამილახვარი, ლ. დვალი	ფრიქციული ავტორხევების დინამიკური ანალიზი. *საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის ჟურნალი*	Vol. 20, 2017	საქართველოს გეოფიზიკოს-თა ასოციაცია, თბილისი	9
29.	B. Dundua, M. Rukhaia, Kh. Rukhaia, L. Tibua	PρLog for Access Control. *Journal of Technical Science and Technologies.*	Vol. 5 (2), 2017	Tbilisi, IBSU	4
30.	J. Antidze, B. Dundua, M. Rukhaia L. Tibua	Application of CLP(SC) in Membrane Computing. *Journal of Technical Science and Technologies*	Vol. 5 (2), 2017	Tbilisi, IBSU	7
31.	A. Kharazishvili	On Mazurkiewicz sets from the measure-theoretical point of view. *Bulletin of TICMI*	Vol. 21 (1), 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	10
32.	M. Beriashvili, A. Kirtadze	On the application of Bernstein type construction to measure extension problem. *Reports of Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics*	Vol. 31, 2017	თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა	6
33.	P. Babilua, E. Nadaraya, M. Patsatsia, Z. Khechina-shvili	On the Estimation of the Odds-Ratio Based on Kernel Estimates of the Regression Function. *Bull. Georgian Natl. Acad. Sci.*	Vol. 11 (3), 2017	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	8

II. 2. პუბლიკაციები:

ა) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	A. Kharazishvili	Strange Functions in Real Analysis (third edition)	New York (USA), Chapman and Hall/CRC, 2017	436

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	V. Maz'ya, D. Natroshvili, E. Shargorodsky, W. Wendland (Editors)	Recent Trends in Operator Theory and Partial Differential Equations	Operator Theory: Advances and Application, Vol. 258, Birkhauser, 2017	300

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	N. Chinchaladze, G. Jaiani	Antiplane strain (shear) of orthotropic non-homogeneous prismatic shell-like bodies. *Archives of Mechanics*	Vol. 69(4-5), 2017	Poland, Polish Academy of Sciences Publishing House	12
2.	N. Chinchaladze	On a vibration problem of antiplane strain (shear) of orthotropic non-homogeneous prismatic shell-like bodies. *Complex Variables and Elliptic Equations*	doi.org/10.1080/17476933.2017.1357704	Taylor and Francis Ltd	10

3.	N. Chinchaladze, M. Tutberidze	On some Bending Problems of Prismatic Shell with the Thickness Vanishing at Infinity. *Journal of Mathematics and System Science*	Vol. 7 (3), 2017	USA, NY, David Publishing Company	6
4.	T. Buchukuri, O. Chkadua, D. Natroshvili	Method of fundamental solutions for mixed and crack type problems in the classical theory of elasticity. *Trans. A. Razmadze Math. Inst.*	Vol. 171. 2017	Elsevier	29
5.	N. Zirakashvili	Study of deflected mode of ellipse and ellipse weakened with crack. *ZAMM*	Vol. 97 (8), 2017	Germany Viley-VCH	14
6.	N. Zirakashvili	Exact solution of some exterior boundary value problems of elasticity in parabolic coordinates. *Mathematics and Mechanics of Solids*	DOI: 10.1177/1081286517697371, 1-15, 2017	USA, SAGE Publishing	15
7.	Ph. Dvalishvili, A. Nachaoui, M. Nachaoui, T. Tadumadze	On the well-posedness of the Cauchy problem for one class of differential equation with distributed delay and the continuous initial condition. *Proceedings of the Institute of Mathematics and Mechanics, National Academy of Sciences of Azerbaijan*	Vol. 43 (1), 2017	Azerbaijan Akademy Press	15
8.	T. Jangveladze	Investigation and Approximate Solution of Two Systems of Nonlinear Partial Differential Equations. *International Journal of Pure Mathematics.*	Vol. 4, 2017	North Atlantic University Union	6
9.	T. Jangveladze, Z. Kiguradze, M. Kratsashvili	Correctness of the Initial-Boundary Value Problem and Discrete Analogs for One Nonlinear Parabolic Integro-Differential Equation. *International Journal of Pure Mathematics*	Vol. 4, 2017	North Atlantic University Union	5

10.	T. Jangveladze, Z. Kiguradze, M. Gagoshidze, B. Tabatadze	Comparison of Two Methods of Numerical Solution of Mitchison Biological System of Nonlinear Partial Differential Equations. *International Journal of Mathematics and Computers in Simulation*	Vol. 11, 2017	North Atlantic University Union	7
11.	T. Jangveladze, Z. Kiguradze	Investigation and Rothe's Type Scheme for Nonlinear Integro-Differential Multi-Dimensional Equations Associated with the Penetration of a Magnetic Field in a Substance. *International Journal of Mathematical Models and Methods in Applied Sciences*	Vol.11, 2017	North Atlantic University Union	7
12.	D. Shulaia	Integral Equations of the Third Kind for the Case of Piecewise Monotone Coefficients. *Transactions of A. Razmadze Mathematical Institute*	Vol. 171, 2017	Elsevier	5
13.	U. Goginava	Almost everywhere strong summability of cubic partial sums of d-dimensional Walsh-Fourier series. *Math. Inequal. Appl*	Vol. 20 (4), 2017	Ele-Math	16
14.	G. Gat, U. Goginava	Norm convergence of double Fourier series on unbounded Vilenkin groups. *Acta Math. Hungar.*	Vol. 152 (1), 2017	Springer	15
15.	G. Gat, U. Goginava	Norm convergence of logarithmic means on unbounded Vilenkin groups. *Banach Journal of Mathematical Analysis*	https://projecteuclid.org /euclid.bjma/1510909224, 2017	Duke University press	17
16.	U. Goginava	Pointwise convergence of Marcinkiewicz-Fejer means of double Vilenkin-Fourier series. *Journal of contemporary mathematical analysis*	Vol. 52 (5), 2017	Springer	12

17.	T. Vashakmadze	A New Scheme of the Estimate Operation Number for the Product of Polynomials. *Book Title: Information and Computer Technology, Modeling and Control*	Book ID: _11308_ 2017	Nova Publisher,USA	9
18.	N. Khatiashvili	On the Singular Integral Equation Connected with the Stokes Gravity Waves. *Lecture Notes in Engineering and Computer Science*	Newswood Limited, 2017	London	6
19.	Kh. Chargazia, O. Kharshiladze	Numerical model of zonal flow generation by magnetized Rossby waves in the ionosphere with shear flow. *Geomagnetizm I Aeronomia*	vol. 57 (2) DOI:10.1134/S0016 793217020037, 2017	Russia, MAIK – Publishing House	9
20.	J. Rogava, D. Gulua, R. Galdava	Reduction of Some Semi-discrete Schemes for an Evolutionary Equation to Two-Layer Schemes and Estimates for the Approximate Solution Error. *Lie Groups, Differential Equations, and Geometry*	https://link.springer .com/chapter/10.10 07/978-3-319-62181-4_10, 2017	Springer	24
21.	B. Dundua, L. Kurtanidze, M. Rukhaia	Unranked Tableaux Calculus for Web Related Applications. *First Ukraine Conference on Electrical and Computer Engineering*	DOI: 10.1109/UKRCON. 2017.8100435, 2017	IEEE	4
22.	B. Dundua, T. Kutsia, K. Reisenberger-Hagmayr	An overview of PρLog. *Proceedings of the 19th International Symposium on Practical Aspects of Declarative Language*	Vol. 10137 of Lecture Notes in Computer Science, 2017	Springer	15
23.	M. Ayala-Rincon, B. Dundua, T. Kutsia, M. Marin	Rewriting Logic from a ρLog Point of View. *12th Workshop on Logical and Semantic Frameworks withApplications*	Vol. 12, 2017	Workshop proceedings, Brasilia, Brazil	15

24.	S. Alves, B. Dundua, M. Florido, T. Kutsia	Pattern-based calculi with finitary matching. Logic Journal of the IGPL	https://doi.org/10.1093/JIGPAL/jzx059, 2017	Oxford Academy Press	41
25.	T.D. Kaladze, L.Z. Kahlon, L.V. Tsamalashvili	Generation of zonal flows by coupled electrostatic drift and ion-acoustic waves. *Physics of Plasmas*	Vol. 7, 2017	American Institute of Physics	10
26.	A. Kharazishvili	A characterization of sets containing absolutely nonmeasurable subsets. *Georgian Mathematical Journal*	Vol. 24 (2), 2017	Berlin (Germany) De Gruyter	6
27.	T. Tetunashvili	On the structure of constituents of finite independent families of convex bodies in R^2 and R^3 spaces. *Transactions of A. Razmadze Mathematical Institute*	https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2346809217301009, 2017	Elsevier	8
28.	P. Babilua, E. Nadaraya	On Deviations between Kernel Type Estimators of a Distribution Density in p≥2 Independent Samples. *Comm. Statist. Theory Methods*	Vol. 47 (2), 2017	Taylor&Francis Press	18
29.	K.J. Kachiashvili	The Impact of Applied Agricultural Technologies on the Productivity of Agricultural Lands. *International Journal of Research Studies in Agricultural Sciences*	Vol. 3 (4), 2017	India	13
30.	K.J. Kachiashvili	Some Ways of Resolution of Current Environmental Problems. *MOJ Ecology & Environmental Science*	Vol. 2 (7), 2017	MedCrave Group, Danforth Rd., Edmond	

II. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1.	გ. ჯაიანი	იერარქიული მოდელები დრეკად–ბლანტი კელვინ–ფოიგტის პრიზმული გარსებისათვის სიცარიელებით	მეხუთე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 7-10 თებერვალი, 2017, თბილისი, საქართველო
2.	გ. ჯაიანი	Life and Activities of Ilia Vekua	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
3.	გ. ჯაიანი	ილია ვეკუას ცხოვრება, მოღვაწეობა და სამეცნიერო მემკვიდრეობა	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia
4.	გ. ჯაიანი, თ. ჯანგველაძე	Life and Activities of Professor David Gordeziani	The Third International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering,Dedicated to the 80th Birthday Anniversary of David Gordeziani, 7-9 December, 2017, Tbilisi, Georgia
5.	ნ. ჩინჩალაძე	ორფენოვანი პრიზმული გარსის ტიპის სხეულების სტატიკის ერთი ამოცანის შესახებ	მეხუთე ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 7-10 თებერვალი, 2017, თბილისი, საქართველო
6.	ნ. ჩინჩალაძე, რ. ჯილბერტი	წამახვილებული პრიზმული გარსებისა და სითხეების ურთიერთქმედების ამოცანა	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia

7.	თ. მეუნარგია	Closed Convex Shells	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
8.	თ. მეუნარგია	About immersion of the surface in the 3D Riemann diversity	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia
9.	თ. მეუნარგია	On I. Vekua's Method of the Consistent Theory of Elastic Shells	The Third International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering,Dedicated to the 80th Birthday Anniversary of David Gordeziani, 7-9 December, 2017, Tbilisi, Georgia
10.	დ. ნატროშვილი	Method of fundamental solutions for mixed and crack type problems in the classical theory of elasticity.	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
11.	დ. ნატროშვილი	Application of BDIE Method in the Theory of Acoustic Scattering by Inhomogeneous Anisotropic Obstacles	The Third International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering,Dedicated to the 80th Birthday Anniversary of David Gordeziani, 7-9 December, 2017, Tbilisi, Georgia
12.	გ. კაპანაძე	The problem of finding an equally strong contour for a rectangular plate weakened by a rectilinear cut, whose ends are cut out by convex smooth arcs	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
13.	გ. კაპანაძე	On one problem of the plane theory of elasticity for the region with a partially unknown boundary	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia

14.	ლ. ბიწაძე	Effective Solution of Some BVP of the Linear Theory of Thermoelasticity with Microtemperatures	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
15.	ლ. ბიწაძე	On the Solutions of Elastic Materials with Voids	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia
16.	ნ. ზირაქაშვილი	დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანების რიცხვით-ანალიზური ამონახსნების მიღება ზოგიერთი განაწილებული დატვირთვისათვის	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
17.	ნ. ზირაქაშვილი	ნახევარსიბრტყისათვის დრეკადობის თეორიის ზოგიერთი არაკლასიკური ამოცანის რიცხვითი მოდელირება სასაზღვრო ელემენტთა მეთოდის გამოყენებით	VIII Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, September 4-8, 2017, Batumi
18.	ნ. ზირაქაშვილი	იმპლანტის ირგვლივ ღრუბლისებრი ძვლის დაძაბულ- დეფორმი-რებული მდგომარეობის შესწავლა ოკლუზიური დატვირთვისას	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia
19.	ი. ცაგარელი	Solving boundary problems of elastostatics for a porous circle	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017
20.	რ. ჯანჯღავა	On a Plane Boundary Value Problem of the Cosserat Theory for a Perforated Domain	XXXI International Enlarged Sessions of the Seminar of Ilia Vekua Institute of Applied Mathematics of TSU Dedicated to the 110th Birthday Anniversary of Ilia Vekua, Tbilisi, Georgia, April 19–21, 2017

21.	რ. ჯანჯღავა	არასიმეტრიული დრეკადობის ბრტყელი ამოცანა პერფორირებული მართკუთხა არისთვის	VIII Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, September 4-8, 2017, Batumi
22.	რ. ჯანჯღავა	ზოგიერთი სამგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანა დრეკადი ბინარული ნარევისთვის ორგვარი ფოროვნებით	VIII Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union, September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia
საანგარიშო წლის მანძილზე შესრულდა შემდეგი სამუშაო:

<u>ქართული დიალექტური კორპუსი:</u>

ტექსტური კოლექცია:

- მთიულური, ფშაური, ფერეიდნული, ინგილოური - ტექსტების სხვადასხვა დონის დამუშავება (გაციფრება / რედაქტირება / განთავსება).

- ტექსტური კორპუსის მეტაანოტირების სისტემის რეფორმაცია, უნიფიკაცია (მეტამახასიათებლების ტესტირება, შეცდომების გამოვლენა, აღმოფხვრა, მახასიათებლების ოპტიმაცია).
- ანოტირების სიების ტესტირება, გასწორება, შეცდომების ანალიზი და განზოგადება, ანოტირების კორპუსში გადატანა, ომონიმიის მოხსნა;
- დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა: ფერეიდნული, ინგილოური, კახური, იმერული, გურული ;
- შ. ძიძიგურის ქართული დიალექტების ქრესტომათია ;

<u>ქართული სამეცნიერო მეტაენის</u> **კორპუსი:**
ტექსტური კოლექცია: მომზადდა ბესარიონ ჯორბენაძის გამოქვეყნებულ ნაშრომთა სრული ელექტრონული კოლექცია ;
მზადდება არნ. ჩიქობავასა და გამოქვეყნებულ ნაშრომთა ელექტრონული კოლექცია. ამ დროისათვის უნიფიცირებულია არნ. ჩიქობავას I (640 გვ.), II (425 გვ.), III (603 გვ.) ტომები.

სამენოვანი გლოსარიუმი: მომზადდა 500 ტერმინის სამენოვანი გლოსარიუმი (ქართული - ინგლისური _ რუსული)
ანოტირება:
- შეიქმნა სამი დიდტანიანი ნაშრომის ავტომატური ანალიზის სია _47000 სიტყვა
- მომზადდა 40000 სიტყვის სრული ანოტირების სია _ ლემატიზაცია, სიტყვის სტატუსის მიხედვით ანოტირება (ტერმინი, გაანალიზებული სიტყვა, ნარატიული სიტყვა), მორფოლოგიური ჯგუფის (მეტყველების ნაწილის) და გრამატიკული მარკერების (პარადიგმული მახასიათებლები) მიხედვით ანოტირება
- დამუშავდა ომონიმური და "ამოუცნობი" სიტყვების სია
- <u>გაწეული სამუშაოს ინტერნაციონალიზაცია</u>

1. ჩატარდა გასვლითი სამეცნიერო სემინარი თემაზე „ქართული ენა ირანში" _ ირანის ისლამური რესპუბლიკის ენისა და ლიტერატურის აკადემიაში _ 01.05.2017
2. ლიდსის უნივერსიტეტში (ბრიტანეთი) ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა მდიდარი მორფოლოგიის ენების კორპუსული დამუშავების საკითხებს, მიწვეული სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა განყოფილების ხელმძღვანელი, მარინა ბერიძე.
3. საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი იყო 13 მოხსენება (პარიზი, თეირანი, თბილისი (2), იენა, ბრატისლავა, მინსკი (3)
4. დაიბეჭდა ოთხი სტატია უცხურ გამოცემებში, მათ შორის ერთი ინდექსირებულ (Scopus და სხვ.) ჟურნალში.

I. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

1	ქართველურ ენათა განყოფილება	გ. გოგოლაშვილი	ს.ბერულავა, მ.ბუკია, ე.გაზდელიანი, ლ.გიგლემიანი, ნ.ლოლაძე, მ.მანჯგალაძე, მ.საღლიანი, ნ. სურმავა, მ.სუხიშვილი, თ.უთურგაიძე, ჭ.ქირია, ხ.ყანდაშვილი, ნ.შავრეშიანი, ი.ჩანტლაძე, მ.ჩუხუა, რ.ჭკადუა, ნ.ჭუმბურიძე, ც.ჯანჯღავა, მ.ჯღარკავა
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) 2017 წელს დამუშავებული მონაკვეთი არის ნაწილი გარდამავალი (მრავალწლიანი) თემისა ,,ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“. მომდევნო ორი წელი დაეთმობა ქართველური ენების ზმნის ანალიზს.			

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	მთის იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	ვ. შენგელია	ლ.აზმაიფარაშვილი, ნ.არდოტელი, მ. თეთრაძე, ლ. კელაურაძე,რ.ლოლუა, მ.მაჭავარიანი, დ. კაკაშვილი, კ.მითაგვარია, ლ.სანიკიძე, რ.ფარეულიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში მიმდინარეობს მუშაობა მრავალწლიან თემებზე, კერძოდ, აფხაზურ-ჩერქეზულ და ნახურ ენათა საკითხები და ზმნის მორფოლოგიის, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ლეზგიურ ენათა მორფოლოგიის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი; მასალების მოძიება აფხაზურ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონისთვის; გრძელდება მუშაობა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ლექსიკაზე. მუშავდება ლეზგიური ენის მორფოლოგიის საკითხები, ასევე, ლექსიკური შეხვედრები და ბგერათშესატყვისობანი ქართველურ და კავკასიურ ენებს შორის.			

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება	თ. ვაშაკიძე	მ.ლაბარტყავა, ვ.მაღრაძე, თ.მახარობლიძე, თ.ტეტელოშვილი, თ.ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება მრავლწლიანი პერიოდის განმავლობაში გეგმავს მუშაობას თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოცემაზე. შემდეგ ეტაპზე ივარაუდება ზმნათა საკითხის განხილვა-გადასინჯვა (ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაწერილობის საკითხები). სამუშაო კვალავაც გაგრძელდება ამ მიმართულებით - ზმნების სხვადასხვა საკვანძო საკითხთა დამუშავება მართლწერის თვალსაზრისით. განყოფილება შემდეგშიც გამოსცემს პერიოდულ კრებულს „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება	ლ. ქაროსანიძე	მ.აბალაკი, ნ.დათეშიძე, ნ.მირიანაშვილი, მ.მრევლიშვილი, ნ.მუზაშვილი, ნ.ოსაძე, ე. საბანაძე, ნ. ჩიტაიშვილი, ა. ხურცილავა, ლ.ხუჭუა, ი.ჯიბუტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების უმთავრესი ამოცანებია: 1.განაგრძოს მუშაობა რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალ რედაქციაზე: ა) ჯგუფი მუშაობს ახალ დარგობრივ ლექსიკაზე და განიხილავს ლექსიკონში შესატან ერთეულებს; ბ) განიხილავს ფრაზეოლოგიურ ფრაზებს და ხშირ შემთხვევაში ცვლის უკვე კალკებად მიჩნეულ შესატყვისებს. გარდამავ პერიოდში განაგრძობს მუშაობას ტექნიკური ლექსიკონის ახალ რედაქციაზე:ა) ამატებს მასალას; ბ) ტერმინებს უძებნის ინგლისურ შესატყვისებს; გ) ამზადებს მასალას სპეციალისტებთან სამუშაოდ. დ) ქმნის ტერმინოლოგიურ ბაზებს. ყოველ წელს აწყობს კონფერენციას „სამეცნიერო ტერმინოლოგია“; ორ წელიწადში ერთხელ ამზადებს კრებულს „ტერმინოლოგიის საკითხები“.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება	გ. კვარაცხელია	გ.გვანცელაძე, ტ.გურგენიძე, მ. ერქომაიშვილი, ქ. მარგიანი, თ.ლომთაძე, ს.ომიაძე, თ. ჟღენტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დაგეგმილია განმარტებული ერთეულის რევიზიასა და დეფინიციათა რედაქცია, განყოფილების წევრების მიერ შერჩეულ ენათმეცნიერების კონკრეტულ მიმართულებათა იმ საკვანძო ტერმინების

სრულად გამოვლენა, რომლებიც თითოეული დარგის ფუნდამენტურ ნაშრომებსა და მათზე დაფუძნებულ თანამედროვე კვლევებში გამოიყენება.			
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	ლექსიკოლოგიის განყოფილება	დ. ღლონტი	ა. არაბული, მ.აშაძე, თ. ბეროზაშვილი, ლ.ბინიაშვილი, მ.კელენჯერიძე, მ.კობიაშვილი, ნ.მაისურაძე, ა.პაპიძე, ქ.პეტრიაშვილი,ნ.რაზმაძე, რ.რამიშვილი, მ.რობაქიძე, მ.რობაქიძე, ლ.სოხაძე, ნ.ფონიავა, ზ.ქავთარაძე, ე.შენგელია, ნ.ჭოხონელიძე, მ.ჩაჩანიძე, ნ.ხახიაშვილი, მ.ხომასურიძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) განყოფილების გარდამავალი სამუშაო მრავალგვარია: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის სამუშაოების დასრულება; „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ელექტრონული, ინტერნეტული და პოლიოგრაფიული ვერსიების მომზადება; ისტორიულ ნასესხობათა ლექსიკონის მომზადება; ქართული ენის ცალკეულ დიალექტთა ლექსიკონების ელექტრონული, ინტერნეტული და პოლიგრაფიული ვერსიების მომზადება; ქართული ენის სპეციალური ლექსიკონების: სინონიმთა, ანტონიმთა, ომონიმთა და სხვ. მომზადება. არმოდგენილი ამოცანების წარმატებულად შესრულების მიზნით, ლექსიკოლოგიის განყოფილების მუშაობა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებით: ა) საქართველოს სახელმწიფო ენის განვითარების პრიორიტეტულობა; ბ) ქართული ფუნდამენტური და პრაქტიკული ლექსიკოგრაფიის განვითარება და პოპულარიზაცია ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში; გ) ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიაში ჩართული მეცნიერი მუშაკების მიერ მონოგრაფიებისა და მოხსენებების მომზადება საინსტიტუტო (ადგილობრივ) და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონფერენციებსა და სემინარებზე წარმოსადგენად; დ) ყოველწლიური კრებულის „ეტიმოლოგიური ძიებანი“ პერიოდული (ყოველწლიური) გამოცემა; ე) ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის გააქტიურება; ვ) ინტენსიური სასწავლო- პედაგოგიური კავშირი და თანამშრომლობა საგანმანათლებლო სისტემასთან; ზ) განყოფილების მიერ მომზადებული ელექტრონული და პოლიგრაფიული პროდუქტების რეალიზების მოქნილი სტრატეგია და ტაქტიკა.ამ სამეცნიერო ამოცანების საბოლოო მიზანია ქართული ეროვნული ენის ლექსიკური სიმდიდრის სრული აღწერა.			
№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

7	ენობრივი მონაცემების კომპიუტერული დამუშავების განყოფილება	მ. ბერიძე	დ.ანფიმიადი, ლ.ბაკურაძე, მ.ბარიხაშვილი, ც.კვანტალიანი, ზ.კიკვიძე, რ.ლანდია, ლ.ლორთქიფანიძე, ე.ნაპირელი, რ. პაპიაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) განყოფილების მუშაობა წარიმართება შემდეგი მიმართულებებით: 1.ქართული დიალექტური კორპუსის სრულყოფა (ტექსტური ბაზა და ანოტირება); 2. ქართული მეტაენის კორპუსის სრულყოფა (ტექსტური ბაზა და ანოტირება)ახალი თემატური კორპუსების შექმნის კონცეპტუალური საკითხების დამუშავება (ორ და მეტენოვანი პარალელური კორპუსები); კორპუსზე დაყრდნობილი ლექსიკოგრაფიის ტექნოლოგიური და კონცეპტუალური საკითხების დამუშავება. კორპუსზე დაყრდნობილი გრამატიკული ანალიზის ტექნოლოგიური და კონცეპტუალური საკითხების დამუშავება. 2016_ 2019 წლებში განყოფილებაში განხორციელდება ორი სამეცნიერო პროექტი (რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), რომლებშიც აქცენტი სწორედ განყოფილების პრიორიტეტულ პრობლემებზე იქნება დასმული. განყოფილებაში კვლავ გაგრძელდება იმთავითვე შემუშავებული კურსი: ყველა სახის დაფინანსება და დამატებითი რესურსი მოხმარდეს განყოფილების ფუნდამენტური პრობლემების დამუშავებას და გადაწყვეტას. დაგეგმილი გვაქვს კიდევ რამდენიმე პროექტის მომზადება ამ მიზნით.		

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
(ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ქართული სამეცნიერო მეტაენის კორპუსი, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ზ. კიკვიძე	მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ც. კვანტალიანი, დ. ნადარაია, ზ. კიკვიძე; არაძირითადი მონაწილეები: დიანა ანფიმიადი ლ. ლორთქიფანიძე, ელენე ნაპირელი

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ტექსტური კოლექცია: მომზადდა ბესარიონ ჯორბენაძის გამოქვეყნებულ ნაშრომთა სრული ელექტრონული კოლექცია (ზ. კიკვიძე, მ. ბერიძე, ც. კვანტალიანი).შეიქმნა სამენოვანი გლოსარიუმი: მომზადდა 500 ტერმინის სამენოვანი გლოსარიუმი (ქართული - ინგლისური - რუსული) -ზ. კიკვიძე
შეიქმნა ინსტრუმენტი მრავალდარგოვანი და მრავალენოვანი სამეცნიერო დისკურსის კორპუსული დოკუმენტირებისა და კვლევისათვის.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ელექტრონული ლექსიკონი, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017წწ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ვაშაკიძე	ავთ. არაბული, თ. ბურჭულაძე, რ. რატიანი (დამხმარე), ლ. ვაშაკიძე (დამხმარე)

dasrulebuli kvleviTi proeqtis ZiriTadi Teoriuli da praqtikuli Sedegebis Sesaxeb vrceli anotacia

საგრანტო პროექტი ითვალისწინებდა ენაში დამკვიდრებულ სიტყვათშემოკლებათა (როგორც ჩვეულებრივ შემოკლებებს, ისე აბრევიატურებს) მოძიება-აღნუსხვას, მათ განთავსებას ვებგვერდზე. თითოეული ფორმა წარმოდგენილია გაშიფრული ვარიანტებითურთ, თითოეულ სიტყვათშემოკლებას დართული აქვს ბრუნვისნიშნიანი და თანდებულდართული ფორმები.

შემუშავდა არაერთი წესი აბრევიატურათა მართებულად დაწერილობისა და ახლის შექმნისას ქართულისათვის ბუნებრივი ფორმათა შესახებ. ელექტრონული ლექსიკონი მარტივად გამოსაყენებელია ნებისმიერი მომხმარებლისათვის. ესაა სიტყვათშემოკლებათა პირველი ლექსიკონი ჩვენს სინამდვილეში.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო, ქართველური ენათმეცნიერება, 2014-2017წწ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ვაშაკიძე	ავთ. არაბული, თ. ბურჭულაძე, რ. რატიანი (დამხმრაე), ნ. ქავთარაძე (დამხმარე), ნ. კახაძე (დამხმარე)

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტი ითავლისწინებდა ოფიციალურ-საქმიანი სტილის ნიშან-თვისებების გამოყოფასა და ანალიზს. პროექტით გათვალისწინებულია ოფიციალური სფეროს, საქმიანი ურთიერთობებისათვის განკუთვნილი ქაღალდების არსისა და მართებული დაწერილობის განსაზღვრა: საკანონმდებლო დოკუმენტები, საქმიანი ქაღალდები, სამოქალაქო სუბიექტთა დოკუმენტები, სახელმწიფო დოკუმენტები, საზოგადოებრივი ურთიერთობისა და რეკლამის ენა. თითოეული მათგანი აქტუალურია დღეს და ხშირად გამოყენებადი. ვებგვერდზე ofsty.ge ეტაპობრივად განთავსდა დასახელებულ დოკუმენტებში დადასტურებული ხშირი შეცდომები, მომხმარებელს კი ვთავაზობთ მათ სწორ ვარიანტს. საბოლოოდ გამოიცა ვრცელი მონოგრაფია „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო“. მას დართული აქვს ასევე საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
4	კავკასიურ-ქართული ლექსიკონები ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევებით (№ AR/243/2-132/14), 2015-2017 წწ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. ლოლუა	ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, ნ. მაჭავარიანი, რ. ფარეულიძე, ვ. შენგელია

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერულ კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. შექმნილია

მრავალი გამოკვლევა, რომლებიც ეძღვნება ამ ენათა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული შესწავლის პრობლემებს. ქართველი მეცნიერების წვლილი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია; მათი ავტორობით გამოქვეყნებულია ასობით მონოგრაფია და კრებული, ათასობით სტატია ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა აგებულების აქტუალურ საკითხებზე.

თუ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკური სისტემისა და გრამატიკული წყობის კვლევა-ძიებაში მიღწეული წარმატებები თვალსაჩინოა, ამას ვერ ვიტყვით ლექსიკოგრაფიის შესახებ, განსაკუთრებული ჩამორჩენა კი თარგმნითი ლექსიკონების შედგენის საქმეში გვაქვს. აფხაზურ-ქართული, ქართულ-აფხაზური და ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონების გარდა, სხვა ამგვარი ლექსიკონები უკანასკნელ ხანებამდე არ მოგვეპოვებოდა.

ამ არასახარბიელო ვითარების გამოსასწორებლად გადადგმულ პირველ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „**კავკასიურ-ქართული ლექსიკონები ლინგვისტური კომენტარებით, ინდექსითა და გრამატიკული ნარკვევებით**“, რომლის ფარგლებში თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა ექვსი ლექსიკონი: აფხაზურ-ქართული (შემდგენელი ნ. მაჭავარიანი), ჩერქეზულ-ქართული (ვ. შენგელია), ინგუშურ-ქართული (რ. ფარეულიძე), ხუნძურ-ქართული (ლ. აზმაიფარაშვილი), ბეჟიტურ-ქართული (ნ. არდოტელი) და უდიურ-ქართული (რ. ლოლუა) (იხ. http://ice.ge/of/?page_id=275). თითოეული ლექსიკონის მოცულობა არანაკლებ 5000 სიტყვისაა. ყველა ლექსიკონს ახლავს ინდექსი, თითოეულ სიტყვასთან წარმოდგენილია ლინგვისტური კომენტარები (კვალიფიკაციები) და სათანადო საილუსტრაციო მასალა. ამასთანავე, ლექსიკონებს ერთვის ონომასტიკური მასალა (ანთროპონიმები, ეთნონიმები, ტოპონიმები) და მოკლე გრამატიკული ნარკვევები.

I. 4

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA) N217008, 2016-2018წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ბერიძე	ე. ნაპირელი, მ. ბარიხაშვილი, ც. კვანტალიანი, დამხმარე: ე. კიკნაძე, ი. სალია, ლ. ბაკურაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი ***დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი*** წარმოადგენს დიდი სამუშაოს გაგრძელებას და განვითარებას, რომელიც მიმდინარეობდა პროექტის _ „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ _ ფარგლებში.

შეიქმნა ქართული დიალექტური ენობრივი მასალის წარმოდგენის მნიშვნელოვანი

პლატფორმები: ტექსტების კორპუსისა და ელექტრონული ლექსიკონების სამუშაო და სამომხმარებლო აპლიკაციები, ორმილიონსიტყვიანი ტექსტური ბაზა; საფუძველი ჩაეყარა ლექსიკოგრაფიულ ბაზას. შეიქმნა მორფოსინტაქსური ანალიზის სისტემა, ჩატარდა ნაწილობრივი ანოტირება. შეიქმნა და გამოქვეყნდა ოთხი ელექტრონული ლექსიკონი.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დიალექტური კორპუსისა და ლექსიკოგრაფიული რედაქტორის ბაზაზე ***დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნას და ენობრივი მონაცემების კარტოგრაფიული ვიზუალიზაციის უზრუნველყოფას.***

როგორც ინტერაქტიური ინსტრუმენტი, ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და მისი კარტოგრაფიული კომპონენტი _ (ქართული დიალექტური ელექტრონული ატლასი) უნდა გახდეს მნიშვნელოვანი რესურსი არა მხოლოდ მისი ინფორმაციის დიდი მოცულობისა და მისი ეფექტური სამომხმარებლო ფუნქციების გამო, არამედ იმითაც, რომ ის იქნება ღია რესურსი და ექნება საყოველთაო წვდომა.

ბაზას ექნება პოტენციალი, იქცეს მძლავრ სასწავლო-სამეცნიერო რესურსად. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სხვადასხვა საფეხურის აკადემიურ სწავლებაში, ისე სამეცნიერო მიზნებით _ როგორც აუცილებელი ინსტრუმენტი მრავალმხრივი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისათვის.

პროექტში სამუშაო ორი მიმართულებით გავითარდება

- დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზისა და კარტოგრაფიული ვიზუალიზების ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა
- დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზის ინფორმაციული გამდიდრება (ახალი ელექტრონული ლექსიკონების გამოქვეყნება, მათი მრავალდონიანი ანოტირება, ელექტრონული რუკების შექმნა)

ლექსიკონების მარკირების სისტემის გაღრმავება თვისობრივად შეცვლის მათში სამომხმარებლო ძიების შესაძლებლობებს _ მომხმარებელს მიეცემა საშუალება, თავად დააგენერიროს სასურველი ლექსიკონი მონაცემთა დიდი მასივიდან და შექმნას სხვადასხვა სუბლექსიკონები (უცხო ენიდან შემოსული სიტყვების ლექსიკონი, კომპოზიტების ლექსიკონი, საკუთარ სახელთა ლექსიკონი, ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონი, დარგობრივი ტერმინების ლექსიკონები და სხვა).

პროექტის ფარგლებში იგეგმება თანამშრომლობა კომპიუტერული მეცნიერებების, კორპუსლინგვისტიკისა და დიგიტალური ჰუმანიტარიის მიმართულებით მომუშავე კოლეგებთან.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქართული დიალექტური კორპუსის ინფორმაციული პოტენციალი ერთიორად გაიზრდება. მომხმარებელს ხელთ ექნება უნივერსალური და უნიკალური ტექსტური და ლექსიკოგრაფიული საცნობარო სისტემა არა მხოლოდ ფართო და მოქნილი საძიებო სისტემით, არამედ სხვადასხვა ტიპის ლექსიკონის თვითგენერირებისა და კარტოგრაფიული ვიზუალიზების უნიკალური შესაძლებლობით.

N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
2	svanuri enis Coluruli metyvelebis Taviseburebani (fundamentur-	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გ. გაზდელიანი	ნ. შავრეშიანი, რ. ჭკადუა, ლ. გიგლემიანი (ლინგვისტ-

	gamoyenebiTi gamokvleva teqstebiTurT, 2015-2018 ww.			ასისტენტი), მ. საღლიანი (ლინგვისტ-ასისტენტი), შ. შავრეშიანი (ლინგვისტ-ასისტენტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) IV-V ტრანშის განმავლობაში პროექტის ფარგლებში დამუშავდა რამდენიმე საკითხი, კერძოდ: 1. ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხები, 2. მორფონოლოგია-მორფოლოგიის (სახელისა და ზმნის) საკითხები, 3. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები და ა. შ. დაიბეჭდა რამდენიმე სტატია და თეზისი (მაგ.: „აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაციის პროცესები ჩოლურულ მეტყველებაში“, ეკონომიურობის პრინციპისათვის ჩოლურულ მეტყველებაში“, „ზედსართავ სახელთა წარმოება ჩოლურულ მეტყველებაში“ და სხვ.				
N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
3	ელიზია სვანურ ენაში (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა სიმფონია-ლექსიკონითურთ), ქართველური ენათმეცნიერება, 2015-2018წწ	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. საღლიანი	ლ. გიგლემიანი, შ. შავრეშიანი, ნ. შავრეშიანი (ლინგვისტ-ასისტენტი), რ. ჭკადუა (ლინგვისტ-ასისტენტი), გ. გაზდელიანი (ლინგვისტ-ასისტენტი)
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) IV-V ტრანშის განმავლობაში პროექტის ფარგლებში დამუშავდა რამდენიმე საკითხი, კერძოდ: 1. მარტივ ელიზიურ პროცესებში მონაწილე რამდენიმე არაიდენტურ (□+ე, ა+ო, ა+უ, ა+ე, ა+□, □+ა) ხმოვანთკომპლექსზე, 2. ელიზია რთულ პრევერბებში, 3. ელიზია თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ ჩოლურული მეტყველების მიხედვით, 4. გაგრძელდა მუშაობა ელიზიურ სიტყვათა სიმფონია-ლექსიკონზე, 5. დაიბეჭდა რამდენიმე სტატია და თეზისი და, ასევე, დასაბეჭდად გადაიცა რამდენიმე სტატია.				
N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	ბის მითითებით			
4	ქართული ენობრივი კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში (GLITEA), 2016-2019 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლ. ბაკურაძე	ე. ნაპირელი, მ. ბარიხაშვილი, დ. ანფიმიადი, ნ. ნახუცრიშვილი, დამხმარე- მ. ბერიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფერეიდნული დიალექტი ირანში _ კორპუსული დოკუმენტირება და კვლევა _ ითვალისწინებს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში - ისპაჰანის რეგიონში - ქართულენოვანი კუნძულის _ ფერეიდნულის - წარმოშობის, განვითარებისა და შენარჩუნების ლინგვისტური ასპექტების გრძელვადიან კვლევას. კვლევა წარიმართება ქართული ენის დიალექტურ კორპუსზე (ქდკ _ http://corpora.co) დაყრდნობით და ამავე დროს ორიენტირებული იქნება მის შემდგომ განვითარებაზე.

პროექტი შეავსებს იმ დეფიციტს, რომელიც არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში (ისტორიოგრაფიაში, ეთნოგრაფიაში, ენათმეცნიერებაში, კულტუროლოგიაში და სხვ.) ცივლიზაციის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი ფრაგმენტის – ენობრივი კუნძულების ეკოლოგიის – მეცნიერული აღწერისა და მათი ტრანსდისციპლინური (დარგთაშორისი) შესწავლის საქმეში.

ქართული ენობრივი კუნძული ირანში, ფერეიდნული დიალექტის სახით, უკვე 400 წელზე მეტია არსებობს. ფერეიდნული დიალექტი სამეცნიერო ინტერესის სფეროში დაახლოებით ასი წლის წინ მოექცა, თუმცა დღემდე არ არსებობს ამ უნიკალური კულტურული და ენობრივი მონაცემის მონოგრაფიული კვლევა.

პროექტის მიზანია თავი მოუყაროს დღემდე არსებულ ენობრივ რესურსებს, კულტურულ არტეფაქტებს, სამეცნიერო მოსაზრებებსა და ისტორიულ ცნობებს ფერეიდანისა და ფერეიდნული დიალექტის შესახებ და შექმნას დიალექტის, როგორც უნიკალური ენობრივი კუნძულის ახალ ტექნოლოგიებზე (ტექსტების ელექტრონული კორპუსი) დამყარებული მონოგრაფიული ანალიზი.

პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის _ ”ფერეიდნული ეტიუდების” შექმნას, რომელიც გულისხმობს ლინგვისტური ტექსტების კულტურული კონტექსტით გააქტიურებას. ”ფერეიდნული ეტიუდები” იქნება ნაშრომი, რომელიც შეიქმნება ზეპირი ისტორიისა და დოკუმენტური პროზის გზაჯვარედინზე, ერთნაირად საჭირო და საინტერესო იქნება როგორც ფერეიდნელი ქართველებისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვის და ხელს შეუწყობს ენობრივი კუნძულისა და ბირთვული არეალის საერთო კულტურული მეხსიერების აღდგენის პროცესს.

პროექტის ფარგლებში ახალი მასალით შეივსება ფერეიდნულის ონლაინლექსიკონი. წარმოდგენილი პროექტი, ერთი მხრივ, ავითარებს კორპუსის ტექსტურ კოლექციას და ონლაინლექსიკონს, რომლებიც წინა პროექტებში შეიქმნა ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ), მეორე

მხრივ, ქმნის განსაკუთრებული მეცნიერული სანდოობისა და მოცულობის ემპირიული ლინგვისტური მასალის კორპუსული კვლევის პრეცედენტს, რომლის შედეგების განზოგადება სცილდება მხოლოდ ქართველოლოგიის ფარგლებს და მნიშვნელოვანია ზოგადად ასეთი კუნძულური ენობრივი წარმონაქმნების კვლევისათვის.

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
5	კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში, ქართველური ენათმეცნიერება, 2016-2019 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ი. ჩანტლაძე	ქ. მარგიანი-სუბარი (კოორდინატორი), ქეთევან მარგიანი-დადვანი, ნათია ფონიავა, რუსუდან იოსელიანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საგრანტო პროექტის „კოდორული მეტყველების ადგილი სვნური ენის სისტემაში“ ფარგლებში მიმდინარე წლის განმავლობაში გაკეთდა სვანური მასალის ინდექსი 48 ასოზე, რომელიც გაეგზავნა უცხოელ კონსულტანტს _ პროფესორ ჰაინც ფენრიხს სათარგმნად და დასამუშავებლად. აქტიურად წარიმართა კოდორული მეტყველების ფონოლოგიის საკითხების კვლევა (ი. ჩანტლაძე), ასევე დიგლოსიური მოვლენების ძიება-დაფიქსირება „კოდორული ქრონიკებში“ მოცემული მეგრელი რძლების მეტყველების ნიმუშების მიხედვით (ნ. ფონიავა). მეორე საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა კოდორული მეტყველების ნიმუშების კვლევა სახელისა და ზმნის მორფოლოგიის მიმართულებით. როგორც უკვე „კოდორული ქრონიკების“ ტექსტების, ასევე მივლინებაში მოპოვებული მასალების ინდექსის ერთი მონაკვეთი, ჩვენ მიერ დამუშავებული, უცხოელმა კონსულტანტმა _ პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა თარგმნა გერმანულად. აქტიურად წარიმართა კოდორული მეტყველების მორფოლოგიის საკითხების კვლევა (ი. ჩანტლაძე), ასევე ბილინგვური მოვლენების ძიება-დაფიქსირება „კოდორული ქრონიკებში“ მოცემული აფხაზი რძლების მეტყველების ნიმუშების მიხედვით (ნ. ფონიავა). ორივე საკითხის კვლევაში ნაწილობრივ უკვე ჩართულია მე-2 ტრანშით დაგეგმილი მივლინების დროს ველზე მუშაობის შედეგად მოპოვებული მასალები თუ ჩანაწერები. პროექტის წევრების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი მოხსენება ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონერენციებზე:

ქ. მარგიანი, **„სვანური ენის კოდორული მეტყველების ერთი სპეციფიკური მოვლენისათვის“** _ წაკითხულ იქნა აკაკი შანიძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე თსუ-ში, დაიბეჭდა თეზისები (2. კონფერენციაზე „არნ. ჩიქობავას საკითხავები XXVIII” კვლევის პირველადი შედეგების მიხედვით გამოვლენილი ტენდენციები მოხსენებაში **„კოდორული სვანური მეტყველების კვალიფიკაციისათვის“** წარმოადგინა ი. ჩანტლაძემ. დაიბეჭდა თეზისები (http://ice.ge/of/wp-content/uploads/2017/04/XXVIII-Arnold-Chikobavas-Sakitxavebi-2017.pdf).

3. ქ. მარგიანი, **„I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ფორმათა სპეციფიკა სვანურ ენაში** (კოდორული მეტყველების მასალების მიხედვით)“, ზ. ჭუმბურიძის საიუბილეო კონერენცია, თსუ (სტატია იბეჭდება).

4. პროექტის ახალგაზრდა წევრმა, დოქტორანტმა ნათია ფონიავამ მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა მეცნიერთა **პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე** (თსუ, 20-23 ნოემბერი, 2017), მოხსენება: **„ინტერფერენციული მოვლენები კოდორის ხეობის სვანურ მეტყველებაში“;** https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/Sumposium%2020-23.2017.pdf

5. ქ. მარგიანი-დადვანი, **დალის ხეობის ონომასტიკის რამდენიმე ასპექტი** (ახალი კოდორული მასალების მიხედვით), **არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVIII** თბილისი, 2017

N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
6	დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი (GEDA) 2016-2019 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მ. ბერიძე	რუსუდან პაპიაშვილი (კოორდინატორი) დავით ნადარაია ციცინო კვანტალიანი ელენე ნაპირელი ელენე კიკნაძე მაია ბარიხაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი დიდი ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიული ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი წარმოადგენს დიდი სამუშაოს გაგრძელებას და განვითარებას, რომელიც მიმდინარეობდა პროექტის _ „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ _ ფარგლებში.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს დიალექტური კორპუსისა და ლექსიკოგრაფიული რედაქტორის ბაზაზე დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზის შექმნას და ენობრივი მონაცემების კარტოგრაფიული ვიზუალიზაციის უზრუნველყოფას.

ბაზას ექნება პოტენციალი, იქცეს მძლავრ სასწავლო-სამეცნიერო რესურსად. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც სხვადასხვა საფეხურის აკადემიურ სწავლებაში, ისე სამეცნიერო მიზნებით _ როგორც აუცილებელი ინსტრუმენტი მრავალმხრივი ლინგვისტური და ინტერდისციპლინური კვლევებისათვის.

პროექტში სამუშაო ორი მიმართულებით გავითარდება: დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზისა და კარტოგრაფიული ვიზუალიზების ტექნოლოგიური ჩარჩოს შექმნა; დიდი ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზის ინფორმაციული გამდიდრება (ახალი ელექტრონული ლექსიკონების გამოქვეყნება, მათი მრავალდონიანი ანოტირება, ელექტრონული რუკების შექმნა)

ლექსიკონების მარკირების სისტემის გაღრმავება თვისობრივად შეცვლის მათში სამომხმარებლო ძიების შესაძლებლობებს _ მომხმარებელს მიეცემა საშუალება, თავად დააგენერიროს სასურველი ლექსიკონი მონაცემთა დიდი მასივიდან და შექმნას სხვადასხვა

სუბლექსიკონები.				
N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
7	„ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“ (DI – 2016 – 32) 2016-2019 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. ლომთაძე	პროექტის კოორდინატორი - ლალი გულედანი ძირითადი შემსრულებლები: ცირა ჯანჯღავა, რიტა ჯაიანი, ანი კვირიკაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2016-2019 წლებისათვის რუსთაველის ფონდმა დააფინანსა გრანტი „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“(DI – 2016-32, პროექტის ხელმძღვანელი - თ. ლომთაძე). პირველი პერიოდის განმავლობაში დაგეგმილი გვქონდა 4 ამოცანის შესრულება: 1. მასალის ჩაწერა ისრაელში; 2 ტექსტური მასალის მომზადება; 3 მასალის ფონეტიკური ანალიზი; 4 მასალის მორფოლოგიური ანალიზი. ამასთანავე გვევალებოდა 2 სტატიის გამოქვეყნება და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. პროექტის ყველა მონაწილემ შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა.

ისრაელში რესპოდენტთა ჩაწერისას გავითვალისწინეთ მათი ასაკობრივი, განათლებირივი, განსახლებითი, სქესობრივი და სხვა სოციოლინგვისტური მაჩვენებლები (ჩავიწერეთ 15 მამაკაცი და 21 ქალი). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცხინვალელი, სოხუმელი, ახალციხელი, ლაგოდეხელი, აჭარელი ებრაელების მეტყველების ჩაწერას ქართული დიალექტოლოგიისათვის, რადგან ამ მეტყველებრივი ერთეულის ჩაწერა და კვლევა საქართველოში არასოდეს მომხდარა. თუმცა სხვა კუთხეში მცხოვრები ებრაელების მეტყველებრივი ნიმუშებიც იმდენად ცოტაა, რომ შეიძლება ითქვას, ქართული დიალექტოლოგია ამ მხრივ, მხოლოდ ახლა ივსებს დანაკლისს. იერუსალიმის უნივერსიტეტსა და საქართველოს ბიბლიოთეკებში შევაგროვეთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია. მეორე ამოცანა გახლდათ ვიდეოფაილებისაგან ტექსტური მასალის მომზადება. ჩაწერილი მასალა რაოდენობრივად საკმაოდ მოცულობითია. ტექტური ფაილები ჯამში 510 კომპიუტერული გვერდია. პარალელურად გავამზადეთ პირველი ეტაპისათვის დაგეგმილი ანოტაციები. მესამე ამოცანა გახლადათ მასალის ფონეტიკური ანალიზი. მოვახდინეთ ტექსტური მასალის მიხედვით მასალის ფონეტიკური დამუშავება. ამასთანავე, შევისწავლეთ ებრაული ინტონაციის საკითხები სპეციალური პროგრამების გამოყენებით. მეოთხე ამოცანა - მასალის მორფოლოგიური ანალიზი, ძალიან საინტერესო შედეგების მომცემი აღმოჩნდა. მორფოლოგიურმა ანალიზმა მოგვცა საშუალება დაგვედასტურებინა ებრაელთა მეტყვეებისათვის სპეციფიკური მორფოლოგიური მოვლენები როგორც გეოგრაფიული სხვაობების მიხედვით, ასევე მოვლენები, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხიდან მიგრირებულ ებრაელს ახასიათებს. აღვრიცხეთ ებრაელთა გვარებისა და სახელების ტრანსფორმაციები. გეგმა-გრაფიკის მიხედვით დაგეგმილი გვქონდა 2 სტატიის მომზადება და ერთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული პროცესები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში, დაიბეჭდა 2 სტატია.

N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8	კავკასიის ალბანური ენის გრამატიკული ანალიზი (YS-2016-45) 2016-2018 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. ლოლუა	ვ. შენგელია, ი. აბდულაევი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდების გამოყენებით კავკასიის ალბანურში მოხდეს ენობრივი მოვლენებისა და სტრუქტურულ თავისებურებათა წარმოჩენა; ანალიზი განხორციელდება გრამატიკის ყველა დონეზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა).

პროექტის განხორციელების შედეგად მივიღებთ სპეციალურ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც, ერთი მხრივ, შეძლებისდაგვარად სრულად იქნება წარმოდგენილი ენობრივი ფაქტების აღწერა, ხოლო, მეორე მხრივ, გვექნება ალბანური ენის სტრუქტურულ თავისებურებათა სისტემური შედარება სხვა კავკასიურ ენებთან. შედარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, იქნება მოხმობილი უდიურისა და სხვა ლეზგიური ენების მონაცემები, ხოლო საჭიროებისამებრ – სხვა მონათესავე ენების მასალაც.

პროექტის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება, რადგან კავკასიის ალბანური ენის კვლევის მიმართულებით ჯერ მხოლოდ ცალკეული ნაშრომები მოგვეპოვება, რომლებშიც კავკასიის ალბანურის სტრუქტურა საჭირო სისრულით არ არის წარმოდგენილი.

კავკასიის ალბანური ენის შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ძველი დამწერლობის მქონე კავკასიის მეორე ენდოგენური ენაა (ქართულთან ერთად), რომელსაც მოეპოვება უძველესი წერილობითი ძეგლები. კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლების გაანალიზება კავკასიოლოგიისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება – ალბანურის შესწავლას შეუძლია ნათელი მოჰფინოს კავკასიაში გავრცელებულ ენათა დიაქრონიული ვითარების ამსახველ არაერთ მოვლენას.

N	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
9	„სვანური ტოპონიმიკა (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკვლევა ლექსიკონი-თურთ)“ 2016- 2019 წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	რ. ჭკადუა	ლ. გიგლემიანი, მედეა საღლიანი, ელიზავეტა გაზდელიანი, ნატო შავრეშიანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში დამუშავდა რამდენიმე საკითხი, კერძოდ: 1. მასალის ამოწერა გამოქვეყნებული სვანური ტექსტებიდან, 2. ამბაკო ჭკადუას მიერ შეგროვილი მასალის კომპიუტერში შეტანა, 3. **რამდენიმე სვანური (ჩოლურული) ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის**, ეტიმოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი, 2017 (გადაცემულია დასაბეჭდად), 4. **Present state and topicality of the research of Svan toponymy** (თანაავტორი რ. ჭკადუა), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 13, № 3, თბილისი, 2017 (გადაცემულია დასაბეჭდად).

N	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
10	მეგრულ-ლაზური ინტონაცია, ქართველოლოგიური ენათმეცნიერება, 2016-2019წწ.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ე. შენგელია	ნათია ფონიავა, ვაჟა შენგელია, მაია მემიშიში, ლევან ვაშაკიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებული იყო: 1) საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფიის შედგენა ქართულენოვანი და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით; 2) სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი; 3) გამოქვეყნებული მეგრული ტექსტებისა და ლექსიკონების დამუშავება, სათანადო მასალის ამოწერა; 4) სამეგრელოში ექსპედიციისათვის კითხვარის შედგენა; 5) ექსპედიცია სამეგრელოში (ჩხოროწყუ, აბაშა, მარტვილი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, ფოთი) და სხვადასხვა ასაკის, სქესისა და სოციალური წრის ადამიანებისაგან მეგრული და ქართული მეტყველების ნიმუშების ჩაწერა; 6) ექსპედიციაში მოპოვებული მასალების კლასიფიკაცია და ანალიზი; 7) მიღებული შედეგების წარდგენა წამყვან ორგანიზაციაში (თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში); 8) მივლინება ქვეყნის გარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად (პროექტის მონაწილეებმა ეთერ შენგელიამ და ნათია ფონიავამ მოამზადეს ერთი მოხსენება, რომელიც მიეძღვნა მეგრულ-ლაზური კითხვითი წინადადების ინტონაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კონფერენცია ჩატარდა ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში. ეთერ შენგელიამ წარმოადგინა საკვლევი საკითხის თეორიული ნაწილი, ხოლო ნათია ფონიავამ - ექსპერიმენტული ანალიზი).

გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყველა სამუშაო შესრულდა.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის რედაქციით	ახალი ქართული ენა, დიალექტების მორფოლოგია, წიგნი III	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	480

წიგნი, ფაქტობრივ, წარმოადგენს ქართული სალიტერატურო ენის მორფოლოგიის სისტემური კურსის (I და II წიგნები) გაგრძელებას. მასში წარმოდგენილია, თუ რა თავისებურებას ავლენს დიალექტებში ცალკეული მორფოლოგიური საკითხები. ეს კურსი არის პირველი ცდა დიალექტების მორფოლოგიის კრებსითი ანალიზისა. წიგნს ერთვის ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის რედაქციით	ახალი ქართული ენა, დიალექტების მორფოლოგია, წიგნი IV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	512

წიგნი, ფაქტობრივ, წარმოადგენს დამატებით მასალას ამ სერიის III წიგნისას; მასში წარმოდგენილია თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტის სახელის ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები. თითოეული დიალექტის მასალას ერთვის მეტყველების ნიმუშები და ძირითადი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ნ. მაჭავარიანი	აფხაზური ენის გრამატიკის საკითხები(აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების გათვალისწინებით) ტექსტებითა და ლექსიკონით	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	222

წინამდებარე მონოგრაფიაში წარმოდგენილია აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიისა და გრამატიკული აღწერითი ანალიზი და აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველების თავისებურებანი. აფხაზური ენის სისტემისა და ისტორიის უკეთ

წარმოსაჩენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც აფხაზეთში გავრცელებულ დიალექტთა მონაცემების შესწავლას, ისე აფხაზეთიდან გეოგრაფიულად მოწყვეტილ არეალებში წარმოდგენილი აფხაზური მეტყველების თავისებურებათა გათვალისწინებას.

ერთვის ავტორის მიერ საველე პირობებში მოპოვებული მასალა (ჟანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტები სიტყვასიტყვითი ქართული თარგმანით) და მოკლე (1900-მდე ლექსიკური ერთეულის შემცველი) აფხაზურ-ქართული ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევართათვის, თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტებისათვის, კავკასიურ ენათა სპეციალობის სტუდენტთა და კავკასიის ხალხთა კულტურისა და ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ა. არაბული, თ. ბურჭულაძე, თ. ვაშაკიძე	სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო – საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი	თბილისი,	625

წიგნი წარმოადგენს სპეციალურ გამოკვლევასა და ლექსიკონს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ისეთი აქტიური სფეროსათვის, როგორიც საჯარო მოხელეთა საქმე და ასპარეზია. მონოგრაფიას თან ახლავს საქმიაწარმოების ქაღალდების ვრცელი ნიმუშები, მათი მართებული ვარიანტები. განხილულია სახელმწიფო ენის სფეროს სხვადასხვა საკითხი, თავისებურებანი.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	ლ. ქაროსანიძე	ანტიკურ-ბიზანტიური თეორიები ენის შესახებ და ქართული გრამატიკული აზრის ისტორია	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	403

ბერძნული ფონეტიკის, მეტყველების ნაწილთა თანმიმდევრობის, ბრუნვათა თუ სხვა მრავალ საკითხთა შესახებ არსებული ფილოსოფიური თუ შუა საუკუნეების, ფილოსოფიისაგან მეტ-ნაკლებად გამიჯნული, თეორიები ენის შესახებ დაწვრილებითაა წარმოდგენილი დიონისოს თრაკიელის გრამატიკის საკმაოდ ვრცელ კომენტარებში, რომლებსაც, როგორც თანდათან იკვეთება, ზედმიწევნით იცნობდნენ ძველი ქართველი მთარგმნელები. ქართული გრამატიკული აზროვნება და, შესაბამისად, ქართული მთარგმნელობითი მეთოდების კვლევა ანტიკურ-ბიზანტიური ენობრივი თეორიების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. ნათელია, რომ ქართული გრამატიკული აზროვნება ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით ვითარდებოდა თითქმის XIX საუკუნის დასასრულამდე. წიგნში გამოყოფილია ძველი ქართული გრამატიკული აზროვნების ოთხი პერიოდი და განხილულია ძველი ქართული

ტერმინოლოგია ბერძნულ პირველწყაროებზე დაყრდნობით. ამ მიმართულებით კვლევა უამრავ ახალ კითხვას აჩენს, რაც უთუოდ გაზრდის გრამატიკული აზროვნების ისტორიის მიმართ მომდევნო თაობის მკვლევართა დაინტერესებას.

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ი. ჩანტლაძე	სვანური ენის შესწავლის ისტორია	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	226

ნაშრომს დამხმარე სახელმძღვანელოს სახით გამოიყენებენ სახელმწიფო უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში, აგრეთვე, ყველა ის პირი, ვისაც კავკასიოლოგია-ქართველოლოგიის ისტორია და თანამედროვე ვითარება აინტერესებს.

წინამდებარე წიგნზე მუშაობას წარმართავდა **არნოლდ ჩიქობავას** თვალსაზრისი: „სახელმძღვანელოში განხილული მასალა გარკვეული თანამიმდევრობით უნდა იყოს დალაგებული და იმავდროულად ერთგვარ მთლიანობას ქმნიდეს, – წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნება სისტემატური კურსი, თუნდაც ელემენტარული. სხვა ტიპის სასწავლო ლიტერატურას ე. წ. „ინფორმაციის მომხმარებლის“ მომზადება თუ შეუძლია, თან ისეთის, რომელსაც არსებითისა და არაარსებითის, მთავრისა და მეორეხარისხოვნის გარჩევა უჭირს. უმაღლესმა სასწავლებელმა მსმენელს არა მხოლოდ უნდა შეათვისებინოს გარკვეული ოდენობის ცოდნა, რაც მთავარია, უნდა ასწავლოს მეცნიერული აზროვნება“.„ინფორმაციის სისრულეს ვერავითარი სასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს (შესასწავლს რა გამოლევს!..), ცოდნის შევსებას კი ახალგაზრდა შემდეგშიც შეძლებს, თუ მთავარი იცის და თავის დარგში აზროვნება შეუძლია.“ წიგნი მიძღვნილია აკადემიკოსების – არნ. ჩიქობავასა და ვ. თოფურია ხსოვნას.

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კრებული	დიალექტოლოგიური კრებული, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	281

კრებულში თავმოყრილია ქართულ დიალექტთა გრამატიკის სხვადასხვა საკითხი: მორფოლოგიური, სინტაქსური თუ ლექსიკურ-სემანტიკური საკვანძო საკითხები. კრებული (ისევე როგორც 37-ე დიალექტოლოგიური სესია) მიეძღვნა პროფ. თედო უთურგაიძის დაბადების 90 წლის იუბილეს.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ავტორთა კრებული	ეტიმოლოგიური ძიებანი, XIII ტ.	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	142

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია. კრებული 1987 წელს დაფუძნდა აკად. ქეთევენ ლომთათიძის ინიციატივით. კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა. კრებული მიეძღვნა ცნობილ მეცნიერს, ილია აბულაძეს.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	ავტორთა კრებული	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	254

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ძირითადი პერიოდული ორგანოს მორიგ ტომში წარმოდგენილია 26 სტატია, რომლებშიც განხილულია ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ფრაზეოლოგიის, ლექსიკისა და სემანტიკის საკითხები, აგრეთვე, კავკასიაში ენობრივი კონტაქტების შედეგები.

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	ავტორთა კრებული	ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	182

მეჩვიდმეტე წიგნი (ისევე როგორც წინა წიგნები) მოიცავს წერილებს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. არაბული	ხევსურულის პარადიგმები. - თანამედროვე ქართული ენა. დიალექტების მორფოლოგია	მე-4	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	113-147
2	ა. არაბული	„დაიცავს“ თუ „დაიპყრობს“. - ნიკოლოზ ბარათაშვილი-200		თბილისი	23-28
3	ა. არაბული	ასათიანური - ჰეროიკული სულის პოეტიკა. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“		ქუთაისი	3-6
4	ა. არაბული	ეროვნული მისია და ევროპული ყაიდის მეცნიერი. - აკაკი შანიძე, 130. ქართული საქმის კაცი		თბილისი	102-112
5	ა. არაბული	მეცნიერების ეპოქა და ქართული საენათმეცნიერო სკოლა. - საპატრიარქოს უწყებანი	#9 (839; #10 (840)	თბილისი	6-8; 9-11
6	ა. არაბული	ფხოვური ლირიკის ზოგიერთი ენობრივ-პროსოდიკული ნიშნისათვის. - დიალექტოლოგიური კრებული		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	3-6
7	ა. არაბული	მზექალა შანიძე - პიროვნება და მეცნიერი. - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კრებული, მიძღვნილი მ. შანიძის დაბადების 90 წლისადმი		თბილისი	
8	ნ. არდოტელი	ქართულიდან ნასესხები	XLV	თბილისი,	9-14

		ლექსიკის ფონეტიკური და მორფოლოგიური ადაპტაციისათვის ბეჟიტურ ენაში. - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება		თსუ-ს გამომცემლობა	
9	ნ. არდოტელი	ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ზმნური ფუძეების სტრუქტურისა და მათი რეკონსტრუქციისათვის. - კავკასიოლოგიური ძიებანი	8	თბილისი	
10	ნ. არდოტელი	ხუნძური თანხმოვნების ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში. - ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	9-18
11	ლ. ბაკურაძე	,,ქართველები ირანში – რეინტეგრაციის კულტურული და ლინგვისტური ასპექტები.“ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებული, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო	X	თბილისი	12-22
12	მ. ბუკია	ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები-ზედსართავი სახელი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	15-22
13	მ. ბუკია	საქონლის ასაკობრივი დიფერენციაციის აღმნიშვნელი სიტყვები მეგრულში, დიალექტოლოგიური კრებული		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	11-21
14	მ. ბუკია	მწყემსური ლექსიკა მეგრულ ტოპონიმიკაში,	8	თბილისი	68-77

		ქართველური ონომასტიკა			
15	თ. ბურჭულაძე	პრედიკატული განსაზღვრებისა და ზმნური შესიტყვების საკითხის თაობაზე, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	23-28
16	თ. ბურჭულაძე	განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ზოგი კავშირის გამოყენების შესახებ, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	24-29
17	ე. გაზდელიანი	ზოგი სვანური ტერმინის ეთნოლინგვისტური ანალიზი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ქართველური ენათმეცნიერება, საიუბილეო გამოცემა, ,,ზურაბ ჭუმბურიძე -90	IV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
18	ლ. გიგლემიანი	დაახლოებითი რიცხვითი სახელის შესახებ სვანურში, „ენა და კულტურა“	IV	ქუთაისი	
19	გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე	ქართული დამწერლობის ძეგლები დაღესტანში. - IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, შრომები	IV	ქუთაისი	81-86
20	გ. გოგოლაშვილი	ერთთემიან ზმნათა პირველი სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებანი დიალექტებში:		თბილისი	28-35

		დიალექტოლოგიური კრებული			
21	გ. გოგოლაშვილი	პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის არქაული ფორმები ქართულ დიალექტებში: ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები	IV	გორი	
22	გ. გოგოლაშვილი	აკაკი შანიძე - ქართული მეცნიერების რაინდი (დაბადებიდან 130 წლისთავის გამო): „კულტურათშორისი დიალოგები“, შრომები	IV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
23	გ. გოგოლაშვილი	ზმნისწინთა მონაცვლეობის საკითხისათვის ქართული ენის დიალექტებში: IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, მასალები	IV	ქუთაისი	
24	ნ. დათეშიძე	პოლისემია და ომონიმია თარგმნით ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	31-41
25	თ. ვაშაკიძე	ერთი სახის თანხმოვანფუძიან სახელთა მართლწერისათვის. – იკე	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	47-51
26	თ. ვაშაკიძე	თავზე ხელაღებული თუ თავზეხელაღებული? –	მე-17	თბილისი, თსუ-ს	42-46

		ქართული სიტყვის კულტურის საკითხები		გამომცემლობა	
27	მ. თეთრაძე	მორფემათა მიჯნის ფონოტაქტიკა ლეზგიურში. I. თანხმოვანთკომპლექსების კლასიფიკაციისათვის. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	52-68
28	დ. კაკაშვილი	სიტყვაწარმოება წოვათუშურ ენაში (შინაარსობრივი ჯგუფების გამოყოფისათვის), იქვე	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	70-73
29	ლ. კელაურაძე	დამატებანი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის. IV - "ეტიმოლოგიური ძიებანი"	მე-14	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	18-32
30	გ. კვარაცხელია	მელანქოლიის სემიოტიკა ბარათაშვილთან, კრებული „ნიკოლოზ ბარათაშვილი – 200"		თბილისი, გამომცემლობა „სვეტი +"	548-553
31	გ. კვარაცხელია	მეტყველების კულტურა და ანტიკულტურა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	47-60
32	გ. კვარაცხელია	მელანქოლიის სემიოტიკა ბარათაშვილთან, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	72-79
33	გ. კვარაცხელია	პოსტმოდერნისტული პროზის სტილისტიკური ექსტრემიზმის შესახებ, მეტყველების კულტურა და ანტიკულტურა, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	62-70
34	მ. კიკონიშვილი, მ. აბალაკი	„სიკვდილი" ქართველი და რუსი ეთნოსების სამყაროს ენობრივ სურათში, მეოთხე საერთაშორისო	IV	თელავი	302-306

		სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურათაშორისი დიალოგები“, შრომები			
35	მ. კიკონიშვილი, ნ. ჭუმბურიძე	კნინობითი სახელების თავისებურებანი ქართულში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-ტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნი-ერება, საიუბილეო გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძე - 90	IV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	
36	მ. ლაბარტყავა	ორმაგი უარყოფისათვის თანამედროვე ქართულში.– იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	74-80
37	მ. ლაბარტყავა	-ვე და -ცა ნაწილაკდართულ -ზედა, -ზედ, -ზე თანდებულიან სახელთა მართლწერისათვის.- ქართული სიტყვის კულტურის საკითხები	მე-17	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	81-91

38	ნ. ლოლაძე	დროითი მიმართებების აღმნიშვნელი თანდებულები ქართულში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტე-ტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნი-ერება, საიუბილეო გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძე - 90	IV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	იბეჭდება
39	ნ. ლოლაძე, მ. აბალაკი	,,ემოციის კონცეპტუალიზაცია - ფრაზეოლოგიზმების კვლევა ენათა შედარების საფუძველზე,მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია -„კულტურათაშორისი დიალოგები“		თელავი	348-353
40	რ. ლოლუა	სისინა და შიშინა თანხმოვნები კავკასიის ალბანურში და მათი შესატყვისები მონათესავე ლეზგიურ ენებში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	81-97
41	თ. ლომთაძე	ზმნურ ფორმათა ზოგიერთი თავისებურებისათვის ქუთაისელ ებრაელებთან, დიალექტოლოგიური კრებული, 37-ე დიალექტოლოგიური კონფერენციის მასალები		თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	86-92
42	თ. ლომთაძე	ენობრივი პოლიტიკა - დეფინიციები და ტიპები, იკე	XLV	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	98-108

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;

თეიმურაზ მაჭარაშვილი

*სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

თეიმურაზ მაჭარაშვილი, ფიზ. მათ.მეცნ. დოქტორი (ხელმძღვანელი)
ნატალია ჟუკოვა–უფროსი სპეციალისტი
ეკატერინე მეფარიძე–მეცნიერ თანამშრომელი
ალექსანდრე სბორშჩიკოვი–მეცნიერ თანამშრომელი
დიმიტრი ტეფნაძე–მევნიერ თანამშრომელი
ზურაბ ჭელიძე - სპეციალისტი
ლევან ლალიაშვილი- ლაბორანტი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისმიერ დაფინანსებული 2017წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სეისმური პროცესის დინამიკური მახასიათებლების კვლევა	თ. მაჭარაშვილი	თ. მაჭარაშვილი, ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე ა. სბორშჩიკოვი დ. ტეფნაძე ლ. ლალიაშვილი
გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა სეისმური პროცესის დინამიკური მახასიათებლების კვლევ აროგორც კავკასიისა და მიმდებარე ტერიტორიების სეისმური კატალოგების აგრეთვე სამხრეთ კალიფორნიის სეისმური კატალოგის საფუძველზე. მონაცემთა მასივების ანალიზის სტანდარტულ თანამედროვე მეთოდებთან ერთად კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ჩვენს მიერ შექმნილი ახალი მეთოდი–გადახრების ინტეგრალური დროის გამოთვლა. მეთოდის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვითვლით განსახილავი დროის პერიოდში თითოეული მიწისძვრის მოხდენის დროის გადახრას მიწისძვრების რეგულარული განაწილებისაგან. ნულჰიპოთეზის თანახმად ასეთი გადახრა უფრო ნაკლები იქნება თუ საქმე გვაქვს შემთხვევით პროცესთან. ახალი მეთოდის ეფექტურობის შესამოწმებლად გამოვიყენეთ ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების, სირთულის ზომის და რეკურენტული დეტერმინირებული დროის გამოთვლის მეთოდები. კვლევის შედეგებმა დაგვარწმუნეს ახალი მეთოდის ეფექტურობაში. პირველადი შედეგების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ სეისმური პროცესის მიმდინარეობის დროის ის პერიოდები როდესაცპროცესი მაქსიმალურად მიახლოებულია შემთხვევით პროცესთან.		
2	ძლიერ მიწისძვრამდე დროის ინტერვალების განაწილების თავისებურების კვლევა რეგულარული განაწილებისა დაშემთხვევითი განაწილების მოდელებთან შედარებით	თ. მაჭარაშვილი	ნ. ჟუკოვა ე. მეფარიძე ა. სბორშჩიკოვი დ. ტეფნაძე
გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული			

<table>
<tr><td colspan="4">შედეგები

კავკასიასა და მიმდებარე ტერიტორიების აგრეთვე კალიფორნიის სეისმური კატალოგის საფუძველზე ვიკვლევდით ძლიერ მიწისძვრამდე დროის ინტერვალების განაწილების თავისებურებებს. ამისათვის აღნიშნულ პროცესებს ვადარებდით რეგულარულ განაწილებას და აგრეთვე დარღვეული დინამიკური სტრუქტურის მქონე სხვადასხვა პროცესებს. კვლევის მიზნებისათვის გამოვიყენეთ მონაცემთა მასივების ანალიზის სხვადასხვა თანამედროვე მეთოდები. წინასწარი შედეგების მიხედვით ვლინდება სეისმური პროცესის საინტერესო თავისებურებები რომლებიც უკავშირდებიან მაღალი და დაბალი მაგნიტუდების მიწისძვრების განაწილების განსხვავებულ ბუნებას გადახრის დროს თანკავშირის თვალსაზრისით.</td></tr>
<tr><td>3</td><td>არათანაბარი ხახუნის, როგორც სეისმური პროცესის მოდელის, დინამიკური თავისებურებების კვლევა.</td><td>თ. მაჭარაშვილი</td><td>ნ. ჟუკოვი
ე.მეფარიძე
ა.სბორშჩიკოვი
დ. ტეფნაძე
ლ. ლალიაშვილი
ზ. ჭელიძე</td></tr>
<tr><td colspan="4">გარდამავალი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

განსახილავ პერიოდში მიმდინარეობდა არათანაბარი ხახუნის აკუსტიკური ემისიის კვლევა ლაბორატორიულ პირობებში. ეს პროცესი განიხილება როგორც სეისმური პროცესის მოდელი და იძლევა საშუალებას შევისწავლოთ სეისმური პროცესის მრავალი საინტერესო თვისება. ჩვენ გამოვიკვლიეთ სხვადასხვა ზედაპირების შეხების და მოძრაობის პირობების გავლენა არათანაბარი ხახუნის ფიზიკურ მახასიათებლებზე.</td></tr>
</table>

IV. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

I.4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების სდარგის და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მიწისძვრების დროში განაწილების დინამიკური კვლევა	შოთა რუსთაველისეროვნული სამეცნიერო ფონდი	თ. მაჭარაშვილი	თ. მაჭარაშვილი ნ. ჟუკოვი ე.მეფარიძე ა.სბორშჩიკოვი

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

პროექტის მიზნების შესაბამისად შესრულებული იქნა ამოცანა, რომელიც უკავშირდებოდა მონაცემთა ანალიზის წრფივი და არაწრფივი მეთოდების შერჩევას. შესასწავლილი პრობლემის დინამიკის რთული ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ შევარჩიეთ შესაბამისი კვლევის მეთოდები და განვიხილეთ მათი თეორიული საფუძვლები. ამ მიზნით შევარჩიეთ მეთოდები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან განვახორციელოთ რთული სეისმური პროცესის დროში, სივრცეში და ენერგიების მიხედვით განაწილების თვისებები. შესაბამისად სტრატეგია რომელიც ჩვენ სათანადო ლიტერატურული კვლევის შედეგად შევიმუშავეთ მოიცავეს როგორც წრფივ (ავტოკორელაციის ფუნქციის პირველი ნულოვანი კვეთის ვარიაციის, პროცესის სიხშირული და დროით-სიხშირული ანალიზის, სხვადასხვაგვარი დეკომპოზიციის მეთოდები) ასევე არაწრფივ (გრძელვადიანი კორელაციების, მეხსიერების ტესტირების, ტრენდმოცილებული ფლუქუაციების, მულტიფრაქტალური ტრენდმოცილებული ფლუქუაციების გამოთვლა და ა. შ.) მიდგომას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე პროგრამული პაკეტი, SES.exe, EQTIME.exe,DAP.exe, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ შერჩეული მიწისძვრების კატალოგი, გავფილტროთ სხვადასხვა თვალსაზრისით დასმული ამოცანის შესაბამისად ან მოვახდინოთ კატალოგიდან ამოცანის შესაბამისი მონაცემთა მასივების გენერაცია რის შემდეგად ჩატარდება სრულყოფილი წრფივი და არაწრფივი ანალიზი. შექმნილი პროგრამული პაკეტების გამოყენებით მოვახდინეთ არსებული კატალოგების საჭირო ფორმატში გადაყვანა, ან კატალოგების შექმნა ჩვენს მიერ არჩეულ მაგნიტუდების და რადიუსების დიაპაზონში. დროით სერიების გენერაცია ხდება შუსტერის ტესტის გამოყენებით, რომელიც შეყვანილია პროგრამულ უზრუნველყოფაში. პროგრამული პაკეტის მეშვეობით გავფილტრეთ ფაილები შერჩეული დროის დიაპაზონის მიხედვით. დამატებით საჭიროების მიხედვით ვიყენებდით შეფასებებს MATLAB პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე, აგრეთვე Zmap პროგრამას. პროექტის მიზნების შესაბამისად შესრულებული იქნა ამოცანა, რომელიც უკავშირდებოდა მიწისძვრებს შორის მოლოდინის დროების მონაცემთა მასივების ანალიზის სტატისტიკური მეთოდების შერჩევას. შესწავლილი პრობლემის დინამიკის რთული ბუნებიდან გამომდინარე თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე შეირჩა სტატისტიკური და დინამიკური წრფივი (დროით-სიხშირული ანალიზის, ჰილბერტ-ჰიუანგის გარდაქმნა HHT, კულბაკ-ლეიბლერის დივერგენციის KLD მეთოდები) და არაწრფივი მეთოდები (რაოდენობრივი რეკურენტული ანალიზი ღQA, ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების გამოთვლა - DFA). პროექტის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე პროგრამული პაკეტი EQTIME.exe, dfaWin_binary-poly.exe. აგრეთვე HHTm.m და INFm.m, KL_histogram.m და kldiv.m, RQA – MARWAN რომლებიც მუშაობენ MATLAB პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე. პროექტის ფარგლებში ამოცანების შესაბამისად შერჩეული იქნა მიწისძვრების 6 კატალოგი: კავკასია M>2 (1930-2014), კალიფორნია M>2.6, M>3.6 (1975-2017), ყირგიზეთი M>2 (1997-2007), საბერძნეთი M>3 (1995-2007), სომხეთი M>3 (1962-2013). მათ საფუძველზე შეიქმნა მიწისძვრებს შორის დროების ინტერვალების ორიგინალური, და გაშემთხვევითებული მასივები. მიწისძვრებს შორის დროების ინტერვალების მონაცემთა მასივების ხანგრძლივი კორელაციები შევაფასეთ ტრენდმოცილებული ფლუქტუაციების ანალიზით (DFA). პროექტის ფარგლებში კატალოგებიდან მიღებული მიწისძვრებს შორის მოლოდინის დროების სიხშირული სურათის მისაღებად ჩატარდა სიხშირული და დროით-სიხშირული ანალიზი. მიწისძვრებს შორის მოლოდინის დროების თეორიული და პრაქტიკული

კვლევისთვის შეირჩა სტატისტიკური დაანგარიშების მეთოდი - კულბაკ–ლეიბლერის დივერგენცია (განსხვავება). კულბაკ-ლეიბლერის დივერგენციის (KLD) საფუძველზე განისაზღვრება ალბათობის სიმკვრივის ოპტიმალური ფუნქციები. ამოცანის შესაბამისად შეირჩა დროით-სიხშირული ანალიზის დინამიკური მეთოდი, ჰილბერტ-ჰუანგის გარდაქმნის (HHTm.m პაკეტი) მეთოდი. დინამიკური თვისებების რაოდენობრივი შეფასება მოხდა არაწრფივი რეკურენტული რაოდენობრივი ანალიზის (RQA) მეთოდით. მიწისძვრებს შორის მოლოდინის დროების, მონაცემთა მასივების მახასიათებლების კვლევის შედეგებზე მომზადდა და გამოქვეყნდა საერთაშორისო კონფერენციის ITISE 2017 - International Work-Conference, Time Series Analysis, (2017 წლის 18-20 სექტემბერი ესპანეთი ქ. გრანადა) ნაშრომების კრებულში - Proceedings ITISE 2017. International work-conference on Time Series, 2 ნაშრომი.

V. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის	ჟურნალის/ კრებულისნომე რი	გამოცემისადგილ ი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენო ბა
1	Tamaz Chelidze, Teimuraz Matcharashvili, Ekaterine Mepharidze, Dimitri.Tephnadz e, Natalia Zhukova	Preliminary results of forced stick-slip synchronization area studies:experimen ts and theoretical models,	v. 19a, 2016, pp. 35-48	Journal of Georgian Geophysical Society, Issue (A), Physics of Solid Earth, Tbilisi	13
2	Tamaz Chelidze, Dimitri Tephnadze, Ekaterine Mepharidze	The Dependence of the Forced Stick-Slip Waiting Times on the Forcing Frequency and Intensity	vol. 11, no. 1, 2017, 73-78	BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, Tbilisi	6
3	Aleksandre Sborshchikovi	On Nonparametric Quantile Function Estimation Using Transformed Moments	vol. 11, no. 3, 2017, 22-27	BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, Tbilisi	6

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	Teimuraz Matcharashvili, Natalia Zhukova, TamazChelidze, Dimitra Founda and Evangelos Gerasopoulos	Analysis of long-term variation of the annual number of warmer and colder days using Mahalanobis distance metrics— A case study for Athens	487 (2017) 22–31	Physica A,Elsevier, Netherlands	10
2	R.M. Mnatsakanov, A.Sborshchikovi	Recovery of a Quantile Function from Moments.	315 (2017) 354-364	Journal of Computational and Applied Mathematics,Elsevier, Netherlands	11
3	Teimuraz Matcharashvili, Tamaz Chelidze, Zurab Tsveraidze	Multivariate Analysis of Variation of Annual Number of Warmer and Colder Days Derived from Data Sets of Daily Maximum Air Temperatures	2017, 83-84	10th Chaotic Modeling and Simulation International Conference, 30 May-2 June, 2017, Barcelona, Spain	2
4	Teimuraz Matcharashvili, Natalya Zhukova, Tamaz Chelidze, Evgeni Baratashvili, Tamar Matcharashvili, Manana Janiashvili	The analysis of variability of short data sets based on Mahalanobis distance calculation and surrogate time series testing	2017, 452-462	Proceedings,ITISE 2017 International work-conference on Time Series, 18-20, September, 2017, Granada, Spain	11
5	T. Matcharashvili, N. Zhukova, E. Mepharidze, A. Sborshikov	Analysis of time series of earthquake occurrence in Caucasus	2017, 1240-1242	Proceedings,ITISE 2017 International work-conference on Time Series, 18-20, September, 2017, Granada, Spain	3
6.			2017,247-256,		

	T. Matcharashvili, Z. Tsveraidze, T. Chelidze, M. Janiashvili	Quantifying temporal correlations in complex processes via algorithmic and information measures, in Information and Computer Technology, Modeling and Control	ISBN: 978-153612094-3;978-153612075-2	Proceedings of the International Scientific Conference Devoted to the 85th Anniversary of Academician I. V.Prangishvili, Nova Scicnce Publishers, Inc.USA	10

VI. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. მაჭარაშვილი	Multivariate Analysis of Variation of Annual Number of Warmer and Colder Days Derived from Data Sets of Daily Maximum Air Temperatures	30 მაისი -2ივნისი, 2017, ბარსელონა, ესპანეთი
2	თ. მაჭარაშვილი	The analysis of variability of short data sets based on Mahalanobis distance calculation and surrogate time series testing	18-20 სექტემბერი, გრანადა, ესპანეთი
3	თ. მაჭარაშვილი	Analysis of time series of earthquake occurrence in Caucasus	18-20 სექტემბერი, გრანადა, ესპანეთი

დედამიწის ფიზიკის და გეომაგნეტიზმის სექტორი.

ხელმძღვანელი: კ. ქართველიშვილი - ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

კ. ქართველიშვილი - ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი - მთ. მეცნ. თან.

გ. ბერიშვილი - აკად. დოქტორი - უფრ. მეცნ. თან.

ნ. მებაღიშვილი - აკად. დოქტორი - მეცნ. თან.

ს.ღონღაძე - აკად. დოქტორი - უფრ. მეცნ. თან.

მ. ნიკოლაიშვილი - აკად. დოქტორი - მეცნ. თან.

თ. ქირია - პროგრამირება და კომპიუტერულიუზრუნველყოფა - წამ. სპეციალისტი.

ე.ლომაძე - ლაბორანტი.

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1 ა	მყარ დედამიწაში მიმოქცევითი მოვლენების კვლევა თბილისის მიწისქვეშა ობსერვატორიაში მიღებული უწყვეტი დაკვირვებითი მონაცემების მიხედვით. (გარდამავალი).		
ბ	რიცხვითი მწკრივებიდან სასრული სხვაობების სქემების გამოყენებით საძიებო სიხშირის ჰარმონიკების და არაპერიოდული ნაწილის გამოსაყოფი მეთოდის დამუშავება.	კ.ქართველიშვილი	კ.ქართველიშვილი მ.ნიკოლაიშვილი ე.ლომაძე
	გეოფიზიკის ინსტიტუტის 12- სართულიანი შენობის სარდაფში არსებული დახრისზომითი აპარატურის აღჭურვა თანამედროვე ციფრული მონაცემების დამაგროვებელით (date logger).	კ.ქართველიშვილი	კ.ქართველიშვილი თ. ჭელიძე მ.ნიკოლაიშვილი ე.ლომაძე
2 ა	საქართველოს ტერიტორიაზეარსებული ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიებისკვლევა ბუნებრივი მაგნიტოთერაპიულიკურორტის მოდელის შემოთავაზებისმიზნით. (გარდამავალი).	კ.ქართველიშვილი	კ.ქართველიშვილი გ.ბერიშვილი ნ.მებაღიშვილი
	2014-2015 წლებში დაბალმთიანი გურიის(ს.		

ბ	აცანა) ტერიტორიაზე ჩატარებული მაგნიტური ექსპედიციების მონაცემების ანალიზი.	კ.ქართველიშვილი	მ.ნიკოლაიშვილი ე.ლომაძე
გ	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ანომალური მაგნიტური ველის (ΔT_a) რუკების შედგენა 1:50000-იან მასშტაბში, საკვლევი ტერიტორიის დანალექი ფენის და მისი კრისტალური ფუნდამენტის პეტრომაგნიტური მოდელი. საპლანეტათაშორისი მაგნიტური ველის სექტორული სტრუქტურის გავლენა გეომაგნიტური ველის B_zკომპონენტაზე.	ს.ღონღაძე ნ. მებაღიშვილი	ს.ღონღაძე კ.ქართველიშვილი ნ.მებაღიშვილი გ.ბერიშვილი
1.	ანოტაციები ა. დამუშავებულია რთული პროცესის აღმწერ დროითი მწკრივებიდან მოცემული დაფიქსირებული პერიოდის მქონე ტალღების გამოსაყოფი ჰარმონიული ანალიზის ორიგინალური მეთოდი. წარმოდგენილი მეთოდი იყენებს სასრულო სხვაობებს და საცდელ პერიოდში ორდინატების გასაშუალოების ოპერაციებს. მას გააჩნია მაღალი შერჩევითი მაფოკუსირებელი თვისებები და უზრუნველყოფს როგორც დრეიფის მოხსნას, ასევე საძიებო ჰარმონიკების მახასიათებელი პარამეტრების ძალიან მაღალი სიზუსტით განსაზღვრას. ამ პერიოდში წარმოებდა კვარცის ვერტიკალური ექსტენზომეტრით 1984-1986 წლებში თბილისში მიღებული უწყვეტი დაკვირვებითი მასალების კვლევა. ჰარმონიული ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით განსაზღვრულია მიმოქცევითი ცხრა ძირითადი ტალღის ამპლიტუდები. ამ მონაცემებით გამოთვლილია ვერტიკალური მიმოქცევითი ფაქტორის η , გარემომცველი ქანების პუასონის კოეფიციენტის σ და ლიავას მეოთხე რიცხვის f -ის რიცხვითი მნიშვნელობები. ბ.გეოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში შეიქმნა უწყვეტი დახრისმზომითი დაკვირვებების პუნქტი Applied Geomechanics AGI-700 დახრისმზომის გამოყენებით, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ციფრული მონაცემების დამაგროვებელით (date logger) და გრძელდება მონიტორინგი დედამიწის ზედაპირის დახრებზე. ა. 2014-2015 წლებშიდაბალმთიანი გურიის (სოფ. აცანა) ტერიტორიაზე ლოკალური ინტენსიური გეომაგნიტური ანომალიების ფაქიზი სტრუქტურის შესასწავლად ჩატარებულიამაგნიტური გაზომვები ერთდროულად ორი ციფრული, პროტონური მაგნიტომეტრით. მოძიებულიმასალებისმიხედვით შეიქმნა მონაცემთაკომპიუტერულიბაზა . ჩატარდა მოპოვებულიმასალებისდამუშავება, დეტალურირუკებისადაჭრილების ასაგებად. დამყარდა აქტიური კონტაქტი სანატორიუმ ,,მეგობრობის“ ადმინისტრაციასა და მედპერსონალთან.	

	მათგან მივიღეთ ბოლო 7 წლის დეტალური სტატისტიკა სხვადასხვა დაავადებების მქონე პაციენტების (როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა მკურნალობის შესახებ, რომელთა გაჯანსაღების პროცენტი ძალზედ მაღალია - 90%), რის საფუძველზეც გადავწყვიტეთ დეტალურად შეგვესწავლა სხვა ძლიერი ლოკალური მაგნიტური ანომალიები. ამ წლებში ჩატარებული დაბალმთიანი გურიის რეგიონის ტერიტორიაზე კოსმოსური ამინდის ძირითადი ელემენტის - გეომაგნიტური ველის ვარიაციების ლოკალური ბიოსამედიცინო ეფექტების თავისებურებების კვლევებმა საშუალება მოგვცეს დაგვესვა საკითხი ბუნებრივი მაგნიტოთერაპიული კურორტის ბაზისური მოდელის შექმნის შესახებ. ბ. საკვლევი ტერიტორიისათვის შედგენილია ანომალური მაგნიტური ველის (ΔT_a) და გრავიტაციული ველის (Δg) რუკები 1:50000-იან მასშტაბში, აგრეთვე აგებულ იქნა საკვლევი ტერიტორიის დანალექი ფენის და მისი კრისტალური ფუნდამენტის პეტრომაგნიტური მოდელი.
2.	გ.განხილულია ფიზიკური ველების (მაგნიტური, გრავიტაციული, სითბური და სხვ.) ერთობლივი ზემოქმედება დედამიწის ქერქში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით გამოყენებულია 2000-2017 წლების მონაცემები: M≥4.5 მაგნიტუდის მიწისძვრები სხვადასხვა საერთაშორისო კატალოგებიდან, საპლანეტაშორისო მაგნიტური ველის (სმვ) დაძაბულობის B_z მდგენელი, პლანეტარული A_p (a_p)და D_{st}-ინდექსები, დედამიწის დღე-ღამური ბრუნვის პერიოდის ΔT- ცვლილებები, მთვარის პერიგეა და აპოგეა და ასევე მთვარის ფაზების თარიღები .

1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგრანტით

დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ქართველიშვილი კარლო ქართველიშვილი დავითი	დედამიწის არამიმოქცევითი დეფორმაციული პროცესების კვლევა თბილისის დაკვირვებების მიხედვით	თსუ-ს გამომცემლობა (მომზადებულია დასაბეჭდად)	95

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულისდასახე ლება	ჟურნალის/ კრებულისნომ ერი	გამოცემისადგი ლი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდე ნობა
1	კ.ქართველიშვი ლი	დისლოკაციის თეორიის გამოყენება დედამიწაში მიმდინარე ნახტომისებური დეფორმაციული პროცესების კვლევებში	ტ. LXVII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	105-115
2	ნ. გამყრელიძე ს. ღონღაძე ო.იავოლოვსკა ია მ.გამყრელიძე ჯ. ქირია ნ. ღლონტი პ. მინდელი ლ. ადიკაშვილი მ. ნიკოლაიშვილ ი	შავი ზღვის აღმოსავლეთ როფის სიღრმული აგებულება და აჭარა-თრიალეთის ზონის დასავლეთით აკვატორიაში გაგრძელების საკითხები	ტ. LXVII	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	71-91

გეოდინამიკა

სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი: **შ. ადამია**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.:

ალანია ვ., სადრაძე ნ., ენუქიძე ო.

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
	გეოდინამიკა	შ. ადამია	ალანია ვ., სადრაძე ნ., ენუქიძე ო.
მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები შემდეგი მიმართულებით: ▪ გეოლოგიური წარსულის დანალექი აუზების ევოლუცია დაკავშირებული ნახშირწყალბადების პოტენციალთან; ▪ მაგმური სისტემები და მაგმატიზმთან დაკავშირებული მეტალოგენია; ▪ პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები. ასევე გრძელდება კვლევა საქართველოს და მიმდებარე არეების ლითოსფეროს რეოლოგიური თავისებურებების გავლენისშესახებ გეოდინამიურ მოვლენებთან.			

VII. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
	პროექტი 04/45: საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი -	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ადამია შ.	ზაქარიაძე გ., ალანია ვ., წერეთელი ნ., მიგინეიშვილი რ.,

	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში (საქართველო - აღმოსავლეთი შავი ზღვა) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი კონკურსი :ქართველ მეცნიერთა მონაწილეობა პროგრამაში „საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში“			ბერიძე თ., სადრაძე ნ., ენუქიძე ო., გვენცაძე ა.

საერთაშორისო პროექტის (საფრანგეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა)- საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში (საქართველო - აღმოსავლეთი შავი ზღვა) განხორციელება 2014წ. დეკემბერი - 2017წ. დეკემბრის განმავლობაში მიმდინარეობდა შეთნხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. ძირითადი ამოცანების:

1. სეისმური რისკები და 2. ბუნებრივი რესურსები და ქვეამოცანების:

1ა - *აქტიური სტრესის ველების განსაზღვრა არსებული GPS და ახალი მონაცემების გათვალისწინებით;*

1ბ - სეისმური კატალოგების შედგენა და შევსება;

1გ - აქტიური რღვევების - მიწისძვრათა წყაროების და სეისმური ზონების გამოყოფა (რღვევების 3D გეომეტრია, კინემატიკა, Mmax);

1დ - სეისმური საშიშროების შეფასებითი რუკების შედგენა;

1ე - სეისმური რისკის შეფასება (საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის მაგალითზე - თბილისი);

2ა - აუზების ევოლუცია: (პალეოზოური, მეზოზოური, კაინოზოური); 2ბ - მაგმური სისტემები (ფანეროზოული მაგმატიზმი);

2გ - ნაკერი ზონები და პალეოტექტონიკური რეკონსტრუქციები (ამ ქვეამოცანაში პალეომაგნეტიზმის ჩართვით);

2დ - მაგმატიზმთან დაკავშირებული მეტალოგენია.

შესრულება ხორციელდებოდა სამუშაო გეგმის მიხედვით. მიღებული შედეგების შესახებ ყოველწლიურად ბარდებოდა შუალედური ანგარიშები, ხოლო პროექტის დასასრულს - შემაჯამებელი ანგარიში, კვლევის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად ეწყობოდა სამუშაო

ჯგუფების შეკრება - კონფერენციები (მაგ. ვენა ავსტრია, 2015; ნოვოსიბირსკი, 2015; იდანა-ნოვა, პორტუგალია, 2016; ვენა ავსტრია, 2017; კიევი, უკრაინა, 2017; დავოსი, შვეიცარია, 2017; თბილისი, საქართველო, 2016, 2017). პროექტის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია არაერთ მაღალ რეიტინგულ გამოცემაში ცალკეული სტატიების და კრებულების სახით, რომელთა სრული მონაცემები მოცემულია როგორც ყოველწლიურ, ასევე საბოლოო ანგარიშში.

მიწისძვრის მექანიზმების საშუალებით საქართველო დაყოფილი იქნა მსგავსი სეისმოტექტონუკური თვისებების პოლიგონებად და განისაზღვარა თითოეული პოლიგონის დაძაბულობა მიწისძვრის მექანიზმების საშუალებით. მიღებული შედეგები შედარდა GPS მონაცემებს. დადგინდა სესიმურობით გამოწვეული დაძაბულობის წვლილი საერთო ტექტონიკურ დაძაბულობაში.მოხდა მიწისძვრის კატალოგების გადახედვა, შეჯამება და უნიფიცირება მაგნიტუდების მიხედვით. განისაზღვრა მიწისძვრის პარამეტრები როგორც ისტორიული მიწისძვრებისათვის, ასევე ინსტრუმენტული პერიოდისათვის. განხილულია მისიწძვრის კატალოგების გაწმენდის სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება სეისმოლოგიაში და შედარებულია ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მეთოდთან. ნაჩვენებია ამ უკანასკნელის უპირატესობა.შეიქმნა მაკროსეისმური მეტამონაცემების ბაზა. გამოყვანილია დაცხრომის განტოლებები ინტენსივობისა და სხვადასხვა მანძილის მიხედვით. მიღებული ბაზების გამოყენებით მოხდა მიწისძვრების წყაროთა რეკონსტრუქცია. მიღებული მიწისძვრის მექანიზმის პარამეტრებითა და კატალოგებით დადგინდა არსებული აქტიური რღვევების გეომეტრია და გამოიყო სეისმური ზონები და განხორციელდა მათი სეისმური პარამეტრიზაცია.გლობალური ნიადაგის მოძრაობის პროგნოზული განტოლებებიდან რეგიონისათვის შეირჩა რამდენიმე. გამოყვანილია ნიადაგის მოძრაობის პროგნოზული განტოლებების ემპირიულ - ჰიბრიდული მოდელი საქართველოსათვის. მიღებული განტოლებების საფუძველზე მოხდა ალბათური სეისმური საშიშროების რისკების შეფასება საქართველოსათვის, პიკური აჩქარებებით 2% და 10% გადაჭარბების ალბათობით.შექმნილია თბილისის შენობების ინვეტორული რუკები GIS სისტემაში. განისაზღვარ შენობების ტიპები და მათი მოწყვლადობა. შეფასდა მისიწძვრის რისკი შენობების დაზიანების მიხედვით, მოსალოდნელი ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში. დაიზიანების ხარისხის მიხედვით გამოიყო უბნები.

საქართველო, ასევე როგორც კავკასია მთლიანად, მდებარე ალპურ-ჰიმალაური ოროგენული სარტყელის ევროპული და აზიური ნაწილების შერწყმასთან, წარმოადგენს იმ უნიკალურ არეს სადაც მხოლოდ გვიან კაინოზოურში მოხდა ოკეანე ტეთისის სრული დახურვა ევრაზიის და აფრიკა-არაბეთის ლითოსფერული ფილების ხანგრძლივი კონვერგენციის და კოლიზიის შედეგად. ოლიგოცენის განმავლობაში გაშლილი ზღვის ტეთისური აუზები გარდაიქმნა ევქსინური ტიპის ნახევრადჩაკეტილ აუზებად. ეს დრო ევრაზია-არაბეთის რეგიონის სინკოლიზიურ ვითარებას შეესაბამება. ლითოსფერული ფილების შემდგომმა დაახლოება-კონვერგენციამ გამოიწვია რელიეფის ინვერსია, კავკასიონის და მცირე კავკასიონის ზღვიური აუზების ადგილზე მიოცენურ-მეოთხეულის განმავლობაში წარმოიქმნა ნაოჭა-რღვევითი ქედები, კავკასიონი ჩრდილოეთით და მცირე კავკასიონი სამხრეთით, ხოლო მათ შორის რიონის და მტკვრის დაბლობები-ფორლანდები ანუ ამიერკავკასიის მთათაშუეთი. მიოცენის დასასრულს, ფორლანდებში მოლასების დაგროვების თანადროულად, გამოვლინდა ვულკანური ამოფრქვევები სუბაერულ პირობებში. ვულკანური ქანები წარმოდგენილია ინტენსიურად ფრაქციონირებული სუპრასუბდუქციური, კუნძულთა რკალურის მსგავსი, კირ-ტუტე სერიებით

დაწყებული ბაზალტით და რიოლითამდე ჩათვლით. ვულკანიზმის გარდა რეგიონის აქტიურ ტექტონიკაზე მოწმობს მიწისძვრებიც, გამოვლენილი საქართველოსა და მიმდებარე რეგიონებში. ზოგმა მიწისძვრამ დიდი ზიანი და მსხვერპლი გამოიწვია რეგიონში. კერის მექანიზმების მონაცემები უჩვენებენ, რომ რეგიონის ლითოსფერო კვლავაც განიცდის შეკუმშვას მერიდიანული მიმართულებით, სუბგანედურ გაჭიმვას და ლითოსფერო-ქერქის გასქელებას. რღვევების რთული ქსელი ყოფს რეგიონს რამოდენიმე ბლოკად. ლითოსფეროს მნიშვნელოვანი დამოკლება და დეფორმირება მიმდინარეობს კუმშვითი სტრუქტურების ფორმირებით და ლატერალური გასხლეტვის მეშვეობით. რელიეფის და ტექტონიკური სტრუქტურების გეომეტრია განპირობებულია არაბეთის სოლისებრი ფორმის ბლოკის (ინდენტორის) კონფიგურაციით და ოკეანური-სუბოკეანური ლითოსფეროს (აღმოსავლეთი შავი ზღვა, სამხრეთი კასპიის ზღვა) არსებობით, და მათზე სტრუქტურების მორგებით. არაბეთის და ინდოეთის ფილების შემოჭრამ გვიან კაინოზოურში გამოიწვია ჩრდილოეთით მდებარე ლითოსფეროს დამოკლება, მთიანი სარტყლების აზევება, შავი ზღვა-კასპიის ზღვის აუზების ჩაზნექვა-გაღრმავება, კასპიის ზღვის მერიდიანული მეგასტრუქტურის გაჩენა-განვითარება. ეს მოვლენები მიანიშნებენ ლითოსფეროს ინტერფერენციულ დეფორმაციაზე არაბეთის და ინდოეთის ლითოსფერული ფილების საზღვარს გასწვრივ.

საქართველო, მთლიანად კავკასია და შავი ზღვა - კასპიის ზღვის რეგიონი, ალპურ ჰიმალაური ოროგენის შემადგენელი მაწილი, ტრადიციულად განიხილება როგორც ბუნებრივი ლაბორატორია ლითოსფეროს აგებულების და ევოლუციის ფუნდამენტური კანონზომიერებების კვლევისათვის. ინტერესი რეგიონისადმი განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 70-იან წლებიდან, ლითოსფერული ფილების ტექტონიკის აღიარების შემდეგ. ამის დასტურია მრავალი საერთაშორისო კომპლექსური პროექტი, განხორციელებული კავკასიის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი), ევროპის და ამერიკის (აშშ) დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტების მიერ. IRG პროექტის გავლენა სამეცნიერო მიმართულებაზე, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ლითოსფეროს ფიზიკა და გეოდინამიკა“, ფილების ტექტონიკის მთელ რიგ ფუნდამენტურ დებულებებს ანვითარებს შავი ზღვა-კასპიის ზღვის რეგიონის მაგალითზე. ასეთებია. რეგიონის ძირითადი ტექტონიკური ერთეულების ფორმირების და ევოლუციის ისტორია დედამიწის ლითოსფეროს განვითარების ბოლო 500-600 მლნ. წლის განმავლობაში, აღმოსავლეთი ევროპის და ევრაზიის ოკეანე ტეთისთან მოსაზღვრე ზონის გარდაქმნის დინამიკა წყნარი ოკეანის დასავლური (აზიური)სანაპიროს ტიპის სტრუქტურიდან კონტინენტური კოლიზიის ტიპის სტრუქტურამდე. ამ თვალსაზრისით რეგიონი უნიკალურია, აქ განხორციელდა ოკეანური აუზის (ტეთისი) სრული დახურვა, ევრაზიის და აფრიკა-არაბეთის კონტინენტების კოლიზია (შეჯახება). აფრიკა-არაბეთის ჩრდილოეთისკენ კონვერგენციის შედეგად. განვითარების ყველა ეტაპს - პრეკოლიზიურს, სინ- და პოსტკოლიზიურის შესაბამისი ტიპის აუზები, მეტამორფული, მაგმური და მასთან დაკავშირებული მეტალოგენიური პროცესები ახლავს. კონვერგენცია დღესაც გრძელდება, რაც იწვევს სეისმური სტრუქტურების - მიწისძვრათა წყაროების გააქტიურებას, აგრეთვე რეგიონის ლითოსფეროს სხვადასხვაგვარ დეფორმაციას.

III. 4.

2	პროექტი სდასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

	მითითებით			
	პროექტი217408: საქართველოს ინტერაქტიული გეოლოგიური რუკა, მასშტაბი 1:200 000 **კონკურსი**: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი **სამეცნიერო მიმართულება:** საბუნებისმეტყველო **ქვემიმართულება:**დედამიწისა და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ. სადრაძე	ხმალაძე კ. ტალახაძე გ. ჭაია ზ. ადამია შ.
განხორციელდა მოპოვებული და სკანირებული გამოცემული (1956-1957წწ.) და გამოსაცემად გამზადებული (1971-1985წწ.) სახელმწიფო გეოლოგიური რუკების რასტრული გამოსახულებების გეორეფერენსირება GIS პროგრამების საშუალებით; 1:200 000 მასშტაბის ციფრული გეოლოგიური რუკისთვის შეიქმნა უნიფიცირებული ლეგენდა;მომზადდა 1:200 000 მასშტაბის ციფრული გეოლოგიური რუკისთვის პირობითი ნიშნების ციფრული ვერსია;გეოლოგიური სხეულების საზღვრების, სტრუქტურის და შედგენილობის დასაზუსტებლად ჩატარდა გეოლოგიურ-აგეგმვითისამუშაოები GPS ტექნოლოგიების გამოყენებით. შეიქმნა გეოლოგიური დაკვირვების წერტილების მონაცემთა ბაზა				

2	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	პროექტი 217942: აღმოსავლეთ აჭარა-	შოთა რუსთაველის ეროვნული	ალანია ვ.	ენუქიძე, ო. ადამია შ.,

	თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელისაგებულება, დეფორმაციის დრო და მაგნიტუდა **კონკურსი**: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი **სამეცნიერო მიმართულება:** საბუნებისმეტყველო **ქვემიმართულება:**დედამიწისა და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი	სამეცნიერო ფონდი		ჭაბუკიანი ა., გვენცაძე ა., სადრაძე ნ., ვაშაკიძე გ.

სპეციალური სტრუქტურული გეოლოგიის **MOVE** პროგრამის გამოყენებით მოვახდინეთ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში არსებული 3 სეისმოპროფილების სტრუქტურული ინტერპრეტაცია. ინტერპრეტირებული პროფილების, ჭაბურღილების მონაცემების და საველე-გეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით ავაგეთ ორი ბალანსირებული და რეკონსტრუირებული ჭრილები A-B და C-D. A-B რეგიონული ბალანსირებული ჭრილი მთლიანად კვეთს აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებით სარტყელს. ინტერპრეტირებული სეისმოპროფილის და რეგიონული ბალანსირებული ჭრილის (A-B) მიხედვით კარგად ჩანს, რომ აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთი სქელ-ზეწრული ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელია, ანუ დეფორმაციაში დანალექ საფართან ერთად ფუნდამენტიც მონაწილეობს. ბალანსირებული ჭრილიდან კარგად ჩანს, რომ დეფორმაციაში მონაწილეობს ფუნდამენტის სტრუქტურული სოლები, ჩრდილო და სამხრეთ-ვერგენტული რღვევებთან დაკავშირებული ნაოჭები და სამკუთხა ზონა. სამკუთხა ზონა განლაგებულია სარტყელის ფრონტულ ნაწილში და ტიპიური თხელ-ზეწრული სტრუქტურაა. რღვევებთან დაკავშირებული ნაოჭები კი ძირითადად წარმოდგენილია რღვევა-გაღუნული ნაოჭებით და აგებულია ცარც-პალეოგენური ქანებით. C-D რეგიონული ბალანსირებული ჭრილისათვის გამოვიყენეთ კომბინირებული ორი სეისმოპროფილი, ჭაბურღილების და ზედაპირული გეოლოგიური მონაცემები. ჭრილი მოიცავს აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ცენტრალურ და ფრონტულ ნაწილებს. C-D რეგიონული ჭრილისათვის გაკეთებულია დეფორმაციამდელი რეკონსტრუქცია. ბალანსირებული რეგიონული ჭრილის მიხედვით დეფორმაციაში მონაწილეობს სტრუქტურული სოლები (ან დუპლექსები) და სამხრეთ-ვერგენტული რღვევა-გავრცელებადი ნაოჭები. სტრუქტურული სოლები (ან დუპლექსები) აგებულია მეზოზოური (იურა-ცარცი) და პალეოგენური ქანებით, ხოლო რღვევა-გავრცელებადი ნაოჭები - პალეოგენური და ნეოგენური

ქანებით. ჭრილის სამხრეთ ნაწილში განვითარებულია ტექტონიკური ზეწარი (კავთისხევი-ძეგვი) რომელიც აგებულია ცარც-პალეოგენური ქანებით.

2	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერომიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	პროექტი №YS-2016-14: გვიანმეზოზოურ - ადრეკაი-ნოზოური სუპრასუბდუქციური მაგმატიზმის ევოლუცია და გეოდინამიკა სამხრეთ საქართველოს მაგალითზე **კონკურსი**: ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევები **სამეცნიერო მიმართულება:** საბუნებისმეტყველო **ქვემიმართულება:**დედამიწისა და მასთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნ.სადრაძე	ნ.სადრაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტისეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)				
დამუშავებულია სუპრასუბდუქციური მაგმური ფორმაციების შესახებ თანამედროვე სპეციალური პეტროქიმიური და გეოქიმიური სამეცნიერო ლიტერატურა და შექმნილია ელექტრონული ბიბლიოთეკა; დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე შექმნილია პეტროქიმიური და გეოქიმიური კვლევებისათვის საჭირო დიაგრამების ციფრული ფაილები; მოძიებული და გაანალიზებულია სამხრეთ საქართველოს კოლიზამდელი სუპრასუბდუქციური მაგმური ფორმაციების შესახებ არსებული საფონდო მასალები და გამოქვეყნებული სტატიები, გაანალიზებულია სამხრეთ საქართველოს: ართვინ-ბოლნისის ბელტი (საქართველოს ნაწილი) და აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითი ზონის ცარცული და პალეოგენურ სუპრასუბდუქციური ვულკანური ფორმაციებზე არსებული საფონდო და გამოქვეყნებული მასალები. შექმნილია აღნიშნული მასალების ელექტრონული ბაზა;დაისინჯა აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითისისტემის ფარგლებში შუაეოცენური, შედგა მონაცემთა ბაზები;				

IV. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისგრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	სადრაძე ნ. 2015	კონტინენტური კოლიზიის ზონის გეოდინამიკა სამხრეთ საქართველოს (ჯავახეთი და მიმდებარე არეები) კოლიზიისშემდგომი ვულკანიზმის ევოლუციის მაგალითზე	სადისერტაციო ნაშრომი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი	

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	Marc Sosson, Randell Stephenson and **Shota Adamia (editors)**	*Tectonic Evolution of the Eastern Black Sea and Caucasus*",	Geological Society of London, Special publication	368

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	**S. A. Adamia**, T. G. Chkhotua, T. T. **Gavtadze,** Z. A. Lebanidze, N. D. Lursmanashvili, **N. G. Sadradze**, D. P.	**2017. Tectonic setting of Georgia–Eastern Black Sea: a review.** *In: Tectonic Evolution of the*	428	Geological Society of London(Lyell collection)	გ.: 11-40.

	Zakaraia and **G. S. Zakariadze**	*Eastern Black Sea and Caucasus*", Geological Society of London, Special publication			
2	Maud J. M. Meijers, Brigitte Smith, Daniel Pastor-Galán, Renzo Degenaar, **Nino Sadradze, Shota Adamia**, Lilit Sahakyan, Ara Avagyan, Marc Sosson, Yann Rolland, Cor G. Langereis and Carla Müller	**2017, Progressive orocline formation in the Eastern Pontides–Lesser Caucasus.** *In: Tectonic Evolution of the Eastern Black Sea and Caucasus*", Geological Society of London, Special publication	428	Geological Society of London (Lyell collection)	გ. 117-143.
3	**V. M. Alania**, A. O. Chabukiani, R. L. Chagelishvili, O**. V. Enukidze**, K. O. Gogrichiani, A. N. Razmadze and N. S. **Tsereteli**	**2017. Growth structures, piggy-back basins and growth strata of the Georgian part of the Kura foreland fold–thrust belt: implications for Late Alpine kinematic evolution.** *In: Tectonic Evolution of the Eastern Black Sea and Caucasus*", Geological Society of London, Special publication	428	Geological Society of London (Lyell collection)	გ. 171-185
4	A.Tibaldi,**V.Alania**,F.L. Bonali, **O.Enukidzeb,N.Tseretelli**, N.Kvavadze, **O.Varazanashvili**	**2017. Active inversion tectonics, simple shear folding and back-thrusting at Rioni Basin, Georgia.** *Journal of Structural Geology*	96,	Elsevier	გ. 35-53

5	Tibaldi A., Russo E., Bonali F.L., **Alania V.,**Chabukiani A., **Enukidze O., Tsereteli N.**	**2017. 3-D anatomy of an active fault-propagation fold: a multidisciplinary case study from western Caucasus, Tsaishi (Georgia).** *Tectonophysics*	*717*	Elsevier	*33. 253-269.*
6	**Adamia, S.,** Chabukiani, A., Chkhotua, T., Enukidze, O., Sadradze, N., and Zakariadze, G.	**2017. Tethyan evolution and continental collision in Georgia** In Sorkhabi, R., ed., GSA Special Paper 525: Tectonic Evolution, Collision, and Seismicity of Southwest Asia: In Honor of Manuel Berberian's Forty-Five Years of Research Contributions.	*525*	GSA publisher	
7	**Adamia SH.,** Alania V., Tsereteli, N., Varazanashvili, O, Sadradze N., Lursmanashvili, N., Gventsadze, A.	**Postcollisional tectonics and seismicity of Georgia.** In Sorkhabi, R., ed., GSA Special Paper 525: Tectonic Evolution, Collision, and Seismicity of Southwest Asia: In Honor of Manuel Berberian's Forty-Five Years of Research Contributions.	*525*	GSA publisher	
8	**Alania, V.,** Chabukiani, A., **Enukidze, O.,** Gogrichiani, K., Mikeladze, Z., Tatishvili, G.	**Faults (Reverse faults/thrusts): Bitsminda fault-propagation fold, Georgia.** *Atlas of Structural Geological Interpretation on*		Wiley Blackwell	*232*

		Seismic Images (Eds., M., Achyuta & M., Soumyajit)			
9	Y. Rolland, M. Hässig , D. Bosch , M.J.M. Meijers , M. Sosson , O. Bruguier , **Sh. Adamia , N. Sadradze**	**2016.A review of the plate convergence history of the East Anatolia-Transcaucasus region during the Variscan: Insights from the Georgian basement and its connection to the Eastern Pontides**. *Journal of Geodynamics*	96	Elsevier	გვ. 131-145
10	SossonM., StephensonR., SheremetY., RollandY., **AdamiaS**., MelkonianR., KangarliT., Yegorova T., Avagyan A., Galoyan Gh. , Danelian T., HässigM., MeijersM., MüllerC., SahakyanL., **Sadradze N., AlaniaV., EnukidzeO**., Mosar J.	**2016.**The Eastern Black Sea-Caucasus region during Cretaceous: new evidence to constrain its tectonic evolution. *Comptes Rendus Geoscience*, Pp. 23-32.	**348,** №*1*,	Elsevier	გვ. 23-32.
11	**Nino Tsereteli,** Aysegul Askan, Hossein Hamzehloo	**2016, Hybrid-Empirical Ground Motion Estimations for Georgia** *Acta Geophysica*	64, № 5	Springer	გვ.1225-1258
12	**N. Tsereteli** , A. Tibaldi,, V. Alania , A. **Gventsadse , O. Enukidze , O. Varazanashvili** , B.I.R. Müller	**2016. Active tectonics of central-western Caucasus, Georgia** *Tectonophysics*	691	Elsevier	გვ. 328–344

V. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. სადრაძე - მომხსენებელი; ადამია, შ., ბერიძე, თ. - თანაავტორები	Magmatism and Ore Formation in the Bolnisi Ore Field on the example of Bertakari and Bneli Khevi Deposits	3rd International Scientific- Practical Conference on up-to-date problems of Geology, Mineralogical Society of Georgia,Power of Geology is the precondition for Regeneration of economics. 1-2 June, 2017, Tbilisi, Georgia
2	შ. ადამია - მომხსენებელი; ზაქარიაძე - თანაავტორი	Evolution of the Neoproterozoic-Paleozoic crystalline basement of Georgia (SW Caucasus). Publishing house “Technical University”	3rd International Scientific- Practical Conference on up-to-date problems of Geology, Mineralogical Society of Georgia,Power of Geology is the precondition for Regeneration of economics. 1-2 June, 2017, Tbilisi, Georgia
3	თ. ბერიძე - მომხსენებელი	Sedimentological-paleoichnological studies in Georgia.	3rd International Scientific- Practical Conference on up-to-date problems of Geology, Mineralogical Society of Georgia,Power of Geology is the precondition for Regeneration of economics. 1-2 June, 2017, Tbilisi, Georgia
	ვ. ალანია - თანაავტორი	Geometry and kinematic evolution of a thrust-top basin: an example from the western part of the Kura foreland fold and thrust belt,Georgia	*Fourth Plenary Conference.IGCP 610 “From the Caspian to Mediterranean: Environmental Change and Human Response during the Quaternary”, Fourth Plenary Meeting and Field Trip. 19-20 May, 2016,* Tbilisi, Georgia
	შ. ადამია - მოხსენებელი, ალანია, ვ., წერეთელი, ნ., ვარაზანაშვილი, ო., სადრაძე, ნ. - თანაავტორები.	Post-Collisional Tectonics and Seismicity of Georgia	*Power of Geology is the precondition for Regeneration of Economics. International Scientific-practical Conference on up-to-date Problems of Geology, 19-20 May, 2016*
	ნ. სადრაძე - მომხსენებელი;	Supra-subduction and post-	*Power of Geology is the*

	ადამია, შ. - თანაავტორი	collisional magmatic evolution of Georgia	*precondition for Regeneration of Economics. International Scientific-practical Conference on up-to-date Problems of Geology, 19-20 May, 2016*

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმისჩატარების დროდაადგილი
1	ნ. სადრაძე-მომხსენებელი თ. ბერიძე - თანაავტორი	**Upper Cretaceous Kachagiani (Sakdrisi) Ore deposit host rocks analysis, Bolnisi ore field, Georgia**	15th Swiss Geoscience Meeting, Davos, Switzerland 17-18 November, 2017,
2	ნ. სადრაძე-მომხსენებელი ადამია, შ., ბერიძე, თ., ღავთაძე, თ., მიგინეიშვილი, რ. - თამავტორები	**Magmatism and ore formation on the example of Upper Cretaceous Bertakari and Bneli Khevi Ore deposits, Bolnisi ore district, Georgia**	Final workshop of IRG project, Kiev, Ukraina, 25-27 October, 2017
3	თ. ბერიძე - მომხსენებელი; ალანია, ვ., ენუქიძე, ო., ბერიძე, თ., გვენცაძე, ა. - თანაავტორები	**Structural architecture of the eastern Achara-Trialeti fold and thrust belt, Georgia: Implications for kinematic evolution.**	Final workshop of IRG project, Kiev, Ukraina, 25-27 October, 2017
4	ნ. სადრაძე-მომხსენებელი; ადამია, შ., ალანია, ვ., გვენცაძე, ა., ენუქიძე, ო., წერეთელი, ნ., ზაქარიაძე, გ. -სოავტორები	**Tethyan evolution and continental collision in SW Caucasus (Georgia and Adjacent areas)**	Final workshop of IRG project, Kiev, Ukraina 25-27 October, 2017
5	ნ. სადრაძე- მომხსენებელი. ადამია, შ., ზაქარიაძე, გ., ბერიძე, თ. - თანაავტორები	**Impact of Magmatism on the Geodynamic Evolution of Southern Georgia on the Example of the Lesser Caucasus Artvin-Bolnisi Block.**	EGU General Assembly, Vienna, Avstria23-28 April, 2017
6	ადამია, შ., სადრაძე, ნ., ალანია, ვ., ენუქიძე, ო. - თანაავტორები	**Tectonic stages in Southern Greater Caucasus and Adjara Trialeti belt in Georgia: new results on timing and structures of inverted basins.**	EGU General Assembly, Vienna, Avstria23-28 April, 2017
7	თ. ბერიძე -თანაავტორი	**TEXTURES AND COMPOSITION OF KAZBEGI BASALT BRECCIA (THE GREAT CAUCASUS, GEORGIA) AS RECOGNITION FEATURES OF HIGH-QUALITY FACING AND ORNAMENTAL STONE**	The 8th International Siberian Early Career GeoScientists Conference, Poster presentation., Novosibirsk, Russia. 13-24 June 2016.

8	თ. ბერიძე - მომხსენებელი	**Tectonic stages in Southern Greater Caucasus and Adjara Trialeti belt in Georgia: new results on timing and structures of inverted basins.**	The fourth International Congress on Ichnology: 'Ichnology for the 21st century: (Palaeo) Biological Traces towards Sustainable Development',Idanha-a-Nova, Portugal, 6-9 May, 2016.
9	თ.ბერიძე -თანაავტორი	**Upper Eocene Ichnofauna of the Tbilisi Suite in the Eastern Segment of the Achara-Trialeti Fold and Thrust Belt, Georgia: Revised Data**	The fourth International Congress on Ichnology: 'Ichnology for the 21st century: (Palaeo) Biological Traces towards Sustainable Development',Idanha-a-Nova, Portugal, 6-9 May, 2016.
10	Adamia – მომხსენებელი Sadradze - თანაავტორი	**Correlation of the Main Tectonic and Metallogenic unites of Georgia (south Caucasus) and adjacent areas**	4th International Mine & Mining Industires Congress & 6th Iranian Mining Engineering Conference 6-8 November 2016
11	ადამია, შ., სადრაძე - თანაავტორები	**A Comparison of Recent Post-Collisional Volcanism in the Lesser and Greater Caucasus.**	EGU General Assembly 2015, 12-17 April, 2015
12	ადამია, შ. - მომხსენებელი, სადრაძე, ნ. - თანაავტორი	**Quaternary Map of Georgia 2015 (SCALE 1:500000).**	Third CGMW(Commission of the Geological Map of the Word) Meeting on the Geosciences of the Middle East, Tehran, Iran, October 5-6, 2015
13	სადრაძე, ნ.-მომხსენებელი, ადამია, შ., ზაქარიაძე, გ. - თანაავტორები	**Magmatic Map of Georgia 2015 (scale 1:500000).**	Third CGMW(Commission of the Geological Map of the Word) Meeting on the Geosciences of the Middle East, Tehran, Iran, October 5-6, 2015

ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი;**ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი, ავთანდილ ამირანაშვილი**

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა.

ანზორ გველესიანი -მთავარი მეცნიერ თანამშრომელი ;

ვიქტორ ჩიხლაძე - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ჯუმბერ ხარჩილავა - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

თეიმურაზ ბლიაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

მარინა დევიძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

დარეჯან კირკიტაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

ხათუნა ჩარგაზია - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

სოფო ბურჯანაძე - უფროსი მეცნიერ თანამშრომელი;

ალექსანდრე ჭანკვეტაძე - მეცნიერ თანამშრომელი;

ვახტანგ ბანეთაშვილი - მეცნიერ თანამშრომელი;

გიორგი ხურციძე - მეცნიერ თანამშრომელი;

ინჟინრები: გ. ჩხაიძე, გ. ნიკიფოროვი, ტ. ბერიშვილი;

ლაბორანტები: დ. ამილახვარი, მ. მიტინი, ლ.დვალი

შტატგარეშე მეცნ. თანამშრომლები: ნ. ჯამრიშვილი, ხ. თავიდაშვილი

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერომიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
	საქართველოში ბუნებრივი და ანთროპოგენური ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების კვლევაუსაფრთხოეკოსისტემები ს შექმნის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით (2014-2023 წწ.)	ა.ამირანაშვილი	გველესიანი ა., ჩიხლაძევ.,ხარჩილავაჯ. ბლიაძეთ., დევიძე მ., კირკიტაძედ., ჩარგაზია ხ., ბურჯანაძე ს., ჭიაბრიშვილინ.,ჭანკვეტაძეა.,ჩხაი ძეგ., ნიკიფოროვიგ., ბერიშვილიტ.,ბანეთაშვილი ვ., ხურციძე გ., მიტინი მ., ამილახვარი დ., დვალი ლ., ჯამრიშვილი ნ., თავიდაშვილი ხ.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები სშესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)			

I.2.

№	შესრულებული პროექტის და სახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	ქალაქ თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში მიწისპირა ოზონის, აზოტის, გოგირდის და ნახშირბადის ჟანგეულების, აეროზოლების წონითი კონცენტრაციის, სუბმიკრონული აეროზოლების შემცველობის, მსუბუქი იონების კონცენტრაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ტემპერატურა, წნევა, ჰაერის ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება), მზის	ა.ამირანაშვილი	ამირანაშვილი ა., ხარჩილავაჯ. ბლიაძეთ., კირკიტაძედ., ჩიხლაძევ.,ჩხაიძეგ., ნიკიფოროვიგ., ბერიშვილიტ.,ამილახვარი დ., დვალი ლ.

	პირდაპირი და ჯამური რადიაციის, ატმოსფეროს აეროზოლური ოპტიკური სისქის, ხილვადობის, ჰაერის ბუნებრივი რადიოაქტიურობის (რადონი და ნიადაგის გამა-გამოსხივება), ელჭექების აქტივობის, გეომაგნიტური ველის, დედამიწის მიმოქცევების, გალაქტიკური კოსმოსური სხივების ინტენსივობის კომპლექსური სტაციონარული და სამარშრუტო მონიტორინგი (გაზომვები, მონაცემების მიმდინარე ანალიზი, მონაცემების ელექტრონული ბაზა) 2014-2023 წწ.		
2017 წ. გაგრძელდა მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის, რადონის და მსუბუქი იონების შემცველობის, მზის პირდაპირი და ჯამური რადიაციის, სტანდარტული მეტეოროლოგიური პარამეტრების (ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ატმოსფეროს წნევა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ხილვადობა და სხვა) კომპლექსური მონიტორინგი, არსებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი.			
№	შესრულებულიპროექტისეტაპის დასახელებამეცნიერებისდარგისადასამეც ნიერომიმართულებისმითითებით	ეტაპისხელმძღვანელი	შემსრულებლები
	ეტაპი.მეტეოროლოგიური სადგურების და საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამსახურის მონაცემების მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე სეტყვიანობის განაწილების ანალიზი	ა.ამირანაშვილი	თ. ბლიაძე, ნ. ჯამრიშვილი, ხ. თავიდაშვილი თანამონაწილე: მ.ფიფია, (ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი), ხუროძე თ. (გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი)



კახეთში საშუალო წლიური სეტყვიანი დღეების განაწილება სახელმწიფო დაზღვევის სამსახურის მონაცემების მიხედვით (123 პუნქტი)



კახეთში სეტყვიანი დღეების განაწილება 8 მეტეოროლოგიური სადგურის მიხედვით

ცენტრი - საშუალო წლიური, და შესაბამისი 99% ქვედა და ზედა ნდობითი

კახეთის ტერიტორიაზე სეტყვიანობის განაწილების მიხედვით შედგენილია შედარებითი რუკები მეტეოროლოგიური სადგურების და საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამსახურის მონაცემების საფუძველზე 1982, 1984-1989 წწ. კერძოდ ნაჩვენებია, რომ მეტეოროლოგიური სადგურები აფიქსირებენ უფრო მეტ სეტყვიანობას, ვინაიდან სადაზღვევო სამსახური აღრიცხავა მხოლოდ ზიანის მომტან სეტყვიანობას.

	ეტაპი.ტემპერატურისვერტიკალ ურიგანაწილებისსტატისტიკური ანალიზიკახეთისრეგიონში (2012-2016 წწ.)	ა.ამირანაშვილი	ნ. ჯამრიშვილი, ხ. თავიდაშვილი

წარმოდგენილია ატმოსფეროს ტემპერატურის ყოველდღიური ვერტიკალური რადიოლოგიური ზონდირების მონაცემთა დეტალური ანალიზი თელავში დაკვირვებათა 4 ვადისათვის (04, 10, 16 და 24 სთ, თბილისის დროით). 2012-2016 წლების მონაცემები გამოყენებულია საერთაშორისო საინფორმაციო ბაზიდან https://ready.arl.noaa.gov/READYcmet.php. ინფორმაცია მიწისპირატემპერატურის შესახებ მიღებული იქნა მონაცემთა მსოფლიო ბაზის საიტიდან https://rps.ru/Weather in Georgia. სრულად ჩატარდა ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური პროფილის 7308 მონაცემის სტატისტიკური ანალიზი, სიმაღლეთა დიაპაზონში 0.543 კმ-დან (თელავის მეტეოსადგურის სიმაღლე) 27 კმ-მდე.

მოცემულ ეტაპზე შესწავლილია ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური მონაცემების ვერტიკალური განაწილება კახეთის ტერიტორიაზე (იანვარი-დეკემბერი), ნულოვანი და -6^{0}C იზოთერმის სიმაღლეების დეტალური სტატისტიკა (აპრილი-ოქტომბერი,სეტყვასთან ბრძოლის სეზონი), ნულოვანი იზოთერმის

საშუალო თვიური მონაცემების ცვალებადობა. განსახილველ ტერიტორიაზე -6^{0}C იზოთერმის და ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტის (2012-2016წწ) მონაცემები შედარდა გასული საუკუნის (50-იანი წლების დასაწყისსა და 60-იანის დასასრულის მონაცემებს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კახეთის რეგიონში ბოლო პერიოდში, წინა საუკუნესთან შედარებით აღინიშნება 0^0 C-ის იზოთერმის სიმაღლის ზრდა ივნისიდან ოქტომბრამდე, ხოლო -6^{0}C იზოთერმისა ივნისიდან აგვისტომდე და სექტემბერში. 2012-2016 წლებში მაისიდან ოქტომბრამდე. სიმაღლის ზრდასთან ერთად ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური მნიშვნელობების შემცირება უფრო დიდი გრადიენტით ხდება ვიდრე 1058-1961 წლებში

ბოლო ხუთი წლის (2012-2016) განმავლობაში, კახეთის რეგიონში -6°C იზოთერმის სიმაღლე წინა პერიოდთან (1958-1961) შედარებით გაიზარდა ივნისში, ივლისში, აგვისტოსა და ოქტომბერში (უდიდესია ოქტომბერში - 319 მ, უმცირესი ივლისში - 143 მეტრი), ხოლო შემცირდა მაისში (280 მ) და სექტემბერში (38 მეტრით).

მიღებულიშედეგების გამოყენება შესაძლებელია: ამინდზე ზემოქმედებისას სარაკეტო საშუალებათა ოპტიმალური შერჩევისათვის; სეტყვაზე საარტილერიო ზემოქმედების შედეგად გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების; ინფრასტეუქტურის; ტრანსპორტისა და შენობა-ნაგებობათა პოტენციურ დაზიანებათა დეტალური რუკების შესადგენად, ადგილის სიმაღლის, ნულოვანი იზოთერმის სიმაღლის და ღრუბლებში სეტყვის მარცვლების ზომები სრადიოლოკაციური გაზომვებისათვის.



ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური განაწილების საშუალო თვიური მნიშვნელობები იანვარ-დეკემბერში კახეთისტერიტორიაზე 2012-2016 წწ. 04, 10, 16 და 22 საათის მონაცემებით.



კახეთის ტერიტორიაზე 2012 – 2016 წლების აპრილ-ოქტომბრის პერიოდში ნულოვანი იზოთერმის სიმაღლის განმეორადობა 04, 10, 16 და 22 საათისთვის თბილისის დროით



კახეთის ტერიტორიაზე 2012 – 2016 წლების აპრილ-ოქტომბრის პერიოდში -6°C იზოთერმის სიმაღლის განმეორადობა 04, 10, 16 და 22 საათისთვის თბილისის დროით



პროექტის შესრულებასთან დაკავშირებით გურიის ტერიტორიაზე ჩატარდა საველე სამუშაოები. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემა ჩაისახა კავკასიის კოლიზიის ეტაპზე. ის აგებულია, ძირითადად, ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით. ვულკანიზმი ანტიდრომული რიგისაა. ტრაქიანდეზიტ-დაციტური, ტრაქიანდეზიტ-ბაზალტური და ბოლოს ბაზალტური ასოციაციები დამახასიათებელია რიფტოგენული სტრუქტურებისათვის. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემაში გამოიკვეთა ორი ვულკანური სტრუქტურა: პირველი, ჩრდილოეთით - ვაკიჯვრი-ზოტის, ნაპრალოვანი ვულკანის ფერდზე; მეორე - სამხრეთით, მერისი, სადაც აღინიშნება ჰიდროთერმალური ხსნარების ფუნქციონირების ნიშნები. ორივე სტრუქტურა ხასიათდება ოქრო-სპილენძ-მოლიბდენ პროფირული საბადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, უფრო სწორად, წარმოდგენს ზედა ზონების ნაწილებს. გურიაში გამოყოფილია ვაკიჯვრის და ზოტის მადნიანი ველები. ამ ველებზეც ოქროთი გამდიდრებულია პირიტ-ქალკოპირიტიანი ბრექჩირებული ზონები. აქედან გამომდინარე ტრაქიანდეზიტ-დაციტური ფორმაციების ფუძის დონეები შესაძლოა ოპტიმისტურად იყოს შეფასებული. ადრე აქ იყო აღმოჩენილი ზემო სურების, ფამფალეთის, ჭაბუას ადგილის, გონებისკარის, ნასახლარის, ქორისბუდის, ზოტის და წისქვილის წყლის ოქროს გამოვლინებები.აჭარა-თრიალეთის დასავლეთ ნაწილში გამოიყოფა ოთხი პერსპექტიული ფართობი. მათში ყველაზე პერსპექტიულად მიგვაჩნია მერისის მადნეული კვანძი, რომელშიც შარავანდედების გეოლოგიური, მინერალოგიური და გეოქიმიური თავისებურებებანი მოწმობს, რომ მერისის მადნიან კვანძში ეროზიით მადნიანი სისტემის ზედა ნაწილებია გაშიშვლებული. აჭარა-თრიალეთის დასავლეთი ნაწილი, ოქროს მაქსიმალური ჯამური პოტენციალია158 ტ. აქედან მე-2 ფართობზე (ვაკიჯვრის კვანძზე) 50 ტ; მესამეზე (ზოტის) - 50 ტ; ხოლო მერისის მადნიან კვანძში შესაძლოა შეიცავდეს 58 ტ-ს.

მადნიანი რესურსის გაანგარიშება მოხდა მეთოდური სახელმძღვანელოების საშუალებით.

I. 3. **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები

კვარც-მცირესულფიდური ძარღვული ტიპის ოქროს საბადოთა პროგნოზირების გეოლოგიურ-გენეტიკური საფუძვლების შემუშავება ზემო სვანეთის რეგიონის მაგალითზე (საქართველო)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ს. კეკელია	ს.კეკელია, მ.კეკელია, ი. მშვენიერაძე, ნ. ფოფხაძე, ნ.გაგნიძე, გ. ასათიანი, კ. ლობჟანიძე

ანოტაცია

ოქრო-კვარც-მცირესულფიდური გამადნების ტიპი, წარმოიშვა მთათა-ნაოჭა სისტემების განვითარების სუბდუქციურ ეტაპზე; საყოველთაოდ ცნობილია, რომ დედამიწის ქერქში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს მადნიანი ნივთიერების დისიპაციას (გაფანტვას), ხოლო განსაკუთრებულ, იშვიათ შემთხვევებში, მისი ნაწილი ქმნის მნიშვნელოვან კონცენტრაციებს მიწის ქერქში.

მეტალოგენური ზონა აერთიანებს დიდ ფართობზე გავრცელებულ დისლოცირებულ ტერიგენულ წყებებს, რომლებიც შედგება ნახშირბადიანი ქვიშაქვა-ალევროლით-ფიქლებრივ მძლავრი ჰორიზონტებისაგან. ტერიგენები წარმოდგენილია ქანებით, რომელიც გროვდებოდა კონტინენტის ფერდობზე და მის ძირზე, აგრეთვე, განაპირა ზღვების ღრმა ზღვიურ ქვაბულებში სერიციტ-ქლორიტიანი და ეპიდოტ-გრანატის სუბფაციების პირობებში. ნახშირბადის შემცველი ფენები და შემოჭრილი გრანიტოიდები, მცირე სიმძლავრის დიორიტების და გრანიტოიდების სხეულები შეიცავს მადნიან დაგროვებებს, სადაც აღინიშნება ოქროს, ვოლფრამის, დარიშხანის, ანტიმონის ამაღლებული შემცველობა. აღნიშნული წყების ფარგლებში აღინიშნება ქვიშრობები და შლიხური შარავანდედები. გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით წყებებში (ზონებში) ფიქსირდება გრანიტოიდების ე.წ. „ფარული“ მასივები.

ოქროსმატარებელი მეტალოგენიური ზონა განლაგებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდის ცენტრალურ ნაწილში. სვანეთის მადნიან რაიონში არსებული პოტენციური ოქროსმადნიანი საბადოები ლოკალიზირებულია ქვედაიურულ ფლიშოიდებში, რომლებიც ფარავსპალეოზოურ ნალექებს (დიზის წყება), შუაიურულ გრანიტოიდებში - კვარციან დიორიტებში და კვარციან მონცონიტებსა და კვარციან მონცოდიორიტებში. მადნიანი სხეულები უმეტესად ლოკალიზებულია გრანიტოიდების აპიკალურ ნაწილებში. რაიონის ოქროზე პროგნოზული შეფასებისას აუცილებელია ყურადღების მიქცევა ტერიგენული ქანების ნახშირბადიანობაზე, თიხიანი ფრაქციის რაოდენობაზე და ორგანული ნივთიერების შემცველობაზე. ეს ფაქტორები განსაზღვრავს ტერიგენულ წყებებში ოქროს და მის თანმხლები ქიმიური ელემენტების პირველად კონცენტრაციებს. ოქრო-დარიშხანიან-სულფიდურ გამადნებაში ოქროს გამდიდრება ხდებოდა ჰიდროთერმალური პროცესების ზეგავლენის შედეგად; ხოლო ოქრო-კვარც-მცირესულფიდიანი გამადნების შემთხვევაში - მადანდაგროვებას წინ უსწრებდა ოქროს ანომალიების ფორმირება ნალექდაგროვების პროცესებში და ქანების შემდგომი მეტამორფიზმის დროს.

მადნები უპირატესად კონცენტრირდება ქანებში, რომლებმაც განიცადა მწვანეფიქლიანი მეტამორფიზმი, სადაც სულფიდებიდან ყველაზე მეტია პირიტი და არსენოპირიტი; ბიოტიტ-ქლორიტული ასოციაციის დონეზე თანაბარი რაოდენობით პირიტი და პიროტინი, ხოლო ეპიდოტ-ამფიბოლიტური ასოციაციის დონეზე მხოლოდ პიროტინი, მაღალ დონეებზე გამოვლენილია ბერეზიტები (კვარც-ალბიტ-პირიტ-სერიციტის); უფრო დაბალ დონეებზე კი - კვარც-მინდვრის-შპატული და ბიოტიტ-ქლორიტული მეტასომატიტები.

ოქროსმატარებელი რაიონების პოტენციალი უნდა შეფასდეს შემდეგი გეოლოგიური ნიშნების გათვალისწინებით: ქანების დაძაბული დისლოკაციის სურათი, ოქროს მაღალი შემცველობა მინდვრის შპატებში, მცირე გაბრო-პლაგიოგრანიტული სხეულების არსებობა. ერთ-ერთ მნიშვ-

ნელოვან რეგიონალურ ნიშანს ოქროსმატარებელი რაიონებისათვის წარმოადგენს ულტრაბაზიტების არსებობა. ისინი ძველ მწვანეფიქლიან სარტყელებში ,,ართულებს“ ფუზე შედგენილობის ვულკანიტებს ან შედის ალოხტონებში, რომლებიც ფარავენ გნეისურ-გრანიტულ თაღებს; ფირფიტებში, ბაზალტებში და ულტრაბაზიტებში ოქროს შემცველობა (0,02გ/ტ-) ხუთჯერ აღემატება ოქროს შემცველობას ნახშირბადიან წყებებში. ამის გამო ისინი განიხილება როგორც ოქროს პირველი წყარო. კავკასიაში მადნიანი რაიონების ფართობები მერყეობს 1500 -დან 2500 კმ^2 -მდე.
დისლოკაციის ზონებში ორგანული ნივთიერება განიცდის გადაადგილებას და დიფერენციაციას; მადანმატარებელ ტექტონიტებში მისი შემცველობა ამაღლებულია (მაგალითად პალეოზოურ დიზის სერიაში, სვანეთში). რაჭის საბადოებში და მადანგამოვლინებებში ორგანული ნივთიერების შემცველობა ასპიდურ ფიქლებში, რომლებსაც არ განუცდია ჰიდროთერმალური ცვლილები - ორ პროცენტამდე, ხოლო მინერალურ ზონებში მისი შემცველობა ეცემა 0.56%-მდე.
სვანეთის მადნიანი რაიონი მოიცავს მთავარი ქედის სამხრეთი ფერდის იმ ნაწილს, სადაც ქვედაიურული ფლიშოიდური ტიპის თიხა-ქვიშაქვიანი ფიქლები უშუალოდ ადევს თავზე დიზის სერიის პალეოზოური ასაკის წყებას. რაიონი რღვევებით არის შემოსაზღვრული. აქ, პალეოზოურ მეტამორფულ წყებებში, აგრეთვე, მონცოდიორიტებში ოქროს საბადოების აღმოჩენის დიდი ალბათობაა. არ არის გამორიცხული, რომ ოქროს გამადნება იყოს ქვედაიურულ ფლიშოიდებში, რასაც დამაჯერებლად მოწმობს ოქრო-კვარც-ძარღვიანი სისტემების არსებობა მდ. არშირას (მდ. ენგურის მარცხენა შენაკადის) სათავეებში. პალეოზოურ ფიქლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ზედა ნაწილები - გრაფიტიზირებული პერმული კარბონატული ნალექები. რჩება შთაბეჭდილება, რომ აქ არსებული ვიწრო გრაფიტიზირებული ზონები იყო ოქროთი შედარებით გამდიდრებული ოქროს ქვიშრობების წყარო. მაგ. ლახამულას და ცხუმარის ქვიშრობები მდ. ენგურის კალაპოტში და მდინარის მარცხენა ფერდზე. კერძოდ ოქროს პოტენციალი მესტია-რაჭის მადნიან რაიონში დათვლილია როგორც 210ტ, ხოლო სვანეთის მადნიან რაიონში - 350 ტ.
სვანეთში ოქროზე პერსპექტიულს წარმოადგენს მთლიანად კირარი-აბაკურის კვანძი, სადაც ყველა ცნობილ მცირე შუაიურულ სხეულში ოქრო-კვარციანი ძარღვებია; გარდა ამისა, ბევრ ადგილას ინტრუზივების ეგზოკონტაქტებში ჰიდროთერმულად შეცვლილ ქანებში დაფიქსირებულია ოქროს ამაღლებული შემცველობები; აგრეთვე ცხუმარი-ლახამულას პოტენციური მადნეული ველი, რომელშიც ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ქვიშრობები; მათში ერთერთში, ცხუმარის ქვიშრობში იყო აღმოჩენილი 0.5კგ თვითნაბადი ოქროს ნატეხი.

III.1 პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

N	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულისდასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	S.Kekelia, M.Kekelia, N.Gagnidze,N.Popkhadze, I.Mshvenieradze K.Lobjhanidze, G. Kharazishvili	Svaneti Gold Deposits (Kirar-Abakuri Ore Knot) and Their Genesis. Bull. of the Georgian National Acad. of Sciences	2017, Vol. 11, № 2.	Tbilisi,	p.60-68

2	S.Kekelia,M.Kekelia, N.Popkhadze, I.Mshvenieradze, N.Gagnidze,G.Asatiani, K. Lobjanidze	Geological Setting and Genetic Model of the Zopkhito Prospect (southern slope of the Greater Caucasus, Georgia). Bull. of the Georgian National Acad. of Science	2017, Vol. 11, №4	Tbilisi, Georgian Academy Press	In press

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიისსათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	В.М. Баба-заде, С.А. Кекелия, Ш. Ф. Абдуллаева, М. А. Кекелия	Рудные месторождения Центрального сегмента Альпийского горно-складчатого пояса и проблемы их генезиса (Большой и Малый Кавказ, Восточные Понтиды)	Азербайджан,Баку, “CBS”	288 стр.

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდ. რაოდენობა
1	Shahla Abdullayeva, Vasif Baba-zadeh, Sergo Kekeliya, Nazim Imamverdiyev, Maren Kekeliya, M. Mansurov, T. Takmazova, Aleksandr Romanko	Principles of compilation of prospecting multiple-factor models of volcanogenic deposits of nonferrous metals (on the example of the Lesser Caucasus). Engineering Computation	2017,№ 8 (2), Volume 34.	Wales, Emerald Group Publ. Ltd., 2017. Proceedings of the Journal are located in the Databases Scopus and Web of Scie. Source Normalized Impact per Paper (SNIP): 1.225 SCImago Journal Rank (SJR): 1.567 Impact factor: 2.150 5-Yr impact factor: 1.441 2015 Journal Citation Reports®, Thomson Reuters	P.2495-2522
2	Sh. Abdullayeva, V. Baba-zadeh, S. Kekeliya, N. Imamverdiyev, M. Kekeliya, Al. Romanko	Genesis of Au-containing magmatic deposits of the non-ferrous metals in island-arc structures (Lesser Caucasus and East Pontids), data on inclusions and isotopic investigations. International Journal of Mining Science	2017. Volume-3, Issue-2	India. ISSN.2454-9460 (Online). www.arcjournals.org.	P. 26-39
3	В.М Баба-заде., С.А. Кекелия, Ш.Абдуллаева, Г. Тахмазова, Н. Имамвердиев,	Золоторудные месторождения, условия их образования и характерные особенности геодинамического раз	2017. №1	Издательство Бакинского Университета	с. 83-110

	М.А Кекелия, Б.Г. Каландаров, М.И Мансуров, А.М.Исмайлова, У. И Керимли	вития (Большой и Малый Кавказ). Вестник Бакинского Университета, серия естественных наук			
4	С. Кекелия, М. Кекелия, Н. Гагнидзе, Н. Попхадзе	Вулканогенные месторождения цветных металлов палеоостроводужных сооружений и проблемы генезиса руд (на примере рудных объектов Грузии, Армении и Турции). Вестник Киевского Государственного Университета	2017, 4(79)	Издательство Киевского Государственного Университета	В печати

I. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	S.Kekelia, M.Kekelia, N. Gagnidze, N. Popkhadze, I. Mshvenieradze, G. Kharazishvili	Svaneti gold deposits (Kirar-Abakuri ore knot) and Their genesis	Tbilisi, "Technical University". 3rd International Sientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology, 2017
2	S.Kekelia, M.Kekelia, N. Popkhadze, I.Mshvenieradze, G. Asatiani, N. Gagnidze, K. Lobzhanidze	Geological Setting and Genetic model of the Zopkhito prospect (Southern slope of the Greater Caucasus, Georgia)	Tbilisi, "Technical University". 3rd International Sientific-Practical Conference on Up-to-date Problems of Geology, 2017

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Gagnidze	Upper Cretaceous (Maastrichtian) Olistostrome Complex of the Southern Slope of the Greater Caucasus (Georgia)	IMS 2017. Toulouse, France, October 10-12, 2017
2	N. Gagnidze, A. Okrostsvaridze	Felsitic Magmatism and Th-Bi Mineralization in the Greater Caucaus Kakheti Region, Georgia	Goldshmidt 2017. Paris, France. 13-18 August, 2017
3	Okrostsvaridze A., Gagnidze N., Bobrova I., Skhirtladze I.	Late Miocene volcanic ash layers of the intermountain depression of the Eastern Caucasus: the products of the megacaldera explosion?	IGCP 610 Fifth Plenary Conference and Field Trip, Italy, 1-9 October, 2017
4	Hassing M., Enukidze O., Galoyan G.,	Jurassic and Cretaceous geodynamic environments of ore formations along the Tethyan belt: New insights from the structural contexts along the Somkheto-	15th Swiss Geoscience meeting 2017, Davos, 17-18 November, 2017

	Popkhadze N., Moritz R.	Karabagh mountain belt, Armenia and Georgia	
5	Popkhadze N., Moritz R, Kekelia S.	Late Cretaceous phreatomagmatic volcanism and distribution of ore deposits in the Bolnisi district: constrains from the Madneuli polymetallic deposit, Lesser Caucasus, Georgia	IAVCEI2017 Scientific Assembly: Fostering Integrative studies of volcanism.14-18 August, Portland, U.S.A.
6	Popkhadze N., Moritz R., S.Kekelia	Maar-diatreme volcano on the Madneuli polymetallic dposit: Lesser Caucasus, Georgia (implication for the host rock facies architecture)	4rd International Volcano Geology Workshop: Challenges of mapping in poorly-exposed volcanic areas. Eastern Transylvania, Romania, October 8-14, 2017

სამეცნიერო ერთეულის დასახელება: **გარემოს დაცვის განყოფილება**

მიმართულება 5: **გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგი და შეფასება**

განყოფილების ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერთანამშრომელი ვახტანგ გვახარია
განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: მთ. მეცნიერი თანამშრომელი ნ. მაჩიტაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ა. მიქაბერიძე, გ. მაისურაძე, ტ. ადამია, ნ. გელაშვილი; მეცნიერი თანამშრომლები: ც. ხუხუნია, რ. ხარგელია;
არასამეცნიერო პერსონალი, ინჟინერ-ქიმიკოსები: ე. კობახიძე, ნ. ქადაგიშვილი, ინჟინერ-ფიზიკოსი გ. ჟორჟოლიანი.

II. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის გეოეკოლოგიური, გეოქიმიური და ჰიდროქიმიური კვლევა (2015-2024)	ვ.გვახარია	ა. მიქაბერიძე, ნ.მაჩიტაძე, ტ. ადამია, ნ. გელაშვილი, რ. ხარგელია, ც. ხუხუნია, ნ. ქადაგიშვილი, ე. კობახიძე,
2	ქ.თბილისის ზოგიერთი ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალის ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება (2015–2024)	ვ. გვახარია	ა.მიქაბერიძე, ტ.ადამია, გ.ჟორჟოლიანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების ანოტაცია

1.2017 წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს საქართველოს საზღვაო აკვატორიაში სამონიტორინგო სადგურების შერჩევას და მონიტორინგის დაწყებას. ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა სენსიტიური წერტილები, რომლებიც შეიძლება შერჩეული იქნეს მონიტორინგის სადგურებად. ამ თვალსაზრისით შერჩეულია 3 სადგური, სადაც მოხდება წყალქვეშა პლაჟებიდან ნიმუშების აღება ქიმიური და გრანულომეტრიული ანალიზისათვის.

საქართველოს სანაპირო ზონაში აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნაპირების მდგრადობაზე. ამ ზეგავლენის შეფასების მიზნით 2017 წელს ჩატარდა სანაპირო ხაზის აგეგმვითი სამუშაოები ბათუმი - კვარიათის და ფოთის აკვატორიაში. ჩატარდა ასევე ნაპირების მდგომარეობის ვიზუალური აუდიტი. ლითოდინამიკური პროცესებზე დაკვირვების მიზნით შეირჩა კიდევ ორი მონაკვეთი: მდ. ხობის შესართავის ჩრდილოეთი ნაწილი და ანაკლიის აკვატორია. ეს უკანასკნელი უახლოეს პერიოდში მნიშვნელოვანი მშენებლობის ობიექტი გახდება, და აქედან გამომდინარე, ცვლილებების შეფასებისა და აღწერისათვის საჭირო იქნება საწყისი ფონური მდგომარეობის დაფიქსირება.

საზღვაო აკვატორიაში მყარ ნარჩენებზე დაკვირვებისათვის შერჩეულია 4 მდინარე: ჭოროხი, სუფსა, ნატანები და რიონი, რომლებზეც გასული წლის განმავლობაში 4-ჯერ ჩატარდა დაკვირვებების სერია. მონაცემები გვიჩვენებენ მდინარეების მიერ ტრანსპორტირებული ნარჩენების რაოდენობის გარკვეულ სეზონურ ცვალებადობებს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია მონიტორინგის გაგრძელება.

2.2017 წელს ჩატარდა ხმაურის დონის შეფასების კვლევები თბილისში, საბურთალოს რაიონის ცალკეულ უბნებში. კვლევები ჩატარებულია ვაჟა ფშაველას და ალ. ყაზბეგის გამზირების და ქავთარაძის ქუჩის მიმდებარე საცხოვრებელ უბნებში. ხმაურით დაბინძურების დონეების რაოდენობრივი შეფასება ჩატარებულია დროის ერთეულში გავლილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობასთან მიმართებაში. გათვლილია საკვლევ რაიონში სატრანსპორტო ნაკადების მიერ გამოწვეული ხმაურის მახასიათებლები.

III.1 პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიისსათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ა. მიქაბერიძე მ. ჯიბლაძე ვ. გვახარია ტ. ადამია გ. ჟორჟოლიანი ზ. ბერიძე	ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალების (ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგის გამზირები, პეტრე ქავთარაძის ქუჩა) ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“	N 2 (725)	თბილისი, 2017	გვ. 39-47
2	A.Mikaberidze, †M.Jibladze, V.Gvakharia, T. Adamia,	Assessment of the State of Noise Pollution In Some Main Traffic Highways Saburtalo District of Tbilisi. Book of Abstracts. 3rd International Scientific-Practical	1–2 June,	Tbilisi 2017	p. 92-95

	G. Zhorzholiani	Conference on Up-to-date Problems of Geology			

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Y. Denga, V. Komorin, Y. Oleynik, A. Korshenko, N. Lukyanova, S. Kochetkov, M. Arabidze, N. Machitadze, N. Gelashvili, H. Bakradze, E. Kitoshvili, at al.	National Pilot Monitoring Studies and Joint Open Sea Surveys in Georgia, Russian Federation and Ukraine, 2016. Draft Scientific Report	March, EU/UNDP Project: Improving Environmental Monitoring in the Black Sea – Phase II (EMBLAS-II) ENPI/2013/313-169, 2017	456

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1	K. Bilashvili, V. Gvakharia, N. Machitadze, Z. Savaneli, V. Trapaidze	Creation of the end Product of Oceanographic Data of the Georgian Black Sea Area. 17th Intern. Multidisciplinary Scien. Geoconference SGEM, 2017	Conference Proceed. Volume 17, Issue 51	STEF Technology Ttd, Sophia, Bulgaria	263-271
2	N. Machitadze, N. Gelashvili, V. Gvakharia, K. Bilashvili, V. Trapaidze, N. Gaprindash-vili, A. Magla-kelidze	Monitoring of Marine Beach and Riverine Floating Litter within Georgian Black Sea Coastal Area. Intern. Symp. "Protection of the Black Sea Ecosystem and Sustainable Management of Maritime Activities" PROMARE 2017	8th Edition. Book of Abstracts	CD PRESS 2017, Bukurest, Romania	126-127
3	N. Machitadze, N. Gelashvili, V. Gvakharia, K. Bilashvili, V. Trapaidze, N. Gaprindash-vili, A. Magla-kelidze	Monitoring of Marine Beach and Riverine Floating Litter within Georgian Black Sea Coastal Area. Journal of Environmental Protection and Ecology (submitted)	Vol 19, no. 1 or no. 2 on 2018.	Balkan Environmental Association (B.EN.A.) Thessaloniki, Greece	9

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	A.Mikaberidze	Assessment of the State of Noise Pollution In Some Main Traffic Highways Saburtalo District of Tbilisi	1–2 June, 2017, Tbilisi

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენებისსათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Machitadze	Monitoring of Marine Beach and Riverine Floating Litter within Georgian Black Sea Coastal Area	International Symposium “Protection of the Black Sea Ecosystem and Sustainable Management of Maritime Activities” PROMARE 2017, September, 7 – 8, 2017, Constanta, Romania,

თამარ წუწუნავა
ინსტიტუტის დირექტორი
გეოლ.-მინერ. მეცნიერებათა დოქტორი

ერეკლე გამყრელიძე
აკადემიკოსი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

საანგარიშო 2017წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჩატარებული სამეცნიერო ღონისძიებები:

ლოკალური სამეცნიერო ღონისძიებები:

- 27 მარტს „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ ყოველწლიური სამეცნიერო სესიის - „გალაკტიონის დღე“ -ფარგლებში ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის 1-5 ტომების პრეზენტაცია;

- 19 აპრილს გაიმართა ელექტრონული წიგნის „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“ პრეზენტაცია;

- 31 მაისს ჩატარდა სამეცნიერო სესია „საქართველოს კულტურული ორიენტაციის საკითხი 1910-1920-1იანი წლების ქართულ ლიტერატურაში“;

- 7 ივნისს გაიმართა ფოლკლორისტთა 53-ე სამეცნიერო კონფერენცია;

- 28ივნისს, ჩატარდა სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის IX სამეცნიერო სესია „ფუტურიზმი საქართველოში“

ინსტიტუტში მიმდინარე საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები:

- 3 ნოემბერს ცატარდა სამეცნიერო სესია ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები.

საერთაშორისო ფორუმები:

- 27-29 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამონაწილეობით, ჩაატარა მორიგი საერთაშორისო სიმპოზიუმი

„რომანტიზმი ლიტერატურაში. ეპოქათა და კულტურათა მიჯნაზე“, რომელიც მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავს.
სიმპოზიუმი დაგეგმილი იყო UNESCO- ს ღონისძიებათა ფარგლებში. პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ვინაიდან საანგარიშო 2017 წელი UNESCO-ს მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის წლად იყო გამოცხადებული.

სიმპოზიუმის ფარგლებში მუშაობდა შემდეგი სექციები:

- რომანტიკული მსოფლაღქმა, თემები და მოტივები;
- რომანტიზმის ესთეტიკა და ლიტერატურული პროცესი;
- რომანტიზმის ნაციონალური ინვარიანტები. ნაციონალური იდენტობის საკითხი და კულტურული მარკერები;
- რომანტიზმის პოეტიკა;
- რომანტიზმის სემიოტიკა;
- ლიტერატურული კანონი რომანტიზმის ეპოქაში;
- რევოლუცია და რომანტიზმი;
- ქართული რომანტიზმი;
- ნიკოლოზ ბარათაშვილი და მსოფლიო რომანტიზმი;
- რომანტიკოსები ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

- **სიმპოზიუმის სამუშაო ენები იყო :** ქართული, ინგლისური, რუსული.

სიმპოზიუმში მონაწილეობდა 130-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (სულ - 17 ქვეყანა) მათ შორის: საფრანგეთი, იაპონია, აშშ, ბულგარეთი, პოლონეთი, გერმანია, ბელგია, ლიტვა, ლატვია უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი, აზერბაიჯანი, მაკედონია, თურქეთი, ირანი. აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები თბილისიდან და რეგიონებიდან.

ინსტიტუტის მიერ 2017ელს გამოცემული სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები:

1. „სჯანი“ 18 _ ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.

ჟურნალ "სჯანში" იბეჭდება ნაშრომები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს, მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებელ შედეგებს.

ჟურნალი „სჯანი“ არის საქართველოში გამომავალი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.

2008 წლიდან ჟურნალი განთავსებულია *ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ელექტრონული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე*(http://www.ceeol.com);

2015 წლიდან "სჯანი" შესულია *VABB-SHW*(სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფლამანდიური აკადემიური ბიბლიოგრაფიის მონაცემთა ბაზა) (https://www.ecoom.be);

2017 წლიდან ჟურნალი "სჯანი" მიღებულია *ERIH PLUS*-ის საერთაშორისო ბაზაში (https://dbh.nsd.uib.no);

ჟურნალს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია; სტატიები იბეჭდება ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფარნგულ და რუსულ ენებზე.

დასაბეჭდად შერჩევა ხდება ანონიმური რეფერირების წესით.

2. „ლიტერატურული ძიებანი“ XXXVII _ ყოველწლიური ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო კრებული,

მუდმივი სამეცნიერო რუბრიკებით: ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობა; რუსთველოლოგიური კვლევანი; XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა, XX საუკუნის მწერლობა; თანამედროვე ლიტერატურული პროცესები; მითოსი, რიტუალი, სიმბოლო; პოეტიკური კვლევანი; ლიტერატურული მერიდიანები, პოლემიკა. კრებულს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო კოლეგია; სტატიები იბეჭდება ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფარნგულ და რუსულ ენებზე.

სტატიების დასაბეჭდად შერჩევა ხდება ანონიმური რეფერირების წესით.

3. „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა“,

ნაწილი პირველი. წიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამის „ქართული მწერლობა. პერიოდები და მიმართულებანი“ ფარგლებში და განკუთვნილია სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის

4. **სამეცნიერო კრებული „ქართული ლექსმცოდნეობა“ IX** – დაბეჭდილია მირზა გელოვანის პოეზიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომები.

5. ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი **X საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის „რომანტიზმი ლიტერატურაში, ეპოქათა და კულტურათა მიჯნაზე“, _ მასალების კრებული ორ წიგნად.**

6. **„ლიტერატურული მიმდინარეობები, კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე**“. კრებული ლიტერატურის მიმდინარეობათა შესახებ, თავისი ძირითადი ინფორმაციული ფუნქციის გარდა, კლასიკური ქართული ლიტერატურის ახლებურ წაკითხვებსაც გვთავაზობს.

7. სამეცნიერო კრებულის **„რუსთველოლოგია“ VIII** - რუბრიკებით ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორიები და ვეფხისტყაოსანი, პარალელები, ისტორიული რეალიები, ცნება და ტერმინი, ინტერტექსტი, ტექსტი და ტოპოსი, ვეფხისტყაოსნის ახალი თარგმანები, წარმოდგენილია მრავალფეროვანი რუსთველოლოგიური კვლევები.

8. **ირმა რატიანი, „ქართული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“,** მეორე შევსებული გამოცემა

საანგარიშო 2017 წელს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატრდა ინსტიტუტის დირექტორისა და აკადემიური პერსონალის არჩევნები.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ლიტერატურის თეორიის და კომპარატივისტიკის განყოფილება

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
გაგა ლომიძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:
გაგა ლომიძე
ირმა რატიანი
ირაკლი კენჭოშვილი
თამარ ბარბაქაძე

უფროსი მეცნიერ თანამშრომლები:
გიორგი გაჩეჩილაძე
ირინე მოდებაძე
კონსტანტინე ბრეგაძე

მეცნიერ თანამშრომლები:
რუსუდან თურნავა
მაია ნაჭყებია
შორენა შამანაძე
ნინო გაგოშაშვილი
სოლომონ ტაბუცაძე
არჩილ წერედიანი
გუბაზ ლეთოდიანი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლიტერატურის თეორია. ანტიკური ეპოქიდან თანამედროვე აზროვნებამდე. დანართი: ქართული ლიტერატურული ტექსტები პარალელური ანალიზის კონტექსტში (განხორციელების ვადები: 2014 -2023 წ.წ.)	გაგა ლომიძე, ირმა რატიანი	რატიანი ირმა ბარბაქაძე თამარ ნაჭყებია მაია გაჩეჩილაძე გიორგი კენჭოშვილი ირაკლი ლომიძე გაგა
კვლევის ეს ეტაპი ითვალისწინებდა სამ საფეხურს/პერიოდს. მეორე პერიოდში (2017–2019 წ.წ.) შესასრულებელი სამუშაო ითვალისწინებდა მუშაობას შემდეგ საკითხზე: ბაროკოს დრამატურგია; კლასიციზმი: ეპოქის მიმოხილვა: კლასიციზმის ლიტერატურული მიმდინარეობა, პოეტიკა, კლასიციზმის დრამატურგია, კლასიციზმის ეპოქის სალექსო ჟანრები; რომანტიზმი: ეპოქის მიმოხილვა, რომანტიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომანტიზმის ლიტერატურული ჟანრები, ქართული რომანტიზმი; განმანათლებლობა; სენტიმენტალიზმი: ეპოქის მიმოხილვა,			

სენტიმენტალიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა, სენტიმენტალური რომანი. ამ თემატიკის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: რომანტიზმის ეპოქა, რომელიც შეასრულა მკვლევართა ჯგუფმა: რატიანი ირმა, ბარბაქაძე თამარ, ნაჭყებია მაია, გაჩეჩილაძე გიორგი, კენჭოშვილი ირაკლი, ლომიძე გაგა

ასევე, მომზადდა ნაშრომები შემდეგ თემებზე: ნოველა, ანტიკური ეპოსი, ლირიკის თეორია, რომანი, აგიოგრაფია, სონეტი, ნეოკლასიციზმი.

გამოიცა კვლევის შედეგების ამსახველი პირველი რვეული, რომლის შევსებული გამოცემაც კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოიცემა.

I.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია ტ. 4	გაგა ლომიძე, ირმა რატიანი	ნუცუბიძე თამარ ნაჭყებია მაია შამანაძე შორენა კენჭოშვილი ირაკლი წერედიანი არჩილ ლეთოდიანი გუბაზ ბრეგაძე კონსტანტინე ტაბუცაძე სოლომონ

კვლევითი სამუშაო, რომელიც მოიცავს პერიოდს 2014-დან 2023 წლამდე, ითვალისწინებს ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის მრავალტომეულის გამოცემას. მე-3 ტომი უკვე გამოიცა 2015 წლის დასაწყისში. დაიწყო შემდეგი ეტაპის სამუშაოები – პოსტსტრუქტურალისტური კრიტიკა, მითოლოგიური კრიტიკა, მარქსისტული კრიტიკა, სტრუქტურალისტური ფსიქოანალიზი, რომლების ტექსტებზეც მუშაობენ გაგა ლომიძე, არჩილ წერედიანი, თამარ ნუცუბიძე, გუბაზ ლეთოდიანი, ირაკლი კენჭოშვილი, კონსტანტინე ბრეგაძე. ითარგმნება და მუშავდება შემდეგი ტექსტები: კლოდ ლევი სტროსის „სტრუქტურული ანთროპოლოგიიდან“ ტექსტი; ვოლფგანგ იზერის „ლიტერატურის ფუნქციის ცვლა“; ჟაკ დერიდას „სტრუქტურა, ნიშანი და თამაში ადამიანის შესახებ მეცნიერების დისკურსში“; ჟაკ ლაკანის „ასოს ინსტანცია არაცნობიერში“; მიშელ ფუკოს „ცინიკოსები და მათი ხერხები“; მიშელ ფუკოს „რა არის განმანათლებლობა“; პოლ დე მანის „თეორიის გამძლეობა“; ჯეიმს ჰილიზ მილერის „ხალიჩის მოხატულობა“; ნორთროპ ფრაის „კრიტიკის ანატომიიდან“ ტექსტი; ვიაჩესლავ ივანოვის „ცივი და ცხელი კულტურების ანთროპოლოგიური თეორიები“; მაიკლ რიფატერის „ფორმალური ანალიზი და ლიტერატურის ისტორია“; ი. ილინის „კულტურული არაცნობიერი“; იულია კრისტევას „პოეტური ენის რევოლუცია“; ჰანს რობერტ იაუსის „ლიტერატურის ისტორია, როგორც ლიტერატურის თეორიის გამოწვევა“, თეოდორ ადორნოს და მაქს ჰორკჰაიმერის „კულტურინდუსტრია“; თეოდორ ადორნოს „მხატვრული ნაწარმოების თეორიისთვის“. ქრესტომათიის ამ ნაწილის გამოსაცემად მომზადება დაგეგმილია 2018 წლის ბოლოს.

I. 3.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	კომპარატივისტიკის ანთოლოგია (2014-2018)	გაგა ლომიძე, ირმა რატიანი	პოპიაშვილი ნინო მოდებაძე ირინე

			გაგოშაშვილი ნინო თურნავა რუსუდან შამანაძე შორენა ნუცუბიძე თამარ კენჭოშვილი ირაკლი წერედიანი არჩილ ლეთოდიანი გუბაზ ტაბუცაძე სოლომონ ლომიძე გაგა
კომპარატივისტიკის ანთოლოგიის მომზადება ითვალისწინებდა პერიოდს 2014 წლიდან 2018 წლამდე. სამუშაო გულისხმობდა მნიშვნელოვანი ტექსტების თარგმნას, კომენტირებას და შესავლის და კვლევების დართვას. ამ ეტაპზე გამოსაცემად მზადაა კრებული: პიერ ბრუნელის „ჟანრების მითოპოეტიკა“ (რუსუდან თურნავა), რენე უელეკის „რა არის ლიტერატურა“ (ირაკლი კენჭოშვილი), ნ. ბასელის „ლიტერატურათაშორისი ურთიერთობების პრობლემები: გუშინ და დღეს“ (ნინო პოპიაშვილი), ანა ბალაკიანის „ლიტერატურის თეორია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ (თამარ ნუცუბიძე), კონრადის „თანამედროვე შედარებითი ლიტერატურადმცოდნეობის პრობლემები“ (ირინე მოდებაძე), ადრიან მარინოს „ინტერტექსტუალობა“ (ნინო გაგოშაშვილი), იური ლოტმანის “კულტურათა ზემოქმედების თეორიის აგებისთვის” (შორენა შამანაძე), ნეუპოკოევა “ბარათაშვილი და ევროპული რომანტიზმი” (შორენა შამანაძე), ნატალი პიეგე-გროს ნაშრომიდან „ინტერტექსტუალობის შესავალი“ ფრაგმენტი (ნინო გაგოშაშვილი). მზადდება შესავალი წერილი წიგნისთვის, რომელიც მიმოიხილავს კომპარატივიზმის ისტორიას საერთოდ და ამ დარგის განვითარებას საქართველოში, გასული საუკუნიდან. რედაქტირების პროცესში ჩართული არიან: გაგა ლომიძე, სოლომონ ტაბუცაძე, გუბაზ ლეთოდიანი, არჩილ წერედიანი. წიგნი გამოიცემა მომდევნო წლის დასაწყისში.			

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში (უცხოეთში მოღვაწე თანამემამულის მონაწილეობით)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	კონსტანტინე ბრეგაძე	ზაალ ანდრონიკაშვილი (სამეცნიერო ხელმძღვანელი) კონსტანტინე ბრეგაძე (ხელმძღვანელი) გაგა ლომიძე (კოორდინატორი) ირაკლი კენჭოშვილი ირინე მოდებაძე თამარ ციციშვილი მედეა მუსხელიშვილი
შედგა სტალინის შესახებ ქართველი მწერლების მიერ შექმნილი ტექსტების ბიბლიოგრაფია.				

დამუშავებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმისა და იაკობ გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული მასალები. პროექტის ამ ეტაპზე დამუშავებული და სისტემატიზებულია სტალინისადმი მიძღვნილი პოეტური, საბავშვო და ფოლკლორული კრებულები (სტალინი. გ.ლეონიძე; სტალინს, სტალინს უმღერიან; სტალინი ქართულ პოეზიაში, სტალინურ თაობას, სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში, ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში და სხვები), ქართველი მწერლების რედაქტორობით შედგენილი გამოცემები და ცნობილი ქართველი პოეტების მიერ შესრულებული უცხოელი ავტორების თარგმანები. მასალა დამუშავებული და სისტემატიზებულია პერიოდების მიხედვით: 1937 წლამდე, 1937-1941 წლები, 1941-1945 წლები და 1945 წლის შემდგომი პერიოდი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და არქივში შეგროვდა სტალინის შესახებ ინფორმაცია 1924 წლიდან და აღნუსხულია მასალა (პრესა, მოგონებების წიგნები, საიუბილეო კრებულები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და სხვ). მოვიწვიეთ უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. 2-3 ოქტომბერს გაიმართა სამეცნიერო ღონისძიება. 2 ოქტომბერს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა წაიკითხა მოხსენება „სტალინის კულტის გენეალოგია“. დამუშავებულ იქნა ლიტერატურის ნაწილი დისკურსის თეორიის (მიშელ ფუკო), სისტემის თეორიის (ნიკლას ლუმანი), სიღრმისეული ფსიქოლოგიისა (კარლ-გუსტავ იუნგი) და ფსიქოანალიზის (ზიგმუნდ ფროიდი) საკითხებზე, რათა ჩამოყალიბებულიყო ერთგვარი თეორიული ბაზისი, რის საფუძველზეც საგრანტო პროექტზე მუშაობის ფარგლებში წარმოჩნდება ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში პროეცირებულ და კონსტრურებულ სტალინის იკონური და მითოსური ხატის შექმნის იდეოლოგიური მოტივები. გარდა ამისა, ემიგრანტულ ქართულ ლიტერატურაში სტალინის მითოსური ხატის რეცეფციისა და კრიტიკის თვალსაზრისით გამოკვლეულ იქნა გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი კულტურფილოსოფიური ესსე „სტალინი როგორც არიმანული ძალა“. შესწავლილ იქნა რამდენიმე მომიჯნავე დისციპლინის საფუძვლები. დაგეგმილი კვლევისთვის ყველაზე პერსპექტიული აღმოჩნდა: ხელისუფლების სოციოლოგია, პოტესტარული/პოლიტიკური და ისტორიული იმაგოლოგია. შესწავლილ იქნა, როგორ შემოდის „სტალინიანა“ გ. ტაბიძის პოეზიაში და როგორ ზეგავლენას ახდენს პარტიის პოლიტიკა შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ „ხელოვნების მოთვინიერებასა“ და ლიტერატურაში სტალინის სახის იდეოლოგიაზაციასა და მითოლოგიზებაზე. შესწავლილ იქნა იდეოლოგემის და მითოლოგემის გაგება შესწავლილ იქნა იდეოლოგემის და მითოლოგემის გაგება სტალინთან მიმართებაში, ბახტინის თეორიაზე, სთივენ გრინბლატის სუბვერსიულობის თეორიაზე დაყრდნობით; როლან ბარტის „მითოლოგიების“, ელიადესეულ მოსაზრების მიხედვით, სადაც ის კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობის იდეას და ესქატოლოგიურ მითს ერთმანეთთან აკავშირებს; სტალინის შესახებ რანკურ-ლეფერიერის ფსიქოანალიტიკურ ნაშრომზე დაყრდნობით; იური ლოტმანის თეორიაზე სინამდვილეში ხელოვნების შემოჭრის და თამაშის ასპექტის შესახებ; ბორის გროისის ნაშრომზე სტალინის შესახებ, სადაც სტალინი ფუტურისტების თეორიის პრაქტიკულ განმხორციელებლად გვევლინება; მელეტინსკის ნაშრომზე „მითის პოეტიკა“; იუნგის ნაშრომზე ექვსი არქეტიპის შესახებ. მომზადდა ვებ-გვერდის აწყობის გეგმა და სექციებად დაიყო, სადაც პროექტის მსვლელობასთან ერთად, განთავსდება შესაბამისი მასალა. პროექტზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე ტექსტის ქართულად თარგმნის აუცილებლობა. ამ მიზნით, ითარგმნა და გამოიცა ბორის გროისის ნაშრომი — საკულტო წიგნი „სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება“.

I. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	იური ლოტმანი	რუსი თავადაზნაურობის ყოფა და ტრადიციები (XVIII საუკუნე- XIX საუკუნის დასაწყისი) (თარგმანი)	გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ.	გვ. 572
2	ბორის გროისი	სტალინიზმის ტოტალური ხელოვნება (თარგმანი)	გამომცემლობა CCU Press, თბილისი	გვ. 156

1. მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსული ყოფის და კულტურის შესახებ საუბრისას, უპირველესად, უნდა განვსაზღვროთ ცნებების „ყოფა“, „კულტურა“, „მე-18 საუკუნის და მე-19 საუკუნის დასაწყისის რუსული კულტურა“ მნიშვნელობა და მათი ურთიერთმიმართება. ამასთანავე, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ცნება „კულტურა“, რომელიც ადამიანის შესახებ მეცნიერებათა ციკლში ყველაზე ფუნდამენტურთა რიგებს განეკუთვნება, თვითონვე შეიძლება იქცეს ცალკე მონოგრაფიის საგნად და ეს არაერთხელ მომხდარა. უცნაური იქნებოდა, წინამდებარე წიგნი ამ ცნებასთან დაკავშირებული საკამათო საკითხების გარკვევისთვის რომ დაგვეთმო. ის მრავლისმომცველია: საკუთარ თავში გულისხმობს ზნეობრიობასაც, იდეათა მთელ წრეს, ადამიანის შემოქმედებას და ბევრ სხვას. ჩვენთვის სავსებით საკმარისი იქნება ცნება „კულტურის“ იმ მხარით შემოფარგვლა, რომელიც ჩვენი, შედარებით ვიწრო თემის ანალიზისთვისაა საჭირო. წიგნი ეხება მე-18-მე-19 საუკუნეების რუსულ კულტურას და მის მიმართებას დასავლურ კულტურასთან.

2. ბორის გროისის ნაშრომში განხილულია სტალინის ფიგურა ავანგარდთან მიმართებაში. ისტორიულ კონტექსტში განხილვა კონცეპტუალურ სქემის შემუშავებას გულისხმობს, რომლის საშუალებითაც სტალინისტური კულტურის შინაგანი ევოლუცია უნდა გაანალიზდეს. ჩვენ გავითვალისწინებთ ამ კულტურის საზღვრებს, ვინაიდან სწორედ მასში ყველაზე ნათლად ვლინდება მისი პრობლემები და წანამძღვრები. ესაა ერთგვარი კულტურული არქეოლოგია. აღნიშნული პერიოდის ახლებური ინტერპრეტაცია ხელს უწყობს ისეთ რამეებზე ყურადღების გამახვილებას, რაც ჩვეულებრივი, აღწერითი მეთოდის თანახმად, ფაქტებად არც ითვლება.

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გაგა ლომიძე	ლიტერატურული მიმდინარეობები	თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“	გვ.70-96

ნაშრომში საუბარია რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის თავისებურებაზე დასავლეთსა და საქართველოში; ქართული და დასავლური რომანტიზმის მიმართებაზე და ამ მიმდინარეობის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ნააზრევზე. გამოყოფილია მიმდინარეობისთვის კონცეპტუალური მნიშვნელობის მქონე იდეები.

სტატიები

№	ავტორი/	სტატიის სათა-ური, ჟურნა-	ჟურნალის/	გამოცემის	გვერდების

	ავტორები	ლის/კრებულის დასახელება	კრებულის ნომერი	ადგილი, გამომცემლობა	რაოდენობა
1	გაგა ლომიძე	ქართული ლიტერატურული რუკის ხელახალი ფორმირება. ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა, სჯანი	#18	თბილისი	გვ. 321-328
2	გაგა ლომიძე	What did Baratashvili enjoy reading? XI საერთაშორისო სიმპოზიუმი. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. რომანტიზმი ლიტერატურაში ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე (ეძღვნება დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავს). მასალები.	ნაწილი II.	თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2017	გვ. 285-289

1. დიდი ხანია მსჯელობენ ანტისტალინურ პარადიგმაზე თუ იდეოლოგიის მანქანის მიერ ათასობით შემოქმედი (და, ცხადია, არამხოლოდ) ადამიანის ბედისწერის შეცვლის თუ მათი სიცოცხლის ხელყოფის და სახელოვნებო პროცესების იძულებით სხვა მიმართულებით განვითარების შესახებ. სტალინური რეპრესიები ერთ-ერთი ყველაზე იდეოლოგიზებული და ისეთი საკითხია, რომელზეც საბჭოთა პერიოდში, იმპერიის არსებობის მანძილზე, არ საუბრობდნენ. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის შესწავლის აუცილებლობა სულ უფრო აქტუალური ხდება იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ლიტერატურის სისტემური შესწავლა, ახალი კუთხით, საბჭოური კლიშეებისგან თავისუფალი ანალიზი არც ისე დიდი ხნის დაწყებულია. ამის ნიმუშია თუნდაც ლიტერატურის ინსტიტუტში გამოსული რამდენიმე კრებული, რომელიც სხვადასხვა მიმართულების პანორამულ სურათს გვთავაზობს. თუმცა მაინც არასრული იქნება 1910-40-იანი წლების ლიტერატურული პროცესების გაანალიზება, სანამ ბოლომდე არ შეისწავლიან საარქივო მასალას და მასზე დაყრდნობით არ შეფასდება მთელი პერიოდი.

2. In Western literary theory there is a tendency to explore, which books a certain author read. It seems a trustworthy source to analyze influences and works of particular writer. In this respect, we are interested to inquire, which books Nikoloz Baratashvili, a Georgian romantic poet, read. We know from his biography that in his early years he translated ‘Julius of Tarent’, a dramatic tragedy by Johann Anton Leisewitz. The drama greatly influenced Friedrich Schiller at some point, when he wrote his famous ‘Robbers’. Actually this tragedy as well as Schiller’s ‘Robbers’ had been an inspiration for Russian romantic poets too.

It is necessary to mention that lines from one of Baratashvili’s most autobiographical poems ‘Mysterious Voice’ are very much influenced by Tatiana’s letter from Pushkin’s ‘Eugene Onegin’. Even semantically there are almost identical lines. But the most important thing is that both poets are inspired with Jean Jacques Rousseau’s ‘Julie or the new Heloise’ and Samuel Richardson’s ‘Pamela’, but they go their own way: Pushkin talks about the romantic attitude from the 19th century woman’s point of view, while in Baratashvili’s case romantic attitude brings him together with Byronian approach to existential questions. This motive becomes more visible in Baratashvili’s ‘Merani’, where ‘overcoming limit of fate’ means to go beyond the givenness marked with social, political and other factors.

Among Baratashvili’s influences the name of Solomon Dodashvili, his teacher, a philosopher, journalist, historian, grammarian, belletrist and enlightener should be mentioned. In one of Baratashvili’s letters to his

friend Mikheil Tumanishvili, poet refers to the Astra. In Georgian literary criticism the word ‘Astra’ was interpreted as a metaphor to poet’s lover, Delphina Labielle – a French maid, who moved to Georgia. According to traditional view, ‘Astra’ was a title of his lost poem dedicated to his French lover. But if we take into account poet’s admiration to his teacher Solomon Dodashvili (who obviously was connected to the progressive, Masonic circles in Russia), the word Astra (star maiden) should be understood as the reference to the Astrea, a masonic order established in St. Petersburg in 1770s. This assumption is strengthened by the context of the letter too.

ნაშრომში მიმოხილულია ბარათაშვილის საკითხავი წიგნები და საუბარია პოეტის შემოქმედებაზე მათი გავლენის შესახებ.

II. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გაგა ლომიძე	What did Baratashvili enjoy reading?	XI საერთაშორისო სიმპოზიუმი (რომანტიზმი ლიტერატურაში. ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე) თბილისი, 27-29 სექტემბერი, 2017

In Western literary theory there is a tendency to explore, which books a certain author read. It seems a trustworthy source to analyze influences and works of particular writer. In this respect, we are interested to inquire, which books Nikoloz Baratashvili, a Georgian romantic poet, read. We know from his biography that in his early years he translated ‘Julius of Tarent’, a dramatic tragedy by Johann Anton Leisewitz. The drama greatly influenced Friedrich Schiller at some point, when he wrote his famous ‘Robbers’. Actually this tragedy as well as Schiller’s ‘Robbers’ had been an inspiration for Russian romantic poets too.

It is necessary to mention that lines from one of Baratashvili’s most autobiographical poems ‘Mysterious Voice’ are very much influenced by Tatiana’s letter from Pushkin’s ‘Eugene Onegin’. Even semantically there are almost identical lines. But the most important thing is that both poets are inspired with Jean Jacques Rousseau’s ‘Julie or the new Heloise’ and Samuel Richardson’s ‘Pamela’, but they go their own way: Pushkin talks about the romantic attitude from the 19th century woman’s point of view, while in Baratashvili’s case romantic attitude brings him together with Byronian approach to existential questions. This motive becomes more visible in Baratashvili’s ‘Merani’, where ‘overcoming limit of fate’ means to go beyond the givenness marked with social, political and other factors.

Among Baratashvili’s influences the name of Solomon Dodashvili, his teacher, a philosopher, journalist, historian, grammarian, belletrist and enlightener should be mentioned. In one of Baratashvili’s letters to his friend Mikheil Tumanishvili, poet refers to the Astra. In Georgian literary criticism the word ‘Astra’ was interpreted as a metaphor to poet’s lover, Delphina Labielle – a French maid, who moved to Georgia. According to traditional view, ‘Astra’ was a title of his lost poem dedicated to his French lover. But if we take into account poet’s admiration to his teacher Solomon Dodashvili (who obviously was connected to the progressive, Masonic circles in Russia), the word Astra (star maiden) should be understood as the reference to the Astrea, a masonic order established in St. Petersburg in 1770s. This assumption is strengthened by the context of the letter too.

მოხსენებაში მიმოხილულია ბარათაშვილის საკითხავი წიგნები და საუბარია პოეტის შემოქმედებაზე მათი გავლენის შესახებ.

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გაგა ლომიძე	Re-birth or Fear of Loneliness	The 7th biennial Congress of the European Network for Comparative Literary Studies ჰელსინკი, ფინეთი, 23-26 აგვისტო, 2017
2	გაგა ლომიძე	Derrida on Love: Insights from the Old GeorgianMedial Verbs	International Medieval Congress ლიდსი, ინგლისი, 3-6 ივლისი, 2017
3	გაგა ლომიძე	Soviet And Post-Soviet Georgian Culture: Religion As Faith Vs. Religion As Instrument Of Ideology	International Scientific Interdisciplinary Conference ვილნიუსი, ლიტვა, 26-27 ოქტომბერი, 2017

1. I am Georgian therefore I am European – these words were expressed by Zurab Zhvania, a former prime-minister of Georgia at the UN General Assembly in 1999. Younger generation of Georgian researchers subconsciously already knew that the time for changes had long begun. But prime-minister's words were the first open acknowledgement of ties between Georgia and Europe through centuries. It has become almost a stereotype that Georgian literature is at the crossroads of the East and West cultures. The need to approach Georgian culture in the context of European art was voiced for the first time in the 20th-century Georgian literature. It was in the end of the 1910s, when Georgian poet Titsian Tabidze linked the poetry of Iranian Hafez with French philosopher Proudhon, and Baudelaire with Georgian poet Besiki. By doing so, he pointed that Georgian literature was developing in the European way. Already since the eighties, i.e. the beginning of the collapse of the Soviet Union, Georgian literature as well as literary theory tries to restore the broken ties with European mode of thinking. Among Georgian literary theorists involved in Comparative studies consciously or subconsciously it has always been plain to link Georgian literary work with its European counterpart. If we consider Georgia's relatively recent colonial past and bad experience living in Soviet Union (and before – under colonial condition of Czarist Russia), a doubt may arise and we may ask the following question: Do endeavors of Georgian Comparativists to link Georgian culture with European one have anything to do with self-defense mechanism and a threat to be absorbed in the shadow of the monster of Post-Soviet nostalgia? Or is it a normal process intending to restore broken ties with European culture/values and has nothing to do with the fear of loneliness, non-recognition or security?

მოხსენებაში საუბარია ქართული კომპარატივისტიკის დასავლურ გეზზე.

2. Inspiration for this paper is a short interview with Jacques Derrida, when he is asked about the concept of Love. To express love, Georgians use the verb: 'Mikvar'khar' (I love you). In this verb 'var' ('I am') and 'khar' ('you are') unifies the concepts of 'you' and 'me'.

მოხსენებაში საუბარია შუასაუკუნეების ქართულ ტექსტებში სიყვარულის გაგებაზე დერიდასეული შეხედულების ჭრილში.

3. In early 1920s the Georgian patriarch gave Germane Gogitidze, a Georgian film producer, over to anathema. The reason was the film "The Surami Fortress", where cinema frame depicting people, who perform the sacrifice ceremony under the will of church, was subtitled with the following text: "Darkness, Ignorance, Prejudice". Later, during Stalinist period, authority destroyed church. But there was a brief thaw in their relations: during World War II Stalin used the Russian Orthodox Church as a mean of propaganda. In this period 'Davit Guramishvili' was shot, where the idea of Georgia and Russia sharing the common faith was introduced for the first time. Later, church turned into the official public enemy again. In the 1960-1970s this image of enemy slowly weakened, revealing itself in satirical figures of priests in films like: 'Londre' (1966), or 'The Wishing Tree' (1976). In the 1980-1990s, after the lustration of Soviet

regime, people in search of new authority chose criminal authorities as well as church. This period is marked with the ultimately primitive films based on the mutual understanding between church and criminal authorities (Double face, 1997). From the early 2000s, however, the image of church suddenly started to loose its influence among younger generation of intellectuals. In his novel “Third Floor”, Lasha Bughadze ironically relates about the unofficial deal between church and former criminal authorities, turned into government officials.

მოხსენებაში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ და რა შეიცვალა რელიგიის მიმართ დამოკიდებულების საკითხში საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართულ ხელოვნებაში.

ირმა რატიანი

I პუბლიკაციები

1 მაღალრეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები

№	თარიღი	ნაშრომის სახელწოდება	ჟურნალის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები
1	2017	*Teaching Comparative Literature in Soviet and Post-soviet Georgian Universities*	Revista Brasileira de Literatura Comparada	http://revista.abralic.org.br/index.php/revista/article/view/363
სტატია ეთმობა შედარებითი ლიტერატურათმდოცნეობის სწავლების მეთოდების შესაბამისობას დარგის საერთაშორისო სტანდარტთან საბჭოთა პერიოდის ქართულ უნივერსიტეტებში და ვითარების ცვლილებას პოსტსაბჭოთა ეპოქაში				

№	თარიღი	ნაშრომის სახელწოდება	ჟურნალის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები
2	2017	Georgian Literature and the World literary Process	Monograph	Hamburg, Peter Lang Publishing (in printing).
მონოგრაფია ეთმობა ქართული მწერლობის გააზრებას მსოფლიო ლიტერატურული და კულტურული პროცესების ჭრილში				

2 საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციის სრულ მოხსენებათა კრებულებში (proceedings) გამოქვეყნებული შრომები (ვიზუალური ხელოვნების მიმართულების პროფესურისათვის საერთაშორისო გამოფენებში/ფესტივალებში/კონკურსებში მონაწილეობა)

№	თარიღი	ნაშრომის სახელწოდება	ჟურნალის (სამეცნიერო კონფერენციის სახელწოდება)	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები
	2017	*The Reflection of French Culture and literature in the Georgian Cultural Space of 17th and Early 20th Centuries.*	ჟურნალი 'სჯანი', 18 /Sjani, #18/	P. 224-237
სტატია ეთმობა ფრანგული კულტურული და ლიტერატურული ტენდენციების გავლენას დასახელებული ეპოქის ქართულ კულტურულ და ლიტერატურულ სფეროზე, გამოხატულს კონრეტულ სტრატეგიულ, კონცეპტუალურ და სტილისტურ სპეციფიკაში.				

4 სახელმძღვანელო, მონოგრაფია, თარგმანი, ლექსიკონი, ტექსტის პუბლიკაცია (ვიზუალური ხელოვნების მიმართულების პროფესურისათვის ალბომების გამოცემა/ფილმის/კლიპის გადაღება, სცენარის დაწერა)

№	თარიღი	სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გვერდები
1.	2017	*ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი* (მეორე, შევსებული გამოცემა).	თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
დადგინდა, რომ K3 სასუქ-სტიმულატორი წარმოადგენს მასტიმულირებელ, გამააქტიურებელ საკვებ არეს. ჭიათურა-ზესტაფონის რაიონებში შეირჩა როგორც საბოსტნე, ასევე ხილის ნაკვეთები. ძირითადად სასუქის შეტანა განხორციელდა ადრე გაზაფხულზე მოყრის მეთოდით (ჩახვნის მეთოდით ვერ მოხერხდა). ნიადაგში ჰუმუსის და საერთო ორგანიკის შემცველობა თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 4,8-5,5%. პროდუქტის ხარისხი და მოსავლიანობაც საგრძნობლად გაიზარდა და ზოგიერთი პროდუქტის სახეობები გაორმაგდა, მაგ. ბოსტნეულის შემთხვევაში: კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, კვახი. ხეხილის შემთხვევაში: ყურძენი, ატამი, ვაშლატამა. კენკროვნებიდან:მაყვალი,ჟოლო.

ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის 2017 წლის მოკლე ანგარიში.

1). 2017 წლის განმავლობაში ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში კლასიკური ქიმიური მეთოდების, ასევე კვლევის ფიზიკური მეთოდების : ატომურ-აბსორბციული, სპექტრომეტრიის, პოლაროგრაფიის, ფოტოკოლორიმეტრიის და რენტგენო-ფაზური მეთოდების გამოყენებით შესრულდა ინსტიტუტში მიმდინარე საბიუჯეტო და საგრანტო თემებით გათვალისწინებული ანალიზები. 2). **2017 წელს ლაბორატორიაში სტაჟირება გაიარეს** : აგრარული უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სტუდენტმა და გაერთიანება „დელტას“ 1 თანამშრომელმა. **3). 2017 წელს** გამოქვეყნდა **2** სამეცნიერო სტატია ადგილობრივ ჟურნალში, **2** - საერთაშორისო ჟურნალში. **4). 2017 წელს შესრულდა საბიუჯეტო თემა (გარდამავალი) „K3 სასუქ-სტიმულატორის გავლენა ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელზე ჭიათურა-ზესტაფონის რეგიონში“.** დადგინდა, რომ K3 სასუქ-სტიმულატორი წარმოადგენს მასტიმულირებელ, გამააქტიურებელ საკვებ არეს. ჭიათურა-ზესტაფონის რაიონებში შეირჩა როგორც საბოსტნე, ასევე ხილის ნაკვეთები. ძირითადად სასუქის შეტანა განხორციელდა ადრე გაზაფხულზე მოყრის მეთოდით (ჩახვნის მეთოდით ვერ მოხერხდა). ნიადაგში ჰუმუსის და საერთო ორგანიკის შემცველობა თითქმის გაორმაგდა და შეადგინა 4,8-5,5%. პროდუქტის ხარისხი და მოსავლიანობაც საგრძნობლად გაიზარდა და ზოგიერთი პროდუქტის სახეობები გაორმაგდა, მაგ. ბოსტნეულის შემთხვევაში: კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, კვახი. ხეხილის შემთხვევაში: ყურძენი, ატამი, ვაშლატამა. კენკროვნებიდან:მაყვალი,ჟოლო. **5). 2017 წელს** შესრულდა საგრანტო თემა **„საქართველოს სამრეწველო რეგიონის, ბოლნისი-კაზრეთის სახნავ-სათესი ნიადაგების მძიმე მეტალებით დაბინძურების და ტოქსიკურობის ხარისხის შესწავლა ტესტ-მეთოდების გამოყენებით”**. ნიადაგებში მძიმე მეტალების ხსნადი-მოძრავი ფორმების, pH, ვალენტობის, ტოქსიკურობის ხარისხის და გავრცელების არეალის დასადგენად გამოყენებულია EPA-ს ტესტ-მეთოდები, კერძოდ TCLP-ტოქსიკურობის მახასიათებელი გამოტუტვის პროცედურის დროს და WET-სველი ექსტრაქციის ტესტი.გამოტუტვის პროცედურამ აჩვენა, რომ ამ რეგიონის ნიადაგებში მძიმე მეტალები ძირითადად იმყოფებიან უხსნად ფორმაში და აკუმულირებული რჩება 80-90%, რაც ჩვენი აზრით გამოწვეული უნდა იყოს კალციუმის მაღალი შემცველობით. მძიმე მეტალების მოძრავი ხსნადი ფორმები შედგეს 2-10%-ს, ხასიათდება საშუალო ტოქსიკურობის ხარისხით და გავრცელების არეალით. ჩატარებული კვლევები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ნიადაგების თვისებებზე, მის შედგენილობაზე და ნიადაგში მიმდინარე ნიადაგწარმოქმნის პროცესებზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდეს მძიმე მეტალები-პირველ რიგში სპილენძი, მანგანუმი და ტყვია, რომლებიც აღემატება ზდკ-ს.

I.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	1. Н.О. Мгалоблишвили, Н.М.Телия, Ш.С.Джапариде.	ФОТОМЕТРИЧЕСКОЕ ОПРЕДЕЛЕНИЕ КОБАЛЬТА С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПРОИЗВОДНЫХ РОДАНИНА. Изв. Национальной АН Грузии, сер. хим., ,	2017, т.43, № 2,	თბილისი	7
2	M.Avaliani,E. Shapakidze N. Barnovi, M. Gvelesiani and D. Dzanashvili.	About New Inorganic Polymers-Double Condensed Phosphates of Silver and Trivalent Metals. J. Chem. Eng.	2017,№11, pp. 60-64	თბილისი	5
3.	R.I. Gigauri N.T. Bitchiashvili L.A. Khvichia B.G. Chkeidze N.V. Giorgadze	Studing the level of toxicity and possibilities of remediation of arable soils contaminated with heavy metals in Imereti region (Chiatura-Zestafoni)	ჩაშვებულია დასაბეჭდად	თბილისი	5

		Annals of agrarian science Georgia,			

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	P.Nikoleishvili, G.Gorelishvili, V.Kveselava, G.Tsurtsumia, N.Nioradze, R.Kurtanidze, D.Dzanashvili.	Hydrogen Generation by Reforming of Sodium Hypophosphite on Cobalt-Boron Oxides Containing Catalyst. Green and Sustainable.	2017,№7, pp.85-93.		5

დანართი

ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რ.აგლაძი არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტე, დენის წყაროების და საელექტროდე მასალების ლაბორატორია

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი; ***თ.ჩახუნაშვილი***

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
8	**III ქვეპროგრამის ფარგლებში:** **სამეც.მიმართულება:** "ეკოლოგიური უსაფრთ-ხოებისა და სამედიცინო კვლევებისათვის ახალი მეთოდების შემუშავება"მოყენებით **პროექტი:** სამრეწველო და კარიერული წყლის ელექტროლიზური გაწმენდა სპილენძის იონებისაგან ნახშირბადოვანი მასალების გამოყენებით.	ტეწქნიკურ მეცნ.კანდ. **ც.გაგნიძე**	რ.ჩაგელიშვილი , ნ.ხავთასი, მ.ნადარეიშვილი
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) განსაზღვრულია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ განზავებული ხსნარებიდან სპილენძის 99-100%-იანი ამოკრეფას 44-46.,5%-იანი დენით გამოსავლით ახალი თაობის ნახშირბად ბოჭკოვანი მასალის და გაუმჯობესებული ჰიდროდინამოკური რეჟიმის მქონე ელექტეროლიზერის გამოყენებით. დადგენილია, რომ პროცესის მაჩვენებლები განისაზღვრება ძირითადად ნახშირბადოვანი		

მასალის სახეობით , ელექტროლიზის პირობებით და ელექტროლიზერის კონსტრუქციით.

შესწავლილია ღარიბი ხსნარებიდან სპილენძის ამოღების ელექტროლიზური მეთოდი კათოდად ნახშირბადბოჭკოვანი მასალის გამოყენებით. კონსტრუირებულია და აგებულია სხვადასხვა ფორმის კათოდური ბლოკის მქონე 3 ელექტროქიმიური რეაქტორი აღნიშნული პროცესისათვის. ჩატარებული ექსპერიმენტების საფუძველზე დადგენილია ღარიბი შემჟავებული ხსნარებიდან ელექტროქიმიური მეთოდით სპილენძის ამოღების ოპტიმალური პირობები. ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია ნახშირბადოვანი მასალების ეფექტური გამოყენება განზავებული ხსნარებიდან სპილენძის ამოსაკრებათ.

ჰიდროსფეროს დაბინძურება მძიმე ლითონებით ეკოლოგიური სტრესფაქტორით იმყოფება პირველ ადგილზე. მისი დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა სპილენძის იონები. ამიტომ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს განზავებული ხსნარებიდან მისი ამოღების შესწავლა. ეს პრობლემა გვხვდება სამრეწველო და კარიერული ჩამდინარე წყლების გადამუშავებისას გალვანოტექნიკაში და ჰიდრომეტალურგიაში.

სამრეწველო და კარიერული ჩამდინარე წყლების სპილენძისაგან გაწმენდის ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდს წარმოადგენს ელექტროლიზის მეთოდი. იგი ხასიათდება მთელი რიგი უპირატესობით:

- ელექტროლიზის პროცესი ურეაგენტოა, რაც იძლევა მცირე ნარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიის შექმნის საშუალებას
- ლითონები კათოდზე გამოიყოფა სუფთა სახით, რაც მინიმუმამდე ამცირებს კათოდური ნალექის გადამუშავების ხარჯებს;
- საშუალებას იძლევა ერთ ელექტროლიზერში წარიმართოს ლითონების გამოლექვის კათოდურ პროცესთან ერთად ხსნარის ტოქსიური კომპონენტების (ციანიდი- და როდანიდ იონების) გაუვნებელყოფის ანოდური პროცესიც;

ამავე დროს, კარიერული ჩამდინარე წყლებიდან სპილენძის ელექტროგამოლექვა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან, რაც განპირობებულია მათი რთული შემადგენლობით და ხსნარში მიზნობრივი კომპონენტების დაბალი შემცველობით. ამიტომ უმთავრეს პრობლემაა ელექტროლიზის პროცესის ინტენსიფიკაცია. განზავებული ხნარებიდან ლითონების ელექტროქიმიური გამოყოფის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ხსნარის ნაკადის ელექტროდებს შორისმიმართვა მაღალი სიჩქარით, ანუ პროცესის წარმართვა ე.წ. არხული ელექტროლიზის რეჟიმში.

ასეთი ხსნარებიდან სპილენძის ელექტროლიზური გამოლექვის ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ხერხს წარმოადგენს ბრტყელი ელექტროდების ნაცვლად მაღალგანვითარებული ზედაპირის მქონე მასალის გამოყენება[1-4]. მნიშვნელოვანია აგრეთვე სრულყოვილი ელექტროლიზერის კონსტრუქციის შემუშავება.მაღალგანვითარებული ზედაპირის მქონე მასალებს მიეკუთვნებიან ნახშირბადოვანი მასალები.

ნახშირბად ბოჭკოვანი მასალები ფართოდ გამოიყენება მეცნიერების და ტექნიკის სხვადასხვა დარგში. ერთ-ერთ პერსპექტიულ და განვითარებად მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს მათი გამოყენება გალვანოტექნიკაში და მინერალური და მეორადი ნედლეულის გადამუშავებისას წარმოქმნილი განზავებული ხსნარებიდან ლითონის ელექტროამოკრეფის პროცესები.

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ლითონების ელექტროგამოყოფის პროცესს ნახშირბადული მასალებზე არის მათი სახეობა და ელექტროლიზის პირობები.

ნახშირბოჭკოვანი მასალები 85-99%-ით შედგებიან გრაფიტისაგან, რაც განსაზღვრავს მათ ქიმიურ მედეგობას სხვადასხვა აგრესიულ არეში და საკმაოდ კარგ ელგამტარებლობას. ეს თვისებები და აგრეთვე მაღალი ფორიანობა საშუალებასიძლევა ელექტროლიზური პროცესების ინტენსიფიკაციის მიზნით ისინი გამოყენებულ იქნა ელექტროდებად.

ელექტროლიზურ პროცესებში მათი გამოყენებისასელექტროდებად მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრების ცოდნა: კუთრი სარეაქციო ზედაპირი, რომელიც საშუალებას მოგვცემს პროცესი წარიმართოს დიფუზიურ რეჟიმში(შპ), კუთრი ელგამტარებლობა (χ) და ფორიანობა(ε).

ქვემოთ მოყვანილია ნახშირბადული მასალების ფიზიკური თვისებების შესწავლისათვის გამოყენებული მეთოდიკების მოკლე აღწერილობა:

ა) მასალის ელექტროგამტარობა

ნიმუშების ელექტრულ წინაღობას ვზომავდით მუდმივ დენზე, კომპენსაციური მეთოდით, უინსტონის ბოგირის გამოყენებით. ხვადრითი ელექტროგამტარობა გამოითვლებოდა ფორმულით:

χ= ლ/ღშ, სადაც

ლ-ნიმუშის სიგრძეა, სმ;

ღ-ნიმუშის წინაღობა, ომი;

შ-ნიმუშის განივკვეთის ფართობი, სმ2(ცხრ.6)

ბ) მასალის სიმკვრივე, ფოროვნება და ხვედრითი ზედაპირი

მასალის ერთმანეთთან დაკავშირებული ეს სამი მახასიათებელი იანგარიშება წონითი მეთოდით. სიმკვრივისა და ფოროვნების გასაანგარიშებლად პირველად იზომება გამომშრალი და წყლით გაჯერებული იგივე ნიმუშის მასები. ეს უკანასკნელი შემდეგ აიწონება ამისათვის სპეციალურად მოწყობილ ჰიდროსტატიკურ სასწორზე. წონიან წყლიან ჭურჭელს, ათავსებენ მასში ნიმუშს და სასწორს გააწონასწორებენ. წყლის დონე ჭურჭელში უნდა იყოს მუდმივი.

სიმკვრივე გამოითვლება ფორმულით:

ρ =ρ1.მ/მ1-მ2,

ხოლო ფოროვნება

ε=მ1-მ/მ1-მ2,

სადაც: მ-მშრალი ნიმუშის მასა, კგ;

მ1-წყლით გაჯერებული ნიმუშის მასაა, კგ;

მ2-ნიმუშის მასა წყალში, კგ;,E

ρ 1-წყლის სიმკვრივე, უდრის 1კგ/მ3

მასალის ხვედრითი ზედაპირი, ელექრტოგამტარობასთან ერთად, წარმოადგენს მის უმთავრეს მახასიათაბელს ელექტროქიმიური პროცესის ინტენსიფიკაციისა და ელექტროენერგიის დაზოგვის თვალსაზრისით, რადგან ელექტროქიმიური რეაქცია მიმდინარეობს ელექტროდული მასალისა და ხსნარის გამყოფ ზედაპირზე. შესაბამისი გაზომვებისას, მაგალითად ნახშირბადულ-ბიჭკოვანი ჩალიჩის შემთხვევაში, მონო ბიჭკო მიიჩნევა რ საშუალო რადიუსის ცილინდრად.ასეთი სახის მოცულობითი სტრუქტურებისათვის მიღებულია ფორმულები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოითვალოს სარეაქციო ზედაპირის ფართი კონკრეტული მასალის ნიმუშისათვის:

Ш=2P/რρ, სადაც:

P-ნიმუშის წონაა, გ;

ρ-მონობოჭკოს სიმკვრივე, გ/სმ3

გ) მასალის მექანიკური სიმტკიცე

მექანიკური სიმტკიცის ზღვრისა და მექანიკური მოდულის დასადგენად გამოვიყენეთ ჩინური წარმოების (მარკა IШ-20) აპარატი. იგი საშუალებას იძლევა დავადგინოთ მასალის ზოგიერთი პარამეტრი გაჭიმვისას, კუმშვისას და ღუნვისას.

შესწავლილი ზოგიერთი, ჩვენს ხელთ არსებული, ნახშირბადოვანი მასალების ფიზიკო-მექანიკური თვისებები მოყვანილია ცხრ.1-ში.

ცხრილი 1.

ნახშირბადოვანი მასალა	კუთრი წონა, გ/სმ^3	კუთრი ელგამტარებლობა, ომ$^{-1}$სმ$^{-1}$	ფორიანობა, %	კუთრი ზედაპირი, სმ$^{2/}$გ	მექანიკური სიმტკიცე, მპა/სმ^2
ВИННИ-250	1.65	0.1	0.97	4700	0.4 x10^2
КНМ	1.68	0.009	0.98	2400	0.56 x10^3
ВМН-4	1.7	0.09	0.9	2352	0.74x10^3
ნახშირ-ქეჩა «КАРБОНОН АКТИВ»	1.75	0.405-3.03	0.8	500-1500	0.04
პიროლიზური	1.81	10^{-3}-10^6	0.65	876	9.2

პოლიმერული კომპოზიტი ППК					
ქსოვილი «БУСОФИТ»	1.73	0.6/0.83	0.84	1200	0.6 x10^3
E-TEK	1.7	0.75-0.8	0.9	2050	0.7 x10^3
Урал ТМ-4-22	1.4-1.6	3.3	0.91	3000	0.65x10^3

.ნახშირბადული მასალების ზოგიერთი ფიზიკური თვისების შესწავლამ გვიჩვენა. რომ ისინი შეიძლება გამოვიყენოთ ელექტროქიმიურ პროცესებში ელექტროდებად, კერძოდ, სამრეწველო და კარიერული წყლის გასაწმენდად ლითონებისაგან.

აღნიშნულ სამუშაოში ნახშირბადოვანი მასალები გამოვიყენეთ ელექტროდებად განზავებული ხსნარებიდან სპილენძის ამოსაღებად.

ელექტროლიზური პროცესის შესასწავლად ჩვენს მიერ შემუშავებულია რამოდენიმე სახის ელექტროლიზერის კონსტრუქცია განვითარებული ზედაპირის მქონე კათოდით:

ა) მბრუნავი ნახშიბადული ელექტროდით

ბ) მოცულობით-ფოროვანი ნახშირბოჭკოვანი ელექტროდული ბლოკით (სურ.2).

გ) მოცულობით- ფოროვანი ნახშირბადული ელექტროდული ბლოკე მექანიკური სარეველათი.

ჩვენს მიერ აგებული ელექტროლიზერი მბრუნავი ნახშიბადოვანი კათოდით მოყვანილია სუ.1-ზე.

იგი წარმოადგენს ცილინდრულ კორპუსს ცენტრში მოთავსებულ ნახშირბადოვანი მასალისგან დამზადებულ მბრუნავი კათოდით(სურ.2). ბრუნავი კათოდი ერთდროულად სარეველას ფუნქციასაც ასრულებს.კათოდი მოძრაობაში მოდის ელექტრომძრავის მუფტის მეშვეობით. ანოდები განლაგებულია ცილინდრული ელექტროლიზერის გასწვრივ და ჭრილში ექვსკუთხედის ფორმა აქვთ. ანოდები ჩასმულია მჟავაგამძლე ქსოვილის შალითებში რათა აღიკვეთოს შესაძლო მოკლე ჩართვა და წყალში არსებული რკინის იონების გადამუხტვის პერმანენტული პროცესი, რის შედეგადაც ენერგოდანახარჯები მცირდება 5 15%-ით.

სურ.1

სურ.2

მბრუნავინახშირბადოვანი კათოდის მქონე ელექტროლიზერი

მბრუნავი ნახშირბადოვანი კათოდი

ქვემოთ მოყვანილი ნახშირბადოვანი მასალის გამოყენებით დამზადდა და გამოიცადა სხვადასხვა ფორმის მქონე მბრუნავი კათოდები სურ.3.

სურ.3

აღნიშნული ნხშირბადოვანი საკათოდე მასალების გამოყენებით შესწავლილია მათზე სპილენძის დენით გამოსავალი და ამოღების ხარისხი ცხრ.2.

ნხშირბადოვანი საკათოდე მასალების ეფექტურობა განისაზღვრებოდა ხსნარის ერთჯერადი გატარებისას ელექტროლიზერში სპილენძის ამოღების ხარისხით და ლითონის დენით გამოსავლით ცხრ.2.

ცხრილი 2

სპილენძის დენით გამოსავლის და ამოღების ხარისხის დამოკიდებულება სხვადასხვა ნახშირბადული მასალების გამოყენებით

ნახშირბადოვანი მასალა	დენის სიმკვრივე, მა//სმ^2	დენით გამოსავალი, %Cu	Cu-ის ამოღების ხარისხი
ВМН-4 ბოჭკო	3.7-15	49-37	97-100
ნახშირქეჩა-КАРБОПРОН-АКТИВ	15-25	23-19	87.1-92
ППК	20.8-34.7	30-20..2	85-87
Е-ТЕК	15-25	18-29	93-96
ВИНН-250	10-25	35.4-31.3	99-97
КНМ	10-25	40-30	99.5-98
(тканьУВИС	15-27	24-19	91.3-98.2

მიღებული ექსპერიმენტების საფუძველზე, მბრუნავი კათოდის გამოყენებით,შეირჩა ნახშირბადოვანი საკათოდე მასალა, რომელიც ხასიათდება სპილენძის გამოლექვის დაბალი, ხოლო წყალბადის გამოყოფის მაღალი გადაძაბვით, რაც ელექტროლიზერის კონსტრუქციასთან და მაღალი სარეაქციო ზედაპირის მქონე ნახშირბადოვან მასალასთან ერთად , კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ღარიბი სამრეწველოდა კარიერული წყლიდან სპილენძის გამოლექვის პროცესის ინტენსიფიკაციას.

ქსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ გამოცდილი ნახშირბადოვანი მასალებიდან, დაბალი (<1გ/ლ) კონცენტრაციის ხსნარებიდან სპილენძის ამოსაღებად საუკეთესო მაჩვენებლებით ხასიათდებიან ВИНН-250 , КНМ და В Н-4 მარკის ნახშირბად ბოჭკოვანი მასალები (ცხრ.2).

შერჩეული ნახშირბად ბოჭკოვანი მასალები იყო გამოყენებული განზავებული ხსნარებიდან სპილენძის ელექტროგამოლექვის დინაქმიკის შესასწავლად მოცულობით-ფოროვანი გამდინარე ნახშირბადოვანი კათოდური ბლოკის მქონე ელექტროლიზერის გამოყენებით.

მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ელექტროლიზის პროცესის პირობების შერჩევა და ელექტროლიზერის კონსტრუქციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ამ შესაძლებლობების რეალიზაციას.

ჩვენს მიერ შემუშავდა, აიგო და გამოიცადა ნახშირბადოვანი საკათოდე ბლოკის მქონე ელექტროლიზერის კონსტრუკცია, რომელიც ნაჩვენებია სურ.4, 5 და 6

დენის მნიშვნელობები, რომლების განაპირობებენ 100%-ით სპილენძის ამოღებას სპილენძის მოცემულ საწყისი კონცენტრაციის და ხსნარის გადინების შერჩეულ მოცულობითი სიჩქარის დროს გათვლილია ფორმულით:

I=ნ მვჩ0ღ ნ (რეაქციაში მონაწილე ელექტრონების რიცხვი, -ფარადეის რიცხვი).

ელექტროდული ზედაპირი, რომელიც საჭიროა ლითონის ამოღების საჭირო ხარისხის მისაღებად, გამოითვლებოდა ფორმულით:

ლგჩ0/ჩ = მშ0/მვ, (სადაც მ მასის გადატანის კოეფიციენტია)

ანგარიშის დროს ვაკეთებთ დაშვებას, რომ ელექტროდი მუშაობს ზღვრულ დენზე მთელ მოცულობაში. ამან შესაძლებლობა მოგვცა გაგვეთვალა ელექტროდის აუცილებელი სისქე იგი აღმმოჩნდა 2.5 მმ. ვითვალისწინებთ რა იმის ალბათობას, რომ შესაძლებელია ელექტროდმა არ იმუშაოს ზღვრულ დენზე, ასევე შეიცვალოს გადინების სიჩქარე და სპილენძის საწყისი კონცენტრაცია, ექსპერიმენტები ტარდებოდა ელექტროდზე, რომლის სისქე იყო 3,5მმ.



სურ..4

მოცულობით –ფოროვანი გამდინარე კთოდური ბლოკის მქონე ელექტროლიზერის სქემა

1–ელექტროლიზერის კორპუსი; 2–ელექტროლიზერის სახურავი; 3–პერფორირებული გრაფიტის კათოდი; 4–კათოდზე მჭიდროდ დახვეული ნახშირბადოვანი მასალა; 5–ხსნარის მიმწოდებელი მილყელი; 6–ნამუშევარი ხსნარის ჩამოსასხმელი ღარი; 7–ანოდის მუშა ზედაპირი; 8–ანოდის დენის მიმყვანი სალტე; 9–კათოდის გრაფიტის დენმიმყვანი.

სურ.5
პერფორირებული
გრაფიტის კათოდი

სურ.6
მოცულობით-ფოროვანი ნახშირბადოვანი
მასალის კათოდური ბლოკი

ელექტროლიზერი მუშაობს შემდეგნაირად: რეაქტორის ცილინდრულ კორპუსში წინასწარ მიეწოდება ისეთი კონცენტრაციის ხსნარი, რა კონცენტრაციის ხსნარის მიღება გვსურს გამოსავალზე. ელექტროლიზერიდან გამოსული ხსნარის სიჩქარის ანგარიშს ვახდენთ შემდეგნაირად: თუ ავღნიშნავთ რეაქტორში შემავალ ხსნარში სპილენძის კონცენტრაციას C_1, ხოლო რეაქტორიდა გამოსულ ხსნარში სპილენძის კონცენტრაციას C_2, მაშინ ხსნარიდან ამოღებული სპილენძის რაოდენობა იქნება:

$M = V \cdot C_1 - V \cdot C_2 = V \cdot (C_1 - C_2)$,

სადაცV - არის τ-დროში ელექტროლიზერიდან გამოსული ხსნარის მოცულობა.

მეორეს მხრივ ფარადეის კანონის მიხედვით ელექტროდზე გამოყოფილი სპილენძის რაოდენობა იმავე დროში ტოლია:

$M = k \cdot i_{საშ} \cdot S \cdot$

სადაც k- სპილენძისელ ექტროქიმიური ექვივალენტია;

i-დენის სიმკვრივე, $A/სმ^2$;

S-კათოდის ფართი, $სმ^2$;

τ -ელექტროლიზის ხანგრძლივობა,სთ.

აქედან გამომდინარე ვწერთ

$V \cdot (C_1 - C_2) = k \cdot i_{საშ} \cdot S \cdot$

Q-სპილენძის დენით გამოსავალია, %

ელექტროლიზერიდან გამოსული ხსნარის მოცულობა დროში იქნება

$V = k \cdot i_{საშ} \cdot S \cdot \tau \cdot Q/(C_1 - C_2)$,

ხოლო მისი გამოსვლის სიჩქარე

$V/\tau = k \cdot i_{საშ} \cdot S\ Q/(C_1 - C_2)$

.

ელექტროლიზერის მაქსიმალური მწარმოებულობისათვის სასურველია, რომ ელექტროდის იმ უბნებში სადაც მისი პოლარიზაცია მინიმალურია მიიღწეოდეს პოტენციალი, რომელიც შეესაბამება პროცესის მსვლელობას ზღვრული დენის სიმკვრივეზე, მაშინ როცა უბნებზე მაქსიმალური პოლარიზაციით ჯერ არ შეიმჩნევა წყალბადის ინტენსიური გამოყოფა. ამასთან დაკავშირებით გამოყენებული ფოროვანი ელექტროდის სისქე შეიძლება იყოს მით მეტი, რაც მეტია სხვაობა ლითონის და წყალბადის გამოყოფის პოტენციალებს შორის, მაღალია ფუძის

და ელექტროლიტის ელგამტარებლობა და ნაკლებია ლითონის იონების კონცენტრაცია. უკანასკნელი დაკავშირებულია იმასთან, რომ ელექტროდში გამავალი დენი ნაკლებია, შესაბამისად ნაკლებია პოტენციალის არათანაბარი განაწილების ხარისხი ელექტროდის სიღრმეში. ეს ეფექტი ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს გამდინარე ფოროვანი ელექტროდების გამოყენება სწორედ განზაველბული ხსნარების ელექტროლიზის შემთხვევაში.

მაშასადამე ფოროვანი ელექტროდის სისქე დამოკიდებულია ლითონის და წყალბადის გამოყოფის პოტენციალების თანაფარდობაზე, ლითონის იონების კონცენტრაციაზე და ფუძის და ხსნარის ელგამტარებლობის თანაფარდობაზე

სპილენძის ელექტროგამოლექვას მოცულობით-ფოროვანი გმდინარე კათოდის გამოყენებით ვსწავლობდით 50-1000 ა/მ^2 დენის სიმკვრივის ინტერვალში შემდეგი ტიპის ნახშირბადოვანი მასალების გამოყენებით: КНМ, ВИНН-250, ВМН-4. ეს ის მასალებია, რომლებზეც მიღებული იყო სპილენძისაგან ხსნარის გასუფთავების საუკეთესო შედეგები მბრუნავი კათოდის გამოყენებისას.

ექსპერიმენტები ტარდებოდა ჩვენს მიერ შემუშავებულ ელექტროლიზერში, რომელიც მუშაობდა ელექტროლიტის ცირკულაციის რეჟიმში, კათოდური გაბარიტული ფართით - 2 სმ^2, ხსნარის დინების სიჩქარით - 0.15-0.23მლ/წმ. გამოსაკვლევი ხსნარის მოცულობაა 200მლ. ნახშირბადოვანი ელექტროდის ერთი ფენის სისქეა 5-10 მკმ, სპილენძის საწყისი კონცენტრაციაა 0.75გ/ლ.

დენის სიმკვრივის მიხედვით ცდის ხანგრძლივობას ვცვლიდით 30 წთ-დან 3 სთ-მდე .
ხსნარის საწყისი და საბოლოო კონცენტრაციები განისაზღვრებოდა პოლაროგრაფიული მეთოდით.

სპილენძის ამოღების ხარისხი და სპილენძის გამოლექვის სიჩქარე გაითვლებოდა შესაბამისად ფორმულებით:

$$S = (C_0 - C_t) \cdot 100 / C_0$$, სადაც

S-ლითონის ამოკრეფის ხარისხია, %

C_t, C_0 -ლითონის საწყისი და საბოლოო კონცენტრაციებია, გ/ლ

$$U = (C_0 - C_t) V \cdot 10000 / \tau \cdot S$$, სადაც

U- გამოლექვის სიჩქარეა, გ/სთ·მ^2

τ- ელექტროლიზის ხანგრძლივობა, სთ

S-კათოდის გაბარიტული ფართი, სმ^2

V-გამოსაკვლევი ხსნარის მოცულობა, ლ

ექსპერიმენტების შედეგები მოყვანილია ცხრ. 2-4-ში

ცხრილი 2

სპილენძის ამოღების ხარისხის , დენით გამოსავალის და გამოლექვის სიჩქარის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე ბოჭკოვანი მასალის КНМ გამოყენებისას

დენის სიმკვრივე, ა/სმ^2	სპილენძის ამოღების ხარისხი, %	სპილენძის დენით გამოსავალი, %	სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, გ/სთ.მ^2
50	22	13	12
100	99	35,5	55
250	98.7	31.5	91

500	98.5	28	160
1000	98.3	15	185

ექსპერიმენტების შედეგებმა (ცხრ.2) გვიჩვენა, რომ კათოდურ მასალაზე КНМ სპილენძი უფრო ეფექტურად გამოიყოფა 100-250 ა/სმ^2 დენის სიმკვრივეებზე. დენით გამოსავალი ამ დენის სიმკვრივეებზე შესაბამისად არის 35.5% და 31.5%, ხოლო სპილენძის ამოღების ხარისხი აღწევს 99% . სპილენძის განაწილება ელექტროდის სისქის მიხედვით (ვიზუალური შეფასება) დენის ამ სიმკვრივეებზე თანაბარია. დენის სიმკვრივის გაზრდა ან შემცირება ამცირებს სპილენძის ამოღების ხარისხს. სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, აღნიშნული მასალის კათოდად გამოყენებისას, იზრდება დენის სიმკვრივის 50-დან 1000ა/სმ^2-მდე ზრდასთან ერთად და აღწევს 185 გ/სთ.მ^2. ხოლო ВИНН-250 კათოდზე სპილენძის გამოლექვის მაქსიმალური სიჩქარე მიიღწევა 500ა/სმ^2-ზე (ცხრ.3).

ცხრილი 3

სპილენძის ამოღების ხარისხის , დენით გამოსავლის და გამოლექვის სიჩქარის დამოკიდებულება კათოდური დენის სიმკვრივეზე ბოჭკოვანი მასალის ВИНН-250 გამოყენებისას

დენის სიმკვრივე, ა/სმ^2	სპილენძის ამოღების ხარისხი, %	სპილენძის დენით გამოსავალი, %	სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, გ/სთ.მ^2
50	5	2	52
100	98	41	78
250	95	30	110
500	95	30	190
1000	80	12	160

განზავებული ხსნარებიდან ნახშირბადოვან ВИНН-250 კათოდზე სპილენძის ამოღების ხარისხი და დენით გამოსავლის მაქსიმუმი მიიღწევა 100-130 ა/სმ დენის სიმკვრივეებზე. ამ ტიპის ბოჭკოზე უფრო დაბალ დენის სიმკვრივეზე სპილენძი გამოილექება გაცილებით ნაკლები რაოდენობით ვიდრე КНМ და ВМН-4 მასალის კათოდებზე.

ცხრილი 4

სპილენძის ამოღების ხარისხის , დენით გამოსავლის და გამოლექვის სიჩქარის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე ბოჭკოვანი მასალის ВМН-4 გამოყენებისას

დენის სიმკვრივე, ა/სმ^2	სპილენძის ამოღების ხარისხი, %	სპილენძის დენით გამოსავალი, %	სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, გ/სთ.მ^2
50	16	8	35
100	98.5	33	68
250	97.2	28	98
500	94	26	180
1000	85	10	172

მაშასადამე კათოდური მასალების КНМ და ВМН-4 საშუალებით შესაძლებელია განზავებული ხსნარებიდან სპილენძის უფრო ეფექტური ამოღება 100-250ა/სმ^2 სიმკვრივეებზე. ხოლო ВИНН-250 მასალაზე 100-130ა/სმ^2-ზე. განხილულ მასალებზე ხსნარიდან სპილენძის ამოღების ხარსხსა და მის დენით გამოსავლის დამოკიდებულება დენის სიმკვრივესთან ერთნაირი ხასიათისაა. დაბალ დენის სიმკვრივეებზე <100ა/სმ^2 სპილენძის გამოლექვის დაბალი სიჩქარეები, ამოღების ხარისხი და დენით გამოსავალი აიხსნება იმით, რომ სპილენძთან ერთად ამ დროს ელექტროდზე

გამოიყოფა ჟანგბადიც. ხოლო დენის სიმკვრივის ზრდასთან ერთად >100ა/სმ² იზრდება დენის წილი, რომელიც იხარჯება სპილენძის აღდგენაზე და ელექტროდის ზედაპირის ზრდაზე. მაღალ დენის სიმკვრივეებზე >250 ა/სმ² სპილენძის ამოღების ხარისხი და დენით გამოსავალი მცირდება, ვინაიდან კათოდზე მიმდინარეობს სპილენძთან ერთად წყალბადის გამოყოფაც.

მასალების ელგამტარებლობიდან გამომდინარე უნდა გვევარაუდა, რომ ВИНН-250-ს მასალაზე ხსნარიდან სპილენძის გამოყოფის პირობები უკეთესი იქნებოდა ვიდრე КНМ ელექტროდზე, ვინაიდან ელექტროლიზის და ელექტროდის სისქის ერთნაირი პირობების შემთხვევაში პოტენციალის ვარდნა ВИНН-250-ის ელექტროდზე იქნებოდა ნაკლები ვიდრე КНМ-ს დაВМН-4 ელექტროდებზე. მაგრამ მიღებული შედეგები აჩვენებენ საპირისპიროს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნახშირბადოვანი მასალის ბუნების გავლენა ელექტროქიმიურ პროცესებზე, მაგალითად, ლითონის და წყალბადის გამოყოფის გადაძაბვაზე.

ზემოთ მოყვანილი ელექტროლიზერის გამოყენებისას პროცესის მაქსიმალური მწარმოებულობა მიიღწეოდა ელექტროდის მუშაობისას მთელ მოცულობაში დენზე, რომელიც მიახლოებულია ზღვრულ დიფუზიურ დენთან, რაც განაპირობებდა ელექტროდის სისქეში ლითონის არათანაბარ განაწილებას. Аამიტომ ლითონის თანაბარი განაწილებისათვის ელექტროდის სისქეში საჭირო შეიქმნა ხსნარის დინების სიჩქარის გაზრდა მისი ელექტროდში გავლისას. ლითონის თანაბარი განაწილება კათოდის მთელ სისქეში შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ელექტროდი მთელ მოცულობაში არ მუშაობს ზღვრულ დენზე, მაგრამ ამ შემთხვევაში მცირდება პროცესის მწარმოებულობა. Uუნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვან როლს ლითონის განაწილებაზე ელექტროდის სისქეში ასრულებს ელგამტარებლობის თანაფარდობა ხსნარს და ელექტროდს შორის, ხსნარის დინების სიჩქარე და ელექტროდში ხსნარის მიწოდების მიმართულება.

როგორც ზემოთმოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, ლითონის გამოლექვისას, პროცესის მწარმოუბულობა დროში მცირდება, რაც დაკავშირებულია ნბმ-ის ჰიდროდინამიკური წინაღობის გაზრდასთან (ელექტროდში ხსნარის გადინების სიჩქარის შემცირებით) ბოჭკოვანი მასალის ფორების ლითონით ამოვსების გამო. ამიტომ გადავწყვიტეთ ახალი ელექტროლიზერის კონსტრუქციის შექმნა გაუმჯობესებული ჰიდროდინამიკური რეჟიმით.

ახალი კონსტრუქციის ელექტროლიზერის სქემა გაუმჯობესებული ჰიდროდინამიკური რეჟიმით მოყვანილია სურ.7,8, 9. მასში გამოიცადა KNM და ახალი თაობის УралТМ-4-22 (მიღებულია 2017 წელს ბელორუსიდან) ნახშირბოჭკოვანი მასალებისგან დამზადებული მოცულობით-ფოროვანი კათოდური ბლოკები..

პროცესის ინტენსიფიკაციის მიზნით, ახალი კონსტრუქციის ელექტროლიზერში (სურ.7,9) კათოდური ბლოკი დამატებით აღიჭურვა მექანიკური სარეველათი სურ.8.



სურ.7

გაუმჯობესებულ ჰიდროდინამიკური რეჟიმის მქონე ელექტროლიზერის სქემა

1.ელექტროლიზერის კორპუსი; 2ელექტროლიზერის სახურავი;

3.პერფორირებულიგრაფიტის კათოდი; 4.კათოდზე მჭიდროდ

დახვეული ნახშირბადოვანი მასალა; 5.ხსნარის მიმწოდებელი

მილყელი; 6.ნამუშევარი ხსნარის ჩამოსასხმელიღარი; 7.ანოდის მუშა

ზედაპირი; 8.ანოდის დენის მიმყვანი; 9.კათოდის დენის მიმყვანი; 10. მექანიკური სარეველა

სურ. 8 მოცულობით-ფოროვანი ელექტროლიზერის მექანიკური სარეველა

სურ.9

ნახშირბადოვანი მასალისგან დამზადებული მოცულობით-ფოროვანი

კათოდური ბლოკის მქონე ელექტროლიზერი

ახალი ტიპის ელექტროლიზერის მუშაობის პრინციპი იგივეა რაც წინა ელექტროლიზერის. ექსპერიმენტების შედეგები მოყვანილია ცხრ. 5,6.

ცხრილი 5

სპილენძის ამოღების ხარისხის , დენით გამოსავლის და გამოლექვის სიჩქარის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე ბოჭკოვანი მასალის KNM გამოყენებისას

დენის სიმკვრივე, ა/სმ^2	სპილენძის ამოღების ხარისხი, %	სპილენძის დენით გამოსავალი, %	სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, გ/სთ.მ^2
50	29	16	15
100	100	40.2	58
250	99.5	36.5	100
500	99	34	180
1000	98.5	20	191

ცხრილი 6

სპილენძის ამოღების ხარისხის , დენით გამოსავლის და გამოლექვის სიჩქარის დამოკიდებულება დენის სიმკვრივეზე ბოჭკოვანი მასალის УралТМ-4-22 გამოყენებისას

დენის სიმკვრივე, ა/სმ^2	სპილენძის ამოღების ხარისხი, %	სპილენძის დენით გამოსავალი, %	სპილენძის გამოლექვის სიჩქარე, გ/სთ.მ^2
50	32	16	75
100	100	46.5	88
250	99.5	44	130
500	98.5	39	180
1000	98.5	25.5	210

როგორც ვხედავთ (ცხრ.5,6), ახალი კონსტრუქციის ელექტროლიზერში საგრძნობლად მოიმატა დენით გამოსავალმა, მაშინ როსცა ამოღების ხარისხი იცვლება უმნიშვნელოთ.

გაუმჯობესებული ჰიდროდინამიკური რეჟიმის მქონე ელექტროლიზერში КНМ-ის ბოჭკოვანი მასალის გამოყენებისას(ცხრ.5) მნიშვნელოვნად იზრდება დენის სიმკვრივის დიპაზონი (100-500 ა/სმ), რომლის დროსაც სპილენძის მაღალი დენით გამოსავალის პირობებში (34-40%) შენარჩუნებულია მაღალი ამოღების ხარისხიც (99-100%).

განზავებული წყლიდან სპილენძის ამოსაღებად გამოცდილი ნახშირბადოვანი მასალებიდან ყველაზე კარგი შედეგი გვიჩვენა ახალი თაობის მასალამ -УралТМ-4-22., რომელზეც 100-500 ა/სმ2 დენის სიმკვრივეზე სპილენძის ამოღების ხარისხი და დენით გამოსავალი მაღალია შესაბამისად 99,5-100% და 39-46,5%.(ცხრ.6).

მაშასადამე, ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია ნახშირბადოვანი მასალების ეფექტური გამოყენება განზავებული ხსნარებიდან სპილენძის ამოსაკრებად.

განსაზღვრულია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ განზავებული ხსნარებიდან სპილენძის 99-100%-იანი ამოკრეფას 0-46.5%-იანი დენით გამოსავლით ახალი თაობის ნახშირბად ბოჭკოვანი მასალის და გაუმჯობესებული ჰიდროდინამოკური რეჟიმის მქონე ელექტეროლიზერის გამოყენებით.

დადგენილია, რომ პროცესის მაჩვენებლები განისაზღვრება ძირითადად ნახშირბადოვანი მასალის სახეობით , ელექტროლიზის პირობებით და ელექტროლიზერის კონსტრუქციით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Тарасевич М.Р. Электрохимияуглеродныхматериалов. Из-во «Наука». М.: 1984, 252 с.
2. Варенцов И.Л., БеляковаЗ.Т. Пути и средства повышения экологической безопасности гальванических производств. Тез.докл.научню-техн. конф.М.: ВИМИ, 1991, с.24.
3. Варенцов И.Л., БеляковаЗ.Т. Изв.СО АН СССР. Сер.хим.наук.1984, №1, с.126
4. Интенсификация электрохимических процессов. Под редакцией А.П.Томилова. М., «Наука», 1998,216с.

1.3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მანგანუმის დიოქსიდისა და წყალბადს ელექტროსითეზი ახალი თაობის ნახშირბადული მასალების გამოყენებით	რუსთაველის ფონდი FR/208/3-200/14	ჟ.ქებაძე	ც.გაგნიძე თ.ჩახუნაშვილი და სხ.

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩატარდა პოლარიზაციული კვლევა ნახშირბად ბოჭკოვანი მასალის და პიროლიზური პოლიმერული კომპოზიტის საკათოდე და საანოდე მასალად მათი შესაძლო გამოყენებისათვის ელექტროლიტური მანგანუმის დიოქსიდის და წყალბადის ერთდროული მიღებისას

კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნახშირბადოვან მასალებზე წყალბადის გამოყოფა დაბალ ტემპერატურებზე ხასიათდება დაბალი კატალიტური აქტივობით. ტემპერატურის გაზრდით კატალიტური აქტივობა მნიშვნელოვნად იზრდება ნახშირბად ბოჭკოვან მასალაზე ვიდრე პიროლიზურ პოლიმერულ კომპოზიტზე. როგორც გადაღებულმა პოლარიზაციულმა მრუდეებმა გვიჩვენა ელექტროლიზის პირობებში წყალბადი საკმაოდ დაბალი გადაძაბვით გამოიყოფა ნახშირბად ბოჭკოვან მასალაზე ვიდრე პიროლიზურ პოლიმერულ კომპოზიტზე. დადგენილია ამ საკათოდე მასალებზე წყალბადის გამოყოფის ბუნება.
დადგენილია, რომ Y-მანგანუმის ორჟანგის ანოდური მიღების პროცესისას გამოკვლეულ ნახშირბადოვანი მასალებიდან ყველაზე მისაღებ კათოდურ მასალად შეიძლება ჩაითვალოს ნახშირბად ბოჭკოვანი მასალა, რომელზეც წყალბადი მაღალ ტემპერატურაზე გამოიყოფა შედარებით დაბალი გადაძაბვით.

I.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით

დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ц.М.Гагнидзе, Ж.М.Кебадзе,М.М.Болоташвили, Л.Ш.Какурия, Л.Т.Угрелидзе.	Иссдедование возможности использования углеродистых материалов в качестве катодов в процессе одновременного электролитического получения двуокиси марганца и водорода. Известия национальной Академии наук Грузии. Мацне.Серия химическая.	2017, т.43, №1.	Грузия, Твилиси	5
2	JimsherAneli[1*], ZhiuliKebadze[2], LanaShamanauri[1], TsisanaGagnidze[2].		2017, vol.11, no.4	Tbilisi	7

3	Zhiuli Kebadze[1], Jimsher Aneli[2], Tsisana Gagnidze[1],Temur Chakhunashvili[1],Medea Bolotashvili[2].	Transformation of dielectric polymer composite to the electric conducting material after high temperature pyrolysis.Bulletin of Georgian national Academy of scinces, , Moambe	2017, vol.11, no.4,	Tbilisi	4

სტატიები

უცხოეთში

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tsisana Gagnidze, JondoBagdavadze,Rusuda Chagelishvili, Zurab Tsikaridze, Ketevan Ukleba, Jiuli Kebadze.	Elaboration of Ecologically save Technology for obtaining of high Purity Metallic Antimony and Gold from Gold-bearing antimony ores.Journal of Materials Science and Engineering .	B 7 (5-6) (2017) 107-113.	USA	7
2	Tsisana Gagnidze.	Ecological and Economic Aspects of electrochemical purification of Quarry Waters from the ions of heavy Metals. European	2017,vol.65 ,#2,pp.89-92.	Europa	4

3	TsisanaGagnidze, RusudanChagelishvili, NanuliKhavtasi, Mariam Nadareishvili	Chemical Bulletin Improving methods for processing of refractory sulfide gold- bearing ores and concentrates.Bulletin of the Academy of scinces of Georgia.Moambe	2017, v.11, #1, pp.67-71.	Tbilisi	5

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	Tsisana Gagnidze	Effective texnology for processing of Gold-containing Copper-Zink ore.	1. International Symposium. 2017, Mexico, Kankuni.

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტით ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (2 ეგზემპლარად) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

არაორგანული ქიმიიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი,

დენის ქიმიური წყაროების და საელექტროდე მასალების

ტექნოლოგიის ლაბორატორია

ლაბორატორიისხელმძღვანელი - თ. ჩახუნაშვილი

ჰიდრომეტალურგიული პროცესების კვლევების ჯგუფი

ჯგუფის პერსონალურიშემადგენლობა:

- რუსუდანდუნდუა, უფროსიმეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. მეცნ.კანდიდატი;
- ნანა ბუთლიაშვილი, მეცნიერ -თანამშრომელი.

თემის ხელმძღვანელი – რუსუდანდუნდუა, უფროსიმეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. მეცნ.კანდიდატი

თბილისი

2017 წ.

№	შესრულებულიპროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით	პროექტისხელმძღვანელი	პროექტისშემსრულებლები
1	სპილენძ–კოლჩედანური საბადოების კარიერული წყლების გაწმენდა–გადამუშავება (2015-2017). – ქიმიურიტექნოლოგია; ეკოლოგია	რუსუდანდუნდუა, უფროსიმეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. მეცნ.კანდიდატი	–რუსუდანდუნდუა, უფროსიმეცნიერ-თანამშრომელი, ტექნ. მეცნ.კანდიდატი; –ნანა ბუთლიაშვილი, მეცნიერ -თანამშრომელი.

სულფიდური მადნების საბადოები წარმოადგენენ ტოქსიკური ელემენტებით გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ამას განაპირობებს ფერადი და მძიმე ლითონების მიგრაცია მიწისქვეშა წყლებში, რაც იწვევს მათ ფართო გაბნევას, შემდგომ კი კონცენტრირებას გარემოს სხვადასხვა ობიექტებში. ცალკეული კომპონენტების ფიქსირებული გაფანტვა წყლებში მერყეობს ასეული მეტრებიდან რამდენიმე კილომეტრამდე.

ამავე დროს კარიერული წყლებით იკარგება ათეულ ათასობით ტონა ლითონი, რაც წარმოადგენს მადნების ექპლუატაციისას სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემას.

მადნეულის სპილენძის სულფიდური საბადო (საქართველო, ბოლნისი) ტიპური მაგალითია მსოფლიოში არსებული მსგავსი საბადოებისა გარემოზე ტექნოკრატიული ზემოქმედების მიხედვით. კვლევებისთანახმად, ბოლნისის რაიონში კარიერებთანმიმდებარე, 20 კმ-სრადიუსში,ნიადაგებისადაწყლისობიექტებისტოქსიკურიელემენტებით(Cu, Zn, Cd, Fe) დაბინძურებისმაჩვენებლებირამდენჯერმეაღემატებამათთვისდადგენილზღვრულდასაშვებკონცენტრაციებს; წლების მანძილზე გამოვლენილია მოსახლეობისავადობისძალზემაღლიმაჩვენებელი; მდინარეშიგაწყდათევზი;სააქციოსაზოგადოება„მადნეულს“ (ამჟამად კომპანია ”რიჩ მეტალს გრუპი”- RMG) ეკოლოგიური ნორმების დარღვევებისათვის არაერთხელშეეფარდაადმინისტრაციულისანქცია.

ამგვარად, ერთის მხრივ, მადნეულის კარიერული წყლებიწარმოადგენსრეგიონისჰიდროგრაფიულიქსელისდაბინძურებისმძლავრწყაროს, მეორესმხრივ, წლებისგანმავლობაშიკარიერულიწყლებითმდინარეებშიჩადისდაიკარგება, როგორცძვირფასინედლეულიშემდგომიტექნოლოგიურიგადამუშავებისათვის, ტონობით ფერადი და მძიმელითონი.

ლითონების დანაკარგები მადნეულის კარიერული წყლებით, ტ/წ;

წყლის საშუალო წლიური დებეტი - 120 მ³/სთ

Cu	Fe	Zn	Cd	Pb	Co	Ni	Cr
704	1198	652	4.7	0.5	0.7	1.0	0.1

მდგომარეობას ართულებს ის გარემოება,რომ მადნეულისსაბადოსკარიერულიწყლები, მსოფლიოს ბევრი სხვა საბადოს მსგავსად,მიეკუთვნებადაბალკონცენტრირებულსდაითვლებაარარენტაბელურადმძიმელითონთაამოწვლილვისათვის.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბუნებრივია, კატეგორიულიამოთხოვნა კარიერული წყლების ზდკ-მდე გაწმენდისშესახებმდინარეშიჩადინებამდე.

სულფიდურისაბადოებისკარიერულიწყლებისგაწმენდისარსებულიმეთოდებისანალიზიუჩვენებს,
რომდღეისათვისარარსებობსეფექტურიდაამავედროსეკონომიურიმეთოდიჩამდინარეწყლები სმძიმელითონთაიონებისაგანგასაწმენდად. მით უმეტეს არ არის ცნობილი გაწმენდის ისეთი მეთოდი, რომელიც რაციონალურია ჩამდინარე წყლების გასაწმენდად ერთის მხრივ და ლითონთა ამოწვლილვისათვის უტილიზაციის მიზნით, მეორეს მხრივ.

ანალიზის საფუძველზე პერსპექტიულად ჩავთვალეთ სპილენძ-კოლჩედანურისაბადოებისკარიერულიწყლებისგადამუშავება რეაგენტული, კერძოდ,

სულფიდური მეთოდის გამოყენებით. კარიერულიწყლებიდანლითონებისკომპლექსურიამოწვლილვისტექნოლოგიისშემუშავება ერთდროულადგადაწყვეტსორპრობლემას- გაწმენდსჩამდინარეწყლებსდაწარმოებასდაუბრუნებსდაკარგულმძიმელითონებს.

კვლევებისათვის გამოყენებულ იქნა მადნეულის სპილენძ-კოლჩედანური საბადოს კარიერული წყლები . სინჯების აღება ხდებოდა თვეში ერთხელ, ერთი წლის მანძილზე.

მადნეულის კარიერული წყლების ნიმუშების შედგენილობა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

ნიმუ –შის #	pH	C_{Cu2+}, გ/ლ	$C_{\sum Fe}$, გ/ლ	C_{Fe2+}, გ/ლ	C_{Fe3^+}, გ/ლ	C_{Zn2+}, გ/ლ	C_{Cd2^+}, გ/ლ
1	3.5	0.43	1.45	0.81	0.81	0.269	0.0034
2	3.5	0.61	1.21	0.73	0.56	0.825	0.0054
3	4.0	0.57	1.17	0.56	0.52	0.769	0.0050
4	4.0	0.72	1.26	0.70	0.47	0.725	0.0049
5	3.0	0.96	1.64	0.46	0.61	0.700	0.0049
6	3.0	2.30	2.21	0.97	0.17	0.562	0.0042
7	4.0	0.91	0.8	0.45	0.37	0.643	0.0043
8	3.5	2.20	2.10	0.97	0.43	0.512	0.0042
9	4.0	1.56	1.47	0.42	0.45	0.758	0.0048

10	4.0	1.23	1.92	0.45	0.67	0.656	0.0042
11	3.0	1.65	1.48	0.69	0.28	0.712	0.0049
12	3.0	1.31	1.32	0.66	0.60	0.587	0.0042
13	3.0	0.63	1.80	0.62	0.51	0.746	0.0047

დამლექავად გამოყენებულ იქნა ბარიუმის სულფიდი. ცდები ჩატარდა ოთახის ტემპერატურაზე. ცდების მიმდინარეობისას pH -ის გაზომვა ხდებოდა pH -მეტრის საშუალებით ±0.01 pH -ის სიზუსტით. წყლების გაწმენდის შედეგები მოწმდებოდა ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრის, ფოტოკოლორიმეტრის, ქიმიური ანალიზის და მაღალი მგრძნობელობის თვისებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

დადგინდა კარიერული წყლებიდან ლითონთა იონების გამოლექვის ოპტიმალური პარამეტრები: pH, BaS –ის ხარჯი, სულფიდების სრული გამოლექვის ხანგრძლივობა.

მიღებული ლაბორატორიული შედეგების გამოყენებით ჩატარდა ცდები მსხვილლაბორატორიულ მასშტაბში.

სულ გაიწმინდა ~35 ლ კარიერული წყალი. მიღებული იქნა ~ 460 გ პოლილითონური სულფიდური ნალექი. ქიმიური ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით გათვლილ იქნა ბარიტ-პოლილითონური სულფიდური ნალექის ნივთიერი შედგენილობა. ნალექში ძირითადი კომპონენტებია (%): CuS - 5.14; ZnS -2.71; FeS -2.67; CdS -0.01; $CaSO_4$ – 2.14; $BaSO_4$-75.6.

გაწმენდის შედეგად მიღებულ ხსნარებში ლითონთა სულფატების შემცველობები ნაკლებია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებზე წყალსაცავებისათვის.

კარიერული წყლების რაციონალური გამოყენების ხარისხის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთბარიტ-პოლილითონური სულფიდური ნალექის დაყოფა გამდიდრების მეთოდებით. კვლევებისათვის საჭირო რაოდენობის (~ 1.5 კგ) სულფიდური

ნალექის მისაღებად შპს “RMG Gold”-დან ჩამოვიტანეთ 100 ლ კარიერული წყალი. რეაქტიული ბარიუმის სულფიდის შესყიდვის მიზნით ჩავატარეთ საძიებო სამუშაოები შესაბამისი დარგის შპს-ებთან ერთად. მიუხედავად გაწეული დიდი შრომისა, ვერ მოხერხდა რეაქტივის შემოტანა უცხოეთიდან მეზობელი სახელმწიფოების საბაჟო სამსახურებთან გაუმართავი მუშაობის გამო.

ამიტომ ჩვენ თვითონ მივიღეთ ბარიუმის სულფიდი ადგილობრივი ბარიტის კონცენტრატისა და ტყიბულის ნახშირის კონცენტრატიდან აღდგენის გზით. მიღებული ნადნობი შეადგენს 4.6 კგ-ს, შეიცავს 46.6 % BaS-ს. კარიერული წყლის გასაწმენდად გამოყენებული იქნა 40ლ-იანი რეაქტორი. გაწმენდის შედეგად მიღებული ხსნარები სუფთაა ფერადი ლითონების იონებისაგან.

ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შედგენილი იქნა კარიერული წყლების გაწმენდა-გადამუშავების პრინციპული ტექნოლოგიური სქემა. იგი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: კარიერული წყლებიდან სულფიდების გამოლექვას ბარიუმის სულფიდის გამოყენებით; სუსპენზიის დაწდობას და გაწმენდილი წყლის მიმართვას ტექნიკური მიზნებისათვის ან ჰიდროგრაფიულ ქსელში; ნალექის შერევას ადგილზე წარმოებული სულფიდური მადნის გამდიდრების პროდუქტთან დანამატის სახით ან გაშრობის შემდეგ მის გადაცემას მეტალურგიული წარმოებისათვის.

ტექნოლოგიურისქემაიქნებამარტივი, არსაჭიროებსდიდკაპიტალურდაბანდებებს.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ, სასურველია, გაგრძელდეს სამუშაოები ტექნოლოგიური სქემის სრულყოფის მიზნით. კერძოდ,

ა) შესწავლილი იქნეს ბარიუმის სულფიდის მიღების პროცესი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე და შემუშავდეს პრინციპული ტექნოლოგიური სქემა კომპლექსური გადამუშავებისა კარიერული წყლების გაწმენდა-გადამუშავების სქემის ფარგლებში.

ბ)შესწავლილი იქნეს ბარიტ-პოლილითონური სულფიდური ნალექის გაყოფის პროცესი გამდიდრების მეთოდების გამოყენებით ბარიტის კონცენტრატისა და პოლილითონური სულფიდური პროდუქტის მიღების მიზნით.

დ)მოძიებული იქნეს საშუალებები როგორც თვისებითი, ისე რაოდენობრივი ანალიზისათვის კარიერულ წყლებში მინარევი ელემენტების აღმოსაჩენი მინიმუმის დასადგენად.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2017 ეტაპის „ფენოლით და პარა-ნიტროფენოლით დაბინძურებული წლის გაწმენდა პირდაპირი მოქმედების სათბობის ელემენტში“ შუალედური ანგარიში

წინა, 2016 წლის ეტაპის ანგარიშში ნაჩვენები იყო ჩვენ მიერ დამუშავებული და აწყობილი ნატრიუმის ბოროჰიდრიდის პირდაპირი ჟანგვის სათბობის ელემენტი კათოდზე წყალბადის პეროქსიდის გენერაციით, რომელშიც ძვირადღირებული ანოდის ნაცვლად გამოყენებული იყო ლაბორატორიაში მიღებული Co_xB-ის კატალიზატორის შემცველი ნახშირბადოვანი ელექტროდი. მიმდინარე წლის ეტაპის ანგარიში ეხება ამ სათბობის ელემენტში ფენოლით და პარა-ნიტროფენოლით დაბინძურებული წყლის გაწმენდის ჩატარებული ექსპერიმენტალური კვლევის პროცესის შედეგების განხილვას.

ნახშირბადოვანი Co_2B კატალიზატორის შემცველი ელექტროდი მზადდება შემდეგნაირად: $Co_2(SO_4)_3$-ის ქიმიური აღდგენით ($NaBH_4$-ის ხსნარის გამოყენებით) მიიღება Co_2B კატალიზური ფხვნილი. ამისათვის ულტრაბგერით მომუშავე აბაზანაში თავსდება ქიმიური ჭიქა $Co_2(SO_4)_3$-ის ხსნარით და აქტიური მორევის პირობებში ბიურეტის საშუალებით წვეთ-წვეთობით ემატება $NaBH_4$-ის ხსნარი, შედეგად მიიღება კატალიზატორის ფხვნილი. ელექტროდის მოსამზადებლად გამოყენებული იყო დაფრქვევის მეთოდი. ელექტროდის საფუძვლად გამოიყენება პოლიტეტრაფთორეთილენით მოდიფიცირებული ნახშირბადის ქსოვილი. პირველ ეტაპზე მზადდება მურის ჰიდროფობური შრე. ამისათვის 0.05-0.2 გ XC-72R მურს ათავსებენ 100 მლ ქიმიურ ჭურჭელში, ამატებენ 20 მლ იზოპროპილის სპირტსა და 0.02-0.05 მლ 5%-ან პოლიტეტრაფთორეთილენის ხსნარს. მიღებული სუსპენზია 15 წთ-ის განმავლობაში მუშავდება ულტრაბგერით და შემდეგ იფრქვეოდა ნახშირბადოვან ქსოვილზე (4X4) სმ. ასეთი ხერხით დამუშავებული ელექტროდი შრებოდა. ეს ოპერაცია მეორდებოდა 4-5-ჯერ, რის შემდეგ ელექტროდი 30 წთ-ის განმავლობაში თავსდებოდა 300 ^{0}C-მდე გახურებულ ღუმელში, და გამომწვარ ფირფიტაზე იფრქვეოდა კატალიზური შრე. კატალიზატორის პასტა მზადდებოდა შემდეგნაირად: 0.01-0.2 გ წვრილდისპერსული Co_2B ფხვნილი ემატება 5 მლ იზოპროპილის სპირტს და 0.01 მლ 5%-ან პოლიტეტრაფთორეთილენის შემკვრელს. მიღებული სუსპენზია მუშავდებოდა ულტრაბგერით 10 წთ-ის განმავლობაში. პულვერიზატორის საშუალებით ელექტროდის ზედაპირზე ხდებოდა მიღებული სუსპენზიის დაფრქვევა. დაფრქვევის პროცედურას ვიმეორებდით 2-3-ჯერ (ყოველი დაფრქვევის შემდეგ ელექტროდი შრებოდა 60 ^{0}C). ბოლო ეტაპზე ელექტროდის ზედაპირი კვლავ იფარებოდა სუსპენზიით, რომელიც შედგებოდა 1 მლ ნაფიონის ხსნარისა და 3 მლ იზოპროპილის სპირტისაგან. მიღებული ელექტროდის გაშრობა ხდებოდა 130 ^{0}C ტემპერატურაზე 15 წთ-ის განმავლობაში.



ნახაზი 1. ნატრიუმის ბოროჰიდრიდის სათბობის ელემენტი Co_2B კატალიზატორის შემცველი ანოდით

ნახაზზ 1-ზე ნაჩვენებია სათბობის ელემენტის უჯრედი. კათოდი (1) წარმოადგენს ნახშირბადურ გაზ-დიფუზიურ ელექტროდს, რომელიც მიბჯენილია კათოდურ ჩარჩოში (4) მოთავსებულ უჟანგავი ფოლადის დენსარინის ბადეზე (6). აირის კამერა (5), რომელშიც მიეწოდება ჰაერი ან ჟანგბადი, განლაგებულია კათოდურ ჩარჩოში კათოდის უკან. კათოდის ზედაპირზე ელექტროლიტის მისაწოდებლად გამოყენებულია გამანაწილებელი (7), რომლის ორივე მხარეს ჰერმეტიზაციის შესანარჩუნებლად განლაგებულია რეზინის შუასადებები (8). იონსელექტიური მემბრანა (2)-ის ერთი მხარე ებჯინება კათოლიტის გამანაწილებელ უჯრედს (7), ხოლო მეორე მხრიდან მასზე ცხლადაა დაწნეხილი პლატინა-რუთენიუმის კატალიზატორის შემცველი ნახშირბადოვანი ანოდი (3), რომელიც მოთავსებულია ანოდური ჩარჩოში (9) ჩადგმულ დენმიმყვანის ბადეზე (10).

აღნიშნული სათბობის ელემენტი ჩვენ მიერ გამოყენებული იქნა ორგანული ნაერთებით დაბინძურებული მოდელური წყლის გასაწმენდად. ამისათვის კათოლიტად გამოყენებული იყო 0.3-2 მოლი $ლ^{-1}$ NaOH-ის კონცენტრაციის ხსნარი, რომელშიც შეყვანილი იყო ტოქსიკური ორგანული ნივთიერება ფენოლი 100-150 ppm-ის შემცველობით. კათოლიტი ცირკულირებდა გაზ-დიფუზიური კათოდსა და ანიონსელექტიური მემბრანას შორის დამხმარე ავზის გავლით. წრედში ჩართული იყო ულტრაიისფერი გამოსხივების წყარო (λ = 240 ნმ), რომელიც უზრუნველყოფდა კათოლიტში გენერირებული წყალბადის პეროქსიდის გარდაქმნას $OH^{\cdot}$ რადიკალად და შედეგად დამაბინძურებლის მინერალიზაციას. კათოდის ზედაპირს უკანა მხრიდან 350 პა წნევით მიეწოდებოდა ჰაერი (ან ჟანგბადი). ანოლიტად გამოყენებული იყო 0.5-2 მოლი $ლ^{-1}$ $NaBH_4$ და 0.3-2 მოლი $ლ^{-1}$ NaOH შემცველი ხსნარი, რომელიც მიეწოდებოდა მემბრანის ერთ მხარეს დაწნეხილ ანოდს. პროცესი მიმდინარეობდა ანოლიტისა და კათოლიტის ცალცალკე ცირკულაციის პირობებში. ელემენტში ორგანული ნაერთებისაგან გაწმენდის ეფექტურობამ ჟანგბადის ქიმიური მოხმარების მიხედვით შეადგინა 85-95%. ცდების შედეგე მოყვანილია ცხრილ 1-ში

ცხრილი 1. ფენოლითა და პარა-ნიტროფენოლით დაბინძურებული წყლის გაწმენდის სატბობის ელემენტში გაწმენდის შედეგები

დამაბინძურებელი	დამაბინძურებლის კონცენტრაცია, ppm	კათოლიტი	ტემპერატურა ^0C	I, მა	UV დასხივება	წყლის გაწმენდის ხარისხი, %	გაწმენდის დრო, წთ
ფენოლი	100	0.3M NaOH	20	370	არა	5	300
ფენოლი	100	0.3M NaOH	20	370	არის	95	120
ფენოლი	300	0.3M NaOH	20	370	”-”	90	180
ფენოლი	400	0.3M NaOH	20	370	”-”	88	210

ფენოლი	500	0.3M NaOH	20	370	”-”	85	240
ფენოლი	500	1M NaOH	20	490	”-”	87	200
ფენოლი	500	2M NaOH	20	550	”-”	87	150
ფენოლი	500	0.3M NaOH	40	410	”-”	85	210
ფენოლი	500	0.3M NaOH	60	440	”-”	87	180
პ-ნიტროფენოლი	100	0.3M NaOH	20	350	არა	7	300
პ-ნიტროფენოლი	100	0.3M NaOH	20	360	კი	95	120
პ-ნიტროფენოლი	300	0.3M NaOH	20	380	”-”	92	190
პ-ნიტროფენოლი	400	0.3M NaOH	20	400	”-”	90	210
პ-ნიტროფენოლი	500	1M NaOH	20	500	”-”	90	120
პ-ნიტროფენოლი	500	2M NaOH	20	540	”-”	90	150
პ-ნიტროფენოლი	500	0.3M NaOH	20	400	”-”	95	240
პ-ნიტროფენოლი	500	0.3M NaOH	40	410	”-”	90	210
პ-ნიტროფენოლი	500	0.3M NaOH	60	430	”-”	90	210

დანართი

- 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ჩამდინარე წყლების გაწმენდა-გაუსნებოვნება ელექტროქიმიური პროცესებითა და ჟანგვითი სიტემების გამეც. დარგი: ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია სამეც.მიმართულება: “ეკოლოგიური უსაფრთ-ხოებისა და სამედიცინო კვლევებისათვის ახალი მეთოდების შემუშავება”მოყენებით	უფრ.მეც.თან. გიორგი გორელიშვილი ტელ.: 599 284086, giorgigorelishvili@gmail.com	უფრ.მეც.თან. პაატა ნიკოლეიშვილი უფრ.მეც.თან. ვალენტინა კვესელავა მეც.თან. რუსუდან კურტანიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია

შესავალი

თანამედროვემსოფლიოშიტექნოლოგიურმიღწევებს, ცხოვრებისდონისზრდას, ბუნებრივირესურსებისინტენსიურათვისებასთანახლავსატმოსფეროს, წყალისდანიადაგისსისტემატურიდაბინძურებაადამიანისსაქმიანობისშედეგადწარმოქმნილისხვადასხვანივთიერებებით.

წყალიერთ-ერთიძირითადიბუნებრივირესურსიადედამიწაზემისეფექტურმართვასდიდიმნიშვნელობაენიჭებანორმალურისაცხოვრებელიპირობებისუზრუნველყოფის, მრეწველობის, სოფლისმეურნეობისმაღალდონეზეფუნქციონირებისდაეკოსისტემებისდაცვისსაქმეში.

წყლისდაბინძურებადიდსაფრთხეებთანაადაკავშირებულიდადამოკიდებული

ადამაბინძურებლებისსახეობასადარაოდენობაზე [1]. ხშირშემთხვევებშისხვადასხვასაწარმოების, საყოფაცხოვრებოდასამედიცინოდაწესებულებების, სოფლისმეურნეობისობიექტებისჩამდინარეწყლებშეიცავენსხვადასხვატოქსიკურ, გარემოსათვისსაშიშნივთიერებებს, რომლებიცხშირადხვდებიანბუნებრივდახელოვნურწყალსაცავებშირითაცსაფრთხეს უქმნიანგარემოსდაადამიანისსიცოცხლეს.

ესპრობლემასაერთაშორისომნიშვნელობისაა, ამიტომპრევენციულღონისძიებებთანერთადსაჭიროადაბინძურებისაღმოჩენისადამისიგაუვნებელყოფისახალიეფექტურიმეთოდებისშემუშავებადაპრაქტიკაშიდანერგვა.

თემააქტუალურიასაქართველოსთვისაცრომელიცმიერთებულიასაერთაშორისოკონვენციებსრომლებითაცრეგულირდებააღნიშნულისაკითხი.

ჩვენსქვეყანაშიფუნქციონირებს: ფარმაცევტული, კვებისპროდუქტების, ქიმიურისაწარმოები, ნავთობტერმინალებიასევესხვადასხვადანიშნულებისსამედიცინო-საყოფაცხოვრებოდაწესებულებებირომლებიცმოიხმარენწყალსდაშესაბამისადწარმოშობენსხვადასხვაარასასურველი (ხშირადსაშიში) მინარევებისშემცველჩამდინარეწყლებს.

განსაკუთრებითაღსანიშნავიაბოლოწლებშიქვეყნისერთ-ერთპრიორიტეტადაღიარებულისოფლისმეურნეობადაშესაბამისიტექნოლოგიებირომლებიცასევეგულისხმობსმინარევებისშემცველიწყლებისწარმოშობას, მათგავრცელებასგრუნტისწყლებსადაწყალსაცავებში.

მოცემულიმომენტისთვისქვეყანაშიჯერკიდევარარსებობსგამართულისიტემარომლითაცეფექტურადგააკონრტოლებდაჩამდინარეწყლებისწარმოშობისდამათიგაუსნებოვნებისპროცესებს.

ჩამდინარე-დაბინძურებული წყლების წარმოშობა და შემადგენლობა მრავალფეროვანია იგი დამოკიდებულია კონკრეტული წარმოების ტექნოლოგიურ პროცესზე, გამოყენებული რეაგენტების და/ან პროდუქტების ქიმიურ შედგენილობასა და თვისებებზე, ასევე საყოფაცხოვრებო დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობის ობიექტებზე განვითარებული პროცესების ხასიათზე. ტერმინით დამაბინძურებელი მოიხსენიება ნივთიერება, რომელიც ადამიანის საქმიანობის შედეგად ბუნებრივთან შედარებით მაღალი კონცენტრაციით ხვდება გარემოში და მავნე გავლენას ახდენს ბუნებაზე. დაბინძურება, გაჭუჭყიანება ნიშნავს გარემოს ნორმალური შემადგენლობიდან გადახრას.

ჩამდინარეწყლებისგაწმენდის– ზოგადიპრინციპები

ცნობილიასამეცნიეროკვლევები, სადაცგანხილულიაჩამდინარეწყლებისგაწმენდა-გაუსნებოვნებისსხვადასხვატექნოლოგიებისშესაძლებლობები [2,3,4]. აღნიშნულიპროცესებიმოქმედებისპრინციპისმიხედვითშეიძლებადაიყოსორძირითად ჯგუფად:

• იზოლაცია-დაყოფისტექნოლოგიები, რომლებიცემყარებაფიზიკურ-ქიმიურმეთოდებს;

• გარდაქმნისტექნოლოგიები, რომლებიცემყარებაროგორცფიზიკურ-ქიმიურ, ასევემიკრობიოლოგიურ-ფერმენტაციულმეთოდებს.

პირველჯგუფშიშემავალიმეთოდებითდამუშავებისასადგილიაქვსწყლიდანარასასურველიმინარევებისგამოყოფასმათიქიმიურისტრუქტურისდარღვევისგარეშე. ამგვარიტექნოლოგიებიმოიაზრებს: ადსორბციას [5], მყარინაწილაკებისწარმოქმნა - ფლოკულაცია, დაწდომა-სედიმენტაცია, ფლოტაციას, ექსტრაქციას [6], იონმიმოცვლას, დისტილაციას, მემბრანულპროცესებს (უკუოსმოსი, მიკრო-ულტრა- ნანო-ფილტრაცია), კოაგულაციასდაა.შ.

გარდაქმნისტექნოლოგიებიდაკავშირებულიასტრუქტურულცვლილებებთან– დამაბინძურებლისგარდაქმნისსტიმულირებასთანგარემოსათვისუვნებელნივთიერებებად. მათშორისაგაწმენდა-დეზინფექციისყველაზეგავრცელებულიმეთოდები: ოზონირება [7-9,10], ქლორირებადაბიოლოგიურიგაწმენდა [11-13].

დადგენილი იქნა წარმოდგენილი სინჯის ჰიდრომეტალურგიული (გამოტუტვა) მეთოდით გამდიდრების შესაძლებლობა. კვლევის პროცესში გათვალისწინებული იქნა მადანში შემავალი ლითონების შემდეგი თვისებები: ციანირების პროცესში სპილენძი წარმოადგენს ოქროს დეპრესანტს, ამავე დროს სინჯში ათეულობით მინერალია, რომელთა ქცევა ციანირებისას სხვადასხვანაირია; ჰიდრომეტალურგიული პროცესი ითვალისწინებს ორივე ლითონის გადაყვანას ხსნარში, რომელთა ერთმანეთისაგან დაშორება რთული პროცესია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სინჯიდან გამოტუტვა განხორციელდა სელექციურად ანუ სპილენძისა და ოქროს ამოწვლილვა მოხდა ცალ-ცალკე.

სპილენძის გამოსატუტად გამოცდილი იქნა სხვადასხვა რეაგენტები. კვლევების შედეგად, ოპტიმალურად ჩაითვალა გოგირდმჟავა და დადგენილი იქნა გამოტუტვის ოპტიმალური პარამეტრები: დაფქვის სისხო 100 % <0,1 მმ-ზე, გოგირდმჟავას კონცენტრაცია - 5 %, ხსნარის ტემპერატურა - 25^{0}C, მყარისა და თხევადის თანაფარდობა 1:2, გამოტუტვის დრო - 4 სთ. სპილენძის ამოკრეფა ხსნარში შეადგენს ≈ 93 %, თუმცა ლაბორატორიულ პირობებში მაღალ ტემპერატურაზე (35-36^{0}C) შესაძლებელი გახდა სპილენძის მაქსიმალური ამოკრეფა - 97-98%.

სპილენძის გამოტუტვის ნარჩენიდან ოქროს გამოსატუტად გამოცდილი იქნა ნატრიუმის ციანიდი და თიოკარბამიდი (თიოშარდოვანა).

ციანირების, წინ ნარჩენი მრავალჯერადად მოირეცხა გოგირდმჟავას სრულ მოცილებამდე. დადგენილი იქნა ციანირებით ოქროს გამოტუტვის ოპტიმალური პარამეტრები: ნატრიუმის ციანიდის ხარჯი 0,5 კგ/ტ, კირის ხარჯი - 0,75კგ/ტ, მყარისა და თხევადის თანაფარდობა 1:3, გამოტუტვის დრო - 48 სთ.

ვინაიდან საწარმოო პირობებში გართულებულია გოგირდმჟავიანი კეკის მორეცხვა, ამიტომ ოქროს გამხსნელად გამოცდილი იქნა თიოშარდოვანა, რომლის დროსაც ოქროს გამოტუტვა მიმდინარეობს მჟავა გარემოში (pH=2-4). დადგენილი იქნა თიოშარდოვანით ოქროს გამოტუტვის ოპტიმალური პარამეტრები: $Fe_2(SO_4)_3$ კონცენტრაცია – 0,8%, გოგირდმჟავას კონცენტრაცია - 0,8%, თიოშარდოვანას კონცენტრაცია - 0,5%, მყარისა და თხევადის თანაფარდობა 1:3, გამოტუტვის დრო - 4 სთ.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებული იქნა საყდრისის საბადოდან წარმოდგენილი ოქროსშემცველი დაჟანგული სპილენძის მადნების გადამუშავების ორი ტექნოლოგიური სქემა, რომლებიც წარმოდგენილია ნახაზებზე 1 და2.



ნახ.1. გადამუშავების პირველი ტექნოლოგიური სქემა

პირველი სქემა ითვალისწინებს დაჟანგული სპილენძის მინერალების მჟავურ გამოტუტვას გოგირდმჟავას ხსნარით, მყარი ნარჩენის მრავალჯერად გარეცხვას წყლით გოგირდმჟავას სრულ მოცილებამდე და გარეცხილი მასალის ციანიდურ გამოტუტვას ნატრიუმის ციანიდისა და კირის გამოყენებით.

ოპტიმალურ პირობებში, ციანიდური გამოტუტვით ხსნარში გადასული ოქროს რაოდენობა შეადგენს ≈ 94 %-ს.



ნახ.2. გადამუშავების მეორე ტექნოლოგიური სქემა

გადამუშავების მეორე ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს დაჟანგული სპილენძის მინერალების გამოტუტვას გოგირდმჟავას ხსნარით, ხოლო ნარჩენიდან (კეკი) ოქროს გამოტუტვას თიოკარბამიდის (თიოშარდოვანა) წყალხსნარით.
ოპტიმალურ პირობებში, თიოშარდოვანით კუდების გამოტუტვისას, ხსნარში გადასული ოქროს რაოდენობა შეადგენს ≈ 90 %-ს.

I.2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	სამცხე-ჯავახეთის ჩურჩუტო-ჭიხელის საბადოს ბენტონიტური თიხების სრული ტექნოლოგიური ტესტირება და მისი სამრეწველო გამოყენების შესაძლებლობის დადგენა. სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება; ქიმიური ტექნოლოგია.	კარინე ხაჩატურიანი	თამარ გურული ნესტან გეგია გურამ როდონაია
2	აწყურისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი, დღემდე უცნობი კერამიკული თიხების გეოლოგიურ - ტექნოლოგიური ტესტირება. სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება; ქიმიური ტექნოლოგია.	ნესტანი გეგია	ნინო შეყრილაძე გულნაზი ენუქიძე რევაზ კვატაშიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2017 წლის გარდამავალი პერიოდის გეგმით გათვალისწინებული ამოცანები სრულად შესრულებულია.

კვლევები ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის ჩურჩუტო-ჭიხელის საბადოს ბენტონიტური თიხის ორ სინჯზე ბუნებრივ მდგომარეობაში, ორივე სინჯში ტენის მასური წილი შეადგენს ≈ 7 %.

განისაზღვრა დისპერსიულობა, რომელიც ორივე სინჯისათვის ერთნაირია: უხეში ფრაქციის გამოსავალი შეადგენს ≈ 50 %, შუალედი ფრაქციის გამოსავალი ≈ 50 %, ხოლო კოლოიდური ფრაქცია აღნიშნულ თიხებში არ გამოვლინდა; გაცვლითი კატიონების მიხედვით აღნიშნული თიხები განეკუთვნებიან ტუტემიწა ბენტონიტებს; წყალში ხსნადი მარილების რაოდენობა აღნიშნულ სინჯებში ძალიან მცირეა; ასევე ძალიან დაბალია ადსორბციის მაჩვენებელი.

დადგენილი იქნა საკვლევი ნიმუშების გაჯირჯვებადობის უნარიანობა და შედარებული იქნა სხვადასხვა ქვეყნის (აშშ, საბერძნეთი და სხვა) იმპორტირებად ბენტონიტებთან.

დადგენილია, რომ ბუნებრივი ბენტონიტების მოდიფიცირება ქიმიური რეაგენტების კომბინაციებით სხვადასხვანაირად მოქმედებს მათ გაჯირჯვებადობის ხარისხზე.

რეაგენტების დადგენილი ოპტიმალური თანაფარდობის პირობებში გაჯირჯვების კოეფიციენტი გაიზარდა პირველი სინჯისთვის 7,1-ჯერ, ხოლო მეორე სინჯისთვის 5,8-ჯერ.

დადგენილი იქნა ბენტონიტების თიხოვანი ხსნარების პარამეტრები:

- მსხვილი ფრაქციის (ქვიშაქვა) გამოსავალი 27,7 %:
- თიხოვანი ხსნარის გამოსავალი - 4,5 $მ^3/ტ$-მდე;
- პლასტიკურობის კოეფიციენტი: I სინჯისთვის ≈ 200 $წმ^{-1}$, II სინჯისთვის ≈ 150 $წმ^{-1}$;
- პულპის პირობითი სიბლანტე შეადგენს ≈15 წმ;
- ხვედრითი წონა ტოლია 1,02 $გ/სმ^3$.

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული საბადოს ბენტონიტური თიხები, საბურღი ხსნარების მოსამზადებლად უვარგისია.

კვლევითი სამუშაოები აღნიშნულ თემაზე გრძელდება.

2. დამუშავებულ იქნა კერამიკულ თიხებზე არსებული ლიტერატურული და ფონდური მასალები და გაკეთდა საქართველოში არსებული კერამიკული თიხების გეოლოგიურ-ტექნოლოგიური მიმოხილვა. აწყურის კერამიკულ თიხებზე არც ფონდური და არც ლიტერატურული გეოლოგიურ-ტექნოლოგიური მასალა არ მოიპოვება; ე.ი. აწყურის თიხები შეუსწავლელია.

თიხის მადანგამოვლინებიდან აღებული და ჩამოტანილი იქნა 6 (ექვსი) ზედაპირული ღარული სინჯი, რომლებიც საანალიზოდ მომზადდა კლასიკური მეთოდით და შესწავლილი იქნა როგორც მინერალოგიური, ასევე ნივთიერებრივი შედგენილობა; ჩატარებული იქნა მათი გრანულომეტრული ანალიზი.

რენტგენო-ფაზური ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ ექვსივე სინჯის ძირითად თიხურ მინერალს წარმოადგენს სუსტად დაკრისტალებული Ca - მონტმორილონიტი და მცირე რაოდენობით ჰალუაზიტი. ყველა სინჯში სხვადასხვა რაოდენობით წარმოდგენილია მინდვრის შპატები, კალციტი, ასევე კვარცისა და ქარსის კვალი.

ქიმიური ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში.

№	შემცველობები, %-ში													
	სინე სტე	ხურ. დან.	SiO_2	TiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	FeO	P_2O_5	MnO	CaO	MgO	SO_3	Na_2O	K_2O
1	6,60	9,4	45,5	0,74	14,2	4,74	1,13	0,22	0,09	7,92	3,72	1,53	2,3	1,5
2	5,92	7,48	49,3	0,74	15,6	4,34	1,13	0,21	0,09	6,8	2,49	1,55	2,5	2,00
3	5,55	7,83	47,9	0,74	16,4	5,29	0,5	0,30	0,07	8,2	2,33	0,21	2,6	1,9
4	9,80	8,88	46,6	0,97	19,2	6,81	0,57	0,17	0,13	2,57	1,86	0,2	1,46	1,0
5	8,12	15,06	38,9	0,67	13,2	3,68	0,14	0,4	0,15	14,5	2,06	0,18	1,2	1,6
6	0,93	4,59	67,7	0,15	18,26	0,25	0,46	-	0,12	0,86	0,44	-	3,4	2.4

როგორც ცხრილიდან ჩანს, მღებავი ოქსიდების ($Fe_2O_3 + TiO_2$) შემცველობა მე-6 სინჯის გარდა, მაღალია (4,35-დან 7,78-მდე), რაც განაპირობებს წარმოდგენილი თიხების მუქ შეფერილობას. Al_2O_3-ს შემცველობა საკმაოდ დაბალია, ხოლო Fe_2O_3, Na_2O და K_2O-ს შემცველობები, რომლებიც მალღობლის როლს ასრულებენ, მაღალია ანუ წარმოდგენილი თიხები განეკუთვნებიან ადვილად ლღობად (1350^{0}C-ზე ნაკლები) თიხების ჯგუფს, რაც დაადასტურა ტესტირების შედეგებმა (1250^{0}C).

შესწავლილი იქნა წარმოდგენილი თიხების გრანულომეტრული შედგენილობა. მსხვილმარცვლოვანი ჩანართების რაოდენობის მიხედვით (>5 მმ) სინჯები განეკუთვნება თიხის ნედლეულს ჩანართების მაღალი შემცველობით (5 %-ზე მეტი); ჩანართების ზომების მიხედვით ყველა სინჯი წარმოადენს თიხებს მცირე ზომის ჩანართებით (1 მმ-ზე მცირე ზომის 50 %-ზე მეტი).

წარმოდგენილ სინჯებში განლექვის მეთოდით განისაზღვრა თიხური ფრაქციების გამოსავალი. სინჯებში 1, 4 და 5 თიხური ფრაქციის გამოსავალი მერყეობს 69 %-დან 41 %-მდე, ხოლომე-2 და მე-3 სინჯებში თიხური ფრაქციის გამოსავალი ტოლია 18,2%-სა და 23,8 %-ს.

დადგენილი იქნა ნორმალური კონსისტენციის ცომის მოსაზელად საჭირო სამუშაო წყლის რაოდენობა, რომელიც მერყეობს 22-29 %-ს ფარგლებში.

განსაზღვრული იქნა სინჯების პლასტიკურობა. პლასტიკურობის მიხედვით მე-2 და მე-3 სინჯები საშუალოპლასტიკურია, ხოლო დანარჩენი ოთხი სინჯი კი მაღალპლასტიკური.

პლასტიკური მეთოდით დაყალიბებული იქნა ფილები ზომით 50×50×8მმ, რომელიც ჯერ გამოშრა ჰაერზე, ხოლო შემდეგ კი თერმოსტატში 105^{0}C ტემპერატურაზე.

გამოწვის ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად მიმდინარეობს ფილების გამოიწვა სხვადასხვა ტემპერატურებზე.

II.1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა

1	კ.ხაჩატურიანი ნ.გეგია გ. ენუქიძე რ. კვატაშიძე თ.გურული ე.უკლება	Вещественный состав бентонитов и кинетика изменения их набухаемости	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, ტომი 43, №2, (ISSN 0132 -6074)	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	174-178
2	ნ. გეგია გ. ენუქიძე კ.ხაჩატურიანი რ. კვატაშიძე ლ. ენუქიძე ე.უკლება თ.გურული	აწყურის კერამიკული თიხების ნივთიერებრივი შედგენილობა და ზოგიერთი ტექნოლოგიური თვისების კვლევა	სამთო ჟურნალი №1 (38) (ISSN 1512-407X)	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	138-142
3	Gegia N. Enukidze G. Khachaturiani K. Enukidze L. Ukleba E.	Material composition, testing for enrichment and ceramics-technological properties of ceramic clays of Makvaneti	Book of Abstract, “International Scientific Practical Conference on up-to-date Problems of Geology” (ISBN 978-9941-20-832-4)	“Technical University”, Tbilisi 2017.	47-50
4	Khachaturiani K. Gegia N. Enukidze G. Guruli T.	Testing of Aspindza’s perlites ore references	Book of Abstract, “International Scientific Practical Conference on up-to-date Problems of Geology” (ISBN 978-9941-20-832-4)	“Technical University”, Tbilisi 2017.	67-70

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
(სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნ. გეგია გ. ენუქიძე კ. ხაჩატურიანი **ლ. ენუქიძე** ე. უკლება	მაკვანეთის კერამიკული თიხების ნივთიერი შედგენილობა, გამდიდრებადობაზე გამოცდა და კერამიკულ-ტექნოლოგიური ტესტირება	თბილისის მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 1-2 ივნისი
2	კ. ხაჩატურიანი ნ. გეგია გ. ენუქიძე **თ. გურული**	ასპინძის პერლიტის მადანგამოვლინების სინჯების ტესტირება	თბილისის მე-3 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 1-2 ივნისი

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Н.А. Гегия, Г.А. Тодрадзе, **Т.С. Гурули,** М.О. Брокишвили, К.К. Хачатурян	Пиритсодержащие низкосортные баритовые руды Чордского месторождения, разработка технологии обогащения и метод определения бария	Киевский Национальний Университет им. Тараса Шевченко 18-21октября

დაწესებულებას თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც, რომელიც დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტით ან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით.

განყოფილებამ ორჯერ გაიმარჯვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, 2017 წელს - გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში - ნიმუშების საანალიზოდ მომზადება და კონსულტაციები.

სახელმწიფო ბიუჯეტით ხდება განყოფილების კერამიკული თიხების ლაბორატორიის გადაიარაღება უახლესი იტალიური აპარატურით.

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის 2017 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” საქართველოს კანონის (მუხლი მე-4) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წესდების (პუნქტი მე-5) თანახმად ატარებს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ექსპერტიზას;
2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამეცნიერო საქმიანობისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიში სრულად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ შემდეგ ფორმებს.

* სამეცნიერო ერთეულის დასახელება – **ივანე ჯავახიშვი;ის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი**

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - **ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი – სიმონ დალაქიშვილი**

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა :

კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. ლიანა გოგიაშვილი

კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ კანდ. მიხეილ ჯანგავაძე

გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ კანდ. ნანა ბაკურაძე

ციტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. ზურაბ ცაგარელი

პათოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. დოქტ. თამარ ღვამიჩავა

მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – მედ. მეცნ. კანდ. ნანა გოიშვილი

ანდროლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი – ბიოლ. მეცნ. დოქტ. ციური სუმბაძე

მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:

მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. დ. კორძაია,

მედ. მეცნ დოქტ. ნ. ჭიჭინაძე

მედ. მეცნ კანდ. თ. მაჭავარიანი,

მედ. მეცნ კანდ. მ. წილოსანი,

მედ. მეცნ კანდ. მ.კაკაბაძე,

ბიოლ. მეცნ კანდ. ნ. დიდებულიძე,

მედ. მეცნ კანდ. ი. გაჩეჩილაძე,

მედ. დოქტ. ნ. ხოდელი,

მედ. მეცნ კანდ. ზ. ჩხაიძე.

უფრ. მეცნ. თანამშრომლები:

მედ. მეცნ კანდ. მ. დგებუაძე,

მედ. მეცნ კანდ. ე. ნიკობაძე,

ვეტ. მეცნ კანდ. მ. კორძაია,

ბიოლ. მეცნ კანდ. ლ. მეტრეველი,

მედ. მეცნ კანდ. მ. მჭედლიშვილი,

მედ. მეცნ კანდ. მ. ერემაშვილი,

მედ. მეცნ კანდ. ი. ხახუტაიშვილი,

მედ. მეცნ კანდ. მ ღუღუნიშვილი,

მედ. მეცნ კანდ. ე. მელიქაძე,

დოქტორანტი დ. მაკარიძე,

დოქტორანტი თ. ლეკაშვილი.

მეცნ. თანამშრომლები

მედ. მეცნ კანდ. ი. სიხარულიძე,

მედ. მეცნ კანდ. ი. კირვალიძე,

მედ. მეცნ კანდ. გ. ფიჩხაია,

ქიმ. მეცნ კანდ. ს. გვიდანი,

ეკონომ. მეცნ. კანდ. რ. ლორთქიფანიძე,

დ. მამათავრიშვილი

თ. კვაჭაძე,

ვ. ლობჯანიძე,

რ. ჯოჯუა,

ნ. წიქორიძე,

ვ. ლალებაშვილი,

ზ. ბუკია,

თ. ასათიანი

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით დაგეგმილი 2014–2017 წლების სამეცნიერო პროგრამა შედგება 3 ნაწილისაგან:

I. **ონკომორფოლოგია - მოიცავს ორ პროექტს:**
   - **I.1 ჰორმონდამოკიდებულ ორგანოთა კიბოსწინა პროცესების და დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით ონკოლოგიური რისკის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის მიზნით**
   - **I-2 საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია - მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია**

II. **დაავადებათა და პათოლოგიურ მდგომარეობათა მოდელირება - მოიცავს ორ პროექტს:**
   - **II -1. რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია– დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები?**
   - **II-2 ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება**

III. **დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები - მოიცავს ერთ პროექტს:**
   - **დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება**

№	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

	დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
I I-1	*სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ონკომორფოლოგია* **1. ჰორმონდამოკიდებული ორგანოთა კიბოსწინა პროცესების და დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის მიზნით**	*ლ. გოგიაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*	**მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:** პროფ. ზ. ცაგარელი, ც. სუმბაძე, ი. გაჩეჩილაძე, თ. ღვამიჩავა, თ. მაჭავარიანი; **უფრ. მეცნ. თანამშრომლები.:** მ. დგებუაძე, ე. ნიკობაძე, ე. მელიქაძე. **მეცნ. თანამშრომელი:** თ. კვაჭაძე
პროექტის დასკვნითი ეტაპის (2017 წლის) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
2017 წელს მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში მიმდინარეობდა მიმდინარე პროექტის საბოლოო ნაწილის - ფარისებრი ჯირკვლის არასიმსივნურ დაზიანებებთან ასოცირებული პაპილური მიკროკარცინომის იმუნოჰისტოქიმიური შეფასება (შედარებითი ანალიზი), ზოგად ჰისტოლოგიური (დიაგნოსტიკა) და იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდებით გამოკვლეულ იქნა პაპილური მიკროკარცინომის 42 შემთხვევა შედეგები შეფასდა სტატისტიკურად - Pearson, Spearman და Mann-Whitney კრიტერიუმების გამოყენებით. იმუნოჰისტოქიმიური მარკერებით – CK19, Cyclin D1, CD 56, Ki 67, CK 34BE12, Galectin-3 შესწავლილ იქნა პაპილური მიკროკარცინომა სიმსივნურ პარენქიმაში Hashimoto–ს თირეოიდიტთან და მრავალკვანძოვან ადენომატოზურ ჩიყვთან ასოციაციის დროს (22, 20 შემთხვევა, შესაბამისად). არამეტრული და არაპარამეტრული კორელაციის მონაცემებით გამოვლინდა მაღალი რანგული		

კავშირი Cyclin D1 და CK 34BE12 აქტივობებს შორის, ასევე ძლიერი ურთიერთკავშირი Cyclin D1 და Galectin-3 შორის Hashimoto –ს თირეოიდიტთან ასოციაციის დროს, რაც მიუთითებს ასეთი მიკროკარცინომების მაღალ მეტასტაზურ პოტენციალზე, რადგან ყველა შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნეიროვასკულურ და კისრის რბილ ქსოვილში სიმსივნურ ინვაზიას.

ა. H@E



ბ. H@E



გ. H@E X160



დ. Galectin-3 ის აქტივობა იმუნოჰისტოქიმია



უჯრედული ატიპია მკვეთრად ასოცირებულია Cyclin D1, CK 34BE12, Galectin-3 აქტივობასთან Hashimoto –ს თირეოიდიტის ფონზე, Hashimoto–ს თირეოიდიტის ჰიტოპათოლოგიური არაერთგვაროვნების გათვალისწინებით, ფოლიკულური უჯრედების დეგენერაციის, დისპლაზიის და ჰისტიოციტური ინფილტრაციის სახით. გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ Cyclin D1და Galectin-3 დიფუზური იმუნორეაქტიულობა და კავშირი მალიგნიზაციასთან განპირობებულია HT- ის გენურ ამპლიფიკაციით 6p 21 ქრომოსომასთან, რომელიც ასრულებს 11q23 (Cyclin D 1 გენის ლოკაცია), ქრომოსომის აქტივობის ტრიგერის როლს და შეიძლება მიუთითებდეს ასეთი კარცინომების აგრესიულ ბიოლოგიურ ქცევაზე.

კვლევის შედეგები აისახა პუბლიკაციებში და მოხსენებულ იქნა სამხრეთ

აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო ფორუმის (SEEMF) მერვე საერთაშორისო კონფერენციაზე (ათენი, საბერძნეთი. 2017, 7-10 სექტემბერი).

I I-2	*სამეცნიერო მიმართულება - მედიცინა; ონკომორფოლოგია* **საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია- მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია**	*მიხეილ ჯანგავაძე, მედიცინის დოქტორი*	**უფ.მეცნ. თანამშრომლები:** ნ. გოიშვილი, მ. მჭედლიშვილი, თ. ლეკაშვილი დ. მაკარიძე **მეცნ. თანამშრომლები:** მ. ამირანიძე, ზ. ბუკია, გ. ფიჩხაია,

პროექტის დასკვნითი ეტაპის (2017 წლის) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

უკანასნელი 7-8 წლის მანძილზე თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტში დაგროვილია ფილტვის და ძუძუს კიბოს რამოდენიმე ასეული ნიმუში (ჰისტოპათოლოგიური კვლევის შემდეგ დარჩენილი პარაფინში ჩაყალიბებული მასალა), რომლის გამოკვლევითაც შეიძლება გამოვლინდეს აღნიშნული სიმსივნეების:

• მოლეკულური ეპიდემიოლოგია;

• გენური მუტაციების როგორც ფართოდ ცნობილი, ისე სავარაუდო პროფილი;

ასევე განხორციელდეს

• მოლეკულურ-ბიოლოგიური და გენეტიკური მახასიათებლების შედარება უკვე ფართოდ მიღებულ ჰისტოლოგიურ კლასიფიკაციასა და პრედიქტორულ მარკერებთან.

პროექტის მიზანია: საქართველოს პოპულაციაში ფილტვის და ძუძუს კიბოს გენეტიკური ქვეჯგუფების გავრცელების დადგენა და ჰისტოლოგიური და მოლეკულური კლასიფიკაციების კორელაცია.

ამ ეტაპზე დასრულებულია კვლევის შემდეგი ეტაპები:

1. საარქივო მასალის (პარაფინში ჩაყალიბებული ქსოვილის ნიმუშების,

ჰისტოლოგიური პრეპარატების) რევიზია: დიაგნოზის ვერიფიკაცია, სიმსივნის ჰისტოლოგიური ტიპის და ავთვისებიანობის ხარისხის დადგენა, იმუნოჰისტოქიმიურად რეცეპტორებისა (ER, PR) და Her2/neu სტატუსის შეფასება. (ამ ეტაპზე სულ გამოკვლეულია 131 ძუძუს და 87 ფილტვის კიბოს შემთხვევა)

2. შესწავლილი მასალიდან (პარაფინში ჩაყალიბებული სიმსივნური ქსოვილის ნიმუშებიდან) მთლიანი დნმ-ის გამოყოფა და მათი არქივაცია შემდგომი გენეტიკური კვლევებისათვის.

რაც შეეხება პროექტის მეორე ნაწილს, რომლითაც უნდა გამოვლენილიყო ფილტვის და ძუძუს კიბოს გენური მუტაციების როგორც ფართოდ ცნობილი, ისე სავარაუდო პროფილი და მომხდარიყო მოლეკულურ-ბიოლოგიური და გენეტიკური მახასიათებლების შედარება უკვე ფართოდ მიღებულ ჰისტოლოგიურ კლასიფიკაციასა და პრედიქტორულ მარკერებთან, ვერ შესრულდა, რადგან 2016-2017 წლებში ინსტიტუტის შენობაში, მათ შორის მოლეკულურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიაში მიმდინარეობდა სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები. შეიქმნა საერთაშორისო სტანდარტების ჰისტოლოგიური და პჯრ ლაბორატორიები, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე აპარატურით.

პროგრამის ფარგლებში შემუშავდა 2 სადოქტორო, რომელიც დაასრულებს დაგეგმილ კვლევას, ამათგან ერთი პროექტისათვის (ჰეპატოცელულური კიბოს გამოსავალი, განვითარების რისკი და სისხლში მოცირკულირე ახალი, მაღალმგრძნობიარე სიმსივნის მარკერები, ლედიპასვირი/სოფოსბუვირით მკურნალობის დროს HCV-ით) დამატებით მიღებულ იქნა „შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის“ დაფინანსება.

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
II	***სამეცნიერო მიმართულება – მედიცინა; ჰეპატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია***	***დიმიტრი კორძაია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***	**მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:** მ. კაკაბაძე, ნ. დიდებულიძე,

II-1	**რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია– დელიმფატიზაციის ფონზე. ეპატოციტები თუ ღეროვანი უჯრედები?**		ნ. ჭიჭინაძე **უფრ. ეცნ. თანამშრომლები:** ლ. მეტრეველი, მ. კორძაია **მეცნ. თანამშრომელი:** რ.ჯოჯუა

პროექტის დასკვნითი ეტაპის (2017 წლის) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები

პროექტის კვლევის მიზანი იყო რეზექციის შემდეგ დარჩენილი და აუტოტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა, რისთვისაც დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- ღვიძლის ერთი ანატომიური ნახევრის რეზექციისა და ტრანსპლანტაციის მოდელის შემუშავება;
- რეზექცია-ტრანსპლანტაციიდან სხვადასხვა ვადებზე დონორში რეზექციის შემდეგ დარჩენილი და რეციპიენტში ტრანსპლანტირებული ღვიძლის ნახევრების რეგენერაციის მაკროსტრუქტურული, ქსოვილოვანი და უჯრედული მექანიზმების გამოკვლევა;

როგორც წინა წლის ანგარიშში იყო მოხსენებული, ნაცადი იქნა ღვიძლის ტრანსპლანტაციის მოდელის რამოდენიმე ვერსიის შემუშავება, მაგრამ ყველა უშედეგოდ. ძალიან მაღალი აღმოჩნდა ცხოველთა ლეტალობა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მოდელი ფრიად მნიშვნელოვანია, გადაწყდა სტუდენტთა (ბაკალავრიატის და დოქტორანტურის) ჯგუფის შექმნა, რომელიც ეტაპობრივად აითვისებდა ამ ტექნიკას. ინსტიტუტის მთელს შენობაში მიმდინარე კაპიტალური რემონტის გამო, 2017 წლის დეკემბრის ჩათვლით ვერ მოხერხდა საოპერაციო მაგიდების (თანამედროვე დიზაინის, გამწოვი სისტემებით) დამონტაჟება და მათთან ოპერაციული მიკროსკოპის ინტეგრაცია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ვირთაგვებში ღვიძლის ტრანსპლანტაციის (რეპლანტაციის) მოდელის განხორციელება.

ამდენად, დაგეგმილი კვლევა გაგრძელდა მხოლოდ ღვიძლის რეზექციის შემდგომი რეგენერაციის კვლევის მიმართულებით. ვახორციელებდით წინა

საანგარიშო პერიოდში დამუშავებულ ღვიძლის რეზექციის მეთოდს (მოწოდებულია Mitchell da Willenbring –ის მიერ (Nature Protocols, 2008, 3:1167-1170), რომლითაც ხორციელდება ღვიძლის 70%-ის რეზექცია "ორი კვანძით"). ამ მეთოდით ნაოპერაციებ ცხოველთა 80% ცოცხალი გადარჩა ოპერაციიდაბ მე-7 დღისათვის, ანუ იმ ვადაზე, რომელზეც ძირითადად დასრულებულია რეზექციისშემდგომი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული გარდაქმნები.

წინა წელს შემუშავებული მეთოდიკით ვახდენდით ვირთაგვების კარის ვენის კალაპოტის ინიექციას თვითგამყარებადი პლასტმასის "პროტოკრილ M" –ის თხევადი მასით, კოროზიული პრეპარატების დამზადებას და გამოკვლევას მასკანირებრლი ელექტრონული მიკროსკოპით. ამ მიზნით ვიყენებდით საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული მიკროსკოპიის ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი გ. ჯალაბაძე) არსებულ მასკანირებელ მიკროსკოპს, 2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ჰისტოლოგიურ გამოკვლევებს ვახორციელებდით ჰემატოქსილინ-ეოზინითა და მასონის ტრიქრომით შეღებილ ანათლებზე.

სხვადასხვა გადიდებით მიღებულ პრეპარატის გამოსახულებებს ვინახავდით დიგიტალურ ფორმატში. ვახდენდით მიღებულ გამოსახულებათა აღწერას და გაზომვებს (სტერეო- და მორფომეტრია).











მიღებული შედეგების საფუძველზე, ნაჩვენებია, რომ რეზექციის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციისას მე-7 დღეს აღინიშნება არსებული წილაკების მოცულობაში მატება, თუმცა წილაკშიდა ანგიოარქიტექტონიკა ინარჩუნებს ნორმული წილაკისათვის დამახასიათებელ სივრცულ კონსტრუქციას.

წილაკის შემადგენლობაში უჯრედების რაოდენობრივი ანალიზი ადასტურებს კოროზიული ტვიფრების გამოკვლევით მიღებულ შედეგებს: უჯრედთა რაოდენობა საერთო რაოდენობა წილაკის შიგნით გაზრდილია. ამასთანავე, რეგენერაციაში მონაწილეობს ყველა ტიპის უჯრედი, რადგანაც მათი შეფარდება არ განსხვავდება ნორმულისაგან. მიღებული შედეგები ვერ უარყოფს დაშვებას, რომ რეზექციისშემდგომი რეგენერაციის პირველ ეტაპზე (პირველ დღეებში) ადგილი ჰქონდეს ღვიძლის უჯრედების (პირველ რიგში კი – ჰეპატოციტების) ჰიპერტროფიას. აღნიშნულის დადასტურების ან უარყოფის მიზნით გრძელდება უჯრედული პოპულაციების კვლევა რეგენერაციის ადრეულ ვადებზე. შრომა დასრულდება თსუ დოქტორანტების ნ. ინაურის და ქ. ცომაიას სადისერტაციო ნაშრომებით, დამატებითი დაფინანსების მოთხოვნის გარეშე.

N	გეგმით გათვალისწინებული და	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები

	შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით		
II II-2	*სამეცნიერო მიმართულება – მედიცინა; ჰეპატოლოგია, ტრანსპლანტოლოგია* *ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება*	*ნოდარ ხოდელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*	**მთავარი მეცნიერ თანამშრომელი:** ზ. ჩხაიძე, მ. წილოსანი. **ეცნ. თანამშრომლები:** ი. კირვალიძე, ი. სიხარულიძე, ს. გვიდანი, ვ. ლობჯანიძე, დ. მამამთავრიშვილი
პროექტის დასკვნითი ეტაპის (2017 წლის) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
დღეისათვის, ტრანსპლანტოლოგიის უმნიშვნელოვანეს ასპექტს გადანერგვამდე ორგანოს შენახვა (კონსერვაცია/პრეზერვაცია) წარმოადგენს. ბოლო წლებში გამოიკვეთა კონსერვაციის ახალი მეთოდი იზოლირებული, ან ინ სიტუ ორგანოს ჰიპო- ან ნორმოთერმული პერფუზია რთული კონსტრუქციის მქონე აპარატებით. ამასთან, უკანასკნელი ათწლეულის ექსპერიმენტული კვლევები ერთაზროვნად მიუთითებს ნორმოთერმული პერფუზიის უპირატესობებზე ჰიპოთერმულთან შედარებით. დიდ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, კონსერვირებული ორგანოს მორფოლოგიური და ფუნქციური ვარგისიანობის ტრანსპლანტაციისწინა შეფასება. მრავალი ავტორი პერფუზიის შედეგად მარგინალური ორგანოს ფუნქციურ გაუმჯობესებაზეც საუბრობს, რაც ტრანსპლანტატთა მწვავე უკმარისობის პირობებში ასეთი „გაუმჯობესებული“ ორგანოების გადანერგვის საშუალებასაც იძლევა. წინა წლებში ჩატარებული სამუშაოების შედაგად გამოვლინდა, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული საპერფუზიო სისტემის მიერ უზრუნველყოფილი, ფიზიოლოგიურთან მაქსიმალურად მიახლოებული სისხლნაკადი საშუალებას იძლევა, როგორც რეციპიენტის ორგანიზმის, ისე გადასანერგი ორგანოს		

ჰემოდინამიკური მაჩვენებლების შენარჩუნებას ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში ხანგრძლივი კონსერვაციის პირობებში.

2017 წელს დაგეგმილი იყო ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონსერვაციის მეთოდის შედარება კონსერვაციის სტანდარტულ მეთოდებთან შედარებით.

ექსპერიმენტების ძირითადი ჯგუფები თბილი იშემიის დროის მიხედვით გაიყო სამ ქვეჯგუფად – 15, 30 და 60 წუთიანი პირველადი დისფუნქცია. თითოეულ მათგანში ჩატარდა მუცლის ღრუს ორგანოების 4, 6 და 8–საათიანი, ნორმოთერმული, კონსერვაცია როგორც ტრადიციული, არამოპულსირე, ასევე მოპულსირე პერფუზიის პირობებში.



მორფოლოგიური კვლევები ტარდებოდა პერფუზიის წინ, მის შემდეგ და ზემოაღნიშნული პირველადი დისფუნქციის ეტაპებზე.

1. მორფომეტრული ანალიზი:

ა) სტანდარტული მიკროსკოპის 4μ ანათლების შეღებვა ჰემატოქსილინით და ეოზინით და Masson's trichrome–ით: შეფასდა ქსოვილის არქიტექტურა, უჯრედების დაზიანება (სტეატური ვაკუოლიზაცია, ნეკროზი და ა.შ.), კაპილარულ–სინუსოიდალური დილატაციის ხარისხი, სისხლჩაქცევები, ინტერსტიციული შეშუპება და ანთებითი უჯრედების ინფილტრაცია;

ბ) იმუნოჰისტოქიმია - ენდოთელური უჯრედები შეფასდა (CD31) აპოპტოზის (Caspase-9) და რეგენერაციის (Ki67) მარკერებით.

2. PCR - ქსოვილის ნიმუშებს ვიღებდით Messenger RNA (mRNA) ანალიზის

დონეთათვის:

ა) ინტერლეიკინი 1β,

ბ) სისხლძარღვთა ენდოთელიუმის ზრდის ფაქტორი, VEGF

გ) ჰემოოქსიგენაზა-1, HO-1

დ) ჰიპოქსია-ინდუცირებული ფაქტორი-1 გენის HIF-1

ჩატარებული სამუშაოების შედაგად გამოვლინდა, რომ საპერფუზიო სისტემის კონსტრუქციული თავისებურებები უზრუნველყოფს ისეთ ჰემოდინამიკურ მახასიათებლებს (სისხლის წნევა, დროის ერთეულში გადადენილი სისხლის მოცულობა, პულსაციის სიხშირე და სხვ.), რომლებიც ეფუძნება გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების ფუნქციონირების ძირითად ფიზიოლოგიურ პრინციპებს, და უზრუნველყოფს ქსოვილოვანი, მიკროცირკულატორული სისხლმიმოქცევისათვის დამახასიათებელ აუცილებელ, ნატიფ მოთხოვნებს.



იგი სისხლძარღვთა სისტემაში უზრუნველყოფს სისხლის როგორც მოპულსირე (ფიზიოლოგიური არტერიული სისხლნაკადის იმიტაცია – ვერცხლისწყლის სვეტის 120/80 მმ), ასევე უწყვეტ, არაპულსურ ნაკადს (ფიზიოლოგიური ვენური სისხლნაკადის იმიტაცია – ვერცხლისწყლის სვეტის 1–15 მმ ფარგლებში), კონკრეტული ექსპერიმენტული მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი სისტემის გამოყენებით შესაძლებელია სისხლნაკადის მოცულობითი სიჩქარისის რეგულირება, როგორც პულსაციის სიხშირის ცვლით, ისე თითოეული ციკლის მოცულობის მართვით.

ამრიგად, ნაჩვენებია, რომ შემუშავებული საპერფუზიო სისტემის მიერ უზრუნველყოფილი, ფიზიოლოგიურთან მაქსიმალურად მიახლოებული სისხლნაკადი საშუალებას იძლევა როგორც რეციპიენტის ორგანიზმის, ისე გადასანერგი ორგანოს ჰემოდინამიკური მაჩვენებლების შენარჩუნებას ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში 8 საათიანი კონსერვაციის პირობებში. ასევე, შენარჩუნებულია პერფუზირებული ორგანოების მიკრომორფოლოგიური სტრუქტურა, ხოლო ფუნქცია - მონიტორინგს ექვემდებარება. ეს კი მომავალი ტრანსპლანტანტის ფუნქციური შეფასების საშუალებას იძლევა.

შექმნილია სასტენდო გამოცდებისა და ექსპერიმენტების პროტოკოლები.

პორტატული მოპულსირე ნაკადის საპერფუზიო სისტემა ცხვრის მოდელში გაჩერებული გულის პირობებში მულტიორგანული ნორმოთერმული კონსერვაციის დროს

N	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
III	***სამეცნიერო მიმართულება – გერონტოლოგია, პალიატიური მედიცინა*** ***დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება***	***სიმონ დალაქიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი***	**მთავარი მეცნიერ თანამშრომლები:** ნ. ბაკურაძე **უფრ. ეცნ. თანამშრომლები:** ი. ხახუტაიშვილი მ. ერემაშვილი მ. ღუღუნიშვილი **მეცნ. თანამშრომლებიი:** თ. ასათიანი, ე. ჯანბერიძე, ნ. წიქორიძე, რ. ლორთქიფანიძე, ვ. ლალებაშვილი
პროექტის დასკვნითი ეტაპის (2017 წლის) ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
2016 წლის 1 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტის 70 წლის იუბილესთან და ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქ. თბილისში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ღირსეული სიბერე“. იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მუკოგავას უნივერსიტეტის რექტორთან, იაპონელ პროფესორ იამორისთან ერთად ამ კონფერენციაზე განხილული იყო პროგრამა ერთობლივი საეთაშორისო საგრანტო პროექტის - „აბრეშუმის გზის ქვეყნების დღეგრძელი მოსახლეობის სამედიცინო-ბიოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები“ - შესადგენად.		

პირობითად მიღებულია, რომ ადამიანის სიცოცხლის მაქსიმალურ ხანგრძლივობად ითვლება ის ასაკი, სანამდეც შეიძლება იცოცხლოს მოსახლეობის 80%-მა. XX საუკუნის ბოლო პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 70-75 წელს აღწევდა. თუმცა რიგ ქვეყნებში, მაგ.: იაპონიაში, იტალიაში, საბერძნეთში, კოსტარიკა, აშშ, სიცოცხლის ხამგრძლივობა უფრო მაღალია. ამ ქვეყნებში ამჟამადაც ბევრია 100 წელისა და მეტი ასაკის ადამიანები, რომლებიც არ უჩივიან ჯანმრთელობას და აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. დღეგრძელობის ფენომენის შესასწავლად საქართველო წარმოადგენს საინტერესო რეგიონს, რაც დადასტურებულია ალექსანდრე ნათიშვილის მოეფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მედიცინის დეპარტამენტის არაერთი კვლევით.

ბუნებრივია ისმის კითხვა, რა არის დღეგრძელობის მიზეზი? არის თუ არა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულ გეოგრაფიულ გარემოზე, ეკოლოგიურ პირობებზე, კვების თავისებურებებზე, ფსიქოსოციალურ, გენეტიკურ ფაქტორებზე. რა ბიოლოგიური მექანიზმები განაპირობებენ დაბერების პროცესს და შესაძლებელია თუ არა ამ პროცესების მართვა. შესაძლებელია თუ არა დაბერების პოცესის შენელება და დაავადებათა განვითარების პრევენცია.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა დღეგრძელობის ფენომენის შესწავლა სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობით, გენეტიკური ინფორმაციით, ტრადიციებისა და რელიგიების, კვების განსხვავებული თავისებურებებითა და ადამიანთა განსხვავებული ფსიქოსოციალური სტატუსით. გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ მიმართულებით კვლევების განხორციელებას, რომელშიც ჩართული იქნება სხვადასხვა ქვეყნები, გარდა სამეცნიერო თვალსაზრისით მიღებული შედეგებისა, ექნება დიდი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ღირებულებებიც.

საქართველოში უკვე ჩატარდა ორი საერთაშორისო ფორუმი აბრეშუმის გზის აღდგენის მიზნით და იმ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ აბრეშუმის გზის ქვეყნების შემგომ დაახლოვებასა და აღმავალ განვითარებას.

პროექტის მიზანია: სიცოცხლის გამანადგურებელი საშუალებების ნაცვლად აბრეშუმის გზის ქვეყნებში ვიზრუნოთ ღირსეული ცხოვრების პირობების შესაქმნელად

კვლევის მიზანს შეადგენს აბრეშუმის გზის ქვეყნებში დღეგრძელობის

ფენომენის კომპლექსური შესწავლა, რაც გულისხმობს დღეგრძელი მოსახლეობის სამედიცინო, ბიოლოგიურ, ფსიქოსოციალურ და გენეტიკურ კვლევებს.

შედგა სამუშაო გეგმა და განყოფილების თანამშრომლები აქტიურად ჩაერთვნენ აღნიშნული პროგრამის მომზადებაში.

პროგრამის მიზნის განსახორციელებლად საჭიროა შემდეგი საკითხების კვლევა:

1. დღეგრძელთა (90 და მეტი ასაკის ადამიანთა) მოძიება და იდენტიფიცირება;
2. დღეგრძელთა სოციალური პირობების შესწავლა, რაც თავის მხრივ გულისხმობს:

- მოსახლეობის დემოგრაფიული პარამეტრების შესწავლას;
- დღეგრძელი მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში;
- დღეგრძელთა ხვედრითი წილი 60 და მეტი ასაკის მოსახლეობაში;
- შობადობა;
- სიკვდილობის გამომწვევი ძირითადი დაავადებები;
- სიცოცხლის მოსალოდნელი მაქსიმალური ხანგრძლივობა.

3. დღეგრძელთა მენტალური სტატუსის შეფასება;
4. მათი კვების თავისებურებათა განსაზღვრა სპეციალური კითხვარის საშუალებით;
5. მათი ანთროპომეტრული მონაცემები: სიმაღლე, წონა, წელისა და გულმკერდის გარშემოწერილობა;
6. კლინიკური მონაცემების შეფასება: სხეულის მასის ინდექსი, არტერიული წნევა, ეკგ;
7. ლაბორატორიული - კლინიკური და ბიოქიმიური მონაცემების განსაზღვრა, ოქსიდაციური და ანტიოქსიდაციური პარამეტრების, გენეტიკური და იმუნური სისტემის ზოგიერთი მონაცემების გამოკვლევა;
8. ფსიქოლოგიური კვლევა და ფსიქოლოგიური ტიპის გამსაზღვრა;

მიღებული მონაცემების ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ის პარამეტრები, რომლითაც ხასიათდება სხვადასხვა ქვეყნის დღეგრძელი მოსახლეობა. გამოვავლინოთ ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც საერთოა კონკრეტული ქვეყნების დღეგძელთათვის. შევიმუშაოთ დაბერების პროცესებზე ზემოქმედების მეთოდები, კერძოდ, დაბერების პროცესის მართვისა

და შენელების შესაძლო სტარატეგია.

უკვე მომზადდა:

- პროგრამის კლინიკო-ლაბორატორიული კვლევის გეგმა და სტრუქტურა;
- სოციალური სტატუსის შეფასების კითხვარი;
- ნუტრიციოლოგიურიკითხვარი;
- გენეტიკური კვლევის გეგმა და მეთოდები:

ფსიქოლოგებთან ერთად შემუშავებული იქნა პიროვნების ფსიქოლოგიური სტატუსისა და ღირებულებების დადგენის კითხვარები.

ამჟამად,პროგრამის პირველი ვარიანტი ითარგმნაინგლისურ ენაზე. მიღებული ვარიანტი გაეგზავნა იაპონურ მხარეს შემდგომი დამუშავებისთვის, რათა იგი წარდგენილ იქნას სერთაშორისო საგრანტო კონკურსზე მონაწილეობისათვის.

II. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გვერდების რაოდენობა
1	S.kandelaki, N.Didebulidze, M.Kakabadze, S.Kordzaia, J.Muntane Relat, J.Padillo	Methyltrienolone influences on the androgen receptors and DNA&RNA synthesis in the liver cells of male rats with alloxan-induced diabetes	Translational and Clinical Medicine - Georgian Medical Journal 2017. 2(1)	p. 10-13
2	Mariamidze A., Gogiashvili L., Khardzeishvili O.	Expression of Cyclin E in basal-like breast carcinoma.	GMN**,** 2017, 12,	104-109
3	Gogiasvili L., Tsagareli Z., Dgebuadze M., Nikobadze E., Melikadze E.,	Difference in the indices of adipose tissue and peripheral blood cells in individuals with overweight	“Translational and Clinical Medicine – Georgian Medical Journal”, 2017 (in progress).	

	Kvachadze T.			

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გვერდების რაოდენობა
1	Jangavadze, M., N. Goishvili, I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze	Congenital poorly differentiated cystic adrenal neuroblastoma with liver metastases: Case report.	Virchows Archiv V 471, suppl.1	p. 322
2	Jangavadze, M., N. Goishvili, I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze	Poorly differentiated adrenal neuroblastoma with liver metastasis: case report.	ABSTRACT BOOK Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum	p. 41
3	Goishvili, N., M. Jangavadze, I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze.	Alveolar soft-part sarcoma (ASPS) of the m. triceps surae - case report.	Virchows Archiv V 471, suppl.1	p. 261
4	Goishvili, N., M. Jangavadze, I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze.	Rare case of lveolar soft-part sarcoma (ASPS) of the M>Triceps Surae – Case report.	ABSTRACT BOOK Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum	p. 37
5	N.Didebulidze, S.kandelaki, M.Kakabadze, S.Kordzaia, D.Kordzaia, J.Muntane Relat, J.Padillo	Effect of Methyltrienolone on the Metabolic Disorders in Rat Model of Alloxan-Induced Diabetes	European Scientific Journal. 2017, 13(15)	p. 22-33
6	S. Kandelaki, K. Tsomaia, S. Kordzaia, N.Chkheidze, D.Kordzaia M Kakabadze	Are Androgens Valuable in Management of Diabetes?	Current Research in Diabetes & Obesity Journal 2017, 2 (5).	p. 1-4
7	Ukkat J., Elwerr M., Partsakhashvili J.,	Correlating the Length o the Internal Carotid Artery Plaque to	International Journal of Scientific Research.	p. 44-46

	Pilishvili O., Kurdadze R., Tsiklauri D., Chkhaidze Z, Khodeli N.	the Technique of Endarterectomy.		
8	Chkhaidze Z., Partsakhashvili J. Pilishvili O. Khodeli N.	Surgical Training at the First Stage of Continuous Medical Education: Precondition, Results, Perspective.	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.87-88
9	Chkhaidze Z. Partsachashvili J. Pilishvili O. Khodeli N.	Development of an Experimental Model for Machine-pefusion Organ Preservation "in situ" on Sheep.	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.88
10	D.Kordzaia	Integration of sheaths of portal tracts and hepatic veins in livers of humans and some mammal animals (for bio-printing of liver scaffolds).	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.27
11	M.Kakabadze, K.Chakhunashvili	Bile duct equivalent creation from decellularised human umbilical cord artery	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.53
12	L. Gogiashvili, Z.Cagareli. M.Chkhobadze, M.Dgebuadze, T.Kvachadze,	Thyroid gland microcarcinomas: histological and immunochemical significance in Georgia	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.89
13	E.Melikadze, E.Nikobadze	Endocrine glands reaction on the effect of fenolsubstances and afterliquid oxygen correction in experiment (Biochemical and histological evidences)	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.90

14	M.Mchedlishvili, D.Makaridze, I.Bekauri, K.Tsomaia	Glomus tumor of stomach (case report)	Materials of the Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. 2017	p.43
15	Gogiashvili L., Chkhobadze M., Tsagareli Z., Dgebuadze M., Melikadze E., Kvachadze T.	Immunoreactivity of thyroid primary papillary microcarcinoma associated with Hashimoto thyroiditis.	Acad. J. Sci. Res. 5(10).	p. 432-438
16	Clifford GM, Waterboer T, Dondog B, Qiao YL, Kordzaia D, Hammouda D, Keita N, Khodakarami N, Raza SA, Sherpa AT, Zatonski W.	Hepatitis C virus seroprevalence in the general female population of 9 countries in Europe, Asia and Africa.	Infectious Agents and Cancer. 2017 Feb 2;12(1)	p.9

1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	Jangavadze, M., N. Goishvili, I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze	Poorly differentiated adrenal neuroblastoma with liver metastasis: case report.	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
2	Goishvili, N., M. Jangavadze,	Rare case of lveolar soft-part	Eighth International Medical

	I. Khakhutaishvili, I. Kirvalidze.	sarcoma (ASPS) of the M>Triceps Surae – Case report.	Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
3	Chkhaidze Z., Partsakhashvili J. Pilishvili O. Khodeli N.	Surgical Training at the First Stage of Continuous Medical Education: Precondition, Results, Perspective.	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
4	Chkhaidze Z. Partsachashvili J. Pilishvili O. Khodeli N.	Development of an Experimental Model for Machine-pefusion Organ Preservation "in situ" on Sheep.	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
5	D.Kordzaia	Integration of sheaths of portal tracts and hepatic veins in livers of humans and some mammal animals (for bio-printing of liver scaffolds).	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
6	M.Kakabadze, K.Chakhunashvili	Bile duct equivalent creation from decellularised human umbilical cord artery	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
7	L. Gogiashvili, Z.Cagareli. M.Chkhobadze, M.Dgebuadze, T.Kvachadze,	Thyroid gland microcarcinomas: histological and immunochemical significance in Georgia	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
8	E.Melikadze, E.Nikobadze	Endocrine glands reaction on the effect of fenolsubstances and afterliquid oxygen correction in experiment (Biochemical and histological evidences)	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece
9	M.Mchedlishvili, D.Makaridze, I.Bekauri, K.Tsomaia	Glomus tumor of stomach (case report)	Eighth International Medical Congress of the Southeast European Medical Forum. September, 2017, Athens, Greece

დაწესებულება თუ საჭიროდ თვლის, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც, კერძოდ:

1. თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული პათოლოგიის დეპარტამენტში დამთავრებული და 2017 წლის 25 მაისს მედიცინაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დაცული იქნა დოქტორანტ თამარ სალაძის დისერტაცია თემაზე: "აორტის სარქვლის ათეროგენული და დეგენერაციული გენეზის სტენოზის მორფოლოგიური და იმუნოჰისტოქიმიური დახასიათება" (ხელმძღვანელი პროფ. იანა გოგიაშვილი).

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის
ინსტიტუტის დირექტორი

ს. დალაქიშვილი

.

Tsu aleqsandre naTiSvilis morfologiis institutis 2017 wlis samecniero-kvleviTi muSaobis angariSi

1. saqarTvelos mecnierebaTa akademia “saqarTvelos mecnierebaTa erovnuli akademiis Sesaxeb” saqarTvelos kanonis (muxli me-4) da saqarTvelos mecnierebaTa akademiis

wesdebis (punqti me-5) Tanaxmad atarebs saqarTvelos umaRlesi saganmanaTleblo da samecniero-kvleviTi dawesebulebebis samecniero saqmianobis wliuri angariSebisa da dasrulebuli samecniero-kvleviTi samuSaoebis eqspertizas;

2. eqspertizaze warmodgenili samecniero saqmianobisa da dasrulebuli samecniero-kvleviTi samuSaoebis angariSi srulad unda Seesabamebodes saqarTvelos mecnierebaTa erovnuli akademiis akademiuri sabWos mier damtkicebul Semdeg formebs.

* samecniero erTeulis dasaxeleba – **ivane javaxiSvi;is sax. Tbilisis saxelmwifo universitetis aleqsandre naTiSvilis morfologiis instituti**

* samecniero erTeulis xelmZRvaneli - **institutis direqtoris movaleobis Semsrulebeli – simon dalaqiSvili**

* samecniero erTeulis personaluri Semadgenloba :

klinikuri da eqsperimentuli paTologiis departamentis xelmZRvaneli – med. mecn. doqt., prof. liana gogiaSvili

klinikuri anatomiis departamentis xelmZRvaneli – med. mecn kand. mixeil jangavaZe

gerontologiisa da paliatiuri medicinis departamentis xelmZRvaneli – med. mecn kand. nana bakuraZe

citologiis laboratoriis xelmZRvaneli – med. mecn. doqt., prof. zurab cagareli

paTologiis laboratoriis xelmZRvaneli – med. mecn. doqt. Tamar RvamiCava

molekuluri biologiisa da genetikis laboratoriis xelmZRvaneli – med. mecn. kand. nana goiSvili

andrologiis laboratoriis xelmZRvaneli – biol. mecn. doqt. ciuri sumbaZe

mTavari mecnier TanamSromlebi:

med. mecn. doqt., prof. d. korZaia,
med. mecn doqt. n. WiWinaZe
med. mecn kand. T. maWavariani,
med. mecn kand. m. wilosani,
med. mecn kand. m.kakabaZe,
biol. mecn kand. n. didebuliZe,
med. mecn kand. i. gaCeCilaZe,
med. doqt. n. xodeli,

med. mecn kand. z. CxaiZe.

ufr. mecn. TanamSromlebi:

med. mecn kand. m. dgebuaZe,

med. mecn kand. e. nikobaZe,

vet. mecn kand. m. korZaia,

biol. mecn kand. l. metreveli,

med. mecn kand. m. mWedliSvili,

med. mecn kand. m. eremaSvili,

med. mecn kand. i. xaxutaiSvili,

med. mecn kand. m RuRuniSvili,

med. mecn kand. e. meliqaZe,

doqtoranti d. makariZe,

doqtoranti T. lekaSvili.

mecn. TanamSromlebi

med. mecn kand. i. sixaruliZe,

med. mecn kand. i. kirvaliZe,

med. mecn kand. g. fiCxaia,

qim. mecn kand. s. gvidani,

ekonom. mecn. kand. r. lorTqifaniZe,

d. mamaTavriSvili

T. kvaWaZe,

v. lobjaniZe,

r. jojua,

n. wiqoriZe,

v. lalebaSvili,

z. bukia,

T. asaTiani

I. 1. saqarTvelos saxelmwifo biujetis dafinansebiT 2017 wlisaTvis dagegmili da Sesrulebuli samecniero-kvleviTi proeqtebi

Tsu aleqsandre naTiSvilis morfologiis institutis saqarTvelos saxelmwifo biujetis dafinansebiT dagegmili 2014–2017 wlebis samecniero programa Sedgeba 3 nawilisagan:

I. **onkomorfologia - moicavs or proeqts:**
   - **I.1 hormondamokidebul organoTa kiboswina procesebis da displaziebis morfologiuri daxasiaTeba ujredTa receptoruli statusis SefasebiT onkologiuri riskis adreuli diagnostikis da prevenciis mizniT**
   - **I-2 saqarTveloSi ZuZusa da filtvis kibos molekuluri epidemiologia - molekuluri da morfologiuri klasifikaciebis korelacia**

II. **daavadebaTa da paTologiur mdgomareobaTa modelireba - moicavs or proeqts:**
   - **II -1. rezeqciis Semdgom darCenili da gadanergili naxevari RviZlis regeneracia anu regeneracia denervacia–delimfatizaciis fonze. hepatocitebi Tu Rerovani ujredebi?**
   - **II-2 organoTa konservaciis axali meTodis SemuSaveba**

III. **demografiuli daberebis socialur-ekonomikuri problemebi - moicavs erT proeqts:**
   - **demografiuli daberebis socialur-ekonomikuri problemebi saqarTveloSi da maTi gadawyvetis gzebis Zieba**

#	gegmiT gaTvaliswinebuli da Sesrulebuli samuSaos dasaxeleba mecnierebis dargisa da samecniero mimarTulebis miTiTebiT	samuSaos xelmZRvaneli	samuSaos Semsruleblebi
I **I-1**	***samecniero mimarTuleba - medicina; onkomorfologia*** **1. hormondamokidebuli organoTa kiboswina procesebis da displaziebis morfologiuri daxasiaTeba**	***I. gogiaSvili medicinis mecnierebaTa doqtori, profesori***	**mTavari mecnier TanamSromlebi:** prof. z. cagareli, c. sumbaZe, i. gaCeCilaZe, T. RvamiCava, T. maWavariani; **ufr. mecn.**

	ujredTa receptoruli statusis SefasebiT adreuli diagnostikis da prevenciis mizniT		**TanamSromlebi.:** m. dgebuaZe, e. nikobaZe, e. meliqaZe. **mecn. TanamSromeli:** T. kvaWaZe

Pproeqtis daskvniTi etapis (2017 wlis) ZiriTadi Teoriuli da praqtikuli Sedegebi

2017 wlis morfologiis institutis klinikuri da eqsperimentuli paTologiis departamentSi mimdinareobda mimdinare proeqtis saboloo nawilis - farisebri jirkvlis arasimsivnur dazianebebTan asocirebuli papiluri mikrokarcinomis imunohistoqimiuri Sefaseba (SedarebiTi analizi),

zogad histologiuri (diagnostika) da imunohistoqimiuri kvlevis meTodebiT gamokvleul iqna papiluri mikrokarcinomis 42 SemTxveva Sedegebi Sefasda statistikurad - Pearson, Spearman da Mann-Whitney kriteriumebis gamoyenebiT.

imunohistoqimiuri markerebiT – CK19, Cyclin D1, CD 56, Ki 67, CK 34BE12, Galectin-3 Seswavlil iqna papiluri mikrokarcinoma simsivnur parenqimaSi Hashimoto–s TireoiditTan da mravalkvanZovan adenomatozur CiyvTan asociaciis dros (22, 20 SemTxveva, Sesabamisad). Parametruli da araparametruli korelaciis monacemebiT gamovlinda maRali ranguli kavSiri Cyclin D1 da CK 34BE12 aqtivobebs Soris, aseve Zlieri urTierTkavSiri Cyclin D1 da Galectin-3 Soris Hashimoto –s TireoiditTan asociaciis dros, rac miuTiTebs aseTi mikrokarcinomebis maRal metastazur potencialze, radgan yvela SemTxvevaSi adgili hqonda neirovaskulur da kisris rbil qsovilSi simsivnur invazias.

A a. H@E b. HH@E





A g. H@E d. Galectin-3 is aqtivoba imunohistoqimia X160




ujreduli atipia mkveTrad asocirebulia Cyclin D1, CK 34BE12, Galectin-3 aqtivobasTan Hashimoto –s Tireoiditis fonze, Hashimoto–s Tireoiditis hitopaTologiuri araerTgvarovnebis gaTvaliswinebiT, folikuluri ujredebis degeneraciis, displaziis da histiocituri infiltraciis saxiT. gamoiTqva hipoTeza, rom Cyclin D1da Galectin-3 difuzuri imunoreaqtiuloba da kavSiri malignizaciasTan ganpirobebulia HT- is genur amplifikaciiT 6p 21 qromosomasTan, romelic asrulebs 11q23 (Cyclin D 1 genis lokacia), qromosomis aqtivobis trigeris rols da SeiZleba miuTiTebdes aseTi karcinomebis agresiul biologiur qcevaze.

kvlevis Sedegebi aisaxa publikaciebSi da moxsenebul iqna samxreT aRmosavleT evropis samedicino forumis (SEEMF) merve saerTaSoriso konferenciaze (aTeni, saberZneTi. 2017, 7-10 seqtemberi).

I **I-2**	***samecniero mimarTuleba - medicina; onkomorfologia*** **saqarTveloSi ZuZusa da filtvis kibos molekuluri epidemiologia-molekuluri da morfologiuri klasifikaciebis korelacia**	***mixeil jangavaZe, medicinis doqtori***	**uf.mecn. TanamSromlebi:** n. goiSvili**,** m. mWedliSvili, T. lekaSvili d. makariZe **mecn. TanamSromlebi:** m. amiraniZe, z. bukia, g. fiCxaia,

Pproeqtis daskvniTi etapis (2017 wlis) ZiriTadi Teoriuli da praqtikuli Sedegebi

ukanasneli 7-8 wlis manZilze Tsu morfologiis institutSi dagrovilia filtvis da ZuZus kibos ramodenime aseuli nimuSi (histopaTologiuri kvlevis Semdeg darCenili parafinSi Cayalibebuli masala), romlis gamokvleviTac SeiZleba gamovlindes aRniSnuli simsivneebis:

- molekuluri epidemiologia;

• genuri mutaciebis rogorc farTod cnobili, ise savaraudo profili;

aseve ganxorcieldes

• molekulur-biologiuri da genetikuri maxasiaTeblebis Sedareba ukve farTod miRebul histologiur klasifikaciasa da prediqtorul markerebTan.

3. ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის და მართვის სიტემების ინსტიტუტი. მონაწილეობა ჩინეთის მათემატიკოსთა საზოგადოების აბრეშუნის გზის კვლევითი ცენტრის კონფერენციაში და მმართველი საბჭოს მუშაობაში. 2017 წლის 8-22 აპრილი.

VIII. **მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში**
როლანდ დუდუჩავა:

1. კავკასიის მათღემატიკოსთა კონფერენციების **CMC**-ს მმართველი საბჭოს (Steering Committee) წევრი
2. საერთაშორისო კონფერენციების **IWOTA**-ს მმართველი საბჭოს (Steering Committee) წევრი
3. ჩინეთის მათემატიკოსთა საზოგადოების აბრეშუნის გზის კვლევითი ცენტრის SMC-CMS მმართველი საბჭოს (Steering Committee) წევრი.
4. ევროპის მათემატიკოსთა საზოგადოების სოლიდარობის კომიტეტის წევრი

IX. სამეცნიერო გამოცემების რედკოლეგიების წევრები

როლანდ დუდუჩავა:

1. Integral Equations and Operator Theory, Birkhauser
2. Georgian Mathematical Journal, De Gruyter
3. Journal of Applied Mathematics & Bioinformatics, International Scientific Press
4. Memoirs on partial Di_erential Equations and Mathematical Physics, A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi.
5. Georgian International Journal of Science and Technology, Nova Science Publishers
6. Tbilisi Mathematical Journal, Tbilisi.

თენგიზ ბუჩუკური

Georgian Mathematical Journal

ოთარ ჭკადუა.

Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute, Tbilisi

X. საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების რეცენზენირება

როლანდ დუდუჩავა: 1) Integral Equations and Operator Theory, Birkhauser; 2) Georgian Mathematical Journal, De Gruyter; 3) Mathematische Nachrichten, Germany; 4) Arab Journal of Mathematics, King Saud University, Er Riadh, Saudi Arabia; 5) International Journal of Functional Analysis, Ispahan, Iran; 6) Mathematical Review, American mathematical Society, Rhode Iceland, USA; 7) Complex Variables and Elliptic Equations, Taylor & Francis; 8) Engineering Structures, Springer; 9) Communications in Mathematical Analysis, ISPACS. USA

თენგიზ ბუჩუკური: Georgian Mathematical Journal

დავით კაპანაძე: 1) Proceedings of the Royal Society Proceedings A; 2) Mathematical Modelling and Analysis.

ოთარ ჭკადუა: 1) Georgian Mathematical Journal; 2) Memoirs on partial Differential Equations and Mathematical Physics.

დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება

I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, დრეკადობის მათემატიკური თეორიის განყოფილება

I.2. განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი: **ნუგზარ შავლაყაძე**

I.3. განყოფილების გამგე პერსონალური შემადგენლობა: **ნუგზარ შავლაყაძე, სერგო კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური**

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	უწყვეტ გარემოთა მექანიკის	ნუგზარ შავლაყაძე	ნუგზარ შავლაყაძე, სერგო

	ზოგიერთი საკონტაქტო და შერეული სასაზღვრო ამოცანა (2014-2018). მათემატიკა. დრეკადობის მათემატიკური თეორია		კუკუჯანოვი, გიორგი კაპანაძე, ლუიზა შაფაქიძე, ლიდა გოგოლაური

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ა) განხილულია ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები უბან-უბან ერთგვაროვანი პიეზოელექტრული ფირფიტისათვის, რომელიც გამაგრებულია ორი მასალის გამყოფ საზღვარზე გამავალი ცვლადი ან მუდმივი სიხისტის დრეკადი ჩართვით და შესუსტებულია ამავე საზღვარზე გამავალი ნახევრადუსასრულო ბზარით. ანალიზურ ფუნქციათა თეორიის მეთოდების გამოყენებით ამოცანა დაყვანილია სინგულარულ ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე უძრავი სინგულარობით უცნობი საკონტაქტო ძაბვისა და ბზარის გახსნის ფუნქციის მიმართ. ეს უკანასკნელი სისტემა ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნების გამოყენებით დაიყვანება ანალიზურ ფუნქციათა თეორიის სხვადასხვა სახის სასაზღვრო ამოცანაზე, კერძოდ, რიმანის სასაზღვრო ამოცანაზე ან კარლემანის ტიპის გადაადგილებიან სასაზღვრო ამოცანაზე. ფაქტორიზაციის მეთოდების გამოყენებით მიღებულია მათი ამოხსნები ცხადი სახით, შესწავლილია ამონახსნთა ასიმპტოტიკა სინგულარულ წერტილებში. განხილულია აგრეთვე ელექტროდრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები პიეზოელექტრული ნახევარსივრცისათვის და უბან-უბან ერთგვაროვანი ორთოტროპული ფირფიტისათვის დრეკადი ჩართვით.

განხილულია ბლანტიდრეკადობის თეორიის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანები ცოცვადობის თვისებების მქონე ფირფიტისა და თხელკედლიანი ელემენტის ურთიერთქმედების შესახებ როგორც უწყვეტი, ასევე წებოს თხელი ფენით კონტაქტის პირობებში. მიღებულია კოლოსოვ-მუსხელიშვილის ფორმულების ანალოგები ბლანტიდრკადობის ბრტყელ თეორიაში კელვინ-ფოიხტას მოდელისათვის. აღნიშნული ამოცანები დაყვანილია ორგანზომილებიან ინტეგრო-დიფერენციალურ განტოლებაზე შესაბამისი სასაზღვრო პირობებით. გამოკვლეულია მიღებული განტოლებები და მათი ამონახსნები წარმოდგენილია ცხადი სახით, მიღებულია შესაბამისი ასიმპტოტური შეფასებები.

ბ) განხილულია მერიდიანული ძალების და ტემპერატურის გავლენა დრეკად შემავსებლიანი ორთოტროპული ბრუნვითი გარსების საკუთარ რხევებზე და მდგრადობაზე. გარსები ფორმით მიახლოებულია ცილინდრულთან და იმყოფებიან ნორმალური წნევის მოქმედების ქვეშ. შესწავლილია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი გაუსის სიმრუდის მქონე გარსები. მიღებულია ფორმულები უმცირესი სიხშირეების და კრიტიკული დატვირთვის განსაზღვრისათვის, რომლებიც დამოკიდებულია ორთოტროპულ პარამეტრებზე, ტემპერატურაზე, მერიდიანულ ძალებზე, დრეკადი შემავსებლის სიხისტეზე და ცილინდრული გარსის გადახრის ამპლიტუდაზე.

ბ) საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა კვლევა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსასზღვრიანი ამოცანებისა. კერძოდ, შესწავლილი იქნა თანაბრად მტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა მართკუთხა არისათვის და სწორხაზოვანი ჭრილის მქონე მართკუთხა არისათვის, როდესაც ჭრილის ბოლოები ამოჭრილია საძიებელი თანაბრადმტკიცე კონტურებით. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კომპლექსური ანალიზის მეთოდები და ამონახსნები აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). მოყვანილია თანაბრადმტკიცე კონტურის შესაბამისი დიაგრამები სხვადასხვა დატვირთვებისათვის.

გ) შესწავლილია ორ ფოროვან ცილინდრს შორის დინის დინების მდგრადობის ამოცანა. ნაჩვენებია, რომ ცილინდრების გასწვრივ სითბოგამტარი სითხის დატუმბვით გამოწვეული

სტაციონარული მოძრაობის მდგრადობის დაკარგვის შედეგად პარამეტრების გარკვეული მნიშვნელობებისათვის ხდება გრიგლებისა და აზიმუტური ტალღების შესაბამისი ბიფურკაციების გადაკვეთები, რაც წარმოშობს დინებაში სხვადასხვა ბუნების რთულ რხევით მოძრაობებს. გამოკვლევები ეფუძნება ამპლიტუდურ განტოლებათა არაწრფივ დინამიკურ სისტემას, რომელთა საშუალებით აღიწერება ფოროვან ცილინდრებს შორის სითხის დინებაში არსებული ჯერადი ბიფურკაციები.
აღწერილია რა გადასვლები რთული რეჟიმებისაკენ, საინტერესო ხდება მოცემული დინების ტურბულენტურ მოძრაობაში გადასვლის შესწავლა, რაც შესაძლებელი ხდება თეორიულად რიცხვითი მეთოდების გამოყენებით.

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	გრანტი FR /86 /5-109/14, 2015-2018 დრეკადობის ბრტყელი თეორიის ზოგიერთი წრფივი და არაწრფივი საკონტაქტო ამოცანა მათემატიკა. უწყვეტ გარემოთა მექანიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნუგზარ შავლაყაძე	ნ. შავლაყაძე, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე
	გრანტი FR /358 /5-109/14, 2015-2018 დამრეცი და არადამრეცი გარსების წრფივი და არაწრფივი თეორიის ზოგიერთი ამოცანა. მათემატიკა. უწყვეტ გარემოთა მექანიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	თენგიზ მეუნარგია	თ. მეუნარგია გ. კაპანაძე ი. თავხელიძე ბ. გულუა, მ. ნარმანია გ. ახალაია რ. ჯანჯღავა

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

განხილულ იქნა არაწრფივი სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება შესაბამისი სასაზღვრო პირობებით, რომელიც დაკავშირებულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანებთან ცვლადი სიხისტის მქონე არაწრფივად დეფორმირებული დრეკადი თხელკედლიანი ელემენტისა და დრეკადი ფირფიტის ურთიერთქმედების შესახებ. შაუდერის მეთოდის გამოყენებით დამტკიცებულია განტოლების ამონახსნის არსებობის თეორემა, ასევე დამტკიცებულია ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის თეორემა. მცირე პარამეტრის მეთოდის გამოყენებით მიღებულია რეკურენტულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემა, რომლის ამონახსნი მიიღება უსასრულო წრფივ ალგებრულ განტოლებების სისტემათა ერთობლიობის გამოკვლევისა და ამოხსნის გზით ან ზოგიერთ შემთხვევაში უშუალოდ მიღებული ინტეგრალური განტოლებების კვადრატურებში ამოხსნის გზით.
სინგულარული ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა რეკურენტული სისტემა შესაბამისი სასაზღვრო პირობებით დაყვანილია უსასრულო წრფივ ალგებრულ განტოლებების სისტემათა ერთობლიობაზე, რომელიც გამოკვლეულია რეგულარობაზე შემოსაზღვრულ მიმდევრობათა სივრცეში. ხარისხოვანი არაწრფივობის შემთხვევაში მიღებულია პირობა მცირე პარამეტრის მიმართ, რომლის დროსაც რეკურენტულ განტოლებათა სისტემის ამონახსნი შეიძლება აგებული

იქნას კრებადი მწკრივის სახით. ჩატარებულია ამონახსნის ასიმპტოტური ანალიზი და შესწავლილა ძაბვების კონცენტრაციის ამოცანა.

დასმულია შერეული არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა ერთგანზომილებიანი ნახევრადწრფივი ტალღის განტოლებისათვის, მიღებულია ამოცანის ამონახსნის აპრიორული შეფასებები, ამოცანა დაყვანილია ვოლტერას არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე, შესწავლილია ამოცანის ლოკალური ამოხსნადობა, ამონახსნის ერთადერთობა და ფეთქებადი ამონახსნის არსებობა.

გამოქვეყნებულია ორი სამეცნიერო ნაშრომი, სამი სამეცნიერო ნაშრომი გადაცემულ იქნა და უკვე იბეჭდება საერთაშორისო ჟურნალებში, ერთი ნაშრომი მომზადებულია გამოსაქვეყნებლად. მომზადდა ოთხი საკონფერენციო თეზისი და გაკეთდა სამეცნიერო მოხსენებები შესაბამის საერთაშორისო კონფერენციებზე.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა კვლევა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანებისა, რომელთაც ზოგიერთი ავტორი თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანად მოიხსენიებს. აღნიშნული ამოცანები წარმოადგენენ ოპტიმალური პროექტირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანებს და მათი აქტუალობა პირველ რიგში განპირობებულია საინჟინრო პრაქტიკაში გამოყენებით.

განხილული ამოცანების ამოსახსნელად გამოყენებული იქნა კომპლექსური ანალიზის ის მეთოდები, რომლებიც ძირითადად აკად. ნ. მუსხელიშვილის სახელს უკავშირდება და საშუალებას გვაძლევენ ამონახსნების ეფექტურად (ანალიზური სახით) წარმოდგენისა. მოყვანილი მიდგომით შესწავლილი იქნა თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა მართკუთხა არისათვის და ანალოგიური ამოცანა სწორხაზოვანი ჭრილის მქონე არისათვის, რომელშიც ჭრილის ბოლოები თანაბრადმტკიცე კონტურებითაა ამოჭრილი. კონტურის თანაბრადსიმტკიცის პირობა გულისხმობს მასზე ტანგენციალურ-ნორმალური ძაბვის მუდმივობას. საძიებელი კონტურის განტოლება აგებული იქნა ანალიზური ფორმით და მიღებული იქნა მისი დიაგრამები დატვირთვის სხვადასხვა შემთხვევისათვის.

მიღებული შედეგები მოხსენებული იქნა ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის სხდომებზე, საქართველოს მექანიკოსთა მე-8 საერთაშორისო კონფერენციაზე და გამოქვეყნებულია ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შრომებში.

I. 1. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	G. Kapanadze	About one problem of the plane theory of elasticity with a partially unknown boundary. Seminar of I. Vekua Inst. of Appl. Math., Reports	Vol. 43, 1-7, 2017	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7
2	G. Kapanadze	The problem of finding an equally strong contour for a rectangular plate weakened by a rectilinear cut, whose ends are cut out by convex smooth arcs. Proc. I. Vekua Inst. of Appl.	Vol. 67, 1-7, 2017	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7

		Math.			

II. 2. პუბლიკაციები:
ბ) უცხოეთში

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	N. Shavlakadze N. Odishelidze, F. Criado-Aldeanueva	The contact problem for a piecewise-homogeneous orthotropic plate with a finite inclusion of variable cross-section. **Mathematics and Mechanics of Solids.**	vol. 22(6), (2017), p. 1326-1333.	SAGE	8
2*	N. Shavlakadze	The contact problem of electroelasticity for piecewise-homogeneous piezoelectric plate with elastic inclusion. (Russian) **Prikl. Mat. i Mech.** 81, No. 3, (2017), 337-347. Eng. Transl.**: J. Appl. Math. Mech.** 81, No. 3, (2017), 337-347.	Prikl. Mat. i Mech. 81, No. 3, (2017), 337-347. Eng. Transl.: J. Appl. Math. Mech. 81, No. 3, (2017).	Nauka, Elsevier	11
3*	N. Shavlakadze N. Odishelidze, F. Criado-Aldeanueva	The boundary value problem for piezo-elastic half space with thin elastic inclusion **Mathematics and Mechanics of Solids**.	First published on March 21, 2017, https://doi.org/10.1177/1081286517694936	SAGE	10
4*	L. Shapakidze	On the Bifurcation of Dean flow between Porous Horizontal Cylinders with a Radial Flow and a Radial Temperature Gradient. **Journal of Applied Mathematics and Physics**	2017, 5, 1725-1738 https://doi.org/10.4236/jamp.2017.59146		14

II. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Shavlakadze	The boundary value contact problem of electroelasticity for piecewise-homogeneous piezo-electric plate with elastic inclusion and cut	VIII International Conference of the Georgian Mechanical Un ion , September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia

2	ნ. შავლაყაძე ს. ხარიბეგაშვილი ო. ჯოხაძე	დრეკადი ფირფიტისა და არაწრფივად-დრეკადი სტრინგერის ურთიერთქმედების საკონტაქტო ამოცანის შესახებ	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, 11-15 დეკემბერი, 2017
3	გ. კაპანაძე	თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა მართკუთხა ფირფიტისათვის	ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის გაფართოებული სემინარის სხდომები. 19-21 აპრილი, 2017, თბილისი
4	გ. კაპანაძე	დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანის შესახებ	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის მე-8 საერთაშორისო კონფერენცია, 27-29 სექტემბერი, 2017,თბილისი
5	გ. კაპანაძე	დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანები	ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, 11-15 დეკემბერი, 2017
6	L.Shapakidze	On the Stability of Nonizothermal Flows Between Porous Cylinders	VIII International Conference of the Georgian Mechanical Un ion , September 27-29, 2017, Tbilisi, Georgia

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Shavlakadze, N. Odishelidze	The investigation of singular integro-differencial equations related to the contact problems of the theory of viscoelasticity	**International Conference** on differential and difference equations and applications. 2017, June 5-9, Amadora, Portulal, Military Academy
2	N. Shavlakadze	The boundary value contact problem of electroelasticity for piecewise-homogeneous piezo-electric plate with elastic inclusion	V International conference “Topical problems of continuum mechanics”, 2017, 2-7 october, Tsakhadzor, Armenia

მონაწილეობა საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიებში:

ნ. შავლაყაძე არის ჟურნალ Transactions of A. Razmadze Mathematical Institute - სარედაქციო კოლეგიის წევრი
ლ. შაფაქიძე არის ჟურნალ Transactions of A. Razmadze Mathematical Institute – Managing Editor

გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილება

I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილება

I.2. განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი: **თორნიკე ქადეიშვილი**

I.3. განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: ნოდარ ბერიკაშვილი, მალხაზ ბაკურაძე, ალექსანდრე ელაშვილი, ვახტანგ ლომაძე, სამსონ სანებლიძე, მანანა მიქიაშვილი.

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	გეგმით გათვალისწინებული და შესრულებული სამუშაოს დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
1	ტოპოლოგიურ, ალგებრულ და გეომეტრიულ ობიქტთა ალგებრული მოდელები და მათი გამოყენებანი	თორნიკე ქადეიშვილი	ნოდარ ბერიკაშვილი, მალხაზ ბაკურაძე, ალექსანდრე ელაშვილი, ვახტანგ ლომაძე, სამსონ სანებლიძე, მანანა მიქიაშვილი

დასრულებული კვლევითი სამუშაოს (ეტაპის) შედეგები (ანოტაცია)

კოჯაჭვური კოჰომოლოგიური ოპერაციები, რომლებიც განსაზღვრავენ მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის ალგებრას (თ. ქადეიშვილი).
მიღებულია დიფერენციალურ ალგებრათა მორფიზმების ჰომოტოპიური კლასიფიკაცია (თ. ქადეიშვილი).
მიღებულია მარტივი ლის ალგბრის ყველა ისეთი ნილპოტენტების კლასიფიკაცია, რომლებიც აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს, რომლებიც მათ დინკინის გრადუირებას უკავშირდება (ა. ელაშვილის, ვ. კაცის (MIT) და მ. ჯიბლაძის ერთობლივი ნაშრომი).
გამოთვლილია მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიის ალგებრა ისეთი სივრცისთვის, რომლის mod 2 კოჰომოლოგიები პოლინომურია. კერძოდ, დადგენილია მარყუჟთა სივრცის კოჰომოლოგიების გარე ალგებრობის კრიტერიუმი, რომელიც წარმოადგენს ა. ბორელის ერთი თეორემის შებრუნებულ ვარიანტს (ს. სანებლიძე).
აწერილია ჰონდას ფორმალური ჯგუფების პოლინომური ბუნება (მ. ბაკურაძე).
აწერილია მორავას K-თეორიის გავრცელება ციკლური 2-ჯგუფებით (მ. ბაკურაძე).
წარმოდგენილია პირდაპირი და უშუალო წესი მაღალი რიგის წრფივი მუდმივ კოეფიციენტებიან კერძო წარმოებულიან განტოლებათა სისტემის გარდასაქმნელად პირველი რიგის კერძო წარმოებულიან განტოლებათა სისტემაზე. შემდეგ ეს წესი
განზოგადებულია სხვადასხვა ფუნქციონალურ განტოლებათა სისტემებისთვის, მოცემულთ ორეს ალგებრების ტერმინებში (ვ. ლომაძე).
რაციონალური მატრიცების ვინერ-ჰოპფის ფაქტორიზაციას დიდი გამოყენება აქვს პრაქტიკაში. მას იყენებენ მაგალითად სინგულარული ინტეგრალური განტოლებების ამოსახსნელად. ფაქტორიზაციის პრობლემა თავისი ბუნებით ალგებრული ხასიათისაა, და მიღებულია მისი ამოხსნა სუფთა ალგებრულ-გეომეტრიული მეთოდით. ამავე დროს იგი გაზოგადებულია ნებისმიერი კონტურებისთვის (ვ. ლომაძე).

III. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მათემატიკა, ტოპოლოგია: კობორდიზმების, K-თეორიის და მარუჭების სივრცის კოჰომოლოგიების ჰომოტოპიური ინვარიანტები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი N 217-614	მალხაზ ბაკურაძე	მ. ბაკურაძე, ს. სანებლიძე, ი. პაჭკორია
1. გამოთვლილია ციკლური ჯგუფების ნამრავის ნებისმიერი ინვოლუციით გაფართოების მორავას თეორიის რგოლი. 2. აგებულია წრფივად ბმული ტოპოლოგიური სივრცის გზათა ფიბრაციის კომბინატორული მოდელი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ბაზის ფუნდამენტური ჯგუფის კელის გრაფის განზოგადოებად. შედეგად, მარყუჟთა სივრცეთა ალგებრული მოდელების ასაგებად, როგორიცაა (კო)ბარ კონსტრუქცია, (კო)ჰოჰშილდის ჯაჭვური კომპლექსები, მოხსნილია ფუნდამენტური ჯგუფის ტრივიალურობის შეზღუდვა.				
2	მათემატიკა, ტოპოლოგია ალგებრული ტოპოლოგიის ზოგიერთი პრობლემის შესახებ:კობორდიზმე ბის თეორია, K-თეორია და ფორმალური ჯგუფები.	CNRS PICS, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი N 7736	ქართული მხრიდან მალხაზ ბაკურაძე	მ. ბაკურაძე, რ. სურმანიძე ი. პაჭკორია ნ. გაჩეჩილაძე
მიღებულია ცხადი ფორმულები ბუხშტაბერის ფორმალური ჯგუფის კომპონენტებისთვის.				

IV. პუბლიკაციები
1) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდე ბის რაოდენ ობა
1	S. Saneblidze	The loop cohomology of a space with the polynomial cohomology algebra, Thans. R.M.I.	171	ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	7

2	V. Lomadze	On the Wiener-Hopf factorization of rational matrices, Trans. Razmadze Math. Inst.	http://dx.doi.org/10.1016/j.trmi.2017.09.001	ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა	

ბ) უცხოეთში

კრებულები

#	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Kadeishvili	Cohomology Operations Defining Cohomology Algebra of the Loop Space, Chapter in the book Lie groups, Differential equations, and Geometry	Unipa Springer Series, 2017	65-82

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	T. Kadeishvili	Homotopy Classification of Morphisms of Differential Graded Algebras Georgian Mathematical Journal	2017-06-17 **DOI:** https://doi.org/10.1515/gmj-2017-0029	De Gruyter	25
2	M. Bakuradze	Polynomial behavior of the Honda formal group laws J. Homotopy and Relat. Struct.	12(2) (2017)	Springer	299-304
3	M. Bakuradze N. Gachechiladze	Morava K-theory rings of the extensions of C_2 by the products of cyclic 2-groups, Moscow Mathematical Journal	16(4), 2016	Independent University of Moscow	603-619
	V. Lomadze	On the reduction of high order linear PDEs to first order, Linear Algebra Appl.	530 (2017)	Elsevier	1-14
	V. Lomadze	Converting high order linear PDEs to first order: Non-commutative case, Systems Contr. Letters	109 (2017)	Elsevier	49-52
	Э. Б. Винберг, М. А. Джибладзе, А. Г. Элашвили,	Алгебры модулей некоторых неполуквазиоднородных особенностей. Функциональный анализ и его приложения 2017, т. 51, вып. 2.	51 (2) 2017	Математический институт им. В.А. Стеклова Российской академии наук	15 გვ.

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ვ. ლომაძე	წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების ექვივალენტობის შესახებ	მე-5 ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 7—10 თებერვალი, 2017
	ს. სანებლიძე	ფუნდამენტური ჯგუფი და უნივერსალური ალგებრული კონსტრუქციები	11-15 დეკემბერი 2017, თსუ ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბ. ბაკურაძე	ბუხშტაბერის ფორმალური ჯგუფის შესახებ	12 ოქტომბერი, რეგენსბურგი, გერმანია
2	მ. ბაკურაძე	შეკრების თეორემები ელიფსური გვარებისთვის	6 დეკემბერი, მონპელიე, საფრანგეთი
	ს. სანებლიძე	A combinatorial model of the path fibration	8-12 აგვისტო 2017, ჰოკაიდოს უნივერსიტეტი (საპორო, იაპონია)
3	ა. ელაშვილი	Commutative sub algebras of simple Lie algebras	10 July 2017 Koeln University, Germany
4	ა. ელაშვილი	About index of Lie algebras	11 December 2017 Weizmann Institute, Israel

ალგებრის განყოფილება

I.1. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, ალგებრის განყოფილება

I.2. განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი: **ხვედრი ინასარიძე**

I.3. განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: **ნიკო ინასარიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **თამარ დათუაშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ბაჩუკი მესაბლიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), **ემზარ ხმალაძე** (მეცნიერი თანამშრომელი), **ალექსანდრე პაჭკორია** (მეცნიერი თანამშრომელი), **დალი ზანგურაშვილი** (მეცნიერი თანამშრომელი), **ნინო ლაზრიშვილი** (უფროსი ლაბორანტი).

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
	ჰომოლოგიური ალგებრა და კატეგორიათა თეორია, მონოიდების, ჯგუფების და ალგებრების ჰომოლოგიური თვისებები (დარგი - **მათემატიკა** მიმართულება - **ალგებრა**)	ხვედრი ინასარიძე	ბაჩუკი მესაბლიშვილი თამრიკო დათუაშვილი ხვედრი ინასარიძე ნიკო ინასარიძე ემზარ ხმალაძე ალექსანდრე პაჭკორია დალი ზანგურაშვილი
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)			
მონახულია ალტერნაციული ალგებრების მაგალითები, კერძოდ სრულყოფილიალტერნაციული ალგებრები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩემს მიერ ადრე მიღებული თეორემის პირობებს ექტორის არსებობის შესახებ. შესწავლილია კომუტაციური ალტერნაციული ალგებრები moqmedebebis TvalsazrisiT velze maxasiaTebliT 3. naCvenebia, rom sxva SemTxvevaSi aseTi algebrebi aris Aasociuri (თ. დათუაშვილი).U 3-განზომილებიანი ახალი კოჰომოლოგიის მონოიდი დაუკავშირდა ორეს მონოიდის წილადების ჯგუფის ჯგუფით გაფართოების არსებობის ამოცანას. დადგინდა კავშირი სიმპლიციალური ნახევრადმოდულის და მისი სიმპლიციალურ მოდულამდე გასრულების ჰომოლოგიებს შორის (ა.პაჭკორია). გამოყოფილია ჯგუფის შემდეგი თვისებების მქონე ექვივარიანტული გაფართოებები: მოქმედი ჯგუფის მიმართ გააჩნიათ ან ინვარიანტული სიმრავლური კვეთა ან ჯვარედინი მოდულური სტრუქტურა. შესწავლილია მათ შორის კავშირი და ასეთი გაფართოებების უნივერსალობის საკითხი. მისი გამოყენებით მილნორის ფარდობითი ალგებრული K-ფუნქტორი გამოსახულია ფარდობითი ელემენტარული ჯგუფის ექვივარიანტული ჰომოლოგიის საშუალებით (ხ. ინასარიძე). 3-განზომილებიანი ახალი კოჰომოლოგიის მონოიდი დაუკავშირდა ორეს მონოიდის წილადების ჯგუფის ჯგუფით გაფართოების არსებობის ამოცანას. დადგინდა კავშირი სიმპლიციალური ნახევრადმოდულის და მისი სიმპლიციალურ მოდულამდე გასრულების ჰომოლოგიებს შორის (ბ. მესაბლიშვილი). ვაჩვენეთ, რომ ნილპოტენტური, ამოხსნადი და ენგელის მულტიპლიკაციური რგოლების არააბელური ტენზორული ნამრავლი არის შესაბამისად ნილპოტენტური, ამოხსნადი და ენგელის. მიღებულია მულტიპლიკაციური ლის რგოლების ჰომოლოგიების 6-წევრა ზუსტი მიმდევრობა. აგრეთვე დავამტკიცეთ სტალინგსის თეორემის ახალი ვერსია. აგებულია ალგორითმი ბოს-ჩაუმის ერთჯერადი ხელმოწერის სქემისათვის, რომელიც თავის მხრივ არის ლემპორტის სქემის განზოგადება. შესწავლილია ჩვენი ალგორითმით ბოს-ჩაუმის სქემის ეფექტურობა. განვიხილეთ და შევადარეთ ჰეშზე დაფუძნებული ერჯერადი ხელმოწერების ლემპორტის და ვინტერნიცის სქემების ეფექურობა. წარმოვადგინეთ ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის მეთოდოლოგია. შემოთავაზებული მეთოდოლოგია ეყრდნობა ახალი თვისებების ამოღების ტექნიკას დაფუძნებულს სტრუქტურულ მახასიათებლებზე, ჰისტოგრამებსა და პროფილებზე. როგორც სიახლე, ჩვენ ვთავაზობთ სიმბოლოების წარმომდგენი 32X32 მატრიცებისგან ახალი რვა ჰისტოგრამისა და ოთხი პროფილის ამოღებას, რომლებიც ქმნიან 256 განზომილებიან თვისებების		

ვექტორებს. ეს თვისებების ვექტორები შემდგომში გამოიყენება კლასიფიკაციის ეტაპზე, რომელისთვისაც ვიყენებთ k -საშუალოების ალგორითმს (ნ.ინასარიძე).

ბიდერივაციების ცნება გადატანილია ლეიბნიცის ალგებრების ჯვარედინი მოდულებისათვის და აგებულია ობიექტი, რომელიც გარკვეულ პირობებში წარმოადგენს აქტორს. მოქმედებები ლაიბნიცის ალგებრების ჯვარედინი მოდულების კატეგორიაში ჩაწერილია ტოლობების საშუალებით. შესწავლილია აქტორში კანონიკური ასახვის ბირთვი და ლაიბნიცია ალგებრების ჯვარედინი მოდულების შიგა და გარე ბიდერივაციები. შემოტანილი და შესწავლილია ლაიბნიცის ალგებრების არააბელური გარე ნამრავლი, გამოკვლეულია მისი კავშირი ლაიბნიცის ალგებრების დაბალგანზომილებიან ჰომოლოგიებთან, მისი საშუალებით აგებულია ლაიბნიცის ჰომოლოგიების რვაწევრა ზუსტი მიმდევრობა და ვაიტეჰედის ფუნქტორით დადგენილია გარე ნამრავლის კავშირი არააბელურ ტენზორულ ნამრავლთან (ე. ხმალაძე).

მაღალი არობის ოპერაციისათვის შემოტანილია ასოციაციურობის ცნება. ნაჩვენებია, რომ ასოციაციურ ნახევრად-აბელურ ალგებრაზე შემოდის ჯგუფის სტრუქტურა, საიდანაც განმომდინარეობს, რომ ასეთ ალგებრაზე ყოველი T_{0} ტოპოლოგია არის სავსებით რეგულარული. ნაპოვნია საკმარისი პირობა იმისათვის, რომ, ყოველი T_{0} ტოპოლოგია ასოციაციურ პროტომოდულარულ ალგებრაზე წარმოიქმნებოდეს გარკვეული თანაბრობით, და მაშასადამე იყოს სავსებით რეგულარული (დ. ზანგურაშვილი).

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულებების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	გალუას თეორია, გროთენდიკის დაწევა და არააბელური გაფართოებები კატეგორიულ ალგებრაში” (DI/18/5-113/13) 2014-2017	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	გიორგი ჯანელიძე	ბაჩუკი მესაბლიშვილი, ალექსანდრე პაჭკორია, დალი ზანგურაშვილი, დიმიტრი ჩიხლაძე

დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)

მონოიდალური კატეგორიებისათვის აგებული იქნა გალუას თეორია, რომელიც მოიცავს არსებულ ცნობილ თეორიებს (გროთენდიკის დაწევის თეორიის მონოიდალური ვერსიის ჩათვლით). კერძოდ, კატეგორიულ და დიფერენციალურ გალუას თეორიებს შორის არსებული კავშირი გაფართოებულია ისეთი კონტექსტისათვის, რომელიც მოიცავს სხვაობიან გალუას თეორიასაც. კონფლუენტურობის ცნების გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს თერმების გადაწერის თეორიის ერთ-ერთის ცენტრალურ ცნებას, დახასიათებულია ეფექტური დაწევის მორფიზმები უნივერსალური ალგებრების ზოგიერთი მრავალნაირობის ორადულ კატეგორიაში. ასეთი მრავალნაირობების რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად ერთეულის და ორმხრივი შებრუნებულების მქონე მაგმების, იდემპოტენტური

კვაზიჯგუფების, უნიპოტენტური კვაზიჯგუფების, მარცხენა შტეინერის ლუპების, და მარჯვენა შტეინერის ლუპების მრავალნაირობები. მოცემულია ნახევრადმოდულების მონოიდებით შრაიერის გაფართოებების აღწერა კოჰომოლოგიის მონოიდების საშუალებით. მესამე კოჰომოლოგიის მონოიდი დაკავშირებულია ჯგუფების გაფართოების ამოცანასთან. ნაჩვენებია, რომ ჯგუფის მსგავსი კანის სიმპლიციალური მონოიდის ჰომოლოგიის მონოიდები და ჰომოტოპიის ჯგუფები იზომორფულია, და რომ მოდულის მსგავსი კანის სიმპლიციალური ნახევრადმოდულის და მის მოდულამდე გასრულების ჰომოლოგიები იზომორფულია. შემოტანილია ფარდობითი ჰომოლოგიური/ ნახევრად-აბელური კატეგორიების ცნებები და აგებული და შესწავლილია განზოგადოებული ცენტრალური გაფართოებების კლასით განსაზღვრული ფარდობითი არა-აბელური ჰომოლოგიური ალგებრა. მოცემულია ლოდეს განზოგადოებული ბიალგებრების კატეგორიული აღწერა და ლოდეს მდგრადობის თეორემა ასეთი ბიალგებრებისათვის განზოგადოებულია ზოგადი კატეგორიული სტრუქტურებისათვის. დამტკიცებულია გალუას ტიპის ფუნდამენტური თეორემა ბიმონადით ინდუცირებული შერეული ბიმოდულების კატეგორიისათვის.

2	ჰომოტოპიური და კატეგორიული ალგებრა, ალგებრული ობიექტების ჰომოლოგიები და ალგებრული K-თეორია, (FR/189/5-113/14), 2015 -- 2018	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნიკო ინასარიძე	ხვედრი ინასარიძე, ბაჩუკი მესაბლიშვილი, ემზარ ხმალაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)

ლაიბნიცის n-ალგებრების კოჰომოლოგიების ჯვარედინი გაფართოებებით ცნობილი აღწერა გამოყენებულია ლაიბნიცის n-ალგებრების გაფართოებების ობსტრუქციის დახასიათებაში. გრძელდება მუშაობა იმის დასადგენედ, რომ მიღებული შედეგები თანხვედრაშია ზოგად კატეგორიულ კონტექსტში ცნობილ ობსტრუქციის თეორიასთან. განვითარებულია ლაიბნიცის ალგებრების არააბელური გარე ნამრავლი და დადგენილია მისი კავშირები დაბალ განზომილებიან ლაიბნიცის ჰომოლოგიებთან და მისი გამოყენებით დახასიათებულია ლაიბნიცის ალგებრების უნივერსალურ ცენტრალურ გაფართოების ბირთვის.

სასრული G ჯგუფის Γ-ექვივარიანტული ჰომოლოგიის გამოყენებით აგებულია G-ჯგუფის Γ-ექვივარიანტული ტეიტის კოჰომოლოგია იმ შემთხვევაში, როცა Γ ჯგუფი ტრივიალურად მოქმედებს კოეფიციენტების ჯგუფზე. ეს კონსტრუქცია ბუნებრივად ანზოგადებს სასრული ჯგუფების ტეიტის კლასიკურ კოჰომოლოგიას. მისთვის მიღებულია გრძელი ზუსტი მიმდევრობა კოეფიციენტთა G ⋊ Γ- მოდულების მოკლე ზუსტი მიმდევრობისათვის.

შესწავლილია დაწევის პრობლემა კოკომუტაციური კორგოლების ეპიმორფიზმებისათვის და დადგენილია რამოდენიმე კრიტერიუმი მათი ეფექტურობისათვის.

გაგრძელდა ციკლური წარმოებული და ციკლური ჩეხის წარმოებული ფუნქტორების შესწავლა. ნაჩვენებია, რომ ნილპო-ტენტური, ამოხსნადი და ენგელის მულტიპლიკაციური ლის რგოლების არააბელური ტენზორული ნამრავლი არის შესაბამისად ნილპოტენტური, ამოხსნადი და ენგელის. მიღებულია მულტიპლიკაციური ლის რგოლების ჰომოლოგიების 6-წევრა ზუსტი მიმდევრობა და დამტკიცებულია სტალინგსის თეორემის ახალი ვერსია.

3	"Homology, homotopy and categorical invariants in groups and nonassociative algebras", grant MTM2016-79661-P, 2017-2020	Ministerio de Economa y Competitivida (Spain)	Manuel Ladra	ნიკო ინასარიძე, ემზარ ხმალაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)

პროექტის ფარგლებში, ესპანელ კოლეგებთან თანამშრომლობით გაგრძელდა არაასოციური ალგებრების ჰომოლოგიური თვისებების შესწავლა. კერძოდ, შემოტანილია ლაიბნიცის ალგებრების არააბელური გარე ნამრავლი და დადგენილია მისი კავშირი ლაიბნიცის ალგებრების დაბალგანზომილებიან ჰომოლოგიებთან. აგებულია ლაიბნიცის ჰომოლოგიების რვაწევრა ზუსტი მიმდევრობის. ასევე მიღებულია მულტიპლიკაციური ლის რგოლების ჰომოლოგიების 6-წევრა ზუსტი მიმდევრობა და დამტკიცებულია სტალინგსის თეორემის ახალი ვერსია.

4	საინჟინრო, ტექნოლოგიურ და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (STEM) გრძელვადიანი კვლევითი პროექტი #6321, “ციფრული ხელმოწერები პოსტკვანტური ომისათვის”, 2017-2018.	უკრაინის მეცნიერების და ტექნოლოგიების ცენტრი (STCU)	ნიკო ინასარიძე	ნიკო ინასარიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ანოტაცია)

წარმოვადგინეთ ხელნაწერი სიმბოლოების ამოცნობის მეთოდოლოგია. შემოთავაზებული მეთოდოლოგია ეყრდნობა ახალი თვისებების ამოღების ტექნიკას დაფუძნებულს სტრუქტურულ მახასიათებლებზე, ჰისტოგრამებსა და პროფილებზე. როგორც სიახლე, ჩვენ ვთავაზობთ სიმბოლოების წარმომდგენი 32X32 მატრიცებისგან ახალი რვა ჰისტოგრამისა და ოთხი პროფილის ამოღებას, რომლებიც ქმნიან 256 განზომილებიან თვისებების ვექტორებს. ეს თვისებების ვექტორები შემდგომში გამოიყენება კლასიფიკაციის ეტაპზე, რომელისთვისაც ვიყენებთ k -საშუალოების ალგორითმს. ჩვენ ჩავატარეთ ექსპერიმენტები NIST-ის მონაცემთა ბაზის გამოყენებით, რათა შეგვეფასებინა ჩვენს მიერ შეთავაზებული სისტემა. კერძოდ, ამომცნობი სისტემა იქნა განსწავლული თითოეული სიმბოლოსათვის 1000 ნიმუშის გამოყენებით, 64 კლასისათვის, ხოლო გამოცდილი 500 ნიმუშის გამოყენებით. მივიღეთ საკმაოდ იმედისმომცემი სიზუსტის შედეგები, რომელიც მერყეობს 81.74%-დან 93.75%-მდე, და დამოკიდებულია სიმბოლოს კატეგორიის სირთულეზე. ეს არის უკეთესი სიზუსტის შედეგები, ვიდრე დღემდე არსებული შედეგები მიღებული სხვა მეთოდებით დაფუძნებული სტრუქტურულ მახასიათებლებზე.

IV. პუბლიკაციები

ა) საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	A.Patchkoria	On homology monoids of simplicial abelian monoids, *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*	11 (2), 2017	Tbilisi, Georgia	7 – 11
2	A.Patchkoria	Relationship between homology of a simplicial semimodule and homology of its module completion, *Bull. Georg. Natl. Acad. Sci.*	11 (3), 2017	Tbilisi, Georgia	28 – 33
3	N. Inasaridze, A. Gagnidze, M. Iavich, G. Iashvili	Analysis of one-time signature schemes, *Scientific and Practical Cyber Security Journal*	1(01) 2017	Tbilisi, Georgia	
4	N.Inassaridze, M.Joglidze,	On digital signature schemes, Analysis of one-time signature schemes, *Scientific and Practical Cyber* Security Journal	2(01) 2017	Tbilisi, Georgia	

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Tamar Datuashvili	Categorical, Homological, and Homotopical Properties of Algebraic Objects, *Journal of Mathematical Sciences* 225(3), 2017	Springer	გგ. 383 – 533 (151 გვ.)

სტატიები

#	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	B.Mesablishvili and R. Wisbauer	Fundamental theorem for weak braided bimonads, *Journal of Algebra*	490, 2017	Elsevier, Netherlands	გგ. 55-103 (49 გვ.)
2	E.Khmaladze, J.M.Casas,	On Lie-central extensions of Leibniz algebras, *Revista Real Academia de Ciencias Exactas, Fisicas y Naturales, Serie A, Matematicas*	111(1), 2017	Springer, Germany	გგ. 39-56 (18 გვ.)
3	B.Mesablishvili	Effective descent morphisms for Banach modules. *Journal of Algebra and Its Applications*	16(2), 2018	World Scientific, Singapore	6 გვ.
4	E.Khmaladze, J.M.Casas, R.Fernandez-Casado and M.Ladra	More on crossed modules of Lie, Leibniz, associative and diassociative algebras, *J. Algebra and its Applications*	16(6), 2017	World Scientific, Singapore	17 გვ.
5	E.Khmaladze, J.M.Casas and N.Pacheco Rego	A non-abelian tensor product of Hom-Lie algebras, *Bull. of the Malaysian Math. Science Society*	40, 2017	Springer, Germany	გგ.1035-1054 (20 გვ.)
6	E.Khmaladze, J.M.Casas and N.Pacheco Rego	A non-abelian Hom-Leibniz tensor product and applications, *Linear and Multilinear Algebra*	published online: 21 June, 2017	Taylor and Francis, USA	20 გვ.
7	N.Inasaridze, A.Gagnidze, M.Iavich, G.Iashvili and V.Vyalkova	Critical Analysis of Hash Based Signature Schemes, *International Journal of Cyber-Security and Digital Forensics*	Accepted for publications, 2017	Hong Kong, China	გვ.47-55 (9 გვ.)
8	N.Inassaridze, G.Donadze,	Exact sequences in homology of	Accepted for publication, 2017	Elsevier, Nethelands	17 გვ.

	M.Ladra and A.M.Vieites	multiplicative Lie rings and a new version of Stallings' theorem, *J.Pure Appl. Algebra.*			
9	B.Mesablishvili and J.Gomez-Torrecillas	Some exact sequences associated with adjunct-tions in bicategories. Applications. *Transec-tions of the American mathematical Society*	Accepted for publication, 2017	AMS (USA)	34 გვ.
10	E. Khmaladze, G. Donadze, X. Garcia-Martinez	A non-abelian exterior product and homology of Leibniz algebras, *Revista Matematica Complutense*	published online: 22 July 2017	Springer	19 გვ.
11	E. Khmaladze, J. M. Casas, R. Fernandez-Casado, X. Garcia-Martinez	Actor of a crossed module of Leibniz algebras, *Theory and Applications of Categories*	33 (2) (2018)	Mount Allison University Press, Canada	გგ. 23-42 (20 გვ.)
12	A. Patchkoria	Cohomology monoids of monoids with coefficients in semimodules II, *Semigroup Forum*	Published online 2017	Springer	24 გვ.

V. სამეცნიერო ფორუმების და სემინარების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ა. პაჭკორია	3-განზომილებიანი კოჰომოლოგიის მონოიდი და ორეს მონოიდის წილადების ჯგუფის ჯგუფით გაფართოების ამოცანა“	ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების სემინარი, თბილისი, 11 მაისი, 2017
2	დ. ზანგურაშვილი	ზოგიერთი T_0-პროტომოდულარული ალგებრის სავსებითი რეგულარობა	ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების სემინარი, თბილისი, 28 ნოემბერი, 2017

ბ) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1	Niko Inassaridze	Mod q tensor products of groups revisited	University of Santiago de Compostela, Spain, 6 July 2017
2	Dali Zangurashvili	On some factorization systems http://www.northeastern.edu/martsinkovsky/p/rtrt/20172018/zangurashvili.html	Northeastern University, Boston, USA, 10 November 2017
3	E E. Khmaladze EEE	Exterior product of Leibniz algebras	University of Santiago de Compostela, Spain, 6 July, 2017

- **საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა**

ბაჩუკი მესაბლიშვილი: 1) რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის "გალუას თეორია, გროთენდიკის დაწევა და არააბელური გაფართოებები კატეგორიულ ალგებრაში" (DI/18/5-113/13) თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთობლივი კვლევების საწარმოებლად ამავე გრანტის დაფინანსებით 2017 წლის 12 თებერვლიდან 6 მარტამდე მივლინებით იმყოფებოდა ქ. დიუსელდორფის (გერმანია) უნივერსიტეტში პროფესორ რობერტ ვისბაუერთან.
2) რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტის "ჰომოტოპიური და კატეგორიული ალგებრა, ალგებრული ობიექტების ჰომოლოგია და ალგებრული K-თეორია" (# FR/189/5-113/14) თემატიკასთან დაკავშირებულ საკითხების ერთობლივი კვლევების საწარმოებლად ამავე გრანტის დაფინანსებით 2017 წლის 2 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრამდე მივლინებით იმყოფებოდა ფერარას (იტალია) უნივერსიტეტში პროფესორ კლაუდია მენინთან.

ნიკო ინასარიძე: სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი (ესპანეთი), 2017 წ. 25 ივნისიდან 2017 წ. 16 ივლისამდე, მოხსენება "Mod q tensor products of groups revisited" და მიიღო მონაწილეობა ერთობლივ სამუშაოში მულტიპლიკაციური ლის რგოლების ჰომოლოგიებთან დაკავშირებით.

ემზარ ხმალაძე: მივლინება სანტიაგო დე კომპოსტელას (ესპანეთი) უნივერსიტეტში, 2017 წლის 25 ივნისიდან 23 ივლისამდე, სადაც წაიკითხა მოხსენება *"ლაიბნიცის ალგებრების არააბელური გარე ნამრავლი*", სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის სემინარი, 6 ივლისი, 2017 წ და მიიღო მონაწილეობა ერთობლივ სამუშაოში ლაიბნიცის ალგებრების არააბელური გარე ნამრავლის კავშირებზე ლაიბნიცის ალგებრების დაბალგანზომილებიან ჰომოლოგიებთან და არააბელურ ტენზორულ ნამრავლთან.

დალი ზანგურაშვილი: 4-17 ნოემბერს, 2017 მივლინებული იყო ნორსისტერნ უნივერისტეტში (ბოსტონი, აშშ), სადაც 10 ნოემბერს წაიკითხა მოხსენება „On some factorization systems" მათემატიკის დეპარტამენტის წარმოდგენების თეორიის და მასთან დაკავშირებული საკითხების სემინარზე http://www.northeastern.edu/martsinkovsky/p/rtrt/20172018/zangurashvili.html. გარდა ამისა, აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორთან ა. მარტსინკოვსკისთან (რომელთანაც აქვს საერთო პუბლიკაცია „The stable category of a left hereditary ring", J. Pure Appl. Algebra 219(2015), 4061-4089) დასახა სამომავლო ერთობლივი კვლევის მიმართულებები აუსლანდერ-რეიტენის თეორიასთან დაკავშირებით.

მათემატიკური ლოგიკის განყოფილება

I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, მათემატიკური ლოგიკის განყოფილება

I.2. განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი: **მამუკა ჯიბლაძე**

I.3. განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: **დავით გაბელაია, ლევან ურიდია**

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

#	სამუშაოს დასახელება	სამუშაოს ხელმძღვანელი	სამუშაოს შემსრულებლები
	მოდალური და ინტუიციონისტური ლოგიკების ტოპოლოგიური სემანტიკა	მ. ჯიბლაძე	ნ. ბეჟანიშვილი დ. გაბელაია ლ.ურიდია მ.ჯიბლაძე
კვლევითი სამუშაოს დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)			
მიღებულია პლანარულ პოლიგონთა მოდალური ლოგიკის აღწერა d-სემანტიკისათვის. მზადდება პუბლიკაცია.			
#	**სამუშაოს დასახელება**	**სამუშაოს ხელმძღვანელი**	**სამუშაოს შემსრულებლები**
	მარტივ ლის ალგებრათა ბიპარაბოლური ქვეალგებრების ინდექსის კომბინატორული შესწავლა	მ. ჯიბლაძე	ა. ელაშვილი, მ.ჯიბლაძე
გარდამავალი მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები (ანოტაცია)			
გრძელდება ბიპარაბოლური ლის ალგებრების ინდექსის გამომხატველი კომბინატორული ობიექტების, ე. წ. ლიანდრების შესწავლა. ბონის მაქს პლანკის დირექტორთან დ. ზაგირთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ერთგვირაბიან ლიანდრთა რაოდენობის წარმომქნელი ფუნქცია გამოისახა q-ჰიპერგეომეტრიული მწკრივების ტერმინებში. დაისახა ანალოგიური მეთოდები ორგვირაბიან ლიანდრთა აღრიცხვის შესასწავლად. ბონის მაქს პლანკის ინსტიტუტში ვიზიტის განმავლობაში დ. პანიუშევთან და ო. იაკიმოვასთან ერთობლივი კვლევის შედეგად დადგენილ იქნა კავშირი A ტიპის აფინური ლის ალგებრების სასრულგანზომილებიანი ბიპარაბოლური ლის ქვეალგებრების ინდექსსა და ციკლური ლიანდრების კომბინატორიკას შორის.			
#	**სამუშაოს დასახელება**	**სამუშაოს ხელმძღვანელი**	**სამუშაოს შემსრულებლები**
	პირველი ხარისხის მაქსიმალური კომუტატური ქვესივრცეები მარტივ ლის	ვ. კაცი	ა. ელაშვილი, ვ. კაცი

	ალგებრათა ნილპოტენტური ელემენტების შესაბამისი დახარისხებებისათვის		მ.ჯიბლაძე

გარდამავალი მრავალწლიანი კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი შედეგები (ანოტაცია)

შესწავლილია B, C და D ტიპის კლასიკურ მარტივ ლის ალგებრებში კენტი ტიპის ნილპოტენტური ელემენტების შესაბამისი დახარისხებების მიმართ პირველი ხარისხის მაქსიმალური კომუტატური ქვესივრცეების განზომილებები. დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისათვის, რომ ასეთი სივრცის განზომილება იყოს მთელი პირველი ხარისხის ქვესივრცის განზომილების ნახევარი (მაქსიმალური შესაძლო მნიშვნელობა). გამოყვანილია შესაბამისი წარმომქმნელი ფუნქციები.

III. საგრანტო დაფინანსებით დამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	პროპოზიციული აღრიცხვები ტოპოლოგიისა და გეომეტრიისათვის	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # DI-2016-25	მ. ჯიბლაძე	მ. ჯიბლაძე, დ. გაბელაია, ლ. ურიდია, ე. კუზნეცოვი, გ. ბეჟანიშვილი, ნ. ბეჟანიშვილი

პროექტის დასრულებული ეტაპის შედეგები (ანოტაცია)

ტიხონოვის სივრცის მოდალური ლოგიკის შესწავლის ფარგლებში განვითარებულია ტოპოლოგიური სივრცეების მოდალური კრულის განზომილების თეორია და შესაბამისი მოდალური სისტემებისათვის დამტკიცებულია ტოპოლოგიური სისრულის თეორემა T_1 სივრცეების ტერმინებში.

გრძელდება პოლიედრების მოდალური ლოგიკის შესწავლა დახასიათებულია 2-განზომილებიანი პოლიედრების მოდალური ლოგიკა. შესწავლილია ღია პოლიედრების ინტუიციონისტური ლოგიკა და დამტკიცებულია, რომ ყველა n-განზომილებიანი პოლიედრების ქვეპოლიედრების ჰაიტინგის ალგებრები წარმოქმნიან ჰაიტინგის ალგებრების მრავალსახეობას.

დე ფრისის ორადობაზე დაყრდნობით შესწავლილია კომპაქტური ჰაუსდორფის სივრცეების აღრიცხვა მკაცრი იმპლიკაციის ტერმინებში

#	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი ორგანიზაცია	ახალგაზრდა მეცნიერი	დამხმარე პერსონალი	ახალგაზრდა მეცნიერის ხელმძღვანელი
2	ეპისტემიური კონცეფციები სტრუქტურირებულ მულტი აგენტურ სისტემებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი # YS17-71	ლ. ურიდია	ე. კუზნეცოვი,	მ. ჯიბლაძე დ. პირსი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტების 2017 წლის გამარჯვებული პროექტი.

IV. პუბლიკაციები

2) უცხოეთში

სტატიები (*-ით აღნიშნულია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები)

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1*	A. Elashvili, M. Jibladze, E. Vinberg	Moduli algebras of some non-semiquasihomogeneous singularities	Functional Analysis and Its Applications April2017, V.51, Issue 2, pp 86–97	Springer	11

V. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

1) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	დ. გაბელაია, კ. გოგოლაძე, ე. კუზნეცოვი, ლ. ურიდია, მ. ჯიბლაძე	An Axiomatization of the d-Logic of Planar Polygons	TBILLC2017 ლაგოდეხი, 18-22 სექტემბერი

2) უცხოეთში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ბეჟანიშვილი, ნ. ბეჟანიშვილი, დ. გაბელაია, ს. გილარდი, მ. ჯიბლაძე	The Variety of Nuclear Implicative Semilattices is Locally Finite	TACL2017, პრაღა, 26-30 ივნისი

სხვა ინფორმაცია:

- **გამოსაქვეყნებლად გადაცემული სამეცნიერო სტატიები:**

David Gabelaia, Kristina Gogoladze, Mamuka Jibladze, Evgeny Kuznetsov, Maarten Marx - Modal logic of planar polygons

G. Bezhanishvili, N. Bezhanishvili, D. Gabelaia, S. Ghilardi, M. Jibladze – Local finiteness of the variety of nuclear implicative semilattices

- **საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებების თეზისები:**

  Guram Bezhanishvili, Nick Bezhanishvili, David Gabelaia, Silvio Ghilardi, and Mamuka Jibladze - **The Variety of Nuclear Implicative Semilattices is Locally Finite –** TACL2017, პრაღა, 28 ივნისი http://www.cs.cas.cz/tacl2017/abstracts/TACL_2017_paper_99.pdf

  David Gabelaia, Kristina Gogoladze, Mamuka Jibladze, Evgeny Kuznetsov and Levan Uridia. *Axiomatization of the d-logic of Planar Polygons,* TBILLC2017, ლაგოდეხი, 20 სექტემბერი http://events.illc.uva.nl/Tbilisi/Tbilisi2017/uploaded_files/inlineitem/Gabelaia_Gogoladze_Jibladze_Kuznetsov_Uridia.pdf

- **ჩატარებული სამეცნიერო ფორუმები**

  განყოფილების წევრთა თანაორგანიზებული იყო ლოგიკის, ენისა და გამოთვლების თბილისის მეთორმეტე სიმპოზიუმი,

  Twelfth International Tbilisi Symposium on Language, Logic and Computation 18-22 September, 2017, Lagodekhi, Georgia

http://events.illc.uva.nl/Tbilisi/Tbilisi2017/

- **საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა**
  რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს DI-2016-25 საფუძვლად უდევს თანამშრომლობა საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულე მკვლევარებთან, გურამ ბეჟანიშვილთან (ნიუ მექსიკოს შტატის უნივერსიტეტი, აშშ) და ნიკოლოზ ბეჟანიშვილთან (ამსტერდამის უნივერსიტეტი, ILLC, ჰოლანდია). ერთობლივი კვლევა გ. და ნ. ბეჟანიშვილთან ერთად განუწყვეტლად მიმდინარეობს.

მამუკა ჯიბლაძე:

2017 წლის აგვისტოში მ. ჯიბლაძე და გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ა. ელაშვილი მიწვეულ იქნენ ერთი თვით ბონის მაქს პლანკის ინსტიტუტის (გერმანია) დირექტორის დონ ზაგირის მიერ ერთობლივი კვლევისათვის ლიანდრულ რიცხვთა წარმომქმნელი ფუნქციების q-ჰიპერგეომეტრიულ მწკრივებად წარმოდგენის ამოცანაზე სამუშაოდ. ინტენსიური ერთობლივი კვლევის შედეგად მიღებულ იქნა წარმომქმნელი ფუნქცია ერთბიჯიანი გვირაბებისგან თავისუფალი ლიანდრების რიცხვისათვის და დასახულ იქნა ანალოგიური (თუმცა არსებითად უფრო რთული) ამოცანის გადაწყვეტის გზა ორბიჯიანი გვირაბების შემთხვევაში. ამჟამად ა. ელაშვილი და მ. ჯიბლაძე აგრძელებენ მუშაობას ამ ამოცანაზე დ. ზაგირთან მიმოწერის რეჟიმში. დაგეგმილია შემდგომი ვიზიტები მაქს პლანკის ინსტიტუტში აღნიშნული ერთობლივი მუშაობის გასაგრძელებლად.

- **დოქტორანტების ხელმძღვანელობა**
  განყოფილების თანამშრომლები ხელმძღვანელობენ დოქტორანტებს ე. კუზნეცოვსა და ვ. აბაშიძეს (მ. ჯიბლაძე) და კ. რაზმაძეს (დ. გაბელაია)

ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება

I.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება

I.2. განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი: **მიხეილ მანია**

I.3. განყოფილების პერსონალური შემადგენლობა: მ. მანია, ნ ლაზრიევა, თ. ტორონჯაძე, ო. ფურთუხია, თ. შერვაშიძე

II. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2017 წლისათვის დაგეგმილი და შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	მარტინგალური მეთოდების გამოყენება სტოქასტურ ფინა	მ. მანია	ნ. ლაზრიევა, თ. ტორონჯაძე,

	ნსთა თეორიაში, ასიმპტოტურ სტატისტიკასა და ოპტი-მალურ მართვაში. ზღვარითი თეორემები და წინმსწრები სტოქასტური ანალიზი		ო. ფუთუხია

შევისწავლეთ საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაციის ამოცანის ამოხსნის წარმოდგენა პირდაპირი და შექცეული სტოქასტურ დიფერენციალურ განტოლებათა (პშსდგ) სისტემის ამოხსნის საშუალებით. მოყვანილია გარდაქმნები, რომელიც ამ პშსდგ სისტემას აკავშირებს იმკელერისა და სხვ. პშსდგ სისტემასთან.

დადგენილია აგრეთვე კავშირები პშსდგ სისტემასა და კერძოწარმოებულიან შექცეულ სტოქასტურ განტოლებათა სისტემას შორის.

ამავდროულად შეწავლილია ნახევარ-ღერძზე განსაზღვრული შემთხვევითი სარგებლიანობის საშუალოს მაქსიმიზაციის ამოცანა. გამოყვანილია პირდაპირი და შექცეული სტოქასტურ დიფერენციალურ განტოლებეთა სისტემა, რომლის ამოხსნაც წარმოადგენს ოპტიმიზაციის ამოცანის მაქსიმალურ კაპიტალს.

განზოგადებულია ოკონე-კლარკის ცნობილი ფორმულა კვადრატით ინტეგრებადი, სტოქასტურად გლუვი ფუნქციონალების იტოს სტოქასტური ინტეგრალის სახით წარმოდგენაში მონაწილე ინტეგრანდის კონსტრუქციის შესახებ. კერძოდ, ნაცვლად ბროუნის მოძრაობის ფუნქციონალის სტოქასტური სიგლუვისა მოთხოვნილია მხოლოდ ამ ფუნქციონალის პირობითი მათემატიკური ლოდინის სტოქასტური სიგლუვე.

გარდა ამისა, შემოთავაზებულია ინტეგრანდის ცხადი სახით აგების მეთოდი. მიღებული შედეგები გამოყენებულია სხვადასხვა სახის ეგზოტიკური ევროპული ოფციონების ჰეჯირების პრობლემატიკაში მაჰეჯირებელი სტრატეგიების, კაპიტალის პროცესისა და სამართლიანი ფასის დასადგენად სტოქასტური ფინასური ბაზრის როგორც ბლეკ-შოლესის, ისე ბაშელიეს მოდელის შემთხვევაში.

I. 1. პუბლიკაციები

ა. საქართველოში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ჟურნა-ლის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	H. Livinska, **O. Purtukhia**	Hedging of the European Option of the Exotic Type with a nonsmooth payoff function. *Bulletin of TICMI*	**21, 2** (2017)	თსუ გამომცემლობა, თბილისი	15
2	V. Jaoshvili, **O. Purtukhia**	Hedging of Barrier type one European Option. *Reports of Enlarged Session of the Seminar of I. Vekua Institute of Applide Mathematics*	**31** (2017)	თსუ გამომცემლობა, თბილისი	4

საანგარიშო პერიოდში ინსტალირებულ იქნა მაღალტემპერატურული ვაკუუმური ღუმელი და მისი გამოყენებით 800-1200^{0}C-ზე მიღებული იქნა ულტრადისპერსული ფხვნილოვანი კომპოზიტები ალუმინისა და ცირკონიუმის ოქსიდების ფუძეზე, რომელთა დოპირება განხორციელდა ლითიუმის, მაგნიუმისა და ტიტანის ნაერთებით; სინთეზირებულია ტრიიზობუთილალუმინი, ხოლო მისი თერმული დამუშავებით 100-110^{0}C-ზე მიღებულია დიიზობუთილალუმოჰიდრიდი; გრაფიტის ფხვნილების დაჟანგვით მიღებულია გრაფენის ოქსიდი, რომლის აღდგენა განხორციელდა იოდწყალბადმჟავითა და ჰიდრაზინის მეშვეობით ულტრასონირების პირობებში; დამუშავებულია ულტრადისპერსული ფხვნილოვანი კომპოზიტებისა და აღდგენილი გრაფენის ოქსიდის (3D გრაფენი) ფუნქციონალიზაციის მეთოდები ტრიიზობუთილალუმინითა და აკრილოილქლორიდით არგონის ატმოსფეროში. ზოლ-გელ მეთოდით მიღებულია ალუმინის, ცირკონიუმის, იტრიუმის ოქსოჰიდროქსიდები და ოქსიდები, რომელთა დოპირება განხორციელდა გრაფენის ოქსიდებითა და ალუმინორგანული ნაერთებით. მიღებული კერამიკული ფხვნილოვანი კომპოზიტები კონსოლიდირებული იქნა პლაზმური-ნაპერწკლოვანი შეცხობის მეთოდით 1500-1700^{0}C-ზე. აღდგენის, ულტრასონირებისა და წყალბადის ნაკადში პიროლიზის მეთოდების გამოყენებით მიღებულია რკინის, სპილენძისა და პალადიუმის ნანოფხვნილები რომლებიც იმპრეგნირებული იქნა ალუმინისა და რკინის ოქსოჰიდროქსიდებში. რკინის კარბონილის პიროლიზით მიღებულია როგორც ნანოსტრუქტურირებული რკინის ფხვნილი, ასევე მაგნეტიტი, რომელთა იმპრეგნირება განხორციელდა ბიომასალებში. მეთანისა და მეთილის სპირტის ორთქლის პიროლიზით მაღალტემპერატურულ ღუმელში 650-950^{0}C-ზე მიღებული იქნა ნახშირბადის ნანომილები. კატალიზატორად გამოყენებულია რკინა. გრაფენი მიღებულია გრაფენის ოქსიდის პიროლიზით 1000-1600^{0}C-ზე 5-20 წთ-ის განმავლობაში. მიღებული ფხვნილები, კომპოზიციური მასალები, ორგანულ-არაორგანული სორბენტები და კერამიკის ნიმუშები შესწავლილია ელექტრონული, ოპტიკური მიკროსკოპიისა და რენტგენული დიფრაქციის მეთოდებით. კომპოზიტებში მეტალების შემცველობა განსაზღვრული იქნა ატომურ-აბსორბციული სპექტრომეტრით.

1	2	3	4
3	გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირების მეთოდე-ბის შემუშავება ქიმიური ეკოლოგიის მიდგომების გამოყენებით, მათი გამოცდა და შეფასება ეკოლოგია	დალი იოსელიანი	გულნარა ბალარჯიშვილი, ნელი ყალაბეგაშვილი, ლია სამხარაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია

	შესწავლილი იქნა ადგილობრივი ბუნებრივი ცეოლითების (კლინოპტილოლიტის და მორდენიტის) და მინერალ ბრუსიტის ბაზაზე დამზადებული სორბენტების სორბციის უნარი ბოლნისის რაიონის სგკ-ს კარიერული წყლის და მდინარე კაზრეთულას მძიმე მეტალებისგან (Cu, Fe) გაწმენდის პროცესში. წყლის ნიმუშები აღებული იქნა სგკ-ს კარიერიდან და მდ. კაზრეთულადან ობიექტიდან 2000 მ-ის დაშორებით. ბუნებრივი ცეოლითების - კლინოპტილოლიტის და მორდენიტის და მინერალ ბრუსიტის ბაზაზე დამზადებული იქნა სხვადასხვა შედგენილობის და თანაფარდობის ადსორბენტები. გამოცდილი იქნა ზემოჩამოთვლილი ადსორბენტების საწყისი და წყალბადური ფორმები. შესწავლილი იქნა წყლის ნიმუშების ადსორბციის ხარისხის დამოკიდებულება ადსორბენტების შედგენილობაზე, ურთიერთთანაფარდობაზე, ადსორბციის ხანგრძლივობაზე და წყლის წყალბადურ მაჩვენებელზე. ყველაზე უკეთესი ადსორბციის ხარისხი გამოამჟღავნა მორდენიტი : ბრუსიტი 1:1 და 1:3 (93 და 97%) და კლინოპტილოლიტი : ბრუსიტი 1:3 (92%) თანაფარდობის მქონე ადსორბენტებმა.

1	2	3	4
4	მცენარეული ნედლეულის რაციონალური ქიმიურ-ტექნოლოგიური გადამუშავება სასარგებლო პროდუქტების მიღების მიზნით	ნინო ქავთარაძე	ლ.დოლიძე, ნ.ბარბაქაძე, მ.სტეფანიშვილი, ქ.ქოჩიაშვილი, თ.დგებუაძე, მ.ჯაფარიძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	მცენარეებიდან - გვიმრა და მატიტელა პირველ საფეხურზე მოვახდინეთ ცხიმოვანი მჟავების მოცილება პეტროლეინის ეთერით სოქსლეტის აპარატით, მეორე საფეხურზე იგივე ნედლეული დავამუშავეთ 70%-იანი და 60%-იანი ეთანოლით ინსექტიციდური ნარევის მისაღებად. მიღებული ნარევის დაყოფა მოხდა ქრომატოგრაფიულ სვეტზე. მიმდინარეობს დაყოფილი ნივთიერებების ანალიზები. გამოყოფილი ნივთიერებებიდან აღსანიშნავია ავაკულარინი, რომელიც ანტიკოაგულანტური და ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა. მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შერჩევა ამ თვისებების გასაუმჯობესებლად.		

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	ფოტოსტიმულირებული მეთოდით პეროვსკიტის მზის ელემენტის მიღება; №216-860 ფიზიკა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ფიზიკა-მათემატიკის მეც. დოქტორი დავით ჯაფარიძე	დავით ჯაფარიძე, ალექსანდრე შენგელაია დიმიტრი დარსალია, ზურაბ ჯიბუტი, როინ ჭედია
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია			
	2017 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად შესრულდა ორი ძირითადი ამოცანა: 1. ფტორირებული კალის ოქსიდით აქტივირებულ მინის (FTO) ზედაპირზე დაფენილ იქნა 70-100 ნმ სისქის ტიტანის (IV) ოქსიდის მაბლოკირებელი შრე; 2. დამუშავებული იქნა FTO მინის ზედაპირზე პეროვსკიტის $[CH_3NH_3]PbI_3$-ის დაფენის მეთოდი. პეროვსკიტის ფენის სისქე 300-400 ნმ-ს აღწევს. კვლევების საწყის ეტაპზე განხორციელდა მეთილამონიუმის, ტყვიის იდიდისა და პეროვსკიტის - $[CH_3NH_3]PbI_3$-ის სინთეზი. მეთილამონიუმის იოდიდი მიღებული იქნა მეთილამონიუმის 40%-იან მეთანოლხსნარსა და HI-ის 57% ხსნარის შერევით. $CH_3NH_2 + HI \rightarrow [CH_3NH_3]I$. პეროვსკიტის სინთეზი განხორციელდა			

	γ-ბუტიროლაქტონისა და დიმეთილსულფოქსიდის ნარევში მოცულობითი თანაფარდობით 7:3, რეაქცია მიმდინარეობს შემდეგი სქემით: $[CH_3NH_3]^+ I^- + PbI_2 \rightarrow [CH_3NH_3]^+PbI_3^-$. ტყვიის (II) იოდიდი მიღებული იქნა კალიუმის იოდიდს და ტყვიის აცეტატის [$Pb(CHCOO)_3 \cdot 3H_2O$] ხსნარების შერევით და გამოყოფილი ნალექის ცხელი წყლიდან გადაკრისტალებით. პეროვსკიტის მზის ელემენტის მისაღებად აუცილებელია ტიტანის (IV) ოქსიდის მაბლოკირებელი შრის დაფენა **FTO** მინის ზედაპირზე. შესაბამისი პრეკურსორის მიღებული იქნა ტიტანის დიიზოპროპოქსიდის ბის(აცეტილაცეტონატის) $[(CH_3)_2CHO]_2Ti(C_5H_7O_2)_2$ გახსნით იზოპროპანოლში. მიღებულ ხსნარს აფრქვევენ **FTO** მინის ზედაპირზე და ორგანული კომპონენტების მოშორების მიზნით დაასხივებენ იწ და უი გამოსხივებით. წარმოქმნილი ტიტანის (IV) ოქსიდის ფენა ზღუდავს (აბლოკირებს) **FTO**-სა და ხვრელგამტარი (hole-conducting) ფენებს შორის კონტაქტს.

ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 3 სტატია ჟურნალ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერიაში (იხ. პუბლიკაციების ნუსხა, საერთო ნუმერაციის ## 14, 19, 20), 2 თეზისი საქართველოში (## 41, 43) და 2 თეზისი (## 50, 51) საზღვარგარეთ ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების მასალებში.

4. მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ქიმ.მეცნ. დოქტორი, პროფესორი გივი პაპავა

პერსონალური შემადგენლობა:

მთავარი მეცნ. თანამშრომელი : ქ.მ.კ. მარინა გურგენიშვილი
უფრ. მეცნ. თანამშრომლები: ქ.მ.კ. ეთერ გავაშელიძე, ქ.მ.კ. ია ჩიტრეკაშვილი, ქ.მ.კ რივა ლიპარტელიანი
მეცნ. თანამშრომლები: ქ.მ.კ. ნუნუ მაისურაძე, ქ.მ.კ. ნორა დოხტურიშვილი, ქ.მ.კ. ნაზი გელაშვილი, ზურაბ თაბუკაშვილი, ნანული ხოტენაშვილი,ზურაბ ჩუბინიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	საქართველოს ბუნებრივი ნედლეულის - დიატომიტის საფუძველზე ახალი ტიპის კვაზი-ჰიბრიდული იონიტების მიღება. ქიმია,მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია	ქიმ. მეცნ. დოქტორი,პროფ. გივი პაპავა ქიმ. მეცნ. კანდ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი მარინა გურგენიშვილი	ნ. გელაშვილი ზ. თაბუკაშვილი ნ. მაისურაძე ნ. დოხტურიშვილი ე, გავაშელიძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	განხორციელდა პოლიკონდენსაციის რეაქციით ამინის ჯგუფების შემცველი მრავალფუნქციური მონომერის საფუძველზე ხაზოვანი სტრუქტურის მქონე პოლიამინის სინთეზი: 2. $n\ H_2N-Me-NH_2 + n\ CH_2O \longrightarrow \left[-HN-Me-NH-CH_2-\right]_n$ $n = x + y = 1$ Me =  ფუნქციური ამინის ჯგუფების განსხვავებული რეაქციისუუნარიანობის გამო, მიზნობრივი პროდუქტის - პოლიმერის ელემენტურ რგოლში ამინის თავისუფალი ფუნქციური ჯგუფის შემცველი პოლიმერების სინთეზის მიზნით შესწავლილია რეაქციის მიმდინარეობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა: პოლიამინისა და ალდეჰიდური კომპონენტების მოლური თანაფარდობის, ტემპერატურის, რეაქციის ხანგრძლივობის, სარეაქციო არის ცვლილების და სხვ. პროცესის განმსაზღვრელი პარამეტრების მიზანმიმართული ცვლილებით რეაქციის მიმდინარეობის დროს განხორციელებულია რეაქციისუნარიანი ფუნქციური ჯგუფების შემცველი პოლიმერების სინთეზი. ამინის ჯგუფების შემცველი პოლიმერების საფუძველზე განხორციელდა პოლიმერანალოგიური გარდაქმნები, მასში სხვავასხვა იონოგენური ჯგუფების ჩანაცვლებით ანიონიტების მისაღებად.		

1	2	3	4
2	პოლიკონდენსაციის მეთოდით ამიდური ტიპის ხაზოვანი პოლიმერების წარმოქმნის პროცესის და მისი მიკრობული დეგრადაციის ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური ასპექტების შესწავლა. ქიმია,მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, გარემოს დაცვა.	ქიმ. მეცნ. დოქტორი,პროფ. გივი პაპავა ქიმ. მეცნ. კანდ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი მარინა გურგენიშვილი	ე. გუგავა ნ. დოხტურიშვილი ე, გავაშელიძე ი. ჩიტრეკაშვილი ნ. გელაშვილი რ.ლიპარტელიანი ზ. თაბუკაშვილი ნ. მაისურაძე ნ. ხოტენაშვილი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	მრავალფუნქციური მონომერების საფუძველზე განხორციელებულია ხაზოვანი სტრუქტურის მქონე პოლიმერების სინთეზი, რომლებიც ადვილად დეგრადირდებიან მიკროორგანიზმების მოქმედებით. მათი სტრუქტურა ასე გამოისახება:		



შესწავლილია რეაქციის მიმდინარეობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა: მონომერების მოლური თანაფარდობის, ტემპერატურის, რეაქციის ხანგრძლივობის, სარეაქციო არის pH -ის, კონცენტრაციის, კატალიზატორის, სარეაქციო არეში კომპონენტების შეყვანის რიგითობის, რეაქციის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრები და ა.შ. დადგენილია პოლიკონდენსაციის მიზანმიმართულად წარმართვის პირობები რეაქციის მიმდინარეობის დროს პარამეტრების საჭირო მიმართულებით ცვლილებით. საკვლევი ნიადაგებიდან გამოყოფილია მიკროორგანიზმების ზოგიერთი ფიზიოლოგიური ჯგუფი.

1	2	3	4
3	ტრიბოტექნიკური დანიშნულების ახალი ტიპის პოლიმერული კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა. ქიმია,მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია, ახალი მასალები.	ქიმ. მეცნ. დოქტორი,პროფ. გივი პაპავა; ქიმ. მეცნ. კანდ., მთავარი მეცნ. თანამშრომელი მარინა გურგენიშვილი	ი. ჩიტრეკაშვილი ნ. გელაშვილი ზ. თაბუკაშვილი ნ. დოხტურიშვილი ნ. მაისურაძე ზ. ჩუბინიშვილი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	განხორციელებულია გრაფიტის მაღალდისპერსიული ფხვნილის მოდიფიცირება გაუმჯობესებული საექსპლოატაციო თვისებების მქონე პოლიმერული მასალების მისაღებად. მაღალდისპერსული გრაფიტის ფხვნილის მიღება განხორციელდა პლანეტარულ წისქვილში.		

	მომზადებულ იქნა სხვადასხვა დისპერსობის გრაფიტის ფხვნილი. დისპერგირების ხანგრძლივობა შეადგენდა 1-დან 5 საათს. გრაფიტის მოდიფიცირება განხორციელდა ნანოსტრუქტურული სპილენძით გრაფიტის პლაკირებით. მომზადდა გრაფიტის ნანოსტრუქტურული სპილენძით პლაკირებული ნიმუშები. გრაფიტის ნაწილაკები დაფარულ იქნა ნანოსტრუქტურული სპილენძის სხვადასხვა სისქის შრით. გრაფიტის ნაწილაკები ჯერ იფარება სპილენძის ჰიდროქსიდის სხვადასხვა სისქის შრით. შემდეგ ეტაპზე ხორციელდება სპილენძის ჰიდროქსიდით პლაკირებული გრაფიტის თერმული დამუშავება სპილენძის ორვალენტიანი ოქსიდით პლაკირებული მასალის მიღებამდე. პროცესის შემდგომ სტატდიაზე ხორციელდება სპილენძის ოქსიდის ჰიდრირება, რომელიც ხორციელდება 170-175^{0}ტემპერატურაზე. ჰიდრირების შედეგად მიიღება ნანოკრისტალური სპილენძით პლაკირებული გრაფიტი, რომლის მოდიფიცირება ხორციელდება პოლიფენილენოქსიდით პლაკირების გზით. პლაკირება ხორციელდება პლანეტარულ წისქვილში დამუშავებით. ამ გზით მიღებულ იქნა პოლიმერული კომპოზიციები, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სპილენძის და პოლიფენილენოქსიდის ნანოშრის სისქით. სპილენძით ქიმიური გზით პლაკირებია უზრუნველყოფს სპილენძის ნანოგანზომილებიანი ნაწილაკების თანაბარ განაწილებას მასაში, რაც ვერ მიიღწევა პლაკირების დღეისათვის არსებული მეთოდებით -გრაფიტისა და სპილენძის შელღობით. პროცესი მიმდინარეობს მაღალ ტემპერატურაზე - სპილენძის ლღობის ტემპერატურაზე. ამავე დროს პროცესი არის ენერგოტევადი. ამ გზოთ მიღებული პლაკირებული მასალა არის არაერთგვაროვანი. პლაკირების ქიმიური გზით განხორციელების შემთხვევაში ტემპერატურა არ აღემატება 200 გრადუსს. პლაკირებული პოლიმერული კომპოზიციების გადამუშავება ხორციელდება თერმული გადამუშავებით კომპრესიული დაწნეხვის გზით. მიმდინარეობს მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
1	პროლონგირებული და ბიოდეგრადირე- ბადი პოლიმერული გვარჯილის სინთეზი და კვლევა. № FR/381/10-160/14 **კვლევის მიმართულება:** დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო, გარემოს დაცვის ტექნოლოგიები.	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქიმიის მეცნ. კანდიდატი, მთავარი მეცნ.თანამშრო- მელი მარინა გურგენიშვილი	გურგენიშვილი მარინა , ლომთათიძე ზაურ , დოხტურიშვილი ნორა, პაპავა ქეთევან
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია			
	ჩატარდა პროლონგირებული პოლიმერული გვარ ჯილის სინთეზი და რეაქციის ძირითადი კანონზომიერების კვლევა. შესწავლილი იქნა პოლიმერული გვარჯილის პროლონგირების ეფექტი, განსაზღვრული იქნა სასუქის შეტანის შემდეგ ნიადაგში და მცენარეში მისი გადასვლის პროცესი. გამოკვლევებმა აჩვენა,რომ პროლოგირებული აზოტოვანი სასუქი(პოლიმერიზებული გვარჯილა) ნიადაგში შეტანის შემდეგ იხსნება ნელა, აქედან გამომდინარე მცენარე მას იყენებს მთელი ვეგეტაცის პერიოდში,მკვეთრად მცირდება სასუქის აორთქლება და ჩარეცხვა,მცენარეში 10-12%ით იზრდება აზოტის შეთვისების კოეფიციენტი,რაც განაპირობებს მოსავლიანობის ამაღლებას, რის საფუძველზე			

	დადგენილი იქნა პროლონგირეული აზოტიანი სასუქის ეფექტიანობა . პოლიმერული გვარჯილის დეგრადაციის და მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში გადასვლის ოპტიმალური პირობების დასადგენად შესწავლილი იქნა პოლიმერული გვარჯილის პროლონგირების ეფექტი, განსაზღვრული იქნა სასუქის შეტანის შემდეგ ნიადაგში და მცენარეში მისი გადასვლის პროცესი.გამოკვლევებმა აჩვენა,რომ პოლიმერიზებული გვარჯილა ნიადაგში შეტანის შემდეგ იხსნება ნელა, აქედან გამომდინარე მცენარე მას იყენებს მთელი ვეგეტაცის პერიოდში,მკვეთრად მცირდება სასუქის აორთქლება და ჩარეცხვა, მცენარეში 10-12 %ით იზრდება აზოტის შეთვისების კოეფიციენტი,რაც თავისთავად განაპირობებს მოსავლიანობის ამაღლებას.			
1	2	3	4	5
2	გახანგძლივებული მოქმედების აზოტოვანი სასუქების სინთეზი, კვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება. FR/370/10-100/14 **კვლევის მიმართულება:** აგრარული მეცნიერებები, აგრობიოტექნოლოგია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ გუგავა	გუგავა ელდარ პაპავა გივი გელაშვილი ნაზი მაისურაძე ნუნუ
	გარდამავალი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია			
	შესწავლილი იქნა აზოტშემცველი პოლიმერის მადეგრადირებელი მიკროორგანიზმების ზრდა-განვითარება საკვლევი კულტურისათვის განკუთვნილი საკვებ არეზე დიატომიტისა და ცეოლითის თანაობით. კვლევაში გამყენებული იქნა ხრისტიანსენის საკვები არე-კონტროლი, და იგივე არე, სადაც შარდოვანას ნაცვლად დამატებული იქნა აზოტშემცველი პოლიმერი იგივე კონცენტრაციით(20გრ.) ცდაში ასევე ვიყენებდით დიატომიტისა და ცეოლითის წვრილად დაფქვილ სხვადასხვა რაოდენობას(1,3,5,10 გრ.) და ურობაქტერიას Bacillus pasteurii და ადრე სხვადასხვა ტიპის ნიადაგებიდან გამოყოფილ მიკროორგანიზმებს.ცდის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დიატომიტი გარკვეული ხარისხით თრგუნავს საკვლევი კულტურების ზრდა-განვითარებას, ხოლო ცეოლითი ასტიმულირებს ზრდას ,თუმცა მცირე რაოდენობით. სხვადასხვა ტიპის ნიადაგებიდან ,(როგორც ყამირი ისე გაკულტურებული) აქტიური მადეგრადირებელი მიკროორგანიზმების გამოყოფის მიზნით დამზადებული იქნა სხვადასხვა ნიადაგის სუსპენზიები . თითეული სუსპენზია დათესილი იქნა ურობაქტერიებისათვის სპეციფიურ საკვებ არეზე(ხრისტიანსენის არე).ცდის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაკულტურებული ანტროპოგენური ნიადაგი გამოირჩევა შარდოვანას დაშლის აქტივობის მქონე მიკროორგანიზმების ასოციაციებით. ცდებში, სადც შარდოვანას ნაცვლად ხრისტიანსენის არეში შეტანილი იქმა აზოტშემცველი პოლიმერი. ანტროპოგენური ტიპის ნიადაგიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმების ზრდა განვითარება , უფრო აქტიურად ვითარდება ,ვიდრე ხრისტიანსენის არეზე.შესამჩნევია საკვლევი კულტურების ბომასის მატება.მიმდინარეობს ასოციაციების ცალკეული მიკროორგანიზმების იდენტიფიკაცია.შემუშავებული იქნა მიკროორგანიზმების ასოციაციების აქტიური სუსპენზიების მიღების ახალი მეთოდიკა და რეკომენდაციები.			
1	2	3	4	5
3	გახანგრძლივებული მოქმედების აზოტოვანი სასუქების სინთეზი, კვლევა და ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავება, FR/370/10-100/14, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გა რემო. გარემოს დაცვის ტექნოლოგიები	STCU და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ელდარ გუგავა	გუგავა ელდარ გურგენიშვილი მარინა, დოხტურიშვილი ია, პაპავა ქეთევან, ჩიტრეკაშვილი ია, ლომთათიძე ზაურ. კვარაცხელია დავით
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი			

	ანოტაცია
	ჩატარებულია ჰომოპოლიმერების მისაღებად კარბამიდისა და თიოკარბამიდის პოლიკონდენსაცია ხსნარში, 80^{0}ჩ ტემპერატურაზე, ამიდური კომპონენტების - კარბამიდისა და თიოკარბამიდის ალდეჰიდურ კომპონენტთან, სხვადასხვა მოლური თანაფარდობის პირობებში: 1: 0,8-3,0 დიაპაზონში.. პოლიკონდენსაციის საორიენტაციო ცდების ჩატარების შედეგად მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე შემუშავებულია კინეტიკის ძირითადი პარამეტრების დადგენისათვის კვლევების განხორციელების მეთოდიკა. კარბამიდისა და თიოკარბამიდის საფუძველზე პოლიმერების სინთეზის განსახორციელებლად მომზადდა პირობები პოლიკონდენსაციის რეაქციის ჩასატარებლად. განხორციელდა საწყისი მონომერების იდენტიფიცირება. კერძოდ, მრავალჯერადი გადაკრისტალებით იდენტიფიცირებულ იქნა კაარბამიდი და თიოკარბამიდი. მიკროორგანიზმების შესასწავლად წაბლა ტიპის ნიადაგიდან გამოყოფილი იქნა ურეაზული აქტივობის მქონე შემდეგი მიკროორგანიზმები: Clostridium sp., Aspergillus sp., და Actinomyces sp., გამოყოფილი მიკროორგანიზმების ურეაზული აქტივობა მოწმდებოდა ხრისტიანსენის არეზე. გამოყოფილი მიკროორგანიზმებიდან ურეაზული აქტივობით გამოირჩეოდა Aspergillus sp.,სტანდარტულ , სინთეზურ საკვებ არეზე,სადაც აზოტის წყაროს: გლიცინის ,კალიუმის ნიტრატის ნაცვლად ჩანაცვლებული იქნა აზოტშემცვლელი სინთეზური პოლიმერი, განსაკუთრებული ზრდით გამოირჩეოდ ა აქტინომიცეტი, თუმცა ურეაზული აქტივობით ის საგრძნობლად ჩამორჩებოდა სხვა კულტურებს, რაც იმის დასტურია,რომ აქტინომიცეტს მეტი მადეგრადირებელი უნარი გააჩნია. ამ კულტურის ზრდის უნარი(მადეგრადირებელი) განსაკუთრებით აქტიურია ,როდესაც საკვებ არეში არის აქტინომიცეტისათვის ნახშირბადის ბუნებრივი წყარო- სახამებელი,პოლიმერის რაოდენობის მეათედი და პოლიმერი. (1 ლიტრში 9 გრამი პოლიმერი და 1გრამი სახამებელი).

გამოგონებები (საავტორო მოწმობები, პატენტები)

წლები	დასახელება
2017 წწ.	**ანტიფრიქციული თვითშემზეთავი პოლიმერული კომპოზიციის მიღების ხერხი AU 2016 014298** ავტორი და პატენტთმფლობელი: გივი პაპავა, მარინა გურგენიშვილი,ია ჩიტრეკაშვილი, ნაზი გელაშვილი, ნორა დოხტურიშვილი, ეთერ გავაშელიძე, შალვა პაპავა, ნანული ხოტენაშვილი, რივა ლიპარტელიანი, ქეთევან პაპავა, ზურაბ ჩუბინიშვილი, ზურაბ თაბუკაშვილი
2017 წწ.	**პროლონგირებული მოქმედების პოლიმერული აზოტოვანი სასუქების მიღების ხერხი. GE U 2017 1922 Y,** ავტორი და პატენტთმფლობელი: გივი პაპავა, მარინა გურგენიშვილი,ელდარ გუგავა, ია ჩიტრეკაშვილი, ნაზი გელაშვილი, ნორა დოხტურიშვილი,ნუნუ მაისურაძე, ვიტალი შეროზია, ეთერ გავაშელიძე, შალვა პაპავა, ნანული ხოტენაშვილი, რივა ლიპარტელიანი

ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 1 მონოგრაფია საქართველოში (იხ. პუბლიკაციების ნუსხა, # 1) 2 სტატია უცხოეთში (საერთო ნუმერაციის ## 36, 37), 2 თეზისი საქართველოში (## 43, 44) და 4 თეზისი (## 63-65, 70) საზღვარგარეთ ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების მასალებში, მიღებულია ორი პატენტი.

5. ნავთობის ქიმიის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი - მთ. მეცნიერ თანამშრომელი ქ.მ.კ. ნათელა ხეცურიანი

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
მთავარი მეცნ.თანამშრომელი: ელზა თოფურია
უფროსი მეცნიერ თანამშრომლები: ესმა უშარაული, გურამ ხიტირი, ზაზა მოლოდინაშვილი;
მეცნიერ თანამშრომლები: ქეთევან გოდერძიშვილი, ირინე მჭედლიშვილი, მაია ჩხაიძე, თ. გაბუნია, თ. შატაკიშვილი,
ინჟინერი: კ. სიმონიშვილი;

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	საქართველოს ახალი საბადოების ნავთობების კვლევა	მთ. მეცნ.თანამშრომელი, ქ.მ.კ. ნათელა ხეცურიანი	უფრ.მეცნ.თანამშ.- ე.უშარაული, მეცნ.თანამშრომლები: ქ.მ.კ. - ქ. გოდერძიშვილი, ი. მჭედლიშვილი, მ. ჩხაიძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	ენერგეტიკული დანიშნულების წიაღისეულიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მთავარ ენერგომატარებელ რესურსს ნავთობი წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულა ნავთობის მრავალი საბადო. მათ შესწავლას, პასპორტიზაციას და რანჟირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნავთობური მასალების და ნავთობპროდუქტების მისაღებად(წარმოების) და ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისთვის. საანგარიშო პერიოდში გათვალისწინებული იყო ნორიოს ორი ახალი ჭაბურღილის გეოქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების, ჯგუფური შედგენილობის, სასაქონლო ნავთობპროდუქტების მიღების შესაძლებლობის და მიკროელემენტების განაწილების შესწავლა. ნორიოს საბადოები განლაგებულია ნორიო-საცხენისის ანტიკლინის ჩრდილოეთ ფრთაში და შედგება მაიკოპის და შუა და ზედა მიოცენის ნალექებისაგან. ახალი ჭაბურღილების პერფორაციის სიღრმე შეადგენს 1200 და 840 მეტრს. კვლევამ აჩვენა, რომ ახალი ჭაბურღილების ნავთობები ხასიათდებიან დაბალი სიმკვრივით (833,5 - 801,9 კგ/მ^3); მსუბუქი ფრაქციების მაღალი გამოსავლით (73,0-76,0%); გოგირდის (0,05-0,06%) და პარაფინების (0,34-0,38%) მცირე შემცველობით; ნორის ნავთობები განეკუთვნებიან ნაფტენო-არომატული ტიპის ნავთობებს. გამოყოფილი და შესწავლილი იყო ნორიოს ნავთობის ასფალტენები. ნავთობიდან ასფალტენების გამოლექვა ხდებოდა პეტროლეუმის ეთერით. გამხსნელის მოცილების და ნალექის მუდმივ წონამდე დაყვანის შემდეგ განისაზღვრა ასფალტენების მოლეკულური მასა (M=1175) და ელემენტური შედგენილობა (C – 87,0%; H – 7,37%, N – 1,33%; S – 0,60%; O – 3,30%). ამ მონაცემების საფუძველზე დადგენილია ნორიოს ნავთობის ასფალტენების ემპირიული ფორმულა: $C_{85,6}H_{86,6}N_{1,12}S_{0,22}O_{2,42}$ გარდა ამისა ჰიდროპიროლიზური ფრაგმენტაციის მეთოდით შესწავლილია საკვლევი ასფალტენების შემადგენლობაში შემავალი არომატული ფრაგმენტები. აირთხევადი ქრომატოგრაფიული ანალიზით დადგენილია, რომ ფისებსა და ასფალტენებში ძირითადად		

	წარმოდგენილია არომატული ნახშირწყალბადების - ნაფტალინის, დიფენილის, ფლუორენის და ფენანტრენის სტრუქტურები. ნორიოს ნავთობში იდენტიფიცირებულია V, Fe, Ni, Co, Mo, Cu, Pb, Sn, Zn, Sr, Ba, Ti მიკროელემენტები. **V/Ni<1** თანაფარდობა მიუთითებს, რომ ეს მესამეული ნავთობები ტიპისაა, რაც აიხსება საწყისი ორგანული ნივთიერებების დაგროვების პირობებით და სათანადო გეოქიმიური წარმოშობით. შესაბამისი კვლევებით დადგენილია, რომ საკვლევი ნავთობები საუკეთესო ნედლეულია სასაქონლო ნავთობპროდუქტების - ბენზინების, ხარისხიანი დიზელის და საავიაციო საწვავების, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების ნავთობური ზეთების მისაღებად.

1	2	3	4
2	საქართველოს ბუნებრივი ბიტუმების კვლევა	მთ. მეცნიერ თანამშრომელი, ქ.მ.კ. ნათელა ხეცურიანი	მთ.მეცნ.თანამშრ.-ე.თოფურია უფრ.მეცნ.თანამშრომელი ზ.მოლოდინაშვილი მეცნ.თანამშრ.-თ.შატაკიშვილი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	ნახშირწყალბადოვანი პროდუქტების წარმოებისათვის ნავთობის ძირითადი ალტერნატიული ნედლეული ბუნებრივი ბიტუმებია, საიდანაც შესაძლებელია ძრავის საწვავების, სიბლანტის მაღალი ინდექსის და გაყინვის დაბალი ტემპერატურის მქონე ნავთობური ზეთების, მაღალი ხარისხის საბიტუმე მასალების და სხვ. მიღება. გარდა ამისა, ბუნებრივი ბიტუმები(გადამუშავების გარეშე) გამოიყენება ელექტროტექნიკურ მრეწველობაში, საგზაო და სამშენებლო სფეროებში და ა.შ. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბუნებრივი ბიტუმების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იყო ნატანების ბიტუმი. ბიტუმიდან ორგანული ნაწილის გამოყოფა ხდებოდა ქლოროფორმით, სოქსლეტის აპარატში. ექსტრაქტის გამოსავალი - 31,7%. კვლევამ აჩვენა, რომ ექსტრაქტი ხასიათდება მაღალი სიბლანტით (891,0 კგ/მ3; დარბილების ტემპერატურაა 9,7°C; აალების ტემპერატურა – 138°C). ექსტრაქტში ზეთის შემცველობის მიხედვით (39,7%) ნატანების ბიტუმები მიეკუთვნება ასფალტებს. პეტროლეინის ეთერით გამოყოფილი იქნა ასფალტენები(29,1%). მათი მოლეკულური მასა –1613 და ელემენტური შედგენილობა: C - 83,61%, H - 9,91%, N 1,26%, S - 1,64%, O - 3,55%. ასფალტენების ემპირიული ფორმულაა: $C_{112,4}H_{160,3}N_{1,45}S_{0,83}O_{3,58}$. ექსტრაქტის დეასფალტიზატის ჰიდროპიროლიზური ფრაგმენტაციით მიღებული ნიმუშის ქრომატოგრაფიული ანალიზით ნაჩვენებია მასში - ნაფტალინის, მეთილნაფტალინის, დიფენილის, ფლუორენის, ფენანტრენის, მეთილფენანტრენის, პირენის და ქრიზენის ფრაგმენტების შემცველობა. ასევე დადგენილია ექსტრაქტში მიკროელემენტების (Sr, Ba, V, Cr, Ni, Ti, Cu, Mn, Co, Pb, Mo,) განაწილება.		

1	2	3	4
3	ნავთობური ნარჩენებიდან სასარგებლო ნავთობპროდუქტების მიღება	გურამ ხიტირი	გურამ ხიტირი, თინათინ გაბუნია
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	გრძელდება სამუშაოები ნავთობქიმიური ნარჩენებიდან სასარგებლო ნავთობპროდუქტების მისაღებად: როგორებიცაა მცირე გოგირდიანი ელექტროდული კოქსი. აღსანიშნავია, რომ ეფექტური ნედლეული გამოდგა ნავთობსადენის კედლების დანალექი, რომელიც მიიღება პროფილაქტიკური გაწმენდის შემდეგ. გარემოს გამაჭუჭყიანებელი ნარჩენი იაფი და მისაღები ნედლეულია გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად. ამრიგად, განისაზღვრა საკვლევი ნარჩენების ფიზიკურ-ქიმიური და სასაქონლო თვისებები კლასიკური და თანამედროვე ქრომატო-მასს-სპექტრომეტრული მეთოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენიდან მიღებული ფრაქციები გამოირჩევა გოგირდის დაბალი შემცველობით.		

	გასათვალისწინებელია, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ესაჭიროება წელიწადში 1500 ტონა მცირეგოგირდიანი ელექტროდული კოქსი სილიკომანგანუმის მისაღებად. კვლევების შედეგად გამოირკვა, რომ მრეწველობისათვის მნიშვნელოვანია ნამუშევარი ტურბინის და ტრანსფორმატორის ზეთების გაწმენდა და ასევე ხელსაყრელია იაფი ნედლეულიდან, როგორიცაა ნავთობსადენის ნავთობის ნარჩენი და ასევე მნიშვნელოვანია საბაზო ზეთების მიღება ნარჩენის რექტიფიკაციული დაყოფისას. ტურბინის ზეთებისათვის ეფექტური გამოდგა რექტიფიკაციული დაყოფა მსუბუქი ფრაქციების მოსაშორებლად და შემდეგ პოლიიზობუთილენის დამატება სიმკვრივის გასაზრდელად, რომელიც მცირდება ექსპლუატაციის შედეგად. ცნობილია, რომ პრაქტიკულად ეკონომიურია ნარჩენში პარაფინებისა და ცერეზინების უნიკალურად დიდი რაოდენობა, რაც გამორიცხავს მისი სინთეზურად მიღების ძვირადღირებულ გზას. კვლევებით ცალსახად დასტურდება, რომ ნავთობსადენის ნარჩენი სასარგებლო კომპონენტებით ამოუწურავი ნედლეულია და მასზე კვლევები ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პარაფინებზე და ცერეზინებზე მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის დამატებით აღნიშნული პროდუქტები ხდება თბომედეგი და მდგრადი და შესანახად გაცილებით ხელსაყრელია.

გამოგონებები (საავტორო მოწმობები, პატენტები)

წლები	დასახელება
2017 წწ.	**№ AP2017 13972A ნავთობსადენის დანალექის უნარჩენო უტილიზაციის ხერხი** ავტორი და პატენტმფლობელი: გ. ხიტირი, ი. ჩიკვაიძე, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 1 სახელმძღვანელო (იხ. პუბლიკაციების ნუსხა, საერთო ნუმერაციის # 3), 3 სტატია საქართველოს პერიოდულ ჟურნალებში (## 4, 12, 18), 1 სტატია უცხოეთში (# 38) და 2 თეზისი (## 45, 46) საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მიღებულია 1 პატენტი.

6 აგრარული ქიმიის ლაბორატორია

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტექ. მეცნ. კანდიდატი ომარ ლომთაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
მთ. მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. კანდ.: ი. ბეშკენაძე, მ. ბურჯანაძე
უფრ. მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. კანდ.: ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე, ც. გაბელია
მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. კანდ,: ნ. ჟორჟოლიანი, , ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე.
მეცნ. თანამშ., აკად. დოქტ.: მ. გოგალაძე,
მეცნ. თანამშ.: ნ. კლარჯეიშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული 2017 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4
1	ესენციალური ლითონების (ქრომი) და ბიოლოგიურად აქტიური ორგანული ლიგანდების შემცველი ხელატების სინთეზი და კვლევა	მთ. მეცნ. თანამშ., ქიმ. მეცნ. კანდ. იამზე. ბეშკენაძე,	ნანი ჟორჟოლიანი, მაია გოგალაძე, ნაზიბროლა კლარჯეიშვილი
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	დადგენილია სინთეზის პირობები და სინთეზირებულია ქრომის ხელატური ნაერთები $CrL_x(CH_3COO)_y nH_2O$, სადაც L= მეთიონინის, ლიმონის მჟავის ან ასკორბინის მჟავის ანიონებია; **x**=1÷3; **y**=1 an 2; n=0÷6. სინთეზირებული ნაერთების შემადგენლობა და ინდივიდუალობა დადგენილია მიკროელემენტური ანალიზით, დიფრაქტომეტრული კვლევის მეთოდით და ლღობის ტემპერატურის განსაზღვრით. შესწავლილია ხელატების თვისობრივი ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში (წყალი, აცეტონი, სპირტი და დიმეთილფორმამიდი). სპექტროფოტომეტრული კვლევის მეთოდით დადგენილია ქრომის ბმის ხასიათი ორგანულ ლიგანდებთან. Kკონდუქტომეტრული კვლევის მეთოდით განსაზღვრულია წყალში ხსნადი ხელატების დისოციაციის ხარისხი და დისოციაციის მუდმივები. ხელატების თერმული მდგრადობის და თერმოლიზის ხასიათის დადგენის მიზნით ჩატარებულია თერმოგრაფული კვლევა, რომლის თანახმადაც ნაერთების დაშლა მიმდინარეობს საფეხურებად და თერმოლიზის საბოლოო პროდუქტია: ა) ქრომის ოქსიდი, ბ) ქრომის სულფიდი, გ) მათი ნარევი ან დ) ქრომის სულფიდის და ნახშირის ნარევი. სინთეზირებული ქრომის ხელატური ნაერთების ბიოლოგიური აქტივობის შესწავლის მიზნით $Cr(Mt)_3 \cdot 2H_2O$ შეყვანილი იქნა ბროილერის და კვერცხნდებელი ფრინველის კომბინირებული საკვების პრემიქსის შემადგენლობაში. ჩატარებული მოსინჯვითი და ძირითადი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგენილია, რომ ბროილერში ადგილი აქვს დაცემის მაქსიმალურ შემცირებას, ცოცხალი მასის მატებას(4,5-6%-ით) და ხორცის ხარისხის გაუმჯობესებას; კვერცხმდებელში – კვერცხმდებლობის ზრდას(3- 3.5%-ით), კვერცხის ხარისხის და ნაჭუჭის მორფოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. სხვადასხვა ინფექციური დაავდებების თავიდან აცილებას. საკვების დანახარჯის შემცირებას, საკვების კვებითი ღირებულების და ხარისხობრივი მაჩვენებლის გაზრდას. შესწავლილია $CrAsc_3 \cdot 6H_2O$–ის და $Cr(Mt)_3 \cdot 2H_2O$-ის გავლენა წვიმის ჭიაყელების ცილოვან მასაზე და გამრალების ხარისხზე. დადგენილია, რომ ისინი დადებით გავლენას ახდენენ როგორც ცილოვანი მასის ზრდაზე, ისე კოკონების გამრავლების ხარისხზე. კერძოდ, ცილოვანი მასა იზრდება 30-40%-ის, ხოლო კოკონების გამრავლების ხარისხი 250-300%-ის ზღვრებში.	

1	2	3	4
	ხელატური ნაერთების მიღება და ბუნებრივ მინერალებთან მათი კომპოზიციების კვლევა და გამოყენება სოფლის მეურნეობაში.	უფ. მეცნიერ თანამშრომელი, ქ.მ.კ. ციალა გაბელია	ლეილა ჯაფარიძე ნანა ოსიპოვა ეთერ სალუქვაძე თამარ კვერნაძე მანანა ბურჯანაძე
2	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია		
	საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი ნედლეულიდან (ტორფი, შაქრის ჭარხალი, სიმინდის ნაქუჩი) თერმული დესტრეუქციით გამოყოფილია ჰუმინური მჟავები პოლივალენტური ლითონების (Fe, Co, Mn) ხელატური სტრუქტურის ნაერთების მისაღებად. მომზადებული კომპლექსნაერთების გამოყენება გამიზნულია ერთწლიან ბოსტნეულ კულტურებში ფართოდ გავრცელებული ტრაქეომიკოზური და ვირუსული დაავადებების სამკურნალოდ. ბუნებრივი ნაერთების დაჟანგვა და თერმიული დესტრუქცია ჩატარებულ იქნა HNO_3 და H_2O_2-ის გამოყენებით ლაბორატორიაში ადრე დადგენილი პირობების მიხედვით. სინთეზირებულია Fe, Co და Mn -ის ჰუმინური კომპლექსები კონცენტრირებული წყალხსნარის და ფხვნილის სახით. მომზადებული ჰუმინური კომპლექსების განზავებული (0,5-1,0%-იანი) წყალხსნარები გამოიცადა, ლაბორატორიულ პირობებში, ერთწლიან ბოსტნეულ კულტურებზე (კიტრი, წიწაკა, პომდორი, ბადრიჟანი). მომზადებული ხსნარებით ხდებოდა მცენარეთა კულტურების თესლებისა და ჩითილების დამუშავება, ასევე ინექცირება და შესხურება. დადგენილია, რომ შემუშავებული რეცეპტურის ჰუმინური ხელატებით დამუშავებული თესლიდან აღმოცენებული ჩითილები საკონტროლო (დაუმუშავებელ და სხვა პრეპარატებით დამუშავებულ) ჩითილებთან შედარებით ხასიათდებიან ინტენსიური ზრდით და განვითარებული ვარჯით.		

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახე-ლება მეცნიერების დარგისა და სამეც-ნიერო მიმართულე-ბის მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	ლითონკომპლექსების სინთეზი, კვლევა და გამოყენება FR /436/ 6- 480/14, 2015-2018 წწ კოლოიდური ქიმია და ნანოქიმია, ვეტერინარია	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ლეილა ჯაფარიძე	ციალა გაბელია, ეთერ სალუქვაძე, ნანა ოსიპოვა, თამარ კვერნაძე, გივი ჩიმაკაძე
	გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			
	საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მიზნით (აგრარულ უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში), საკვლევი მოზარდი გოჭების სისხლში და შარდში განსაზღვრულია ცილების შემცველობა ანტიანემიური, პერორალურად მისაღები პრეპარატის მიღებამდე და მიღების შემდეგ. ლაბორატორიული კვლევის ფარგლებში დადგინდა პრეპარატის საინექციო და მყარი კომპოზიციების ტოქსიურობა, არატოქსიური და ოპტიმალური დოზები, არასასიკვდილო (სდ0), საშუალო (სდ50) და სასიკვდილო (სდ100) კონცენტრაციები. მოზარდი გოჭების ორგანიზმზე პრეპარატების ზემოქმედების და გვერდით მოვლენების გამოვლენისათვის ჩატარდა პათანატომიური და ჰისტოლოგიური კვლევები. საველე პირობებში (ზაჰესის მეღორეობის კერძო ფერმაში) სისტემატიური დაკვირვების შედეგად შეფასდა			

	საკვლევ ცხოველების ფიზიკურ- ფიზიოლოგიური მდგომარეობა და ცოცხალი მასის დღეღამური ნამატი. დადგენლია, რომ პრეპარატის გავლენით გოჭების სისხლში საერთო ცილის (ალბუმინის), მიკროელემენტების შემცველობა გაიზარდა, შარდში ცილები, ერითროციტები და ლეიკოციტები პრეპარატის მიღებამდე და მიღების შემდეგ არ დაფიქსირებულა. პათანატომიური და ჰისტოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ პრეპარატის მიღება არ იწვევს შინაგანი ორგანოების ცვლილებებს, პრეპარატზე ორგანიზმის რეაქცია რჩება ნორმის ფარგლებში. ლაბორატორიული თეთრი თაგვებისათვის საინექციო ხსნარის (სდ0) შეადგენს 0,04 მლ/სულზე (Fe- 3,0მგ), (სდ50) =0,1 მლ/სულზე (Fe- 7,5მგ), ხოლო (სდ100) =0,165მლ/სულზე (Fe-12,58მგ). პერორალურად მისაღები პრეპარატისათვის ანალოგიური მაჩვენებლები შეადგენს (სდ0)=40მგ/სულზე,სდ50=100მგ/სულზე,სდ100=165მგ/სულზე. მოზარდი გოჭებისათვის სამჯერ, პერორალურად მისაღები პრეპარატის სამმაგი (112,5-225 მგ; Fe-1,5-3,0 მგ), ორმაგი (75,0-150; Fe-1,0-2,0 მგ) და თერაპიული დოზის (37,5-75,0; Fe- 0,5-1,0 მგ) მიწოდების შედეგად დადგენილია, რომ აღნიშნული დოზის და შედგენილობის პრეპარატი არ იწვევს ნეგატიურ და ფუნქციონალურ ცვლილებებს მოზარდი გოჭებისათვის ორგანიზმში. ამასთან დადგენილი ოპტიმალური რაოდენობის- 75მგ ელემენტური რკინის შემცველი პრეპარატის მიწოდების შედეგად ცოცხალი მასის ნამატი 3,65კგ-ით მეტია საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით.

გამოგონებები (საავტორო მოწმობები, პატენტები)

წლები	დასახელება
2017 წწ.	**2016 14050U „ხელატური თუთიის გამოყენება ვერმიკულტივირებაში“** ავტორები/ პატენტთმფლობელები: ი.ბეშკენაძე, ნ.ჟორჟოლიანი, ვ.ციციშვილი, ს.უროტაძე, მ.გოგალაძე, ნ.კლარჯეიშვილი, თ.გეჯაძე
2017 წწ.	**AU 2017 14128 U ცხოველთა ლითონდეფიციტური ანემიის კომპოზიციური პროფილაქტიკურ- სამკურნალო საშუალება.** ავტორები/ პატენტთმფლობელები: ც. გაბელია,ს. უროტაძე, ლ. ჯაფარიძე, ე. სალუქვაძე, გ.ჩიმაკაძე, ნ. ოსიპოვა, თ. კვერნაძე

ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია საქართველოში: 1 მონოგრაფია ((იხ. პუბლიკაციების ნუსხა, #2), 6 სტატია (საერთო ნუმერაციის ##5, 7, 8, 17, 27, 28) პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებში, აგრეთვე 1 თეზისი (# 46) საქართველოში და 10 თეზისი (## 52, 53, 58, 59, 69, 73, 75, 76, 82, 83) საზღვარგარეთ ჩატარებული სამეცნიერო ფორუმების მასალებში, მიღებულია 2 პატენტი.

პუბლიკაციები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტების თემატიკის ფარგლებში:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გივი პაპავა, ია ჩიტრეკაშვილი, ნორა დოხტურიშვილი, ნაზი გელაშვილი, ეთერ გავაშელიძე, მარინა გურგენიშვილი	კარდული ტიპის არომატული რთული პოლიეთერები	გამომცემლობა უნივერსალი 2017 წ.	270
2	М.Цинцадзе, Н.Гегешидзе, Н.Жоржолиани, И.Бешкенадзе, Г. Цинцадзе	Координационные соединения металлов с 1-[2-(бензилкарбамоил)-этил]-2-изоникотиноилгидразидом (ниаламидом)	Издательский дом „Технический Университет“ Тбилиси 2017 www.gtu.ge	96

სახელმძღვანელოები

№	ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 (3)	კ. გონსალეს-მიულერი, ტ. ჩერნიაცსკაია, მ. ადეიშვილი, ნ. ხეცურიანი.	რესურსეფექტური და უფრო სუფთა წარმოების მოკლე ცნობარი აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველ ქიმიურ ნივთიერებებთან მოპყრობა,	http://recp.ge/wp-content/uploads/2017/04/გაერ ოს-ცნობარი-Chemical.pdf	66

სტატიები

№	ავტორები	სტატიის სათაური	ჟურნალის/კრებულის დასახელება, ტომი(ნომერი): გვერდები	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 (4)	N.Khetsuriani, V.Tsitsishvili, E.Topuria, A.Mikaia	Study of Polycyclic Aromatic Hydrocarbons of Norio Oil by GC-MS Method. ნორიოს ნავთობის პოლიციკლური არომა-ტული ნახშირწყალ-ბადების შესწავლა **GC-MS** მეთოდით.	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 11(1): 52-57 საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	6
2 (5)	I.Beshkenadze, M.Gogaladze N.Klarjeishvili, O.Lomtadze G.Kozmanishvili, N.Khirtsilava	Results of Physico-Chemical Study of Chelate-Type Compounds with Mixed Ligands შერეულლიგანდიანი ხელატური ტიპის ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის შედეგები	იქვე, 11(2):57-61	-:-	5
3 (6)	V.Tsistishvili I.Ivanova, Ts.Ramishvili, N.Kokiashvili, T.Bukia, I.Dobryakova, Gr.Kurtsikidze	Catalytic conversion of linalool on micro-mesoporous BEA-type zeolite . ლინალოოლის კატალიზური გარდაქმნა მიკრო-მეზოფოროვან ბეტა ცეოლითზე	იქვე, 11(3): 79-85	-:-	7

4 (7)	O. Lomtadze, V. Tsitsishvili, L. Tskhvedadze, N. Kavtaradze, K. Ebralidze, N. Shalvashvili.	Innovative Insecto-Acaricidal Preparation Against Aphids of Peach Plantings ინოვაციური ინსექტო-აკარიციდული პრეპარატი ატმის ბუგრების საწინააღმდეგოდ	იქვე, 11(4):	-:-	6
5 (8)	I.Beshkenadze, A.Chagelishvili, M.Gogaladze, G.Chagelishvili, N.Klarjeishvili, I.Lomtadze, Z.Molodinashvili	Study of Physiological Activity of Microelements- and Glutamine Acid-containing Chelate Citrates მიკროელემენტების და გლუტამინის მჟავას შემცველი ხელატური ციტრატების ფიზიოლოგიური კვლევა	Annals of Agrarian Science, 15:243-246	თბილისი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. მწარმოებელი და მასპინძელი Elsevier B.V.	4
6 (9)	გ.წინწკალაძე, ლ.ეპრიკაშვილი, ნ.მუმლაძე, ვ.გაბუნია, თ.შარაშენიძე, მ.ზაუტაშვილი, თ.შატაკიშვილი, თ.კორძახია	აზოტოვანი ცეოლითური ნანომასალა და მისი, როგორც სასუქის გამოყენების შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში.	იქვე, 15:365-369	-:-	5
7 (10)	ი. ჯინიყაშვილი, მ.ციცაგი, ქ.სარაჯიშვილი, ქ.ებრალიძე, ვ.ციციშვილი	პიროლოფტალაზინების სინთეზი	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 43(1):26-29	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	4
8 (11)	ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, ლ.ბიჩკოვა, რ.გულიაევი, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი	Исследование напряженных нанослоев полупроводников $A^{IV}B^{VI}$ на диэлектрических подложках $A^{IV}B^{VI}$ ნახევარგამტარების დაძაბული ნანოფენების დიელექტრიკულ საფენებზე კვლევა	იქვე, 43(1): 57-68	-:-	12
9 (12)	გ. ხიტირი, თ.გაბუნია, ზ. ამირიძე	ზოგიერთი მოსაზრება მილსადენის ნარჩენის გამოყენების სფეროების შესახებ.	იქვე, 43(1):79-80	-:-	2
10 (13)	მ.ციცაგი, მ.ჩხაიძე, მ.ხაჩიძე, მ.ბუზარიაშვილი, ქ.ებრალიძე, ვ.ციციშვილი	ვაშლის კანიდან ფლავონოლების, ტრიტერპენოიდების და პექტინის საფეხურებრივი ექსტრაქციები	იქვე, 43(1):107-110	-:-	4
11 (14)	ნ.ყალაბეგაშვილი, დ.იოსელიანი, გ.ბალარჯიშვილი, ლ.სამხარაძე, რ.ცისკარიშვილი, ა.დოლიძე.	ჩამდინარე წყლების გაწმენდა მძიმე მეტალებისაგან ადგილობრივი თიხების და მინერალ ბრუსიტის გამოყენებით.	იქვე, 43(2): 162-164	-:-	3

12 (15)	ვ.ციციშვილი, ნ.დოლაბერიძე, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი	Recrystallization of Natural Analcime in LTA Zeolite ბუნებრივი ანალციმის გადაკრისტალება LTA ცეოლითში	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 43(2):168-169	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	2
13 (16)	ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, ლ.ბიჩკოვა, რ.გულიაევი, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი	Сверхкритические слои селенида свинца при «отрицательных» давлениях ტყვია სელენიდის ზეკრიტიკული ფენები „უარყოფითი” წნევებისას	იქვე, 43(2): 179-188	-:-	10
14 (17)	ლ.ჯაფარიძე, ც. გაბელია, ე.სალუქვაძე, ნ. ოსიპოვა, თ კვერნაძე, ო. ლომთაძე	ლითონკომპლექსების შედგენილობის კვლევა ლითონინდიკატორული მეთოდის მიხედვით	იქვე, 43(2):191-194	-:-	4
15 (18)	ნ. ხეცურიანი, ე. უშარაული, ქ.გოდერძიშვილი, ი. მჭედლიშვილი, მ.კოპალეიშვილი	საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივი ბიტუმის კვლევა.	იქვე, 43(2): 202-205	-:-	4
16 (19)	ლ.ტატიაშვილი, ი.მიქაძე, რ.ურიდია, ნ.წეროძე, ნ.ნონიკაშვილი, ნ.ქარქაშაძე.	აფლატოქსინების ადსორბცია ტექნიკური ლიგნინის გამოყენებით.	იქვე, 43(2):240-243	-:-	4
17 (20)	ნ.ბარბაქაძე, ნ.ქავთარაძე, თ.დგებუაძე, ქ.ქოჩიაშვილი, მ.ჯაფარიძე, ლ.დოლიძე, ი.მიქაძე	Development of Environmentally Safe Rehabilitation Model of Household Landfills საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელების რეაბილიტაციის ეკოლოგიურად უსაფრთხო მოდელის შემუშავება.	იქვე, 43(2):244-246	-:-	3
18 (21)	ვ.ციციშვილი, ნ.დოლაბერიძე, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი	Synthesis of FER Type Zeolite FER ტიპის ცეოლითის სინთეზი	იქვე, 43(3-4): 321-325	-:-	5
19 (22)	გ.კანდელაკი, მ.ბუზარიაშვილი, მ.ხაჩიძე	ულტრაბგერითი და ელექტროლიზური ექსტრაქციის მეთოდით სტევიას მშრალი ექსტრაქტის მიღება	იქვე, 43(3-4): 393-396	-:-	4
20 (23)	ვ.ციციშვილი, ნ.დოლაბერიძე, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი, ჰ.ალემ-მარშანი	One-Step Synthesis of LTA Type Zeolite LTA ტიპის ცეოლითის ერთსტადიანი სინთეზი	იქვე, 43(3-4): 405-407	-:-	3

21 (24)	ა.ფაშაევი, ო.დავარაშვილი, მ.ენუქაშვილი, ზ.ახვლედიანი, ლ.ბიჩკოვა, მ.ძაგანია, ვ.ზლომანოვი	Новый анализ оптических параметров напряженных нанослоев полупроводников $A^{IV}B^{VI}$ $A^{IV}B^{VI}$ ნახევარგამტარების დაძაბული ნანოფენების ოპტიკური პარამეტრების ახალი ანალიზი	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 43(3-4): 418-426	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	9
22 (25)	ვ.ციციშვილი, ნ.დოლაბერიძე, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი	Synthetic Zeolites for Production of Bactericidal Sorbents სინთეზური ცეოლითები ბაქტერიციდული სორბენტების წარმოებისათვის	კრებული „თანამედროვე ფარმაცია – მეცნიერება და პრაქტიკა“ 1:8-12	ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მედიცინის ფაკულტეტი	5
23 (26)	მ.ციცაგი, მ.ჩხაიაძე, მ.ბუზარიაშვილი, მ.ხაჩიძე, გ.კანდელაკი, ი.რუბაშვილი, ც.რამიშვილი, ქ.ებრალიძე, ვ.ციციშვილი	Utilization of Agro-Industrial Wastes by Modern Extraction Methods აგრო-ინდუსტრიული ნარჩენების უტილიზაცია გამოყოფის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით	იქვე, 1:62-66		5
24 (27)	ნ.ჟორჟოლიანი, კ.ამირხანაშვილი, ო.ლომთაძე, ვ.ციციშვილი	Synthesis and Biological Potential of Coordination Compounds with Anesthetic Preparation ანესთეზიური პრეპარატების შემცველი კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და მათი ბიოლოგიური პოტენციალი	იქვე, 1:77-80		4
25 (28)	ე.სალუქვაძე, ც.გაბელია, ლ.ჯაფარიძე, ნ.ოსიპოვა, თ.კვერნაძე, ო.ლომთაძე	ანტიანემიური პრეპარატები ხელატური კომპლექსების საფუძველზე	იქვე, 1:81-84		4
26 (29)	Л.Эприкашвили, Т.Кордзахия, М.Дзагания, М.Зауташвили, Н.Пирцхалава	Восстановление почвенных экосистем природными цеолитами ნიადაგის ეკოსისტემების აღდგენა ბუნებრივი ცეოლითებით	Nano Studues, 14[1]:77-84	თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	8

[1] 2016 წლის ტომი, რომელიც გამოვიდა 2017 წელს და წინა ანგარიშებში გათვალისწინებულუ არ იყო.

ბ) უცხოეთში

კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 (30)	Levan Chkhartishvili, Lina Sartinska, Tsiuri Ramishvili	Advanced Environmental Analysis: Applications of Nanomaterials, Volume 1. Eds: Ch.Hussain, B.Kharisov, Chapter 8 – Adsorption selectivity of boron nitride nanostructures designed for environmental protection, pp, 167-192 პროგრესული ეკოლო-გიური ანალიზი: ნანო-მასალების გამოყენება, ტომი 1, თავი 8 - ბორის ნიტრიდის ნანოსტრუქტურების სორბციული შერჩევითობა გარემოსდაცვით მიმართებაში, გვ. 167-192.	UK, Cambridge Royal Society of Chemistry (RSC) დიდი ბრიტანეთი, კემბრიჯი, ქიმიის სამეფო საზოგადოება	25

სტატიები

#	ავტორები	სტატიის სათაური,	ჟურნალის დასახელება, ტომი(ნომერი):გვერდები	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 (31)	R.Skhvitaridze, T.Kordzkhia, G.Tsintskaladze, I.Giorgadze, Sh.Verulava	Scientific Fundament, Innovation, Practice and Benefits to Use Zeolite Tuff in Cement Manufacturing in Georgia საქართველოს ბუნებრივი მინერალებისა და ტექნოგენური წყაროების სამეცნიერო საფუძვლები და რეაციონალური გამოყენების პრაქტიკა ცემენტის წარმოებაში	International Journal of Advanced Research (IJAR), 5(11):211-216 **ISSN 2320-5407 Impact-Factor: 6.118**	ინდოეთი	6
2 (32)	N.Dolaberidze, V.Tsitsishvili, M.Alelishvili, N.Mirdzveli, M.Nijaradze	Synthesis of LTA Type Zeolites from Georgian Clinoptilolite LTA ტიპის ცეოლითების სინთეზი საქართველოს კლინოპტილოლიტის გამოყენებით	Chemistry, Physics and Technology of Surface, 8(3):346-352	კიევი, უკრაინა	7
3 (33)	V.Tsitsishvili, N.Dolaberidze, S.Urotadze, M.Alelishvili, N.Mirdzveli, M.Nijaradze	Ion Exchange Properties of Georgian Natural Zeolites საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების იონმიმოცვლითი თვისებები	Chemistry Journal of Moldova, 12(1):95-101	კიშინიოვი, მოლდოვეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	6
4 (34)	Ts. Ramishvili, V. Tsitsishvili, N. Kokiashvili , V. Gabunia, N. Inanashvili.	Modified forms of natural zeolites-clinoptilolite and heulandite as an effective catalysts for synthesis of acetylsalicylic acid. ბუნებრივი ცეოლითების-კლინოპტილოლიტის და ჰეილანდიტის მოდიფიცირებული ფორმები აცეტილსალიცილის მჟავას სინთეზის ეფექტური კატალიზატორები	Asian Journal of Science and Technology, 8(6):4985-4995 **ISSN 0976-3376 Impact factor 6,315, Google Scholar, Ebsco**	ინდოეთი, ნიუ დელის უნივერსიტეტი	11

5 (35)	Ts.Ramishvili, V.Tsitsishvili, R.Chedia, V.Gabunia, E.Sanaia, N.Kokiashvili	Preparation of ultradispersed crystallites of modified natural clinoptilolite with the use of ultrasound and its application as a catalyst in the synthesis of methyl salicylate ულტრაბგერით მოდიფიცირებული ბუნებრივი კლინოპტილოლიტის ულტრადისპერსული კრისტალიტების მიღება და მისი გამოყენება კატალიზატორად მეთილსალიცილატის სინთეზში	American Journal of Nano Research and Applications, 5(3-1):26-32 **ISSN** 2331-0685 **Impact factor 5, Thomson Reuters** ამერიკული ჟურნალი ნანო კვლევისა და აპლიკაციების შესახებ. 2017, 5, 3-1,	New York, USA Science Publishing Group ნიუ-იორკი, აშშ სამეცნიერო საგამომცემლო ჯგუფი	7
6 (36)	G.Sh.Papava, N.S.Dokhturishvili, M.B.Gurgenishvili, N.S. Gelashvili, E.Sh.Gavashelidze, I.A.Chitrekashvili	Polymer compositions on the basis of polycyclic Groups Containing Novolac Tipe Oligomers. პოლიმერული კომპოზიციები პოლიციკლური ჯგუფების შემცველი ნოვოლაქის ტიპის ოლიგომერების ბაზაზე	Polymers Research Journal, 11(1):27-33	Waretown, NJ USA Apple Academic Press, Inc ვარეტაუნი, აშშ გამომცემლობა ეპლ აკადემიკ	7
7 (37)	G.Sh.Papava, N.S.Gelashvili, N.S.Dokhturishvili, E.Sh.Gavashelidze, M.B.Gurgenishvili, I.A.Chitrekashvili, K.R.Papava.	Cycloparafin Groups Containing Novolac Tipe Oligomers ციკლოპარაფინის ჯგუფების შემცველი ნოვოლაქის ტიპის ოლიგომერები	იქვე, 11(1): 33-41		8
8 (38)	N.Khetsuriani, K.Karchkhadze, V.Tsitsishvili, K.Goderdzishvili.	Production of Biodiesel Using Supercritical Fluids Technology. ბიოდიზელის წარმოება სუპერკრიტიკული სითხეებიის ტექნოლოგიის გამოყენებით.	Chemical Problems, 2017(1):21-25	ბაქო, აზერბაიჯანი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა	5
9 (39)	Т.Кордзахия, Р.Схвитаридзе, Г.Цинцкаладзе	Научные основы и практика использования цеолита в производстве цемента ცემენტის წარმოებაში ცეოლითის გამოყენების სამეცნიერო საფუძვლები და პრაქტიკა	World Science, 10(26):15-19	Ajman, UAE World Science აჯმანი, ა.გ.ე. გამომცემლობა World Science	5
10 (40)	Л.Эприкашвили, Н.Пирцхалава, М.Зауташвили, Т.Кордзахия, М.Дзагания, Г.Цинцкаладзе	Возможность использования нетрадиционных агроресурсов Грузии в повышении плодородия почвы საქართველოს არატრადიციული აგრორესურსების გამოყენების შესაძლებლობები ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისთვის	World Science, 11(27):60-63	Warsaw, Poland RC Global ვარშავა, პოლონეთი გამომცემლობა რც გლობალ	4

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების ორიგინალური და ქართული სათაური	ფორუმი, მისი ჩატარების დრო და ადგილი
1 (41)	ქ.სარაჯიშვილი, ნ.ჯალაბაძე, თ.ქორქია, ვ.გაბუნია, რ.ჭედია	Nanostructural Iron And Magnetite Powderp From Iron Pentacarbonile. ნანოსტრუქტურირებული რკინისა და მაგნეტიტის ფხვნილები რკინის პენტაკარბონილისაგან	კავკასიის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი პოლიმერებსა და ინოვაციურ მასალებში, 2-5 ივლისი, 2017, **თბილისი**
2 (42)	ა.მიქელაძე, ო. ცაგარეიშვილი, ლ.ჩხარტიშვილი, მ. დარჩიაშვილი, ქ. სარაჯიშვილი, რ. ჭედია	Obtaining of nanostructural ceramic powder composites using organic precursors of B_4C-TiB_2 ორგანული პრეკურსორების გამოყენებით B_4C–TiB_2 ნანოსტრუქტურული კერამიკული ფხვნილოვანი კომპოზიციის მიღება	
3 (43)	M.Gurgenishvili, I.Chitrekashvili, G.Papava, E.Gugava, R.Liparteliani, N.Khotenashvili, K.Papava, Z.Chubinishvili	Obtaining linear Bio-degradable Polymers of on the baze of Amido-Aldehyde co-Polymers ხაზოვანი ბიოდეგრადურებადი პოლიმერების მიღება ამიდო-ალდეჰიდური თანაპოლიმე-რების საფუძველზე	
4 (44)	G.Sh.Papava, M.B.Gurgfenishvili, N.S.Dokhturishvili, N.S.Gelashvili, I.A.Chitrekashvili, Z.Sh.Tabukashvili, Sh.R.Papava, L.G. Shamanauri,	Syntesis of card type Polyarilats კარდული ტიპის პოლიარილატების სინთეზი	
5 (45)	გ. ხიტირი, ი. ჩიკვაიძე, რ. კოკილაშვილი	Hydro Insulation Materials with Organic and Inorganic Additives and Residues (Innovative Technology) Гидроизоляционные материалы с органическими и неорганическими добавками и остатками (инновационная технология)	
6 (46)	M.Gogaladze, N.Klarjeishvili, O.Lomtadze, Z.Molodinashvili, N.Khurtsilava	Synthesis and Study of Mixed-Ligand High-Molecular Chelates მაღალმოლეკულური შერეულ ლიგანდიანი ხელატების სინთეზი და კვლევა	
XVI ს-ში ქართლის სამეფოსთან შედარებით ეკონომიკური კუთხით უკეთესი მდგომარეობაა კახეთის სამეფოში. შეიძლება ითქვას, რომ კახეთი ამ დროს ეკონომიკურ აღმავლობასაც განიცდის. ამის მიზეზი იყო მშვიდობიანი პოლიტიკის გატარება აგრესიულ ირანთან და მასთან ვასალური დამოკიდებულება, რამაც კახეთს საშუალება მისცა, რომ მიეხედა ქვეყნის ეკონომიკისთვის. როდესაც არ ხდებოდა შემოსევები, განვითარდა სოფლის მეურნეობა, მევენახეობა-მებაღეობა. კახეთის ეკონომიკურ წინსვლას ხელს უწყობდა აგრეთვე გილან-შემახია-ასტრახანის „აბრეშუმის გზის“ სიახლოვე და ამ პროცესში მისი აქტუალური ჩართვა. კახეთში ეკონომიკურ წინსვლას ხელი შეუწყო აგრეთვე ქვეყნის ცენტრალიზაციისთვის ჩატარებულმა რეფორმებმა სამოურავოების და სადროშოების შესახებ. ეკონომიკურმა აღმავლობამ კახეთში ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, აგრეთვე ახალი ქალაქების წარმოშობას (ზაგემი, გრემი). კახეთის ეკონომიკურ აღმავლობას და ზოგადად მის სახელმწიფოებრიობას წერტილი დაუსვა შაჰ აბასის 1614-1617 წწ-ის დამანგრეველმა შემოსევებმა. ქართლის სამეფოს ეკონომიკური აღმავლობა შედარებით გვიან მე-17 ს-ში დაიწყო, როდესაც ქართლს „გურჯისტანის ვალად“ წოდებული ქართლის მეფეები განაგებდნენ, განსაკუთრებით როსტომ მეფისა და ვახტანგ V-ის დროს. ისინი განსაკუთრებით ზრუნავდნენ ვაჭრობის განვითარებისთვის. ამ მხრივ, საინტერესოა, მდ. ხრამზე აგებული ხიდი და „ქარავანსარაი“, რომელსაც უნდა უზრუნველყო შემოსული მგზავრის ან ვაჭრის კომფორტი. ვახტანგ V განსაკუთრებით ზრუნავდა ევროპელ ვაჭართა თბილისში მოსაზიდად და ამისთვის სავაჭრო გადასახადების და ბაჟის ლიბერალიზაციას ჰპირდებოდა. ქართლში ეკონომიკური აღმასვლა ძალზედ შეაფერხა და თითქმის შეწყდა 1723 წლიდან „ოსმალობის“ და 1735 წელიდან „ყიზილბაშობის“ დროს. ამ დროს, რასაც თან ერთვოდა ლეკიანობა თითქმის გაჩანაგდა მწარმოებელი მოსახლეობა. XVIII ს-ში თეიმურაზ I-სა და ერეკლე II-ის დროს ხორციელდებოდა გაუკაცრიელებული ადგილების მოშენება. ამ მხრივ,მნიშვნელოვანია ე.წ. „მყრელობა“. მოახალშენეებს შეღავათებს უწევდნენ ან ანთავისუფლებდნენ გადასახადებისგან. გლეხის მიწაზე დამაგრების მიზნით, მეფე მკაცრად იცავდა და აკონტროლებდა ბატონყმური ურთიერთობის და წესების დაცვას, ტყვეობიდან განთავისუფლებულ გლეხებს ანთავისუფლებდნენ და ძველ ბატონს აღარ შეეძლო მათი დაყმევება. ასეთი გლეხების უმრავლესობა სამეფო და საეკლესიო ყმები ხდებოდნენ.ამ პერიოდში ქართლ-კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ბარის რეგიონში ეკონომიკის ტრადიციული დარგი იყო სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით პურეულის წარმოება. ივ. ჯავახიშვილს აზრით, XVII ს-ის დამდეგს საქართველოში შემოვიდა თავთუხი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, თუმცა მან ვერ მოიპოვა უპირატესობა ადგილობრივ ჯიშებთან დოლის პურსა და დიკასთან შედარებით. მარცვლეულ კულტურებში ხორბლის გარდა მოჰყავდათ აგრეთვე შვრია, ქერი. აღმ. საქართველოში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე პარკოსან კულტურებს: ბარდას ცერცვს, ოსპს, ლობიოს. მოჰყავდათ აგრეთვე ბოსტნეული, ისეთი კულტურები, როგორიც იყო სელი, კანაფი და ბამბა. სოფლის მეურნეობის

წამყვან დარგს წარმოადგენდა მევენახეობა-მეღვინეობა. შიდა მოხმარების გარდა ღვინო საექსპორტო პროდუქტი იყო ეკონომიური დაქვეითების დროსაც კი. ამ მხრივ, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი კახეთი გამოირჩეოდა. კახეთში მისდევდნენ აგრეთვე მეაბრეშუმეობასაც, რაც ზრდიდა მის შემოსავალს. აბრეშუმს ხარკის ან ძღვენის სახითაც იყენებდნენ. ქართლსა და კახეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში სიმბიოზურად იყო განვთარებული მესაქონლეობაც, რასაც ადგილობრივი ჯიშები და ნოყიერი საძოვრებიც უწყობდა ხელს, როგორებიც იყო დიღმისა და მუხრანის ველები, აღაიანის მინდორი, საჯოგის ჭალა და სხვ. განსაკუთრებით ფასობდა ცხენის ჯიში კახეთიდან, რომელსაც „გურჯის“ უწოდებდნენ. ქართლისა და კახეთის ცხვრის ზაფხულის საძოვრად ფარავნის ტბის მიდამოებში ძოვა არ შეწყვეტილა თვით ახალცხის საფაშოს შექმნის შემდეგაც. დოკუმენტურ მასალაში ფიქსირდება, რომ ექსპორტის ძირითად საგანს წარმოადგენდა ღვინო და აბრეშუმი,ძნელბედობის ჟამსაც კი, ასევე, რკინეულობა, ერბო, ყველი, მატყლი, ცხვარი. შემოჰქონდათ მარილი, ბრინჯი, დამარილებული თევზი, ცხენის აღკაზმულობა, ირანული შალი, ინდური ქსოვილები და ტყავი და სხვ. არალეგალური ექსპორტის საგანი იყო ადამიანებით ვაჭრობა, რომლითაც უფრო დას. საქართველო იყო ცნობილი. ქვეყნის შემოსავლის გაზრდის მიზნით მეფის ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავდა სასარგებლო წიაღისეულის ათვისებას.

როდესაც არსებობს სახელმწიფო, მაშინ არსებობს უფრო გამართული და დახვეწილი სამართლებრივი სივრცე. მეფის ხელისუფლების დასუსტება და სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლა ყოველთვის იწვევდა ანარქიული და არასახელმწიფოებრივი მდგომარეობის შექმნას ფეოდალური პერიოდის ნებისმიერ ეტაპზე. ამ მხრივ, ქართულ სახელმწიფოებრიობას განსაკუთრებული ზიანი მიაყენა მონღოლთა ბატონობამ, რომელმაც ძლიერ დააზიანა ქართული სამართლებრივი სივრცე. ვგულისხმობთ ხას-ინჯუს ინსტიტუტს, რომელმაც ხელი შეუწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის დაშლას. მონღოლები და შემდგომი პერიოდის გარეშე მტრის, დამპყრობელის გადმოსახედიდან ცდილობდნენ საქართველოში არ ყოფილიყო მეფის ცენტრალიზებული ძლიერი ინსტიტუცია, ამიტომ იყო, რომ მისგან განდგომის მოსურნე ნებისმიერ ელემენტს ახალისებდნენ და სამეფო ხელისუფლებას რამოდენიმე კანდიდატზე ანაწილებდნენ. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ხელისუფალი, რომელიც ახდენდა მეფის ხელისუფლების ცენტრალიზაციას, იგი მაშინვე სამართლებრივი სივრცის აღდგენას იწყებდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულთათვის „ძეგლის დების“ შექმნა, ასევე, ბექა-აღბუღას სმართლის კოდექსი, ხელმწიფის კარის გარიგება და სხვ. რომლებიც უზრუნველყოფდა ნებისმიერი სამართლებრივი სფეროს გამართულად მუშაობას. ქართული სახელმწიფოს სამართლებრივ ასპექტებზე ცუდი გავლენა მოახდინა XIV ს-დან დაწყებული უმძიმესმა საგარეო ფაქტორმა, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე დაშლის პროცესს. დაშლილი საქართველოს პერიოდში, რომელსაც ამასიის ზავის შემდეგ თან დაერთო ქართული სამეფო-სამთავროების შუაზე გაყოფა ირანსა და ოსმალეთს შორის, ბუნებრივია, მოქმედებდა როგორც ზოგადი სამართლებრივი ნორმები, ასევე ადგილობრივიც. ყველა სამეფო-სამთავროში საერთო იყო საეკლესიო სამართლის ნორმები, რის საფუძველსაც ინარჩუნებდა ჯერ კიდევ ერთიანი საეკლესიო სივრცე.

საკანონმდებლო ძეგლებიდან უნდა აღვნიშნოთ ვახტანგ VI სამართლის წიგნი და დასტურლამალი, რომლებიც ძირითადად იძლევიან ინფორმაციას გვიან შუა სს-ის ქართული სამეფოს სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი

მმართველობის შესახებ. ვახტანგ VI-ის სამართალი გარდა წინა სამართლის კრებულებისა, ეყრდნობა ვახტანგის რჯულსაც, რომელიც წარმოადგენს მის თანადროულ ქართულ ჩვეულებით სამართალს. იგი ასევე შეიცავს მეზობელ ხალხთა (მაგ.: სომხური) სამართალსაც. ძეგლი ორჯერ არის გამოცემული, ცალკეული კრებულები თარგმნილია ინგლისურად, 1887 წელს რუსულად გამოსცა დ. ბაქრაძემ. 1915 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოვიდა ნ. თარხნიშვილის სასამართლო წარმოება საქართველოში ვახტანგ VI კანონების მიხედვით. დასტურლამალი უმნიშვნელოვანესი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. იგი შედგება სამეფო და სადედოფლო დასტურლამალისგან. ძეგლის მიხედვით, საქართველო დაშლილ მდგომარეობაშია და იგი უშუალოდ ეკუთვნის ქართლის სამეფოს, რომელიც ირანთან ვასალურ დამოკიდებულებაშია – შაჰი „ხელმწიფედ“, ქართლის მეფე კი „ბატონად“ მოიხსენიება. თუმცა, ცალკეულ საბუთებში მოხსენიებული მეფეთა ტიტულატურა მიუთითებს მათ ამბიციას მეფის ხელისუფლების განმტკიცების შესახებ. დასტურლამალში აღწერილია სასახლეში მიღებისა და ნადიმობის წესები, ცენტრალური და ადგილობრივი აპარატის მოხელეები. სასახლის მთავარი განმკარგულებელი სახლთუხუცესი იყო. დასტურლამალი ერთადერთი ძეგლია, სადაც განსაზღვრულია „ელის“ ხალხთა რიგის შესახებ. ქართველმა მკვლევარმა ვ. გაბაშვილმა ერთმანეთს შეადარა სპარსული და ქართული დასტურლამალები და დაამტკიცა, რომ ვახტანგ VI დროს შექმნილი ეს ძეგლი ორიგინალური ქართული სახელმწიფო სამართლის შემცველია. დასტურლამალი პირველად გამოსცა პ. უმიკაშვილმა, შემდეგ ი. დოლიძემ ქსძ-ის II ტომში.ქართული სახელმწიფო სამართლის კუთხით მნიშვნელოვანი წყაროა დავით ბაგრატიონის საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა (აპ. როგავას რედაქციით, თბ. 1959), რომელიც სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ნორმებს მოიცავს. იგი იყენებს ვახტანგ VI სამართალს. ი. სურგულაძეს ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიაჩნია იოანე ბატონიშვილის პროექტი სახელმწიფო რეფორმების შესახებ, რომელიც გამოცემული არ არის და იგი ინახება – 2155 ფონდში. შემდეგი ძეგლი, რომელიც ასევე შევიდა ვახტანგ VI სამართლის კრებულში არის XVI ს-ის ძეგლი „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“.გარდა ამისა, მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება განსახილველ საკითხთან მიმართებაში ის მრავალფეროვანი, დიდი რაოდენობის სიგელ-გუჯრები, განჩინებები, წყალობის წიგნები და სხვ., რომლებიც ზედმიწევნით ასახავს XVI-XVIII სს-ის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ფორმებს. ეს დოკუმენტური მასალა გამოცემულია თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ III ტომში, ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენში“ (ტ. I, II, III), ი. დოლიძის „ქართული სამართლის ძეგლებში“.

და ქვეთემა: 3. „ქართლი XVI ს-ის II ნახევარში, სვიმონ I.“

1556 წელს ქართლის ტახტზე მეფედ ქართველთა სასიქადულო მეფე სვიმონ I ავიდა. როგორც ცნობილია, იგი სიცოცხლეშივე, გარისის ომის წინ გაამეფა ღირსეულმა ლუარსაბ I, რომელმაც ქედი არ მოუხარა მრისხანე დამპყრობლებს სულეიმან I და შაჰ-თამაზს, აგრძნობინა მათ, რომ თავისუფლება არ იყიდებოდა ძვირადღირებულ ხალათებსა და ქუდებზე, რომ მძიმე ფსიქოლიგიური შემოსევებით ვერ დააშინებდნენ ქართველობას, რათა უარი ეთქვათ ისეთ ღირებულებაზე, როგორიც თავისუფლებაა. მიუხედავად ამ სულისკვეთებისა, შაჰ თამაზის ოთხმა დამანგრეველმა ლაშქრობამ სავალალო შედეგები მოუტანა ქართლს მატერიალური თვალსაზრისით. ასეთ რთულ პირობებში მეფდება სვიმონი, რომელმაც თავიდანვე გამოამჟღავნა მხედრული ნიჭი და მამასავით სწრაფვა და ბრძოლა

თავისუფლებისთვის. სიმონის მთავარი სამიზნე თბილისი იყო, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა და მისგან შევიწროებულები მუდმივად შველას ითხოვდნენ. სვიმონის შიშით თბილისში მდგარი ყიზილბაში ჯარისკაცები თამამად ვერ გადაადგილდებოდნენ. სვიმონი სანამ გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოემზადებოდა, მანამდე მან ბაგრატიონთა სხვა შტოებთან დაიჭირა მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა. დაუმეგობრდა ბაგრატის შვილს არჩილ მუხრანბატონს, რომელიც მეფის მომხრედ ითვლებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, საფურცლესთან გამართულ ბრძოლაში იგი ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა და ყაზვინში გაგზავნეს, რაც დიდი დარტყმა იყო სვიმონ მეფისთვის. სვიმონი ასევე, დაუმოყვრდა კახეთის მეფე ლევანს, როდესაც მისი ასული ნესტან-დარეჯანი შეირთო ცოლად. ფაქტიურად, მან ყიზილბაშთა წინააღმდეგ საყრდენი ძალა შეიძინა. ციხედიდთან ქართველთა დაუდევრობით გამოწვეულმა მარცხმა სვიმონს თბილისისთვის ბრძოლის პოზიციები გაურთულა, რადგან ყარაბაღის მმართველმა შაჰვერდი ზიადოღლიმ შეძლო თბილისში შესვლა და დახმარება აღმოუჩინა იქ მყოფ გარნიზონს. სვიმონ მეფე ისევ პარტიზანული ომების მეთოდზე გადავიდა და კვლავ მოსვენებას უკარგავდა მტერს.

როგორც ხდებოდა ხოლმე საქართველოში „ციხე შიგნიდან ტყდებოდა“. მიუხედავად სვიმონის თვგანწირული ბრძოლისა და სულისკვეთებისა თავისუფლებისთვის, მტერზე მეტი ზიანი საკუთარმა თვისტომმა მიაყენა. მეფის ძმა უფლისწული დავითის შაჰთან მისვლა, გამაჰმადიანება და მისდამი მორჩილების გამოცხადება ცხადად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ქართველ ერს მართლაც უჭირდა სულიერად და მას ლუარსაბის და სვიმონის მსგავსი გაუტეხელი, სულიერად ძლიერი წინამძღოლები ნამდვილად სჭირდებოდა. სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივად აზროვნება იმდენად ვიწრო იყო ამ პერიოდში, რომ თავის გადარჩენას უმრავლესობა მტერთან ალიანსში ხედავდა. დაუდ ხანს განსაკუთრებით ბარათაშვილები უჭერდნენ მხარს, შაჰმაც მას თბილისი და ქვემო ქართლი მისცა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ „ეს იყო სეფევიდების მიერ ქვემო ქართლის სახანოდ გადაქცევის პირველი ცდა“. თუმცა შესაძლებელია ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებაც წამოვაყენოთ, კერძოდ, ქვემო ქართლი, რომელიც საბარათიანოს მოიცავდა საუფლისწულოც უნდა ყოფილიყო და ისინი კონკრეტულ უფლისწულს ექვემდებარებოდნენ, იმ პოლიტიკას იჭერდნენ, რომელსაც ქვემო ქართლში მყოფი უფლისწული დაადგებოდა (შდრ. კონსტანტინე მეფის და ბარათაშვილების თავდაუზოგავი ბრძოლა თეთრბატკნიანების წინააღმდეგ). რაც შეეხება სახანოს, ყიზილბაშები არა მარტო ქვემო ქართლის, არამედ მთელი ქართლის სახანოდ გადაქცევას ისურვებდნენ. აღნიშნულის თქმის უფლებას გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები, რომლის მიხედვით, ჯერ კიდევ მონღოლების პერიოდიდან თბილისთან ერთად ჩანს ეს სასაზღვრო მხარე, რომელსაც დამპყრობელი კონკრეტულ უფლისწულს გადასცემს. დაუთ ხანს დაცინვით „უხმობენ საბარათიანოს ბატონს“ ეძახდნენ. სვიმონმა იგი 1567-1568 წწ-ში დაამარცხა დიღომთან და სამადლოსთან და ფაქტიურად თბილისიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. 1569 წელს შაჰ თამაზმა უზარმაზარი ჯარი გამოგზავნა საქართველოში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ შაქისა და ყარაბაღის ჯარები, საშამხლოს რაზმები. მიუხედავად მტრის მრავალრიცხოვნებისა, სვიმონმა დაამარცხა ყიზილბაშები, გამარჯვებით გათამამებული დაედევნა უკან გაქცეულ მტერს, მოწყდა ძირითად ლაშქარს და კვლავ მოღალატეთა წყალობით, ტყვედ ჩავარდა. ეს ძალიან დიდი გამარჯვება იყო შაჰ თამაზისთვის, ვინც განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ის

უკვე მის ხელთ იყო. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, შაჰ თამაზმა ვერ გაამაჰმადიანა სვიმონი, რომელმაც 9 წელი (1569-1578) ალამუთის ციხეში გაატარა. სვიმონის მიმართ რომ არ განხორციელდა დამამცირებელი და ძალადობრივი ქმედებები მიუთითებს, რომ იგი საპატიო ტყვედ მიიჩნეოდა. ამის თვალსაჩინოდ შეიძლება აღვნიშნოთ ის, რომ დაუთ ხანი შაჰმა „შვილად“ მიიღო, სვიმონი კი შემდგომ (უკვე შაჰ ისმაილ II-მ) „ძმად“ აღიარა და რაყიმი უბოძა.

1578 წელს ირან-ოსმალეთის ომი დაიწყო, რომლის შედეგად სარდალ ლალა მუსტაფა ფაშას მეთაურობით სამხრეთ კავკასია და მათ შორის ქართული სამეფო-სამთავროები ოსმალეთმა დაიპყრო. ირანის შაჰი მიხვდა, რომ უნდა შეეცვალა პოლიტიკა ქართველი ტყვეების მიმართ და გამოეყენებინა ისინი ისტორიული მტრის ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამჯერად სვიმონი ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში, იგი როგორც ქართლის მეფე დაბრუნდა საქართველოში. 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა ახალციხე დაიკავეს და მალევე თბილისშიც შევიდნენ. სვიმონი საქართველოში იმავე წლის ოქტომბერში ჩამოვიდა, ამჯერად მას თბილისიდან ოსმალთა ჯარი უნდა განედევნა. დაუთ ხანმა ეს ფუნქცია ვერ შეასრულა, რომელიც ამჯერად ოსმალების მხარეს გადავიდა. სვიმონს სხვა ქართველი მეომრებიც ჩამოყვნენ, მაგ., ზემოთ მოხსენიებული არჩილ მუხრანბატონიც, რომელიც ასევე გაათავისუფლეს ტყვეობიდან. შაჰმა ქართველებს სარდალი ალი ყული ხანი გამოაყოლა 5000 კაციანი რაზმით. ეს ფაქტიც მიუთითებს იმას, რომ ირანი არ აპირებდა აღმოსავლეთ საქართველოზე უარის თქმას. როგორც მოსალოდნელი იყო თბილისი საფაშოს ცენტრად გამოაცხადეს, ფაშამ მალევე დაიკავა გორი, რომელიც სანჯაყის ცენტრად იქცა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თბილისის დაკარგვის შემდეგ ქართლის მეფეთა რეზიდენცია გორი გახდა, ადვილი მისახვედრია, რომ სვიმონს ეს თავშესაფარიც მოუსპეს და მას გორისთვისაც მოუწევდა ბრძოლა. სვიმონი ოსმალების წინააღმდეგაც იყენებდა პარტიზანულ მეთოდს, რაც ეხმარებოდა მათ შევიწროვებაში. ოსმალებს საკმაოდ გაუჭირდათ ქართლში ლაშქრობა. მუსტაფა ლალა ფაშას წასვლის შემდეგ სვიმონმა გაანთავისუფლა გორი, ლორე და სხვა ხეობები, რჩებოდა მხოლოდ თბილისი, რომელიც აქილევსის ქუსლად იქცა ოსმალეთის სულთნისთვის, რადგან იქ მყოფი გარნიზონის უსაფრთხოდ შენახვა ძალების მიშველებას გულისხმობდა. მათთვის შემაფერხებელი გარემოება იყო შედარებით ტერიტორიული სიშორე თბილისამდე, ამიტომ სჭირდებოდათ ბუფერული ზონა, რომელიდანაც უმოკლესი გზით შეიძლებოდა თბილისში შესვლა. არ არის გამორიცხული, მათ მიერ გამოცხადებულ ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოს შეესრულებინა ეს ფუნქცია. სვიმონმა ყიზილბაშებთან ერთად ძალზედ შეავიწროვა თბილისში მყოფი ოსმალთა გარნიზონი, რომლის დასახმარებლად მუსტაფა ლალა ფაშამ დამოსკოს ფაშა ჰასანი გამოგზავნა. მან დიდი მსხვერპლის ფასად, სხვადასხვა ხერხითა და თვალთმაქცობით შეაღწია თბილისში დმანისის ხეობის გავლით და ყარსში დაბრუნდა. ასევე დიდი ზიანი მიაყენეს იმავე მისიით მოსულ სინან ფაშას 1580 წელს, რომელიც ასევე დმანისის გზით შევიდა თბილისში. სვიმონმა მუხრანთან დაამარცხა აგრეთვე კიდევ ერთი ოსმალო ჰადიმ მეჰმედ ფაშა. ოსმალების წინააღმდეგ მოკავშირედ სვიმონს ეხლა ყველაზე მეტად სამცხის ათაბაგები დასჭირდებოდა. ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ ჯაყელსაც სვიმონის მხარდაჭერა ჰაერივით სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ მათ შორის ნათესავური კავშირი დამყარდა. სვიმონის ქალიშვილი ელენე ცოლად შეირთო მანუჩარმა. 1584

წელს საქართველოში შემოვიდა ახალი ოსმალო სარდალი ფერჰად ფაშა, რომელმაც ლორე და დმანისი გაამაგრა, დმანისიდან კი თბილისში რეზვან ფაშა გამოგზავნა. როგორც ჩანს, ოსმალებისთვის დმანისი ერთ-ერთი უმოკლესი გზა იყო თბილისში ჩასასვლელად. სვიმონმა ელჩის სახით დაზვერა ოსმალთა ჯარი ხატისოფელთან და შემდეგ თავს დაესხა. ამის შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა ლორესთვის, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ოსმალები კვლავ ფლობდნენ გოორის ციხეს. ასეთი თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთის სულთანმა, რომელსაც გადაეცა თითქმის მთელი სამხრეთ კავკასია, ხარკის გადახდის პირობით სვიმონი ქართლის ქრისტიან მეფედ სცნო.

1599 წელს 9 თვის ალყის შემდეგ სვიმონმა ოსმალებს გორის ციხე წაართვა. უკანასკნელი ბრძოლა სვიმონმა 1600 წელს გადაიხადა ჯაფარ ფაშას წინააღმდეგ ფარცხისის მიდამოებში, რომელიც მეფისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი შემთხვევით ტყვედ ჩავარდა, სვიმონი იედიყულეს ციხეში გამოკეტეს. მთელს იმპერიაში სამ დღიანი ზეიმი გამოაცხადეს. სვიმონი ტყვეობაში გარდაიცვალა, დიდი საჭურჭლის ფასად მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გმირი მამის ლუარსაბის გვერდით სვეტიცხოველში დაკრძალეს. XVI ს-ში ქართლის სამეფოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის. ქართლის სამეფო კვლავ თამაშობდა საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს. იგი იყო წამყვანი მხარე და ნებისმიერი გაერთიანების მცდელობაც მისით იწყებოდა.

პაპუნა გაბისონია – თემა: ***დასავლეთ საქართველოს სამეფოები I-X საუკუნეებში (V-VI პერიოდი)***

მიმდინარე წელს დამუშავდა ორი ქვეთემა: 1. „დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრიობა IX-X საუკუნეებში. „აფხაზთა სამეფოს“ საშინაო და საგარეო ურთიერთობები“; 2. „დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები XV საუკუნის II ნახევრიდან XVIII საუკუნის II ნახევრამდე.“

1. ქვეთემა: VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში ახალი პოლიტიკური ერთეული „აფხაზთა სამეფო” შეიქმნა, რომელიც ისტორიოგრაფიაში ხშირად ეგრის-აფხაზეთის სახელით არის ცნობილი. ამ სახელმწიფომ ჩაანაცვლა ეგრისის, იგივე ლაზიკის სამეფო. ამ პოლიტიკური ერთეულის სახელწოდება იმ საერისთავოს სახელიდან მომდინარეობს, საიდანაც იყო მმართველი დინასტია. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნას საფუძველი აფხაზეთის ერისთავმა ლეონ II (753-798 წწ.) ჩაუყარა, რომელმაც ისარგებლა ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე შიდა დაპირისპირებით და მთელ დასავლეთ საქართველოში თავისი სიუზერენიტეტი დაამყარა, როდესაც დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილის მმართველი იოანე გარდაიცვალა. ლეონ II-ის განხორციელებულ აქტს ლეგიტიმურობას ისიც მატებდა, რომ მის საერისთავო დინასტიას ეგრისის უწინდელ სამეფო საგვარეულოსთან და ასევე ქართლის ერისმთავრების დინასტიასთან ნათესაური კავშირები გააჩნდა.

ლეონ II თავის ახლადშექმნილი სახელმწიფოს სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა. მანამადე აფხაზთა ერისთავები ქართულ ფეოდალურ სისტემაში ინტეგრირებულები იყვნენ. ამიტომ განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად, „აფხაზთა სამეფო” ერთერთი რიგითი ქართული პოლიტიკური ერთეული იყო. ამ სამეფოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი შავიზღვისპირას მდებარე ქალაქ ნიკოფსიასთან (დღ. ნოვო მიხაილოვკა, რუსეთი) გადიოდა მდინარე ნეჩეფსუხოზე. აქედან მოყოლებული კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით ამ სამეფოს საზღვარი შავიზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს 300 მილის მანძილზე მიუყვებოდა. ამის მიხედვით ეგრის-აფხაზეთის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი

საზღვარი დღევანდელ თურქეთში მდებარე ზღვისპირა სოფელ kiyicik-s ემთხვევა, რომელსაც ოფიციალურად ამ სახელის დარქმევამდე ჭანურად მაცხორა ერქვა, რაც მაცხოვარს ნიშნავს. სწორედ „სოტერიუპოლისის" ანუ იგივე მაცხოვრის ქალაქად იხსენიებს კონსტანტინე პორფიროგენეტი იმ დასახლებას, სადაც იყო ბიზანტიის იმპერიასა და აფხაზთა სამეფოს შორის სასაზღვრო მიჯნა.

ლეონ II-ის შემდეგ ამ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს სათავეში თეოდოსი II (798-825 წწ.) ჩაუდგა, რომლის მერე მეფე მისი ძმა დემეტრე II (825-861 წწ.) გახდა. ბიზანტიის იმპერია დემეტრე II-ის დროს დასავლეთ საქართველოში დაკარგული ძალაუფლების აღდგენას შეეცადა, თუმცა იმპერიის არმიამ მარცხი განიცადა. დემეტრე II-ს ურთიერთობა გააჩნდა ცნობილ ქართველ საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელთან. მათი ძალისხმევით უბისას მონასტერი დაფუძნდა. თეოდოსი II და დემეტრე II მჭიდრო კავშირში იყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან, ისევე როგორც მათი უმცროსი ძმა, ეგრის-აფხაზეთის მომდევნო მეფე გიორგი I (861-868 წწ.), რომელიც შიდა ქართლის დაკავებას შეეცადა. ჩვენი ვარაუდით, VIII ს-ის დასაწყისიდან ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შემოღებულ იქნა ქართლის ერისთავის თანამდებობა, რომელიც ტახტის მემკვიდრე უფლისწულს ეძლეოდა. ოღონდ რადგან ქართლი შემოერთებული არ იყო, ამ „ქართლის ერისთავს" ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე, იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ (დღ. საჩხერე-ჭიათურის ტერიტორია) ჰქონდა რეზიდენცია. იმერეთის ამ ნაწილიდან (გვიანდელი ე.წ. „ზემო მხარე") ქართლში გადასვლა ბევრად უფრო მოხერხებულია, ვიდრე დღ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან. ამიტომ გვხდება საისტორიო წყაროში ეგრის-აფხაზეთის მეფეები მეტსახელებით: ბაგრატ შაროელი, გიორგი აღწუფელი, „ჩიხას ერისთავი" (ვახუშტის მიხედვით ეს იყო ტინენი, რომელსაც რეზიდენცია ჩიხაში ჰქონდა).

გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ, დასავლურ ქართულ ამ სახელმწიფოში პოლიტიკური გადატრიალება მოხდა. ქვრივმა დედოფალმა უცნობი მიზეზების გამო ტახტის მემკვიდრე, ჩიხას მჯდომი „ქართლის ერისთავი" მოაკვლევინა, ხოლო მისი ძმა ბაგრატი იოანე შავლიანთან კავშირში ბიზანტიაში გააძევა. სამეფო ტახტი იოანე შავლიანმა დაიკავა, რომელიც შემდეგ მისმა ძემ, ადარნასემ შეცვალა. 886 წლისთვის გაძევებულმა ბაგრატ უფლისწულმა ბიზანტიური დესანტის დახმარებით სამეფო ტახტი ხელში ჩაიგდო. მის მერე ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III (893-922 წწ.) გახდა, რომლის დროსაც ჩვენი ვარაუდით იწყება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან განთავისუფლება და ქართლის საკათალიკოსოსთან დაახლოება. კონსტანტინე III აქტიურად იბრძვის შიდა ქართლის დასაკავებლად. ამავე პოლიტიკას ახორციელებს მისი ძე, მომდევნო მეფე გიორგი II (922-957), რომელიც ყველაზე აქტიურა, ექსპანსიონუ პოლიტიკას ახორციელებს აღმოსავლეთ საქართველოში. მისი მეფობის პერიოდში ეგრის-აფხაზეთის სამეფომ შიდა ქართლი საბოლოოდ შეიერთა. გიორგი მეფე უკვე კახეთის დასაკავებლად იბრძვის. მანვე თავისი ძის, ქართლის ერისთავ კონსტანტინეს ამბოხიც ჩაახშო.

შიდა ქართლისთვის ბრძოლას გიორგი II-ის მემკვიდრე ლეონ III (957-967 წწ) აგრძელებს, რომელსაც მეტოქეობას კახეთის მთავარი უწევს. ეს ბრძოლა ერთ მომენტში პოლიტიკური ქორწინების შედეგად შეწყდა, თუმცა მერე ისევ განახლდა. ლეონ III მერე ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტახტზე მისი ძმა დემეტრე III (967-975 წწ.) ადის, რომელსაც ქვეყნის შიგნით დაპირისპირებების დაძლევა მოუხდა. პირველ რიგში, მეფის ძმა თეოდოსი III (975-978 წწ.) და მისი მომხრეები დაუდგნენ მეფეს ოპოზიციაში, რაც თეოდოსის დაბრმავებით დამთავრდა. თუმცა მეფის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ ტახტზე თეოდოსი „ბრმა" ავიდა, რომელიც ასევე უმემკვიდრეო იყო. ქართლში ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავის იოანე მარუშისძის ინიციატივით ეგრის-აფხაზეთის

	ტახტის მომავალ მემკვიდრედ თეოდოსის დისშვილი ბაგრატ III ბაგრატიონი დასახელდა, რასაც მხარი ტაოს მეფე დავიტ III კურაპალატმა დაუჭირა, რომლის შვილობილიც იყო ბაგრატი. იოანე მარუშისძის ამ იდეას შემდგომში საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანება მოჰყვა. 2. ქვეთემა: მოძიებულია და დამუშავების პროცესშია XV საუკუნის II ნახევრიდან XVI საუკუნის I ნახევრამდე დასავლეთ საქართველოს შესახებ დაცული საისტორიო წყაროების ცნობები. ძირითადად ვეყრდნობი ახალი ქართლის ცხოვრებას, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას", დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებს, ქრონიკების მასალებს და სხვა. ნაწილობრივ დამუშავებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მონოგრაფიებისა და სტატიების ნაწილი. **ავთანდილ სონღულაშვილი** – თემა: ***ქართველი ხალხის ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; ანტირუსული აჯანყებები და მათი მიზნები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (V-VI პერიოდი)*** მიმდინარე წელს დამუშავდა ორი ქვეთემა: „1812 წლის კახეთის აჯანყება" და „1819-1820 წლების ანტირუსული აჯანყება იმერეთში." ნაშრომში შესწავლილია კახეთის 1812 წლის და 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს ანტირუსული აჯანყებები. სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული განხილვის ფონზე, ახლებურად არის წარმოდგენილი აჯანყების მამოძრავებელი ძალები, ალექსანდრე ბატონიშვილის მიზნები და ამოცანები აჯანყებაში. განსხვავებული პოზიციით არის შეფასებული დასავლეთ საქართველოს და არა იმერეთის აჯანყების პერიპეტიები. **გიორგი საითიძე** – თემა: ***პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნება მე-20 საუკუნის დასაწყისში; პარლამენტარიზმისა და ავტონომიის იდეა (V-VI პერიოდი)*** მიმდინარე წელს დამუშავდა ქვეთემები: „ქართველი პარლამენტარების მოღვაწეობა რუსეთის მესამე და მეოთხე დუმაში, მათ მიერ ქართველი ხალხისა და მისი ინტერესების დაცვა" და „ქართველების მოღვაწეობა რუსეთის სახელმწიფო საბჭოში, ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის." 1907-1917 წლებში რუსეთის მესამე და მეოთხე დუმაში მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე,ევგენი გეგეჭკორი, გენერალი პროკოფი შერვაშიძე, ვარლამ გელოვანი და აკაკი ჩხენკელი. მათგან კ. ჩხეიძე, ევგ. გეგეჭკორი და აკ. ჩხენკელი ქართველ სოც. დემოკრატთა (მენშევიკთა) პარტიას წარმოადგენდნენ; ვარ. გელოვანი სოც. ფედერალისტებს, ხოლო პრ. შერვაშიძე – მონარქისტული იდეოლოგიის ერთგული დამცველი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მათ რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში აქტიური მოღვაწეობით, არა მარტო იმპერიის მოსახლეობის, არამედ ევროპის სახელმწიფოების საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა კ. ჩხეიძე, რომელიც მთელი ათი წლის მანძილზე სათავეში ედგა სათათბიროში შექმნილ სოციალ–დემოკრატიულ ფრაქციას. **შოთა ვადაჭკორია** – *თემა: ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში (1917-1930 წწ.) (V-VI პერიოდი)* თემის ფარგლებში, მიმდინარე წელს დამუშავდა ქვეთემა: „საქართველოს საკითხი საერთო კავკასიურ და საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციებზე 1918-1921 წლებში და საბჭოთა რუსეთის აგრესიის თავისებურებები – საქართველოს პირველი რესპუბლიკის დასამხობად მოწყობილი ბოლშევიკური აჯანყებები" (სათანადო დოკუმენტების დართვა).

	დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული საერთო კავკასიური კონფერენციის მოსაწვევად საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობა. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, რეგიონში მშვიდობის განმტკიცების, კონსესუსის საფუძველზე სოლიდარობის დამკვიდრების, ამიერკავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის უსაფრთხოების მექანიზმის შემუშავების კუთხითაა შეფასებული. დასაბუთებულია, რომ საქართველო-სომხეთს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სომხეთის ხელისუფალთა მიერ საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების იგნორირება, ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისთანავე ქართული მიწების მიტაცებაზე იყო გათვლილი. მათი ეს ქმედება, ამიერკავკასიის რეგიონში არასტაბილურ სიტუაციას ქმნიდა და საერთაშორისო არენაზე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას ხელოვნურად აფერხებდა. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პარიზის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს საკითხით დაინტერესების განმაპირობებელ ფაქტორებს. ქვეყნის დე–ფაქტო და დე–იურედ აღიარების პროცესდურას. სამართლებრივი პოზიციიდანაა შეფასებილი საბჭოთა რუსეთის დაკვეთით ბოლშევიკების მიერ საქართველოში 1918–1920 წლებში მოწყობილი აჯანყებები. **ელდარ ბუბულაშვილი** – თემა: ***საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული სახელმწიფოებრივი იდეის გადარჩენისა და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის საქმეში (მე-19 - მე-20 ს-ის დასაწყისი) (V-VI პერიოდი)*** თემის ფარგლებში შესრულდა ქვეთემა: „რუსეთის ცარიზმის ანტისაეკლესიო პოლიტიკა და ქართველი სამღვდელოების ბრძოლა მის წინააღმდეგ XIX ს. II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში.“ ნაშრომში წარმოჩემოჩენილია რუსეთის ცარიზმის ანტისაეკლესიო პოლიტიკა, რომელსაც იგი ატარებდა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში. აღნიშნულია, რომ თავისი პოლიტიკის განხორციელებისათვის ისინი ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ. ამ მიზნით განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებდნენ 1860 წელს დაარსებულ ,,კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოებას.“ მართალია ამ საზოგადოებამ ობიექტურად გარკვეულწილად დადებითი როლი შეასრულა ქრისტიანობის აღდგენაში საქართველოს მთიანეთში, მაგრამ იგი ძირითადად მაინც რუსული პოლიტიკის ინტერესებს ემსახურებოდა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ აფხაზეთში ქრსტიანობის აღორძინებას დიდი ამაგი დასდო იმერეთის ეპარქიის მმართველმა გაბრიელ ეპისკოპოსმა, რომლის დროსაც, 1869-1885 წლებში, აფხაზეთი იმერეთის ეპარქიას ექვემდებარებოდა. სასულიერო პირებთან ერთად იგი ხშირად მოგზაურობდა აფხაზეთში, ფეხით შემოივლიდა ხოლმე მთიანი აფხაზეთის მიუვალ სოფებს და ქრისტეს რწმენას უქადაგებდა ადგილობრივ მკვიდრთ. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, მისი ქადაგება კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა მოსახლეობაზე. გაბრიელ ეპისკოპოსი მომხრე იყო აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებისა. ამ მიზნით მან 1872 წელს „კავკასიაშ მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოებას“ წინადადებით მიმართა, აფხაზურ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღების მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიაში მოემზადებინათ აფხაზური ენის მცოდნე სასულიერო პირები, რაც, მისი აზრით, გააადვილებდა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებას. საზოგადოებამ გაბრიელ ეპისკოპოსის წინადადებას უარყოფითად უპასუხა იმ მოტივით, რომ აფხაზურ ენაზე არ არსებობდა სახელმძღვანელოები და, რაც მთავარია, სურდათ

აფხაზეთის ეკლესიაში რუსული ენის დამკვიდრება. სინამდვილეში რუს მოხელეებს სხვა მიზანი ამოძრავებდათ, მათ კი დამაბრკოლებელი საშუალება იქმნებოდა აფხაზთა გარუსების გზაზე.

რუსული პოლიტიკის გატარებას ემსახურებოდა სასულიერო სასწავლებლები. სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელებად და მასწავლებლებად რუსეთიდან საგანგებოდ ჩამოიყვანეს რუსი მოხელეები, რომლების სახელმწიფოს დასახული მიზნის განხორციელებისთვის იზრუნებდნენ. რადგან სასულიერო საწავლებელში თავდაპირველად გარკვეული ყურადღება ექცეოდა ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას, სასწავლეებლში მიიწვიეს სემინარია დამთავრებული ქართველი პედაგოგები.

ნაშრომში მოკლედ დახასიათებულია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოღვაწე რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობა, ხაზგასმულია მათი ანტისაეკლესიო საქმიანობა.

ნაშრომშიაღნიშნულია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება აქტიურად იბრძოდა იმ საეკლესიო ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების სესანარჩუნებლად, რომლითახ ეგზარქოსონის პერიოდში გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა. უპირველესი ყურადღება მათ ქართულ საეკლესიო საგალობლებს დაუთმეს. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ძველი ქართული საგალობლები გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ეგზარქოსებს სურდათ წირვა-ლოცვისას სლავური საგალობლების შესმოღება და ქართულის განდევნა. ნაწილობრივ ამას მიაღწიეს იქ , სადავ არაქართული და შერეული მრევლი იყო, მაგრამ ქართულ სამრევლოებში სლავურ გალობასთან ერთად ქართულიც დატოვეს. თუმცა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ უძველესი ქართული საგალობლების ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგულიყო. ამის გარდა, სასულიერო სასწავლებლებში საგალობლების სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ქართული გალობის ბედი ეგზარქოსების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ხშირად ხდებოდა მათი ამოღება სასწავლო პროგრამიდან. უსახსრობის გამო დაიშალა პროფესიონალ ქართველ მგალობელთა გუნდები, ამ საქმიანობას მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი პირები მისდევდნენ. რუსეთის სასულიერო ხელისუფალნი არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდნენ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისთვის. 1860 წ. ქართველი საზოგადოების ინიციატივით დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება, მათი პოპულარიზაცია და დაბეჭდვა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ქართული საგალობლების შენარჩუნება. საზოგადოებამ მუშაობა 1879 წლიდან გააქტიურა, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი დაფინანსებით თბილისის მუსიკალური სკოლის დირექროემა ი. პოლიტოვ-ივანოვმა და ძველი ქართული გალობის უბადლო შემსრულებელმა ვ. კარბელაშვილმა ნოტებზე გადაიღეს ქართლ-კახური საგალობლები. კომისიის მოწონების შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპისის დაფინანსებით 1899 წელს გამოიცა ი. პოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი საგალობლები, ხოლო 1897-1898 წწ. ვ. კარბელაშვილმა საკუთარი ხარჯით დაბეჭდა საგალობლების ქართლ-კახური კილო - „მწუხრი“ და „ცისკარი“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება აქტიურად იბრძოდა იმ საეკლესიო ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების სესანარჩუნებლად, რომლითახ ეგზარქოსონის პერიოდში გაქრობის

საფრთხე ემუქრებოდა. უპირველესი ყურადღება მათ ქართულ საეკლესიო საგალობლებს დაუთმეს. ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ძველი ქართული საგალობლები გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ეგზარქოსებს სურდათ წირვა-ლოცვისას სლავური საგალობლების შესმოღება და ქართულის განდევნა. ნაწილობრივ ამას მიაღწიეს იქ , სადავ არაქართული და შერეული მრევლი იყო, მაგრამ ქართულ სამრევლოებში სლავურ გალობასთან ერთად ქართულიც დატოვეს. თუმცა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ უძველესი ქართული საგალობლების ეროვნული თვითმყოფადობა დაკარგულიყო. ამის გარდა, სასულიერო სასწავლებლებში საგალობლების სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ქართული გალობის ბედი ეგზარქოსების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ხშირად ხდებოდა მათი ამოღება სასწავლო პროგრამიდან. უსახსრობის გამო დაიშალა პროფესიონალ ქართველ მგალობელთა გუნდები, ამ საქმიანობას მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტი პირები მისდევდნენ. რუსეთის სასულიერო ხელისუფალნი არავითარ ღონისძიებას არ ხმარობდნენ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების გადარჩენისთვის. 1860 წ. ქართველი საზოგადოების ინიციატივით დაარსდა „ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელი კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო საგალობლების ნოტებზე გადაღება, მათი პოპულარიზაცია და დაბეჭდვა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი გაქრობის საფრთხის წინაშე მდგარი ქართული საგალობლების შენარჩუნება. საზოგადოებამ მუშაობა 1879 წლიდან გააქტიურა, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. მისი დაფინანსებით თბილისის მუსიკალური სკოლის დირექტორემა ი. პოლიტოვ-ივანოვმა და ძველი ქართული გალობის უბადლო შემსრულებელმა ვ. კარბელაშვილმა ნოტებზე გადაიღეს ქართლ-კახური საგალობლები. კომისიის მოწონების შემდეგ ალექსანდრე ეპისკოპისის დაფინანსებით 1899 წელს გამოიცა ი. პოლიტოვ-ივანოვის მიერ ჩაწერილი საგალობლები, ხოლო 1897-1898 წწ. ვ. კარბელაშვილმა საკუთარი ხარჯით დაბეჭდა საგალობლების ქართლ-კახური კილო - „მწუხრი“ და „ცისკარი“.

XIX საუკუნის ბოლოს პროგრესულად მოაზროვნე რუსი საზოგადოება რუსეთის უწმინდესი სინოდის გაუქმებასა და პატრიარქობის აღდგნას მოითხოვდა. იმედი იყო, რომ გარკვეული გარდაქმნები საქართველოს საეგზარქოსოსაც შეეხებოდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა, მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა მოახდინა სასიკეთო გავლენა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაზე. ქართველი სამღვდელოება აქტიურად ჩაება 1905-1907 წლების რევოლუციის მიმდინარეობის დროს ავტოკეფალისტთა მოძრაობაში.

ნიკოლოზ ჯავახიშვილი – თემა: ***საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა (უძველესი დროიდან დღემდე) (V-VI პერიოდი)***

ძირითადი თემის ფარგლებში, მიმდინარე წელს დამუშავდა ორი ქვეთემა: „1. „საქართველოს ქაღალდის ფულის ნიშნების (ბონებისა და ბანკნოტების) ისტორია (1918-2014)“; 2. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების, ორდენებისა და მედლების და მათი პროექტების ისტორია (XVIII საუკუნის მიწურულიდან მიწურულიდან XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით).“

1. ქვეთემა – მიმდინარე წელს შესრულებული ნაშრომი არის მორიგი ნაწილი საერთო-საინსტიტუტო თემისა: „საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა (უძველესი დროიდან დღემდე).“

სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა თითოეული ქვეყნის (და მათ შორის საქარ-

თველოს) სახელმწიფოებრიობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. აღნიშნულ სიმბოლიკაში მოიაზრება ამა თუ იმ ქვეყნის: დროშა, გერბი, ვალუტა (როგორც ლითონის, ასევე ქაღალდის), ჯილდოები (ორდენები და მედლები). თითოეულ ამ სიმბოლოს შეისწავლის ისტორიის მეცნიერების საგანგებო დარგი.

სახელმწიფოებრივ სიმბოლოებზე აღბეჭდილი წარწერები და გამოსახულებანი უაღრესად საყურადღებო ინფორმაციას შეიცავენ თანადროული ეპოქის შესახებ. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის მეცნიერულ შესწავლას, თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის თითოეული ატრიბუტის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი არსებობს. მიუხედავად ზემოთქმულისა, დღემდე არ შექმნილა განმაზოგადებელი გამოკვლევა, სადაც ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ყველა ატრიბუტი ერთ მთლიანობაში იქნებოდა შესწავლილი.

ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული თემის: "საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა (უძველესი დროიდან – დღემდე)" დასრულებას შედეგად მოჰყვება ის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შეიქმნება განმაზოგადებელი გამოკვლევა, სადაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ყველა ატრიბუტი მონოგრაფიულად, ერთ მთლიანობაში იქნება შესწავლილი.

გამოკვლევა შესაძლოა პრაქტიკულად იქნას გამოყენებული ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ვინაიდან ეროვნული სიმბოლიკა მუდმივ განახლებას და გადახალისებას საჭიროებს.

საქართველო განეკუთვნება მსოფლიოს დამოუკიდებელი ქვეყნების იმ მცირე ჯგუფს, რომელთაც სახელმწიფოებრიობის უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები გააჩნიათ. ეს დასტურდება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოჭრილი ლითონის ფულის ნიშნებითაც. დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში მოიჭრა ადგილობრივი ვერცხლის მონეტები, რომლებიც ცნობილია "კოლხური თეთრის" სახელწოდებით. აქედან მოყოლებული, უკანასკნელი 26 საუკუნის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე ხანგრძლივად არასდროს შეწყვეტილა საკუთარი ფულის ნიშნების მოჭრა და მიმოქცევა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთი ატრიბუტი, კერძოდ, ლითონისაგან დამზადებული ქართული ფულის ნიშნები (ანუ მონეტები) შევისწავლეთ 2015-2016 წლებში წარმოდგენილ ჩვენს წლიურ ნაშრომებში.

ახლა რაც შეეხება ქაღალდისაგან დამზადებულ ქართული ფულის ნიშნებს, რომლებიც ისევე, როგორც ეროვნული მონეტები, წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ერთ-ერთ ატრიბუტს.

ქაღალდისაგან დამზადებულ ფულის ნიშნებს – ბანკნოტებსა (საბანკო ბილეთებს) და ბონებს (დროებით ფულად ნიშნებს) შეისწავლის საისტორიო მეცნიერების დარგი – ბონისტიკა, როგორც ისტორიის ობიექტურ დოკუმენტებს.

გარდა იმისა, რომ ქაღალდის ფული სახელმწიფო დოკუმენტი და საგადამხდელო საშუალებაა, ის პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუშიც არის. რუნვაში გამოშვებისას ემიტენტი (ემისიის განმახორციელებელი) მათში ერთგვარად საკუთარ იდეოლოგიასაც გამოხატავს ტექსტების, დევიზების, სიმბოლიკის, ბეჭდებისა და ნახატების საშუალებით.

ვინაიდან ქაღალდის ფულადი ნიშნების ბეჭდვა-მომოქცევის პროცესი გადაჯაჭვულია სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობასთან, მათზე მომხდარი ყოველგვარი ცვლილება ქვეყანაში მომხდარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების მაუწყებელია. ამიტომაც, ქაღალდის ფულის ნიშნების წარმოშობისა და არსებობის ისტორიას ბონისტიკა შეისწავლის თანადროულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებთან მჭიდრო კავშირში.

1918-1924 წლებში საქართველოში მიმოიქცეოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე

	დაბეჭდილი ქაღალდის ფულადი ნიშნები (ბონები). 1924 წელს თბილისში შეწყდა ადგილობრივი ფულის ნიშნების ბეჭდვა. იმავე წლის 1 ივლისიდან – 1993 წლის აპრილამდე საქართველოში ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებას წარმოადგენდა სსრკ-ის სახელით გამოშვებული ფულის ნიშნები. 1993-1995 წლებში საქართველოში მიმოიქცეოდა ეროვნული ბანკის ქაღალდის დროებითი ფულადი ნიშნები – კუპონები, რომლებიც 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ჩაანაცვლა სრულფასოვანმა ვალუტამ – „ლარმა“. წლევანდელი წლის განმავლობაში დაიწერა ნაშრომი, რომელიც შეიცავს შესავალს, შვიდ თავს და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიას. მათ შორისაა თავები: I. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები (1918-1919 წლები); II. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921 წლები); III. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბონები (1922 წელი); IV. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბონები (1923-1924 წლები); V. საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული ქაღალდის ფულადი სუროგატები (1918-1924 წლები); VI. საქართველოს ეროვნული ბანკის კუპონები (1993-1995 წლები); VII. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბილეთები (1995 წლიდან – 2014 წლამდე). წარმოდგენილ თავებში შესწავლილია ქართული ქაღალდის ფულის ნიშნების – ბონებისა და ბანკნოტების ისტორია. იმავდროულად, ქართული ქაღალდის ფულის ნიშნები შესწავლილი გვაქვს, როგორც სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ამსახველი ძეგლები. 2. ქვეთემა – ნაშრომში შესწავლილია საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების და მათი პროექტების ისტორია XVIII საუკუნის მიწურულიდან – XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის დანარჩენი ატრიბუტების (დროშა, გერბი, ვალუტა) ისტორიასთან ერთად, საქართველოს გააჩნია საკუთარი ჯილდოების – ორდენებისა და მედლების ისტორიაც, რომელსაც შეისწავლის ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი დამხმარე დარგი – ფალერისტიკა. ფალერისტიკა ანუ ჯილდოთმცოდნეობა ერთ-ერთი წყაროთმცოდნეობითი დარგია. იგი იკვლევს ორდენებს, მედლებსა და სხვა სახის წარჩინების ნიშნებს (მათ შორის საპატიო იარაღსა და ე.წ. სამაგიდო მედლებს, რომლებიც გაცემულია დამსახურებისათვის, ანდა რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის აღსანიშნავად არის მოჭრილი), როგორც ისტორიის ნივთიერ წყაროებს. ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის საკითხები უკანასკნელ დრომდე არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თეთრ ლაქად რჩებოდა. არადა, არსებობს, როგორც ქართული ეროვნული ჯილდოების – ორდენებისა და მედლების ტრადიცია. დასმულ პრობლემას აქტუალობას მატებს ის ფაქტიც, რომ 25 წლის წინათ აღდგა ქართული ჯილდოების ტრადიცია. კვლევის მიზანია შესწავლა ქართული ჯილდოებისა, როგორც სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის ამსახველი ძეგლებისა. წლევანდელი წლის განმავლობაში დაიწერა ნაშრომი, რომელშიც შესწავლილია ისტორია XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის პირველ მესამედში შექმნილი ქართული ჯილდოების – ორდენებისა და მედლების პროექტებისა, რომელთა განხორციელებაც გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა და ასევე პირველი ქართული წარჩინების ნიშნისა – წმ. თამარ მეფის ორდენისა, რომელიც გაიცემოდა 1916-1918 და 1941-1945 წლებში.

	ნაშრომი შეიცავს შესავალს, სამ თავს და გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სიას. მათ შორისაა თავები: I. უფლისწულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის პროექტი ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების შესახებ (1799 წელი); II. ალექსანდრე ორბელიანის მოსაზრება ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა შემოღების თაობაზე (1832 წელი); III. თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან). **გია გელაშვილი** – თემა: ***საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-18 ს.-ის მეორე ნახევარსა და მე-19 ს-ში; მათი სახელმწიფოებრივი სტატუსის, პოლიტიკური ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობების საკითხები. აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული ქართული, რუსული და ევროპული წყაროები (V-VI პერიოდი)*** დამუშავდა წლიური თემა: „დასავლეთ საქართველო XIX ს.-ის პირველი ნახევრის გერმანულ და ინგლისურ წყაროებში.“ XIX საუკუნის I ნახევრის დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი) შესახებ ცნობებს გვაწვდიან ჩვენთვის უკვე ცნობილი გერმანელი მეცნიერ-მოგზაურები – **იულიუს კლაპროტი** (1783-1835), **ედუარდ აიხვალდი** (1795-1876), **მორიც ვაგნერი** (1813-1887), **კარლ კოხი** (1809-1879), **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** (1792-1866, **იოჰან პაროტი** (1791-1841) და ბრიტანელი *ედმუნდ სპენსერი* და *უილიამ მონტისი.* ამათგან ზოგი იმყოფებოდა გარკვეული სამეცნიერო დავალებითა და მისიით, ზოგიც საკუთარი სურვილით. რუსეთის მთავრობამ მიზნად დაისახა ქვეყნის ყოველმხრივ მეცნიერული შესწავლა მისი უკეთ მართვისათვის. განახლებულ ექსპედიციებში ისევ აქტიურად მონაწილეობდნენ გერმანელი მეცნიერები – **იულიუს კლაპროტი** (1807-1808), **ედუარდ აიხვალდი** (1826), **აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი** (1843). თავისი პირადი დაინტერესებით წამოსული მეცნიერები იყვნენ **კარლ კოხი** (1836-38; 1843-44), **იოჰან პაროტი** (1811; 1829). ისინი ეხებიან ქართულ მხარეთა ცხოვრების ფაქტიურად ყოველ მხარეს – პოლიტიკურს (რუსული სამხედრო ძალის დამკვიდრებას; ადგილობრივ ხელისუფალთა უფლებების შეზღუდვასა და გაუქმებას), სოციალურს (სოციალურ ფენებს და მათ უფლებებს), ეკონომიკურს, ტრადიციებს; ახასიათებენ მოსახლეობას – მათ ეროვნულ კუთვნილებას, სარწმუნოებას, ენას, კულტურას, მათი საცხოვრებლის ტიპებს, გარეგნობას, ჩაცმას და ა.შ. ასახელებენ ქვეყნის შესახებ ცნობათა მომწოდებელ წყაროებს – მთავარმართებლებს, მაღალი თანამდებობის პირებსა თუ უბრალო ადამიანებს, როგორც ქართველებს, ისე სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს. უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა გაცნობილია ძველ თუ ახალ წერილობით მასალებს ქვეყნის შესახებ. თითქმის ყველა გერმანელი მოგზაური, რომელიც XIX საუკუნეშია ნამყოფი საქართველოში, პრორუსული ორიენტაციის პიროვნებაა, მიუხედავად ზოგი მათგანის მიერ რუსული მმართველობის ფორმების მკვეთრი შეფასებისა. ისინი მხარს უჭერენ და აქებენ რუსული მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის მშვიდ განვითარებას. არც ერთი ობიექტურად არ აანალიზებდა შექმნილ ვითარებას, რაც იწვევდა აჯანყებებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. მათი აზრით რუსეთმა უფრო მსხვერპლი გაიღო, ვიდრე მოიგო. მაინც მთავარია ამ წყაროთა სარწმუნოობა, გადმოცემული თვითმხილველთა მიერ. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ფაქტი და არა ცნობის მომწოდებლის მიერ შემოთავაზებული ანალიზი. მიუხედავად ინგლისელი მოგზაურების სიმრავლისა აღნიშნულ პერიოდში, მათი დიდი უმრავლესობა შემოიფარგლება აღმოსავლეთ საქართველოთი და თბილისით, რადგან მათ მიზანს ძირითადად შეადგენდა გაეგოთ რუსული მმართველობის გეგმები თურქეთ-სპარსეთის სამფლობელოთა მომავალი დაპატრონების თაობაზე; ხოლო რუსული მმართველობის ცენტრი კი თბილისი

	იყო. ბრიტანელი მოგზაურები ძირითადად მზვერავთა როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიაში. ისინი სარეკომენდაციო წერილებით ხვდებოდნენ ადგილობრივ მმართველებს, რომლებიც, მართალია, კარგად იღებდნენ მათ, მაგრამ მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ და უთვალთვალებდნენ. ბრიტანელი მოგზაურები კარგად ხედავენ, რომ რუსეთის მმართველობის ფორმები ისეთივეა, როგორც რუსეთის გუბერნიებში; ასევე კარგად გრძნობენ რუსეთის მისწრაფებებსა და მზაკვრობებს. აშკარად ჩანს, რომ ინგლისს არ სურს რუსეთის გაძლიერება. ამიტომაც ყოველთვის უთანაგრძნობდა ჩერქეზებს, შამილს. მაგ., სპენსერი არ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას რუსეთის პოლიტიკისადმი; აღნიშნავს რუს მოხელეთა და ოფიცერთა აღვირახსნილობასა და ქურდობას, რაც იწვევდა ზიზღს ადგილობრივ ხალხში. ამიტომაც იყო მერყევი მათი მდგომარეობა თუნდაც შემოერთებულ პროვინციებში (იმერეთი, სამეგრელო, გურია). სპენსერის თვალსაზრისით, ძალმომრეობა რუსეთის ცარიზმისთვის დამახასიათებელი პოლიტიკაა დაპყრობილი ხალხის მიმართ და ჯერ კიდევ შემორჩენილი პრივილეგიები (მთავრების, ხევის მეთაურების) მალე გაუქმდება. სპენსერს აკვირვებს ინგლისის ინერტულობა რუსეთის მიმართ. **ლელა მიქიაშვილი** – თემა: ***საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-18 ს-ის მეორე ნახევარსა და მე-19 ს-ში; მათი სახელმწიფოებრივი სტატუსის, პოლიტიკური ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობების საკითხები. აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული ქართული, რუსული და ევროპული წყაროები (V-VI პერიოდი)*** დამუშავდა წლიური თემა: „დასავლეთ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემები მე-18 ს-ის მეორე ნახევარში: ქართული, რუსული და ფრანგული წყაროები. ქართველი და უცხოელი ავტორები საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შესახებ.“ XVIII საუკუნე არა მარტო დასავლეთ საქართველოს, ანუ იმერეთის, არამედ მთელი საქართველოს ისტორიაში თვისობრივად ახალი ერის დასაწყისია და, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებით არის აღსავსე. ქართულ ისტორიოგრაფიაში (აქვე ვგულისხმობთ საქართველოს შესახებ არსებულ როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროთა ერთობლიობას) მეტ-ნაკლები სისრულით არის გაშუქებული აღნიშნული პერიოდი, გამოთქმულია უამრავი წინააღმდეგობრივი აზრი თუ დებულება, შექმნილია სხვადასხვა თეორია (მაგ. “ნაკლები ბოროტების” და ა.შ.). სოლომონ I (1752-1784) მემკვიდრეობად მიიღო დაუძლურებული, სათავადოებად დაყოფილი სამეფო და მიზნად დაისახა მტკიცე სამეფო ხელისუფლების ქვეშ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, “ტყვეთა სყიდვის” აღკვეთა და ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლება. გამეფებისთანავე სოლომონ I ტყვეთა სყიდვის გაუქმების შესახებ გამოსცა ბრძანება; დაუმორჩილებლებს მკაცრი სასჯელი, სიკვდილი ელოდათ. ამან განსაკუთრებულად გააღიზიანა ფეოდალები, რომელთათვის ტყვეთა სყიდვა თავის რჩენის ერთადერთი საშუალება იყო. 1752 წ. შეთქმულთა ძლიერმა ჯგუფმა, რომელთა შორის იყვნენ საკუთარი დედა თამარი (ბეჟან აბაშიძის ასული), ბაბუა და ბიძები (ალექსანდრეს უმცროსი ვაჟები მამუკა და გიორგი ბატონიშვილები) – სოლომონის დამარცხება შეძლეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ახალციხის ფაშის დახმარებით დაიბრუნა ტახტი და დასაჯა შეთქმულების მონაწილენი. ეს აჯანყება იყო სოლომონ მეფისათვის პირველი გამოწვევა, სადაც მან გამოავლინა საოცარი უნარი და სწორი მოქმედებით ტახტი დაიბრუნა. ამის შემდეგაც მას მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა შინაურ მტრებთან ბრძოლაში, რომელთა შორის გამორჩეული ფიგურა იყო რაჭის ერისთავი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომელიც სოლომონ I-ის სახელს უკავშირდება, იყო ტყვეთა სყიდვის აღკვეთა, რასაც სათავე დაუდო მეფის მიერ 1759 წ. დეკემბერში მოწვეული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ფეოდალთა ერთობლივი კრების დადგენილებამ.

უმთავრესი სიახლე, რაც აღნიშნული პერიოდისათვის არის დამახასიათებელი, მდგომარეობდა შემდეგში: ამიერკავკასიაში იმ ხანად არსებულ ორმხრივ ურთიერთობებში (აღმოსავლეთ საქართველო – ირანი და დასავლეთ საქართველო – ოსმალეთი) ჩნდება მესამე და სერიოზული ძალა – რუსეთი, რომელიც მანამდე მხოლოდ დიპლომატიურ კონტაქტებსა და ინფორმაციის მოპოვებას სჯერდებოდა. ნაშრომში დოკუმენტური მასალისა და სხვადასხვა ავტორთა ცნობების გაანალიზების მეშვეობით განვიხილავთ მოვლენათა განვითარების ფონზე საგარეო ორიენტაციის სფეროში შექმნილ პრობლემებს და ვახდენთ მათ გადასაჭრელად გატარებულ ღონისძიებათა შეფასებას.

თურქეთთან დაპირისპირებულ იმერთა მეფეს იმავდროულად ქვეყნის შიგნით არსებულ ფეოდალური რეაქციასთან გამკლავებაც უწევდა, რაც მის ძალებს აღემატებოდა, ამიტომ ცდილობდა დახმარება მიეღო რუსეთის მთავრობისაგან. იმ დროისათვის უკვე მომწიფებული იყო რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება, რაც საბოლოოდ 1768-1774 წწ. ომში გადაიზარდა. ამ ომში ჩაბმული ქართველი მეფეები – ერეკლე II და სოლომონ I ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. ამ ომს საქართველოსათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის პირობებმა ქართველ მეფეთა მოლოდინი ვერ გაამართლა. მიუხედავად ამისა, 1776 და 1783 წწ. თურქეთის სულთნისაგან გამოგზავნილი ორი ელჩობა, რომელთა მეშვეობითაც სულთანი სოლომონისაგან რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას მოითხოვდა, იმერთა მეფემ უარით გაისტუმრა.

1784 წ. სოლომონ I გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძის თანახმად, იმერეთის ტახტი მის ძმისშვილს – დავით არჩილის ძეს ერგო, რომელიც სოლომონ II-ის სახელით მეფობდა (1784, 1789-1810). ახალგაზრდა მეფე სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის კურსის გაგრძელებას ცდილობდა და ქვეყნის გაერთიანების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა.. 1790 წ. დადებული ხელშეკრულებით სოლომონ II, დადიანმა და გურიელმა სამხედრო კავშირი შეკრეს ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთიანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე დროს, აღიარეს ერეკლეს ხელმძღვანელი როლი და მასვე მიანდეს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაც. ნაშრომში ხაზგასმულია სოლომონ II-ის პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში: 1796 წლიდან მან არაერთგზის მიმართა რუსეთს მფარველობის თხოვნით, თუმცა ამის პარალელურად ოსმალეთთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას. ეს ორმაგი თამაში ქართული დიპლომატიისათვის უცხო არ ყოფილა და მთელი ისტორიის მანძილზე არაერთი ქართველი მეფე მიმართავდა ამ ხერხს. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში სოლომონ II-ის თავგანწირულ ბრძოლას წარმატება არ ეწერა: რუსეთის იმპერია უკვე მყარად მკვიდრდებოდა ამიერკავკასიაში და იმერეთის სამეფოს გასაუქმებლად ძალის გამოყენებას აღარ ერიდებოდა. ნაშრომში ქართლი სახელმწიფოებრიობის გაუქმება გაშუქებული და შეფასებულია ქართულ და უცხოურ წყაროთა მონაცემების ფონზე.

ხათუნა ქოქრაშვილი – თემა: ***რუსული მმართველობა საქართველოში (მე-19-მე-20 საუკუნეებში) (V-VI პერიოდი)***

	სპეციფიკური გამოვლინებები ურბნულ სივრცეებში, რაც ურბანული ყოფის თავისებურებებითაა განპირობებული (ინდივიდუალიზმის მეტი ხარისხი, სოციალური ინტერაქციის სპეციფიკური ბუნება, სივრცისა და დროის განსხვავებული აღქმა და სხვა). თემა – ***„ტრადიციული სალოცავები, საკულტო ობიექტები. წმინდა ადგილები, ქრისტიანული ეკლესიები და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს (თბილისისა და მთიულეთის მაგალითზე)“*** (ნ. ღამბაშიძე). **ძირითადი შედეგები:** წინამდებარე ნაშრომი, მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხალხური სარწმუნოების მიმართ; რა ურთიერთობაა ხალხურ და ოფიციალურ ქრისტიანობას შორის ჩვენში ამ პერიოდში; როგორ ხდება, სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების მიერ, ერთი სიწმინდის გაზიარება, ამ გაზიარებისას რა წინააღმდეგობებმა შეიძლება იჩინოს თავი. საველე მასალა შეგროვდა ახალციხეში და სოფ. მუსხში. ქართულის გარდა, ახალციხის სომხური მოსახლეობის ხალხური დღესასწაულების შესახებ, ახალციხელ კათოლიკეებსა და იუდეველებზე; 1970-ინი წლების ბოლოდან მესხეთში აღორძინებულ მართლმადიდებლურ საეკლესიო ცხოვრებაზე, კერძოდ, მომლოცველობაზე. გამოიკვეთა ქვების თაყვანისცემის ფაქტი, გარკვეული ქვები მიიჩნეოდა სიწმინდედ, ძველი სიწმინდის ნაშთად, სამკურნალო საშუალებად, ნაყოფიერების მიმნიჭებელად, სასჯელის ატრიბუტად და სხვ. ზოგიერთ ქვას, სომხებიც სიწმინდედ. აღიარებენ. ამ სიწმინდეების თაყვანისცემის ხალხური წესების აღსრულებისას, ჩვენი მონცემების მიხედვით, მოსახლეობას არა აქვს დაბრკოლება არც ერთი ქრისტიანული დენომინაციის (მართლმადიდებლური, სომხური, კათოლიკური) ოფიციალური ეკლესიის მხრიდან. ნაშრომი ასევე ეხება თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ მომლოც–ველობის ფორმას ამ რეგიონის მართლმადიდებელ ეკლესიაში. **ქვეპროგრამა 4: ქართული ეთნიკური კულტურა კავკასიის ხალხთა ეთნიკურ კულტურებთან მიმართებაში (ურთიერთშედარებითი ასპექტი).** თემა – ***„ქართველთა და აზერბაიჯანელთა ეთნიკური ურთიერთობის პრობლემები (ისტორია და თანამედროვეობა)”*** (რ. თოფჩიშვილი). **ძირითადი შედეგები:** ნაშრომი ეხება ქართველი ხალხის ურთიერთობას მის აღმოსავლეთით მცხოვრებ ეთნიკურ ერთობებთან. ქართველ ხალხს ეს ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ აზერბაიჯანის თურქულენოვან მოსახლეობასთან, არამედ მათ წინამორბედ ეთნოსთან - ალბანელებთან. ქართულ-ალბანურ და შემდეგ ქართულ აზერბაიჯანულ საკონტაქტო ზოლში რთული ეთნიკური პროცესები მიმდინარეობდა, ხდებოდა ორმხრივი ეთნიკური შერევა. პასუხი აქვს გაცემული იმ აზერბაიჯანელ მეცნიერებს, რომლებიც ქართულ-ალბანურ და ქართულ-აზერბაიჯანულ ეთნიკურ ურთიერთობებს შეგნებულად აყალბებენ. მაგალითად, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს (ინგილოებს) წარმოშობით არაქართველებად აცხადებენ და ა. შ. უფრო მეტი: აზერბაიჯანელი ისტორიკოსები შეგნებულად აძველებენ საქართველოს ტერიტორიაზე - ქვემო ქართლში - თურქულენოვანი მოსახლეობის მიგრაციას: მე-17 საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლში ჩამოსახლებულ ბორჩალოს ტომს ხან ა. წ. მე-2 საუკუნეში მოსულებად აცხადებენ, ხან კი - ძვ. წ. მე-4 საუკუნეში. აზერბაიჯანელ მეცნიერებს არანაკლები პრეტენზიები გააჩნიათ კახეთზეც, რომელსაც ალბანელთა მიწა-წყლად

	განიხილავენ. ალბანელთა მემკვიდრეებად კი აზერბაიჯანელები მიაჩნიათ. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ალბანელი და აზერბაიჯანელი არა მარტო ენით, არამედ კულტურითაც განსხვავებული ეთნოსებია. ხაზგასმულია, რომ პოპულაციური ნათესაობა ეთნიკურ ნათესაობას არ ნიშნავს და რომ ეთნიკურად ალბანელები და აზერბაიჯანელები ერთი და იგივენი არ არიან. ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე ქართველთა დეეთნიზაციის შემთხვევებს. ეს პროცესი მიმდინარეობდა არა მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებში, არამედ მე-19 საუკუნესა და საბჭოთა პერიოდშიც კი. ხაგასმულია, რომ ეთნიკური კონტაქტები ქართველ ხალხს ყველაზე ნაკლებად აზერბაიჯანელებთან ჰქონდათ. ამიტომაც არის, რომ კომპაქტური განსახლების არეალებში აზერბაიჯანელები საქართველოს სახელმწიფო ენას ფაქტობრივად არ ფლობენ, რასაც ვერ ვიტყვით კახეთსა და თბილისის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობაზე. ქართული ენის გავრცელებას აზერბაიჯანულ მოსახლეობაში ერთგვარად ხელს უწყობს ბაზრები. ბაზრებში მოვაჭრე აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ფლობს ქართულ ენას. თემა – ***„ქართველთა და აზერბაიჯანელთა მატერიალური კულტურა (ურთიერთშედარებითი ასპექტი).“*** (ს. ოქრუაშვილი). **ძირითადი შედეგები:** ნაშრომში, სპეციალური ლიტერატურის მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განხილულია აზერბაიჯანელებისა და ქართველების სხვადასხვა ტიპისა ხალხური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. აზერბაიჯანში მომთაბარეები ზაფხულში, ლელქაშის ტოტებისაგან დაწნულ ფარდულებში, ოვალურ ან ოთხკუთხა, გუმბათოვან წნულკედლებიან თექის კარვებში (კიბიტებში) ცხოვრობდნენ. ზამთარში, ნახევრად მიწის ზედა ან მიწის ქვეშა ნაგებობებში. XIX საუკუნემდე საცხოვრებლებს ფანჯრები არ გააჩნდა. კვამლისა და სინათლისათვის ხვრელი მხოლოდ სახურავზე უკეთდებოდა. საქონელი და ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ, აფშერონის ნახევარკუნძულზე მიწურბანიანი საცხოვრებლების სახურავზე, კონუსური ფორმის ქვის საკვამურზე საცხოვრებელში მდგარი თიხის „თონდირის“ (თონე, რომელიც ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთშიც იყო გავრცელებული) მილი იყო მიმაგრებული. აზერბაიჯანში დადასტურებულია ერდოიან-გვირგვინიანი სახლი („ყარადამი“) - ასეთი სახლები ალბანური მოსახლეობაშიც, კერძოდ – უდებშიც ყოფილა გავრცელებული. ტერმინმა „ყარადამმა“ აზერბაიჯანულში ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის მნიშვნელობა გვიან მიიღო (თ. ჩიქოვანი). ასეთი საცხოვრებლები ქართლსა და მესხეთ-ჯავახეთისათვის, ასევე სომხეთისათვის იყო დამახასიათებელი. აზერბაიჯანული ერდოიან-გვირგვინიანი სახლი ქართულ-სომხურთან შედარებით პრიმიტიულად არის ნაგები. ერდოიან-გვირგვინიანი სახლი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის აშკარა კვალს ატარებს. სამხრეთ კავკასიასა და მცირე კავკასიონის მთიანეთსა და ბარში თავისი კონსტრუქციული სპეციფიკურობის გამო ერდოიან-გვირგვინიანი სახლი სხვა ნაგებობაზე მეტად პასუხობდა ბინადარი დიდი ოჯახის ინტერესებს. თემა – ***„ქართველთა და აზერბაიჯანელთა სოციალური ურთიერთობები (ურთიერთშედარებითი ასპექტი)“*** (ნ. ჯალაბაძე). **ძირითადი შედეგები:** ნაშრომში, ქართველებსა და მათ მეზობელ აზერბაიჯანელთა სოციალური ურთიერთობების შედარებითი შესწავლის საფუძველზე, განხილულია ამ ხალხებს შორის არსებული სოციო-კულტურული პარალელები. აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნა საოჯახო და სამართლებრივი ურთიერთობების კონტექსტში. ეს, შესაბამისად, მოიცავს ქვესაკითხებს: ქორწინება,

	ბავშვის დაბადება-აღზრდა, ტრადიციული სამართლის წარმოება, სისხლის და საოჯახო სამართალი, მემკვიდრეობა, ოჯახის წევრთა ქონების განაწილება, ქორწინების უფლება და სხვა. აზერბაიჯანულთან ქართული კულტურის სოციალური ასპექტების შედარებისა შედეგად გამოიკვეთა, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი, რასაც, ერთ შემთხვევაში, ამ კულტურათა ისლამური და ქრისტიანული საფუძვლები, რელიგიური იდენტობა, განაპირობებს, ხოლო მეორეში, მათი მეზობლობა და ინტერკულტურული კონტაქტები. სოციალური ურთიერთობის რიგი აზერბაიჯანული ასპექტები, მაგალითად ოჯახის სტრუქტურა, მასში დაცული ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობის გარკვეული მხარეები ქართულის ანალოგიურია, შესაბამისად ზოგადკავკასიურ სისტემაში ჯდება. აღნიშნული კვლევა, რომელიც წარმოაჩენს ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების კულტურებს შორის საერთოსა და განმასხვავებელ ელემენტებს, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ტრადიციული კულტურის შესწავლის საქმეში, ვინაიდან, მის საფუძველზე შესაძლებელი იქნება დავინახოთ ქართულ სივრცეში მათი ინტეგრაციის დინამიკა და მისი ხარისხი. თემა – ***„ქართველებისა და აზერბაიჯანელების სულიერი კულტურა (ურთიერთშედარებითი ასპექტი)“*** (ი. კვაშილავა). **ძირითადი შედეგები:** ნაშრომში, საკვლევი საკითხის ირგვლივ, არსებული წყაროებისა (ნაწილობრივ ეთნოგრაფიული მასალის) და ლიტერატურის შესწავლის შედეგად, თანმიმდევრულად არის განხილული ქვემო ქართლში აზერბაიჯანელთა განსახლების ისტორია, მათი სულიერი კულტურა – უძველესი, რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. რელიგიურ ტრადიციათა მოდერნიზაციის პროცესი. ყურადღება გამახვილდა პოლიეთნიკურ საზოგადოებაში ეროვნულისა და რელიგიურის ურთიერთმიმართების საკითხებზე. კვლევის შედეგად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ტოლერანტობის მაღალი დონე, რაც კულტურული ინტეგრაციის მშვიდობიან პროცესს განაპირობებს. აზერბაიჯანელებს ძალისმიერი თუ ნებაყოფლობითი ასიმილაციის საფრთხე არ ემუქრებათ, ისინი თვითმყოფადობის შენარჩუნებით, ისლამური კულტურული ღირებულებების დაცვით, უკონფლიქტო გარემოში აგრძელებენ ცხოვრებას. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართველებისა და აზერბაიჯანელების, ერთობ განსხვავებული, სულიერი კულტურის ურთიერთშედარებითი ანალიზით, ხელი შეუწყოს საქართველოში კომპაქტურად დასახლებულ აზერბაიჯანელთა ინტეგრაციის პროცესს, მათი თვითმყოფადობისა და რელიგიური ღირებულებების გათვალისწინებით. ურთიერთგათავისება, თვითმყოფადობის შენარჩუნებით, ეთნიკურ უმცირესობებს შორის ურთიერთობების დარეგულირების, მშვიდობიანი თანაცხოვრების მთავარი პირობაა. ყოველივე ეს მრავალეროვანი სახელმწიფოების (მათ შორის საქართველოს) პრიორტეტული ამოცანაა. ზემოხსენებული განაპირობებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას. თემა – ***„ქართველთა და აზერბაიჯანელთა სამეურნეო ყოფა (ურთიერთშედარებითი ანალიზი)“*** (ნ. აზიკური). **ძირითადი შედეგები:** ნაშრომში სპეციალური ლიტერატურის მონაცემების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ნაჩვენებია ქართველი და აზერბაიჯანელი

	ხალხების ტრადიციული სამეურნეო დარგების განსხვავება-თავისებურებანი. აზერბაიჯანის, ისევე როგორც საქართველოს, ტრადიციული მეურნეობისათვის დამახასიათებელია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზ.. ორივეგან განვითარებული იყო მეურნეობის ტრადიციული დარგები: მევენახეობა-მებაღეობა, მებოსტნეობა... მეცხვარეობა, ასევე, მებამბეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ. აქ, საქართველოსგან რამცენადმე განსხვავებულია ცხვრის გადარეკვისა და მოვლის ტრადიციები. ორივეგან დასტურდება „მომთაბარე“ მეცხვარეობის უძველესი ტრადიცია, აზერბაიჯანში, მომთაბარეობა გულისხმობს მომსახურე პერსონალთან ერთად, ოჯახის გადასვლას საძოვრიდან საძოვარზე, რაც უცხოა ქართველი მეურნისათვის. დღეს, საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში ტრადიციულ სამეურნეო დარგებს, მაგ., მეცხვარეობას სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა აქვს (მცირე გადასახადი საძოვრებზე, ცხვრის ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებები). მაღალ დონეზე დგას მატყლის დამუშავება. ქსოვენ ხალიჩებს, რასაც მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილება აქვს. ამ შემთხვევაშიც სახელმწიფომ დიდი როლი ითამაშა (მცირე გადასახადები, გამოფენები, ფესტივალები). საქართველოში კი, სამწუხაროდ, მატყლის ფასი იმდენად დაბალია, რომ მწყემსები შემოსავლით გზის ხარჯსაც ვერ ანაზღაურებენ, ამიტომ მატყლს ადგილზევე წვავენ ან ღია ცის ქვეშ ტოვებენ, ათასწლეულებგამოვლილი ქართული მეცხვარეობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას ამ დარგის ისეთ კლასიკურ რეგიონშიც კი, როგორიც თუშეთია. კვლევა ითვალისწინებს გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას ამ ასპექტით.
4	მიმდინარე წელი პროექტის მესამე წელია. კვლევა გრძელდებოდა გამოკვეთილი ინდიკატორების მიხედვით, ოღონდაც უკვე სხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში. დამუშავდა თემა: ***„XII-XVIII საუკუნეებში ქართული ისტორიოგრაფიული და ჰაგიოგრაფიული ტექსტების შედარებითი კვლევა.”*** თემის ფარგლებში დამუშავდა ქვეთემები: 1. „ეთიკურობის რეპრეზენტაცია XII-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში;“ 2. „ისტორიის საზრისის და ჟანრების გააზრების საკითხი XII-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში;“ 3. „გეოგრაფიული საზღვრების აღქმა XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში;“ 4. „საზოგადოების განვითარების გენდერული ასპექტი და მისი აღქმა XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში;“ 5. „XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დადასტურებული დათარიღების წესები და ვერიფიცირების მეთოდები;“ 6. „დროის გააზრების თავისებურებანი XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.“ ზემოთ აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით, მთლიანობაში ამ წლის განმავლობაში შესწავლილი იქნა არაერთი ისტორიოგრაფიული ძეგლი: დავითის ისტორიკოსის თხზულება, თამარის ორივე ისტორიკოსის თხზულება, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს თხზულება, ჟამთააღმწერლის თხზულება ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება, პაპუნა ორბელიანის თხზულება, სეხნია ჩხეიძის თხზულება, ომან ხერხეულიძის თხზულება, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება და “სწავლულ კაცთა” მიერ შედგენილი ტექტები; აგრეთვე, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ვლევის შედეგად გამოიკვეთა მეთვრამეტე საუკუნის ძეგლების ცალკე განხილვის აუცილებლობა. ეს საუკუნე აშკარად წყალგამყოფია წინა მოდერნის ეპოქის ქართულ ისტორიულ აზროვნებასა და ახალი დროის ქართულ ისტორიოგრაფიას შორის ყველა ზემოთ დასახელებული ინდიკატორის მიხედვით. ამ ფაქტს, ცხადია, თავისი ახსნა აქვს. ისტორიოგრაფია, როგორც კოლექტიური მეხსიერების

ფორმა, XVIII საუკუნეში ქართული ერთობის განვითარების და შიდა ჯგუფური ბმების ახლა ეტაპის შესატყვისია და, შესაბამისად, შეცვლილიც.

საბოლოო ჯამში აღდგა საკმაოდ საინტერესო სურათი, როგორც რთული ისტორიული ფენომენების რეპრეზენტირების, ისტორიის კატეგორიების გააზრების, ისე კონკრეტული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებების კუთხით.

პროექტის მონაწილეებს შორის სამუშაო განაწილდა შემდეგნაირად:

<u>მარიამ ჩხარტიშვილი</u> – ქვეთემა: ***„ეთნიკურობის რეპრეზენტაცია XII-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში.“***

შემსრულებელმა კონკრეტულად განიხილა წინამოდერნის პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგი ძეგლები: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, თამარის მეორე ისტორიკოსის (ბასილ ეზოსმოძღვრის?) თხზულება", ჟამთააღმწერლის "ასწლოვანი მატიანე", ვახუშტი ბაგრატიონის "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" და ბერი ეგნატაშვილის ახალი "ქართლის ცხოვრება".

ეთნიკურობის ფენომენის თავად არსიდან გამომდინარე რამდენიმე სახის ფაქტი შევარჩია საკვლევ ინდიკატორებად: უკვირდებოდა ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენებას, კონკრეტულად კი, ტერმინების "ნათესავისა" და "ერის" კონცეპტუალიზაციის მაგალითებს განიხილავდა. ვცდილობდა კონტექსტის მიხედვით განესაზღვრა თუ აღნიშნავდა ისინი კოლექტიური-კულტურული იდენტობის მატარებელ ჯგუფებს.

ქვეთემის შემსრულებელი უკვირდებოდა აგრეთვე ჯგუფის აღმნიშვნელ კონკრეტულ სახელწოდებებს. ამ შემთხვევაში, ცდილობდა გაერკვია ეს საკუთარი სახელები ნიშნავს რეგიონალურ იდენტობას თუ კოლექტიურ-კულტურულ იდენტობას.

აგრეთვე, უკვირდებოდა სხვა ეთნიკური მარკერების ამსახველ მასალებსაც, მაგალითად, აგროვებდა ენასთან, ტერიტორიასთან თუ ჯგუფის საერთო ბედის განცდასთან დაკავშირებულ მასალას. სამივე დასახელებულ მარკერს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის თვითიდენტიფიკაციისათვის. ამიტომ მათი განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია წინამდებარე მიზნის მქონე გამოკვლევისათვის. სტრუქტურა კვლევისა შემდეგია: თავიდან მოკლე ინფორმაციაა წარმოდგენილი საკვლევი ძეგლის ისტორიის შესახებ; მერე მოყვანილია ამონარიდი წყაროდან, რასაც მოჰყვება ავტორის კომენტარი ინსპირირებული გამოკვლევის მიზნით. დასკვნაში მოძიებული მასალა გარკვეული რუბრიკების ქვეშ გაერთიანებულ შედეგებად არის წარმოდგენილი.

კვლევამ გამოავლინა ეთნიკურობის ფენომენის რეპრეზენტაციის თავისებურებანი მითითებულ საუკუნეებში ქართულ საისტორიო მწერლობის ხუთი ძეგლის მაგალითზე.. ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ეთნიკურობის პერცეფცია საანალიზო პერიოდში გამოკვეთილია, შესაბამისად, მისი რეპრეზენტირების ფორმები საკმაოდ დახვეწილია. გარკვეული ტენდენციების დანახვაც შეიძლება: დავითისა და თამარის ეპოქაში მაინც პოლიტიკური იდენტობაა მთავარი. ეს მთლიან სამეფოს მოიცავს, ჟამთააღმწერლის ეპოქაში, როცა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა არამყარი ხდება, ეთნიკურობის განცდა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. მეთვრამეტე საუკუნეში ეთნიკურობის განცდა კვლავ მძლავრია და ამას ხელს სწორედ პოლიტიკური დაქსაქსულობა უწყობს. ამ დროს ცხადდება, რომ პოლიტიკური და კულტურული საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს გარემოებანი სათანადოდ არის კიდეც რეპრეზენტირებული ქართული ისტორიოგრაფიაში, რომელიც არა მარტო არეკლავს კოლექტიური ისტორიული მეხსიერებას, არამედ თავად იდენტობის წრთობის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება. ეს დასკვნები გაკეთებულია ასობით მაგალითის საფუძველზე

	და თითოეული მაგალითი ავტორის მიერ კომენტირებულია. **ეკა კვაჭანტირაძე** – ქვეთემა: ***„ისტორიის საზრისის და ჟანრების გააზრების საკითხი XII-XVIII საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში.“*** ქვეთემის შემსრულებელმა შეისწავლა საანალიზო პერიოდში ქართველ ისტორიკოსთა მიერ ისტორიის საზრისის და ჟანრების გაგების საკითხი. აღნიშნული რაკურსით კერძოდ, მან გაანალიზა შემდეგი თხზულებები: „ქართლის ცხოვრების“ შემდეგი თხზულებები: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“, ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“, ჟამთააღმწერელი „ასწლოვანი მატიანე“, „ქართლის ცხოვრების გაგრძელებები“, XVII-XVIII საუკუნეების ისტორიკოსები: ფარსადან გორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე. გამოირკვა, რომ „ქართლის ცხოვრების“ განსახილველ ისტორიკოსებს, განსხვავებით ამ კრებულის წინა თხზულებებისაგან, რომლებიც მეფეთა ისტორიის ქარგაზეა მოჭრილი, სრულიად ახალი მიზანი აქვთ: გამორჩეულ მეფეთა ინდივიდუალური ადგილის წარმოჩენა ისტორიული აზროვნების ფორმირებაში. დავითის ისტორიკოსი ამკვიდრებს ქართული ერთობის ისტორიაში აზრს მეფე-მსახურის ფენომენის შესახებ. თხზულებაში დავით აღმაშენებელი რამდენჯერმე შედარებულია დავით წინასწარმეტყველს სწორედ მეფე-მსახურის და არამეფე-მეფის წარმოჩენის მიზნით. ის აშენებს სრულიად ახალი ქვეყანას: ახალი საგარეო-პოლიტიკური სტატუსით, ამაღლებული სარწმუნოებრივი მიდგომით, ახალი სახელმწიფო ინსტიტუტებით, განსხვავებული მენტალობით – საქართველოს მრავალრიცხოვან ეთნოსთა მიერ მოქალაქეობის სრული განცდით და აბსოლუტური ჰარმონიით სამეფო ხელისუფლებასა და ხალხს შორის. თამარის ორივე ისტორიკოსი კი ქართული ერთობის აზროვნებაში პირველად ქმნის მეფე-კერპის ფენომენს. მეფის ყველა ქმედება (ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, შავი მთის მონაზონთა დაცვისათვის ბიზანტიასთან კონფლიქტი, ირანში ლაშქრობა) ამ ღირებულებას ემსახურება. ერთ-ერთი მსგავსება ბიბლიასა და „ქართლის ცხოვრებას“ შორის გახლავთ ისრაელისა და საქართველოს ოქროს ხანა და მისი დასასრული. ორივეს დასაბამს უდებს მეფე ერთიდაიმავე სახელით. ისრაელში დავით მეფსალმუნე, ხოლო საქართველოში დავით აღმაშენებელი გახლავთ ის მეფეები, რომლებიც ქვეყნის შენების მთავარ ხაზს ღირებულებითი ნიშნით შემოწერენ. ორივე მეფე განსაკუთრებული ღვთისმსახურებით გამოირჩეოდა, რაც მათ ქვეყნისა და ერის წინაშე გაწეული მსახურებით არის გაცხადებული და რაც ძლიერ მნიშვნელოვანია, ორივე მათგანი ერთგვარი საზომი ხდება წარმატებული მეფობისა. მათი მეფობა მსახურების ნიშნითაა მარკირებული. საერო და სასულიერო აზროვნების შერწყმა დავითის მოღვაწეობის წარმატების საწინდარია. დავითმა შექმნა „დაუმონებელი თავისუფლება“, რაც მსგავსებას პოულობს დავით წინასწარმეტყველის მოღვაწეობასთან. ოქროს ხანის დასრულება იწყება ერში ღირებულებათა კრიზისის გაჩენით, რაც ისრაელშიც და საქართველოში ახალი თაობის ღირებულებით დეზორიენტირებაშია მოაზრებული. ორივე ქვეყნისათვის ზნეობის პიკი დასავალისაკენ მიდის იმის გამო, რომ ახალი თაობა „ცდილობს“ გადაუხვიოს იმ გზას, რაც მათი წინამორბედის მიერ იყო განსაზღვრული. ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს სახელმწიფოს გაღმერთების, მეფის არა მსახურებითი ნიშნულის, არამედ გაკერპების მცდელობა. უკეთ რომ ვთქვათ, ისრაელისა და საქართველოს ოქროს ხანის დასასრული უკავშირდება იმ მენტალურ გადაგვარებას, რაც გულისხმობს სახელმწიფოს კეთილდღეობისა და ძლიერების სამსახურში ერის ღირებულებების მოქცევას. ეს კი არსობრივად უპირისპირდება მათ წინამორბედთა სამოღვაწეო პრინციპს: ღირებულებები უნდა

იყოს გამსაზღვრელი ერისა და ქვეყნის ძლიერებისა და არა პირიქით.

ჟანრული თვალსაზრისით, გამონაკლისს წარმოადგენს „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“, რომლის ავტორად სახელდებულია სუმბატ დავითისძე. სუმბატ დავითისძის ნაშრომი გადახვევაა „ქართლის ცხოვრების“ საერთო ქარგისაგან. ის არამხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ სტრუქტურულადაც არ ჯდება „ქართლის ცხოვრების“ სქემაში. სუმბატის თხზულებამდე „ქართლის ცხოვრებაში“ გაბმული თხრობაა დასაბამიდან ლაშა-გიორგის ისტორიკოსის ჩათვლით. აქ კი, ჩართულია ბაგრატიონთა გვარის ისტორია, რომელიც იწყება ბიბლიური სქემით ადამიდან, მოდის სოლომონამდე და მის შვიდ ვაჟამდე, რომლებიც მოდიან, მკვიდრდებიან ქართლსა და სომხეთში და ბაგრატიონთა მამამთავრები ხდებიან. ამ თხზულებას განსხვავებულობა ახასიათებს „ქართლის ცხოვრების“ ძირითად ნაწილთან წყაროებისა და ქრონოლოგიის გამოყენების თვალსაზრისითაც. შვიდი ძმის ქართლსა და სომხეთში მოსვლის ამბის აღწერისას სუმბატი იყენებს ორ სხვადასხვა წყაროს და მათგან იძლევა ამ მოთხრობის ორ ვარიანტს, რომლებიც ერთიმეორეს ებმის და მხოლოდ მცირე დეტალებში განსხვავდება ერთმანეთისაგან. „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ მდიდარია ქრონოლოგიური მონაცემებით. არსად „ქართლის ცხოვრების“ სხვა მონაკვეთში არ გვხვდება ამდენი თარიღი, რაც თხზულებას ქრონიკის ფორმას სძენს.

XVII- XVIII საუკუნეების ისტორიკოსები: ფარსადან გორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე სრულიად განსხვავდებიან ისტორიის საზრისის საკითხში წინარე განსახილველი პერიოდის ისტორიული მსოფლაღქმისაგან. მათთან უკვე თვალნათელია ღირებულებითი ორიენტირის კრიზისი. მათი აზროვნება კონკრეტულია, მიმართულია თვითმხილველობის ხაზგასმით, ეს ქართული თვითცნობიერების ყოფნა-არყოფნის ფენომენს წარმოსახავს.

<u>გიორგი ჭეიშვილი</u> – ქვეთემა: ***„გეოგრაფიული საზღვრების აღქმა XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.“***

ქვეთემის შემსრულებელი უკვირდებოდა საქართველოს ტერიტორიის რეპრეზენტირების საკითხს შესაბამისი პერიოდის საისტორიო მწერლობაში.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში პატარა ქრისტიანულმა საქართველომ მომთაბარულ ისლამურ სამყაროსთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში გაიმარჯვა – წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ზეობაში არამხოლოდ დასრულდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანების პროცესი, არამედ ხორცი შეესხა კავკასიის პოლიტიკური ერთობის იდეასაც. დავითის საქმე წარმატებით გააგრძელეს მისმა მემკვიდრეებმა (დემეტრე I, გიორგი III,თამარი) და XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს სამეფოში ქრისტიანული კავკასიის უდიდესი ნაწილი გაერთიანდა.

ამ კავკასიური სახელმწიფოს ტერიტორიული განფენილობის ყველაზე ფართო ფორმულას წარმოადგენდა „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურამდე“ ან, უფრო მარტივად, „ნიკოფსითგან დარუბანდამდის“. დავითის ხანაში ნიკოფსი და დარუბანდი საქართველოს სამეფოში უშუალოდ შემომავალი ტერიტოიების უკიდურესი დასავლეთ და აღმოსავლეთ მიჯნებს აღნიშნავდა; შემდგომში, შირვანი და დარუბანდი უკვე ვასალურ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ, მიუხედავად ამისა, დავითის მიერ გამოჭედილი გეოპოლიტიკური ფორმულა მის მემკვიდრეებშიც ცოცხლობდა, იმ დროსაც კი როდესაც შირვანი და დარუბანდი საქართველოს სამეფოს ვასალური მორჩილებიდან იყო გამოსული.

დავით აღმაშენებლის ეს პოლიტიკური დანატოვარი ორ ზღვას შორის მფლობელობასთან ასოცირდებოდა (“იპყრნა ზღით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკIთთამდის”), რაც, თავის მხრივ, იესიან-დავითიან ბაგრატიონებს, ბიბლიური წინაპრების მსგავსად, უფლებას აძლევდა

თავი სამყაროს მბრძანებლებად წარმოედგინათ. “ამასცა სოლომონიანებრ ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქუეყანისანი” – ამბობს თამარის ისტორიკოსი გიორგი III-ზე. რეალურ-იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაც და მათი შვიდ სამეფოთა მეფობაც, რაც აღმოსავლურ კონცეფციათა შესაბამისად, სწორედ ქვეყნიერების ბატონ-პატრონობას აღნიშნავდა.

სახელმწიფოს ჩრდილოეთ-სამხრეთის განფენილობის აღმნიშვნელი „ოვსეთითგან სოერად (სპერად, გ. ჭ.) და არაგეწამდის“ შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა საისტორიო მწერლობაში, თუმცა სპერზე, როგორც საზღვარზე, მითითება, რამდენჯერმე გვხვდება თამარის ისტორიკოსებთანაც და ვახუშტი ბატონიშვილთან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვიკითხოთ – ასახავდა ცნობა რეალურ მითითებას თუ საუკუნეთა მანძილზე გამოჭედილი გეოპოლიტიკური ფორმულის რეპლიკა იყო მხოლოდ.

არაქართული პროვინციების შემოერთებასაც თავისი იდეოლოგიური გამართლება ჰქონდა – ეს იყო საქრისტიანოს „ეშმაკისგან“ გამოხსნის სისხლისმღვრელი პროცესი, „საღმრთოთა რჯულთათვის“ განუწყვეტელი ბრძოლების სერია. თუმცა შემოერთებულ ტერიტორიათა რაობის აღქმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა – დავითისთვის თუ ეს „სახლთა ზედა“ “სახლთა“ შერთვა იყო, თამარის იდეოლოგებისთვის მთელი ეს სივრცე „მამულს“ წარმოადგენდა მხოლოდ.

ეპოქის შეხედულებებმა ჰაგიოგრაფიაშიც ჰპოვა ასახვა. განსაკუთრებით საინტერესოა შორეული წარსულის რეპრეზენტაცია – თხრობის გეოგრაფიას ძველი ქართველი მწერლები თანამედროვე რეალიებით ტვირთავენ, წარსულს ნაცნობ გეოპოლიტიკურ რეალიებს არგებენ, საზღვრებში ჩამოთვლიან თემებს, რომლებიც, სავარაუდოდ, სადავო ტერიტორიებს წარმოადგენდა მეზობელ სახელმწიფოებთან. საინტერესოა ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ბერძნულ-რომაული ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების გამოყენება. ერთი მხრივ, თუ ამით თავის განათლებულობას ამჟღავნებდნენ, მეორე მხრივ, ტერიტორიულ მემკვიდრეობას ასაბუთებდნენ.

მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკაც და ბედიც. საქართველოს სამეფომ საბოლოოდ დაკარგა ყმადნაფიცი ქვეყნები: სამხრეთით მაჰმადიანურ საამიროებში ირანის ილხანები გაბატონდნენ, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაშიოქროს ურდო. თავდაპირველად მონღოლებმა ქრისტიანული კავკასია საქართველოს ნაწილად ცნეს, მაგრამ ორმოცდაათი-სამოცი წლის შემდეგ პოზიციები მკვეთრად შეიცვალეს; დაუმორჩილებლობისკენ მიდრეკილ ქრისტიან ქართველებთან შედარებით უპირატესობა უფრო მორჩილ მაჰმადიან ქვეშევრდომებს მიანიჭეს, წინ აღუდგნენ საქართველოს საზღვრების გაფართოებას სამხრეთისკენ, ჩამოაჭრეს ტერიტორიები არაქსის სამხრეთით და ჩრდილოეთით და ადრინდელ მაჰმადიან მფლობელებს გადასცეს. ამ მოვლენებზე რეაქციას წარმოადგენს „ყოველი საქართველოს“ დამკვიდრება. ეს ტერმინი, მართალია, მეთორმეტე საუკუნეში ჩნდება, მაგრამ ფართოდ სწორედ მონღოლთა ბატონობის ჟამს გამოიყენება. ამ მხრივ ჟამტააღმწერლის პოლიტიკურ-გეოგრაფიული ლექსიკონი მეტად საყურადღებოა. ჯიქეთი, სომხეთი, შარვანი ასწლოვანი მატიანის ავტორისთვის საქართველოა. დამახასიათებელია, რომ არც ერთი მაჰმადიანურად მიჩნეული ქვეყანა საქართველოს ცნებაში უშუალოდ არ შემოდიოდა, ისინი მოხარკე ყმადნაფიცები იყვნენ.

XV ს-ის მიწურულს საქართველო პოლიტიკურად დაიშალა. ახალ პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრების აღწერა ბერი ეგნატაშვილმა შემოგვინახა. თანადროული სამეფო-სამთავროების საზღვრებს ვახუშტი ბატონიშვილიც ასახელებს. მათი ცნობების შეპირისპირება, ისევე როგორც პარალელური

მასალის მოხმობა ცხადყოფს, რომ არსებული რეალობა და კონცეფცია ისტორიული საზღვრების შესახებ ზოგჯერ ურთიერთგადახლართულია, რაც XVIII საუკუნის პოლიტიკური აზრის ერთ საინტერესო გამოვლენას წარმოადგენს.

გვიან შუა საუკუნეებში "საქართველომ" პოლისემიური მნიშვნელობა შეიძინა. საქართველო, უპირატესად, ქართლის სამეფოს აღნიშნავდა. ზოგჯერ წყაროებში "ლიხთ-იმერეთისა საქართველო" გვხვდება იმერეთის სამეფოს მნიშვნელობით. საისტორიო ძეგლებში ის, ტრადიციულად, სრულიად საქართველოს შეესატყვისება, თუმცა არა იმ ფარგლებში, რომლებშიც ჟამთააღმწერლის ყოველი საქართველო წარმოგვიდგებოდა.

XVIII საუკუნის დასაწყის ისისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი ცალკეულ სამეფო-სამთავროთა საზღვრებს აღწერს და იქვე დასძენს: "ხოლო ამას გარდა საქართველონი რომელნიმე თავისუფალ შექმნილიყვნენ, რომელნიმე სპარსთა მიეტაცნეს, რომელნიმე ხონთქარსა და რომელიმე ხაზართა". ამის მიხედვით, საქართველოს გარე პერიმეტრი ყოფილა ჯიქეთი, "სუანეთის მთის გარდმოღმართი", "დიგორის მთის აქათი", (ცენტრალური კავკასიონი და მისი პარალელური ჩრდილოეთის ქედი), " ევხილაკას აქათი, და კასრის ევს-აქათი" (ე.ი. დვალეთი), "პალაკაციო და მე ... კარის სოფლის აქათი ერევნისსა ზღვრამდის" (ჩილდირი და აბოცი), "ბანბაკიდალორე" (ტაშირი დებედას ზემოწელზე), "იქით კარის საზღვრამდის, აზრუმისა კენგურჯი-ბორაზისაქათი" (მესხეთი), "ჭანეთი რკინისპალოს აქათი" (სამხრეთ-აღმოსავლეთ სავიზღვისპირეთი რიზემდე თუ ათინამდე). აშკარაა, რომ პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიუხედავად, მთელი სივრცე საქართველოა, მისი თითოეული წევრი – "საქართველოები". ქვეყნის ასეთ გააზრებას – "საქართველოების" კრებული – საკმაო ხნის ისტორია ჰქონდა და ბერიეგნატაშვილიც მხოლოდ თანადროული განათლებული ქართული საზოგადოების თვალსაზრისს არ გადმოსცემს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, საქართველოს დაშლის მოთავეებსაც მშვენივრად ესმოდათ, რომ კულტურულ-სახელმწიფოებრივი ერთობლიობა, რომლის ნაწილები თავადაც იყვნენ და ახლა დანგრევას უპირებდნენ, "საქართველოა". ასე აღიქვამდნენ რეალობას "ღმრთივგვირგვინოსანი" მეფე ბაგრატი (1466-1478) და დიდი ერისთავთ-ერისთავი, დადიან-გურიელი შამადავლა (1470-1474).

XVII საუკუნის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძეც ოდესღაც არსებული ერთიანი კულტურულ-პოლიტიკური სივრცის "საქართველოთი" აღნიშნავს. "საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ გაყოფილი და ერთმანეთის ურჩნი და ქიშპნი მტერნი, ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი და იესოს ქრისტეს რჯული ეჭირათ. ამისთვის იქით ურუმნი არბევდეს და აქეთ ყიზიბაშნი და ამისთანას ორს დიდს ელმწიფებს შვაში ბევრს ეცადნეს, აქეთ იქნიეს ჴმალი და იქით და მრავალი ნავნებიც ქნეს, მაგრა არ იქნა და ვერც არას თავს გაუვიდნეს. ონთქარმან და ყაენმან საქართველოშვა გაიყვეს" – ასე დაახასიათა მან გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს მაგისტრალური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები და იქვე ჩამოთვალა "საქართველოებიც": სამცხე, ქართლი, კახეთი, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, გურიადა "ლაზისქვეყანა".

მოტანილ ამონარიდებს თუ შევადარებთ, დავინახავთ, რომ ფარსადან გორგიჯანიძესაც და ბერი ეგნატაშვილსაც "საქართველო" ერთნაირად ესმით, თუმცა ეს უკანასკნელი იმასაც შენიშნავს, რომ არსებულა სხვა "საქართველოები", ჟამთა სიავის გამო, ძირი-საქართველოს განმოწყვეტილი და დაკარგული.

ბერი ეგნატაშვილის თანამედროვეს, ცნობილი მოაზროვნე, ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავის საისტორიო და საგეოგრაფიო თხზულებაში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" "საქართველოდ" მოიაზრებს

	იმ ტერიტორიას, რომელიც იქმნა “შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ”. ნაშრომის გეოგრაფიულ ნაწილში, რომელიც ავტორის თანადროულ ვითარებას ასახავს, საქართველოს მხარეებად მოაზრებულია, სხვასთან ერთად, ბასიანი, ჯიქეთი, ჭანეთი, დიდოეთი, ჰერეთიც, დვალეთი; სამაგიეროდ, არ გვხვდება ყაზახ-შამშადილო (მისთვის ბერდუჯი დებედაა), ჩრდილოეთ სომხეთი (ანისი, კარი, ერევანი). ცალკე მონაკვეთი ეძღვნება “ოვსეთის” აღწერას, მაგრამ მინიშნებაც კი არსადაა, რომ ის “საქართველოა”. ნაშრომის შესავალში ვახუშტი ამბობს: “ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჱსითა ქართლი, და მის გამომორჩილთა ანუ წილ დომილთა მისთა ეწოდა საქართველო... ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა... ოდესი- მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ ... მაშინ აღუტევა მა სპათა მიმართ თვსითა: «იი, ვერიე!»”. ივერია, განაგრძობს ვახუშტი, მოასწავებდა, აგრეთვე, სიხარულს უფლის შობისადა “მორევნასა კერპთა ზედა ძალსა ჯუარისასა და სნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა”; რაც შეეხება მესამე სახელს, გიორგიას, “მ ნედ მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა... კუალად ... დიდის მოწამის გიორგისა ... მიერ იწოდა”. განსხვავებული ვითარებაა წარმოდგენილი მეცნიერი ბატონიშვილის მიერ შედგენილ “ატლასში”. 1735 წლის ატლასში კავკასიის დიდ ნაწილი დაფერილია, ლეგენდაში კი ამგვარი წარწერა ახლავს: “ახალი დახაზული სამეფო იბერიისა ანუ ყოვლისა საქართველოსი ქართა ანუ რუკა, რომელი არს ორთა ზღვათაშორის პონტოსა და კასპისასა: ქართლი, სამცხე, რომელ არს მესხნი, ოვსნი, დურძუკი, რანი, იმერეთი, ოდიში ანუ სამეგრელო, აფხაზი დ აჯიქი, გურია, სვანეთი, სომხეთი, კახეთი, შირვანი, ლეკი ანუ დღისტანი, ყივჩაყ ანუ მცირე ყაბარდო”. პირველი შთაბეჭდილება ისაა, ვახუშტიმ ისტორიულ საქართველოს კავკასიის ოდესღაც არსებული საპატრონყმო ქვეყნებიც მიათვალა. მაგრამ მეორე, 1745 წლის ატლასის განმარტებები საქმეს უფრო რთულად წარმოადგენს. აქ, კერძოდ, ვკითხულობთ: “რუკა მომზადებული საქართველოსი ანუ იბერიისა ანუ გიორგიისა ... ორთა კასპიისა და შავ ზღვას შორისი, რომელი წილად ხვდა რვათა ძმათა... ხოლო ჰაოსისა (წილი – გ.ჭ.) არსად მჩენარებს...”. ეს უკვე ავტორისეული კონეფციაა, თუ როგორ განივრცო ქართლოსიანთა ანუ ფარნავაზიანთა ქართლი და როგორ შემოკრიბა მან თავის გარშემო “მოძმე” სახლები. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ის გარემოებაც შეიძლება მეტყველებდეს, რომ ატლასში ცალკე რუკადაა წარმოდგენილი ფარნავაზის დროის საქართველო. ვახუშტის ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი ქრთლოსისადმი მორჩილების შესახებაც შეგვიძლია მოვიგონოთ კიდევ ერთხელ. საინტერესოა ჰაოსისა და ჰაოსიანთა წილის ვახუშტისეული გააზრება: ის არაქსის მარჯვენა სანაპიროზეა აღნიშნული, ხოლო მარცხენა სანაპირო მთლიანად საქართველოს საზღვრებშია შემოყვანილი. არაქსის მარცხენა სანაპიროზე განფენილ ტერიტორიებს “სომხითი” ეწოდება და განიმარტება როგორც არზრუმი, ბასიანი, კარი და “ერევნის ადგილნი”. დაახლოებით ამდაგვარივე სურათია მესამე, რუსულ ატლასშიც, იმ განსხვავებით, რომ მცირე ყაბარდო საზღვრებს მიღმაა ნაჩვენები, ბასიანი სამცხე-საათაბაგოს ფერითაა დაფერილი, არაქსის მარცხენა სანაპიროც მთლიანად არ არის გამოხაზული. მაშასადამე, ვახუშტი ბაგრატიონისთვის საქართველოის ქვეყანაა, რომელიც თარგამოსიანთა სახლებს აერთიანებს; ეს “ძმობა” ამ უფლების ლეგიტიმურობის საფუძველია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ის იბერიისა და გეორგიის სახელითაც მოიხსენებს, ანუ ხაზს უსვამს იმ სემანტიკურ კოდს, რომელიც მისი სათაყვანებელი სამშობლოს სახლწოდებაში იდო.

რამდენად რეალურად ეჩვენებოდა თავად მეცნიერ ბატონიშვილს ორზღვასშუა გადაჭიმული კავკასიური სახელმწიფოს აღორძინება, ძნელი სათქმელია. შესაძლებელია, ის მხოლოდამხოლოდ, თავის თვალსაზრისს გადმოსცემდა ისტორიული საზღვრების შესახებ.

XVIII ს-ის II ნახ. საისტორიო თხზულებებში (პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე) მითითება საზღვრებზე თითქმის არ ვხვდებით. მხოლოდ მოვლენათა აღწერილობით შეიძლება დავადგინოთ, თუ სად გადიოდა სახელმწიფო საზღვარი. გამონაკლისს წარმოადგენს პაპუნა ორბელიანის მითითება თეიმურაზის მიერ ყაზახ-ბორჩალოს დამორჩილების შესახებ, ან კიდევ ომან ხერხეულიძის ცნობა ერეკლე II-ის მიერ შორაგელის სასულთნოს შემოერთების შესახებ. სამაგიეროდ საქართველოს ერთიანობის იდეა ჩანს იმდროინდელი დოკუმენტებიდან, აღწერებიდან, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებიდან. ნოსტალგია ძველი დიდებისა და ძველი ტერიტორიებისა კარგად გამოსჭვივის ანტონ კათალიკოსის ნაწერებიდან. 1762 წელს ქართლში ერეკლეს გამეფებისთანავე ანტონ კათალიკოსმა ერეკლეს მიართვა მის მიერ თარგმნილი "ალექსანდრე მაკედონელის ისტორია", რომელსაც ვრცელი მიძღვნა დაურთო. "მოგილოცავ ახალსა წინაპართა პაპათა ჩუჱნთა ადრით განჭრილისა საყდრისა შეერთებულად მიღებასა, შენ გონიერსა მ ნესა მეფესა ვითა კიროსს. და მემკირესა ვითა ქსერქსისს" – ანტონ კათალიკოსი არა მხოლოდ თავის პირად განცდას, არამედ მოწინავე ქართველობის სიხარულსაც გამოხატავდა. თარგმნილ საისტორიო-დიდაქტიკურ ლიტერატურას სრულიად განსაზღვრული პოლიტიკური აქცენტებითაც იყო დატვირთული – საქართველოს გაერთიანება და ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება. ეს ტენდენცია შეიმჩნევა, აგრეთვე, ანტონ კათალიკოსის „მარტირიკაში", მის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში.

გვიანი შუა საუკუნეების, უფრო ზუსტად, XVIII ს-ის თხზულებებში, საინტერესოა ეთნონიმური ტერმინის „ოსეთის" დამკვიდრება. საისტორიო მწერლობაში (სეხნია ჩხეიძე, ვახუშტი, პაპუნა ორბელიანი) ეს ტერმინი ოსებით დასახლებულ მიწა-წყალს აღნიშნავდა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი განსახლების მიმართულებას მიანიშნებდა.

<u>მარინე ქადაგიძე</u> – ქვეთემა: ***„საზოგადოების განვითარების გენდერული ასპექტი და მისი აღქმა XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში."***

ქვეთემის შემსრულებელმა ანალიზის საგნად აქცია ქალთა აქტივობების ფაქტების რეპრეზენტირებაზე დაკვირვება ისტორიოულ და ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. საზოგადოებაში არავითარი მოვლენა არ ხდება კულტურის კონტექსტიდან მოწყვეტით, დამოუკიდებლად იმ საზოგადოებრივი ტენდენციებისგან, რომელიც გაბატონებულია სოციალურ სამყაროში. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ცვლილებების შეტანა შეუძლებელია მოხ გენდერული სტერეოტიპები გაიგება, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავების შესახებ არსებული მყარი წარმოდგენები მოცემული საზოგადოებისათვის მოცემულ პერიოდში. მართალია, გენდერული სტერეოტიპები სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის მაინც ბევრი საერთოა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მამაკაცი მის წარმატებას უფრო პირად თვისებებს მიაწერს, ხოლო ქალი – ბედს. ამ მხრივ შუშანიკიც, ნინოც და თამარ მეფეც სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგებიან. საინტერესოა, რომ ქალთა ღვაწლი და ქმედებები ძალიან მკაფიოდ წარმოაჩენს მათ პიროვნებებს და ნამოქმედარს ქართულ წყაროებში. ისინი გააზრებულად, ლოგიკურად, მიზანმიმართულად, აქტიურად ერთვებიან ისტორიულ ვითარებაში და მნიშვნელოვნად ცვლიან მოვლენებს.

<u>მედეა გოგოლაძე</u> – ქვეთემა: ***„XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დადასტურებული***

	დათარიღების წესები და ვერიფიცირების მეთოდები.“ ქვეთემის შემსრულებელი უკვირდებოდა დათარიღების სხვადასხვა სისტემების გამოყენების საკითხს შესაბამისი ეპოქის ჰაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობაში. ქართულ ისტორიოგრაფიასა და ჰაგიოგრაფიაში წლების აღსარიცხავად გამოყენებული იყო დათარიღების სხვადასხვა წესი. მემატიანეები თარიღებს გადმოგვცემენ, როგორც რიცხვებით, ისე, ქართული ასო-ნიშნებით. იცავენ წლების თანმიმდევრობას. XII-XVIII საუკუნეების ისტორიოგრაფიაში თარიღების სიმწირით გამოირჩევა “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”, “ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა” და ჟამთააღმწერელი. აღსანიშნავია, ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბატონიშვილის ახლებური დათარიღების წესი, რაც გამოიხატება ქრონიკონების და ქართული ასო-ნიშნების რიცხვითი განმარტებებით, ანუ თარიღის პირდაპირი რიცხვითი დასახელებით. **<u>რუსუდან ლაბაძე</u>** – ქვეთემა: ***„დროის გააზრების თავისებურებანი XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.“*** ქვეთემის შემსრულებელმა შეისწავლა დროის გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები. დროის ცნება ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ვისაუბროთ დროის სხვადასხვა პარადიგმაზე, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქის ადამიანთა ქცევის მოდელებსა და ფასეულობების სისტემებს აყალიბებენ. თომას კუნის მიერ ფილოსოფიის კატეგორიების სისტემებში შემოღებულმა პარადიგმის ცნებამ ფართო სტატუსი შეიძინა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში დაიმკვიდრა თავი, მათ შორის ისტორიაშიც. დროის გააზრება XII-XVIII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიულ და ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში ისევ ეკლესიის დროის დომინირებას ემყარება. მართალია, XVIII საუკუნის ისტორიულ ნარატივში, განსაკუთრებით « ქართლის ცხოვრების » გაგრძელებებში და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში დროის პარადიგმა ტრანსფორმაციისკენ იხრება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ პრემოდერნის პერიოდია (ყოველ შემთხვევაში, ჩვენში), ტრადიციული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დროის გაგებით. ახალი პარადიგმა, რომელიც დროის დესაკრალიზაციას დაეფუძნება, მხოლოდ პოსტმოდერნის ხანაში მოიკიდებს ფეხს. მაშ ასე, ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული ისტორიული თხზულებები ეკლესიის დროითაა აღბეჭდილი. თუმც, ღვთიურ განგებასთან ერთად, აქ დროის ხაზოვანი განვითარებაც ფიქსირდება. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანის ისტორია, მიუხედავად ძეგლის სიმცირისა, მდიდარია ქრონიკონით დათარიღებული მოვლენებით. მემატიანე ფაქტებს ზედმიწევნით, დროის ყველა ერთეულის გამოყენებით გადმოსცემს. ამ თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებულია « ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის » ტექსტი. თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში დრო თითქოს გაჩერებულია, არც სეზონი იცვლება, არც წელი. ძლევამოსილი მეფის პანეგირიკის ავტორი სულ რამდენჯერმე ახსენებს კვირის დღეებსა და თვეებს. რიცხვითი სახელიც კი, არა მხოლოდ დროის აღსანიშნავად, იშვიათად გვხვდება. ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების პირველივე წინადადება ქრონიკონის მითითებით იწყება, რომელიც გიორგი III – ის გამეფებას აღნიშნავს. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ამით ამოიწურება მეორე ისტორიკოსის ქრონოლოგია, რადგან თამარის გამეფების წლისა და გარდაცვალების თვისა (იანვარი) და რიცხვის (ი ჱ) გარდა, არაფრით ავსებს დროის შკალას. ჟამთააღმწერლის ვრცელი ნარატივი ყველა პარამეტრით გამორჩეული ძეგლია, პირველ რიგში, კი დროის აღქმის თვალსაზრისით. მატიანეში თანამიმდევრულად, დროისა და სივრცის მოხმობით გადმოცემულია მეტად ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დასახასიათებლად მემატიანე მოვლენების

ზედმიწევნით ზუსტი სურათის აღდგენას ცდილობს. ჟამთააღმწერლის თხრობაში მოქმედების აღწერა დროის დაკონკრეტებით იწყება. დრო თითქოს მოვლენაზე პრევალირებს, ან უფრო ზუსტად, განსაზღვრავს მოქმედებას. დროის გარემოების წინადადების თავში დასმა ავტორის სტილია და თხრობის ბოლომდე მას ერთგულად მისდევს. მიუხედავად გამორჩეული პროვიდენციალიზმისა, ნარატივში იგრძნობა ისტორიკოსის გაუთვით-ცნობიერებული ნება მოვლენების ისტორიული კანონზომიერებით ახსნისა.

ჟამთააღმწერლის თხზულება, ესქატოლოგიური დროის თვალსაზრისითაც, ცალკე უნდა გამოვყოთ. მართალია, ასწლოვანი მატიანის ავტორის ესქატოლოგიური მსოფლმხედველობა ისეთივე ზოგადი დისკურსით გამოიხატება, როგორც "ქართლის ცხოვრების" დანარჩენი ტექსტი, მაგრამ მხოლოდ აქ დასტურდება "მცირე ესქატოლოგიის" მოქმედი პირების - "ჰაერის მცველების" მოხსენიება. ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის კარგად ნაცნობი "ჰაერის მცველები" კერძო სამსჯავროს აღმასრულებლები არიან. ეს სამსჯავრო გარდაცვალებისთანავე ხდება და იმ შუალედურ მდგომარებას გამოხატავს, რომელსაც სული მისი ბედის საბოლოოდ გარკვევამდე გაივლის. ჟამთააღმწერლის მატიანეში, იქ, სადაც მოთხრობილია ულუ-დავითის შეპყრობის ამბავი რუსუდანის სიძის, ყიასედინის კარზე აღწერილია, როგორ ლოცულობს დავითი ღვთისმშობლის ხატის წინაშე და შეწევნას სთხოვს: "...შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინის-მცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უშსჯავროსა სიკუდილისა, რომელ სამარესა და მიწასა შინა დაფლვად არავინ ღირს მყო, არამედ საჭმლად თევზთა, არცაღა საფლავი ჩემი საცნაურ იქმნების, არამედ მოწყალებათა შენთა მონდობილი ვითხოვ უკანასკნელსა ამას ოხჭანსა შინა, რომელ მიჴსნა ჰაერის მცველთა ჴელთაგან და საშინელთა მათ სატანჯველთაგან, რომელსა მოელიან ჩემებრ ცოდვილნი და ბრალეულნი ყოველნი".

პირველი ქართული ძეგლი, რომელშიც ჩვენ „ჰაერის მცველებს" ვხვდებით „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაა". ტექსტში, სადაც საუბარია იოანეს სიცოცხლის ბოლო წუთებზე, ნათქვამია, რომ ასურელ მამას უფლისაკენ მიმავალ გზაზე ჰაერის მცველებთან შეხვედრა აფრთხობს: „...ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ მოწევნულ არს და მივალ უფლისა ჩემისა და ფრიად მეშინის ჰაერის მცველთაგან, რამეთუ საზარელ არიან, დააყენებენ სულთა, რაჲთა არა აღვიდენ სასუფეველად. და ამას თქუენცა მოელოდეთ, შვილნო ჩემნო საყუარელნო, და აწვე განაკრძალენით თავნი თქუენნი და ჩემთჳს ილოცევდით".

„ჰაერის მცველებს" იხსენიებს აგრეთვე შედარებით გვიანდელი ძეგლი, ბესარიონ კათალიკოსის „ლუარსაბ მეფის მარტვილობა" (XVIII ს.). აქაც, სიკვდილის წინ, მეფე ლოცულობს, რათა უფალმა შეუნდოს ცოდვანი და იხსნას ჰაერის მცველთაგან.

მომდევნო საუკუნეების ისტორიული ნარატივი უკვე შედარებით ნაკლებად მიმართავს ესქატოლოგიური დროს. XVIII ს-ის ისტორიულ ქრონიკებში სულ უფრო და უფრო იშვიათად შევხვდებით ციტირებას საღვთო წიგნთაგან. რაც შეეხება ესქატოლოგიურ მოტივებს, ვერ ვიტყვით, რომ ეს ნარატივი სრულიად დაცლილია ესქატოლოგიისაგან, მაგრამ იოანე საბანისძისეული თეორიიდან მასში აღარაფერია. ამ ახალ დროში, რომელსაც ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციით გვიანი შუა საუკუნეებით მოვიხსენიებთ, შეიძლება ითქვას, რომ დრო უკვე უნიფიცირებულია და ძირითადად, ქრონიკების ზუსტი, ლაკონური ენით არის გადმოცემული. ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის, კონკრეტულად კი, ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიული აზროვნების შეფასებისას, ისტორიკოსები ყველაზე დიდ მონაპოვრად პროვიდენ-ციალიზმისაგან განთავისუფლებას მიიჩნევენ. მაგრამ ფეოდალური ისტორიული აზროვნებისთვის დამახასიათებელ ამ მთავარ პრინციპს ჯერ კიდევ კარგად იცნობს "ახალი ქართლის ცხოვრების" სამივე ტექსტი. "ეჰა, რისხვა ღმრთისა

	ულხინებელი მოქმედთა ამის ბოროტისათა, რამეთუ მან განაწესა ბოროტისა მის მტერისა მიერ წარმოთხეული გესლი იგი იუდაებრივი, რომელმან განყიდა ვეცხლად შემოქმედი და მოძღუარი თჳსი. მიერითგან განეთესა განსყიდვა უსჯულოთა-ზედა ტყუეთა ქრისტეს–ნათლისღებისათა და წინააღმდგომთა ღმრთისათა კაცთა მყოფთა სანახებთა იმერთა, ოდიშართა და გურიელთასა, რომელი ნუ ყოს ღმერთმან საქმე ქართლსა ზედა ბოროტი იგი. ხოლო მუნ უფროსად და უმეტესად განმრავლდა და გარდაემატა ცოდვა იგი ვიდრე დღეისამდე", – წერს მემატიანე საქართველოში ტყვეთა სყიდვის მავნე ტრადიციის მომძლავრების შესახებ. იქვე, მეორე ტექსტში ვკითხულობთ: "და ვითარცა მოიწივნეს, მაშინ მოიცვეს ტფილისი და სრულიად ყოველნივე სანახებნი ქართლისანი, და სრვიდეს უწყალოდ, ვითარცა პირველ მეგჯპტელთა ღმრთისა მიერ რისხვით მივლინებული იგი მომსრველი სენი. რამეთუ ესრეთ თქმულ არს: ორგზის ჟამიც აღარ მიექცევისო. ნანდვილვე ფრიად უბოროტეს ჟამისა გამოჩნდეს იგინი, რამეთუ მომსრველი იგი ჟამი ზეგარდამოითა ბრძანებითა ყოვლად მოწყალისა ღმრთისათა მიივლინების კაცთა ზედა განმრავლებისათჳს ცოდვათა ჩუენთასა, და სწურთნის ვითარცა საყუარელსა ძესა მამა იგი მოწყალე, რათა შეინანონ და მოიქცენ სინანულად, და განგებითა ღმრთისათა მის მიერ აღსრულებულნი გუამნი მკუდართანი ყოველნივე მღდელთა მიერ შეიმურვის და იმსახურების, და წმიდათა ეკლესიათა შინა განწესებულ არს სამარხო მათი პატივად და სალხინებელად აღსრულებულთა სულთათვის". ეს უკვე თემურლენგის შემოსევის გამოძახილია და კვლავ ესქატოლოგიური მოტივები. ხოლო სვეტიცხოვლის ასაოხრებლად მომდგარი თემურლენგის ლაშქარი მემატიანეს იერემია წინასწარმეტყველის გოდებას ახსენებს: "ეჰა, ვაჲმე დღისა მისთჳს და ჟამისა, რომელი მოიწია ჩუენდა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთასა". ემოციურადაა დატვირთული გიორგი VII-ის წერილი თემურლენგისადმი, სადაც მეფე ურჯულო დამპყრობელს ჯოჯოხეთის ცეცხლით ემუქრება, მაგრამ არც "ცოდვათა გამო მიგების" ძირითადი მოტივი ავიწყდება: "ხოლო მეფობა შენი აქაცა მსწრაფლ წარმავალ არს და უმკჳდრო, და მუნ საუკუნოდ გეგულების ცეცხლი უშრეტი, რომელი განმზადებულ არს ეშმაკთათჳს და შენებრ მსახურთა ყოვლთათჳსვე. და მზაკუარებითა მაგით და ჴელოვნებითა ბელზებულთათა დაგიპყრიეს სრულიად აღმოსავლეთი და გყავს სიმრავლე ბანაკთა და სპანი ურიცხუნი. და ესე სამგზის მოსრულ ხარ და იავარ გიყოფიეს სამკჳდრებელი ესე სამეფო ჩემი, და წილხვდომილი ესე სამწყსო წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და ესე არათუ ძალისა შენისა მოქმედება არს, არამედ ცოდვათა ჩუენთა განმრავლებისათჳს სამართლად გუწუართნა ჩუენ ღმერთმან". ამდენად, სწავლულ კაცთა კომისიის "ახალ ქართლის ცხოვრებაში", ესქატოლოგიური თვალსაზრისით, გაგრძელდა მთავარი ქართული მატიანის (მხედველობაში გვაქვს, რა თქმა უნდა, "ქართლის ცხოვრება") ტრადიცია. თემურლენგის გამანადგურებელი შემოსევები შუასაუკუნეობრივი აზროვნების ჰიპერბოლიზაციის გარეშეც ესქატოლოგიური ბოლო ჟამი იყო. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ვახუშტი ბაგრატიონის შრომები მიჩნეულია ერთგვარ წყალგამყოფად ფეოდალური და ახალი დროის ისტორიოგრაფიებს შორის. მართლაც, XVIII საუკუნის სხვა მატიანეები უკვე გაღარიბებულია ესქატოლოგიური მოტივებისაგან და არათუ "ბოლო ჟამის" მოლოდინი, არამედ ბიბლიური ლექსიკა და ციტირება მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში გვხვდება. ამ პერიოდის მატიანეები: სეხნია ჩხეიძის "ცხოვრება მეფეთა"(ქრონოლოგიური პერიოდი 1658-1739 წწ.), პაპუნა ორბელიანის "ამბავნი ქართლისანი"(ოცწლიანი ისტორია 1739-1758 წწ.) და ომან ხერხეულიძის "მეფობა ირაკლი მეორისა..." (1722-1787 წწ.), ქრონიკებია, რომლებიც ზედმიწევნით, მაგრამ ძუნწად გადმოგვცემენ თანადროულ ამბებს. უფრო ნარატიულია (და, ამავე დროს, ყველაზე სქელტანიანი) პაპუნა ორბელიანის თხზულება, რომლის

	ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას ის ფაქტიც განსაზღვრავს, რომ მემატიანე აღწერილი ამბების თანამედროვე და, ხშირ შემთხვევაში, თანამონაწილეცაა. მაგრამ ჩვენი კვლევის საგნისთვის ეს ფაქტორი ნაკლებმნიშვნელოვანია. პაპუნა ორბელიანი ერთ პასაჟში ვერ ღალატობს საუკუნოვან ტრადიციას და წინასწარმეტყველის ციტირებას (თუმცა, არ აკონკრეტებს წინასწარმეტყველს) მიმართავს: "ვითაც იტყვის წინასწარმეტყველი: "მეფეთა გული ჴელთა შინა ღმრთისათა არიანო". ეს ღმერთმან მეფეს თეიმურაზს წყალობად მოუვლინა და სცხო საცხებელი მეფობისა, თორემ რამდენი წელიწადი გარდასულიყო ჟამთა ვითარებისაგან და ცხებული მეფე ქართლში არა მჯდარიყო, მადლობდეთ ღმერთსა, რამეთუ, ვითა მოსე ეგვიპტეს წვდეულთა ისრაელთა მოუვლინა ხსნად, ეგრე ქართველთა, აგარიანთაგან ტყვექმნილთა, მოუვლინა მეფე თეიმურაზ". თეიმურაზ II-ის ქრისტიანული წესით გამეფება ისტორიკოსისთვის ისეთი მნიშვნელობის ფაქტია, რომ მემატიანის ძუნწი ფერებით ვერ გადმოსცა იგი და მოსეს მიერ ისრაელის ხალხის ეგვიპტის ტყვეობისაგან დახსნას გაუთანაბრა. ლიტერატურული გზით გავრცელებული ესქატოლოგიური იდეები დიდხანს გასდევენ შუა საუკუნეების ისტორიულ ნარატივს და, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. "ახალ დროში" დროის უფრო ზუსტი საზომები ჩნდება, ვიდრე ესქატოლოგიური ბოლო ჟამის განუწყვეტელი მოლოდინია, ეს ნარატივი იშვიათად, მაგრამ მაინც მიმართავს უკვე სახეცვლილ "შემოკლებული ჟამის" თეორიას.

I. 3. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები (ეხება როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ისე მასთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სსიპ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს)

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	2	3	4	5
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

I. 4.

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	**შეუსწავლელი საარქივო მასალები და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის**	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნინო ღამბაშიძე	ქეთევან ალავერდაშვილი ნანა ზაზანაშვილი

	ტრადიციული კულტურა (ეთნოლოგიური ძიებანი) **დარგი:** *ეთნოლოგია/ ეთნოგრაფია* **მიმართულება:** *საქართველოს ეთნოლოგია*			

გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე წელს შესრულდა საგრანტო პროექტით გათვალისწინებული, მეოთხე და მეხუთე პერიოდში დაგეგმილი ამოცანები.

მეოთხე პერიოდში, წინასწარ შემუშავებული პარამეტრების მიხედვით, განხორციელდა 84 ერთეული გრაფიკული მასალის მოძიება, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია და აღწერა. დამუშავდა ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ საარქივო ფონდში დაცული 81 გრაფიკული ანაზომი (თუშეთი). მოხდა დამუშავებული ანაზომების ციფრულ მატარებლებზე გადატანა ფოტოგრაფირების საშუალებით. მონაცემთა ბანკს დაემატა 81 ერთეული მონაცემი.

პროექტის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს გარდა, პროექტის ხელმძღვანელმა, ნინო ღამბაშიძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში რომელიც ეძღვნებოდა გენდერულ კვლევებს. ფორუმი „Crossing Borders: Gender, Sexuality and Culture" გაიმართა ლონდონში 4 მარტს. ფორუმზე წარდგენილი იყო მოხსენება: „Women's Position in Religious Life of Georgia and Its Peculiarities".

მეხუთე საანგარიშო პერიოდში, შემუშავებული პარამეტრების მიხედვით, დამუშავდა ინსტიტუტის ისტორიულ და ეთნოლოგიურ საარქივო ფონდში დაცული 69 გრაფიკული ანაზომი. დადგინდა ორი ანაზომის კუთვნილება. ძველი აღწერილობით, იგი მიკუთვნებული იყო თუშეთის რეგიონს, აღმოჩნდა რომ ანაზომები ასახავს ფშავის სალოცავს. მოხდა დამუშავებული ანაზომების ციფრულ მატარებლებზე გადატანა ფოტოგრაფირების საშუალებით. საბოლოოდ, მთლიანად დამუშავდა 275 ერთეული გრაფიკული ანაზომი.

მოძიებული და დადამუშავებული მასალის საფუძველზე ჩატარებული კვლევა აისახა პუბლიკაციებში. მომზადდა ორი სამეცნიერო სტატია: 1. „ლაშაობა თუშეთში" (ნ. ღამბაშიძე), 2. წმინდა გიორგის სალოცავები თუშეთში (ქ. ალავერდაშვილი). ორივე სტატია გადაცემულია დასაბეჭდად ჟურნალ „ანალების" N14–ში.

პროექტის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს გარდა, პროექტის ხელმძღვანელმა ნინო ღამბაშიძემ, 24–27 აგვისტოს, ვარშავაში, მიიღო მონაწილეობა რელიგიათმცოდნეთა საერთაშორისო კონფერენციაში, წაკითხული იყო მოხსენება „საქართველოს გაქრისტიანება ხალხურ რელიგიურ რწმენა–წარმოდგენებსა და ფოლკლორში", მოხსენება ასახული იქნება პროექტით გათვალისწინებულ მონოგრაფიაში. კონფერენციის მასალები, მათ შორის ხსენებული მოხსენება დაიბეჭდა ელექტრონული სახით და განთავსდა ინტერნეტში, როგორც ელექტრონული წიგნი.

II. 1. პუბლიკაციები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით და/ან

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული კვლევითი პროექტის თემატიკის ფარგლებში)

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
